ქართულ-ნორვეგიული კანონის
უზენაესობის ასოციაცია

# დანაშაულის კონტროლი, როგორც ინდუსტრია

## გულაგების მიმართ, დასავლური მიდგომა

**ნილს კრისტი**

*ოსლოს უნივერსიტეტი*

პირველი ქართული გამოცემა

ქართულ-ნორვეგიული კანონის უზენაესობის ასოციაცია

CRIME CONTROL AS INDUSTRY
Towards GULAGS, Western Style
By Christie, Nils

რედაქტორები

მორის შალიკაშვილი
გიორგი გიორგაძე

თარჯიმანი

ნატალია ბურდული

დიზაინი

IBDesign

წიგნის თარგმნა და გამოცემა განხორციელდა ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

© UNIVERSITETSFORLAGET

© 2017, ქართულ-ნორვეგიული კანონის უზენაესობის ასოციაცია

დაიბეჭდა შპს „სეზანში“

ISBN 978-9941-0-9994-6

ეძღვნება ივან ილიჩს

ქართულ-ნორვეგიული კანონის უზენაესობის ასოციაცია დაფუძნ-და 2014 წელს ქართველი და ნორვეგიელი იურისტების მიერ. შექმნის დღიდანვე, ასოციაციამ მიზნად დაისახა იურიდიული განათლებისა და იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების მხარდაჭერა. აღნიშნუ-ლი მიზნების მიღწევისთვის ასოციაცია ხელს უწყობს საერთო ფორუ-მის დაფუძნებას, სადაც სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები ობიექტურობისა და ღიაობის პრინციპების დაცვით შეძლებენ პრაქ-ტიკული და სამართლებრივი საკითხების განხილვას საქართველოსა და ნორვეგიაში კანონის უზენაესობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცებისთვის. ხარისხიანი იურიდიული განათლების უზრუნველ-ყოფისთვის მნიშვნელოვანია, ჩვენ სტუდენტებს ხელი მიუწვდებოდეთ მსოფლიოს წამყვანი მეცნიერებისა და ავტორების გამორჩეულ ნაშ-რომებზე და ჰქონდეთ შესაძლებლობა გაეცნონ მათ მშობლიურ ენაზე. სწორედაც, რომ ამ მიზანს ემსახურება ცნობილი ნორვეგიელი კრიმი-ნოლოგის ბატონი ნილს კრისტის საყოველთაოდ აღიარებული წიგნე-ბის: „ტკივილის საზღვრები“ და „დანაშაულის კონტროლი, როგორც ინდუსტრია გულაგების მიმართ დასავლური მიდგომა“ ქართულ ენაზე თარგმნა. დარწმუნებული ვარ, წიგნები უახლოეს მომავალში მოიპო-ვებენ ფართო პოპულარობას და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ დანაშაულისა და სასჯელის ბუნების კვლევის საქმეში.

გიორგი გიორგაძე

*ქართულ-ნორვეგიული კანონის უზენაესობის ასოციაციის თავმჯდომარე*

# რედაქტორისგან

ნილს კრისტის ნაშრომი *„დანაშაულის კონტროლი, როგორც ინდუსტრია. გულაგების მიმართ დასავლური მიდგომა“* ძალიან საინტერესოა ქართველი მკითხველისთვის. ნაშრომი სცილდება ერთი კონკრეტული საგნის ფარგლებს და საინტერესოა როგორც კრიმინოლოგებისთვის, ასევე სასჯელაღსრულების სამართლით, სისხლის სამართლითა და სისხლის სამართლის პოლიტიკით დაინტერესებული მკვლევარების, მეცნიერებისა და ზოგადად მკითხველისთვის.

ნაშრომში დანაშაულის კონტროლი, როგორც ინდუსტრია განხილულია ძირითადად აშშ მაგალითზე. ავტორისთვის მსჯავრდებულების ის დიდი რაოდენობა, რომელიც აშშ-ს ჰყავს 100,000 მოსახლეზე შესაძლებლობას იძლევა ქვეყნის უსაფრთხოების და ციხის მშენებლობის ინდუსტრია განვითარდეს და არსებობდეს, როგორც ბიზნების წარმოების ერთ-ერთ ფორმად. ეს არ არის მხოლოდ აშშ-სთვის დამახასიათებელი ფენომენი. ფაშისტური გერმანია და საბჭოთა კავშირის კომინისტური მთავრობებიც იყენებდა საკონცენტრაციო ბანაკებს და გულაგს ქვეყნის ინდუსტიის გასაძლიერებლად. დანაშაულის კონტროლის საბაბით მსჯავრდებულთა რაოდენობის ზრდა ინდუსტრიის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს.

მსჯავრდებულთა რაოდენობა პრობლემა იყო საქართველოსთვისაც. თუმცა რა როლს თამაშობდა მსჯავრდებულთა რაოდენონა საქართველოს ინდუსტრიის განვითარების საკითხში, ჯერ შესაწავლილი არ არის. იმის მიუხედავად, რომ 2012 წლიდან მსჯავრდებულთა რაოდენობამ საგრძნობლად იკლო და 100,000 სულ მოსახლეზე 580 მსჯავრდებულიდან 260 მსჯავრდებულზე დავიდა. ეს რაოდენობა მაინც საგრძნობლად დიდია დასავლეთ ევროპულ მაჩვენებელზე. ნილს კრისტი აშშ-ის, რუსეთის, სკანდინავიისა და ბალტიის ქვეყნების მაგალითზე განიხილავს მსჯავრდებულთა შემცირების/ზრდის საკითხს. აღნიშნული ფრიად საყურადღებო უნდა იყოს ქართველი მკითხველისთვის, სწორედ მომავალში მსჯავრდებულთა შემცირების/ზრდის საკითხის მოგვარებისა და დარეგულირების თვალსაზრისით.

როგორც აღინიშნა, მოცემული წიგნი სცილდება ერთი კონკრეტული სამეცნიერო კვლევის სფეროს (კრიმინოლოგია, პენოლოგია) და იგი უფრო სისხლის სამართლის პოლიტიკით დაინტერესებული მკითხველისთვის უნდა იყოს საინტერესო.

დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ ქართულ-ნორვეგიულ კანონის უზენაესობის ასოციაციის თავმჯდომარეს ბატონ გიორგი გიორგაძეს ნილს კრისტის ნაშრომების ქართულ ენაზე თარგნის შესაძლებლობისათვის.

მორის შალიკაშვილი

*თსუ, იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი*

*კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელი*

# მესამე გამოცემის წინასიტყვაობა

წარმოდგენილი ნაშრომი მრავალგზის გადაიხედა.[1] აღნიშნულ წინასიტყვაობაში მოყვანილი ციფრები ამტკიცებს, თუ რატომ მოხდა ასე. ცხრილი ამერიკის შეერთებულ შტატებში 1945 წლიდან 1999 წლის ჩათვლით ყოველ 100.000 მოსახლეზე პატიმრების რაოდენობას გვიჩვენებს. გრძელი სქელი ხაზი გამოხატავს შტატებსა და ფედერალურ ინსტიტუტებში არსებულ მაჩვენებელს. წერტილოვანი ნაწილი კი იმ ადგილებს გამოხატავს, სადაც ციხეებიც არის ჩათვლილი.

შტატებსა და ფედერალურ ინსტიტუტებში არსებული პატიმრების რაოდენობა ყოველ 100,000 მოსახლეზე ამერიკის შეერთებულ შტატებში 1945 წლიდან 1999 წლის ჩათვლით და 1985–1999 წლებში არსებული დაპატიმრებების სრული მაჩვენებელი.

---

[1] მადლობას ვუხდით რაგნჰილდ ჰენუმს (Ragnhild Hennum) მთელ ამ პროცესში შეუფასებელი წვლილის შეტანისთვის. მადლობა ანნე ტერნერს (Anne Turner) ინგლისურთან სირთულეებთან დაკავშირებით დახმარებისთვის. მადლობა მარიტ ჰატლესკოგსა (Marit Hatleskog) და რიგმორ ბერგეტს (Rigmor Berget) დარედაქტირების პროცესში დახმარებისთვის. და მადლობა ჰედდას (Hedda) ყველაფრისთვის.




ცხრილში მოცემულია სამი ისარი, რომლებიც აღნიშნული წიგნის დაწერისა და თავიდან გადაწერის წლებს მიუთითებენ:

1991 წელი – პირველად დაწერის დრო – ამერიკის შეერთებული შტატების მთლიანმა მაჩვენებელმა პანიკურ ზღვარს მიაღწია და 1,219,014 პატიმარი შეადგინა, ან 482 პატიმარი 100,000 მოსახლის მიხედვით.

1993 წელი – მეორე გამოცემაზე მუშაობის დრო – მაჩვენებელი იყო 1369,185 ან 537 პატიმარი 100,000 მოსახლეზე. კითხვის ნიშანი დაერთო ამ წიგნის პირველი გამოცემის ქვესათაურს: „გულაგების მიმართ, დასავლური მიდგომა?", მეორე გამოცემაში მე კითხვის ნიშანი წავშალე.

1999 წლის ბოლოს ამერიკის შეერთებულ შტატებში მოიძებნებოდა 1,934,532 პატიმარი, რაც ნიშნავს 709 პატიმარს 100,000 მოსახლეზე. 2000 წლის თებერვალი – როდესაც წინამდებარე მესამე გამოცემაზე მიდიოდა მუშაობა – ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული პატიმრების რაოდენობა ორ მილიონიან ნიშნულს[2] აღწევს.

2 Los Angeles Times Service, 2000 წლის 16 თებერვალი – დაფუძნებული იუსტიციის პოლიტიკის ინსტიტუტის (Justice Policy Institute) მონაცემებზე, ვაშინგტონი.

რუსეთის განვითარებაც მსგავსია, როგორც ეს მე-3 და მე-6 თავებში არის დოკუმენტირებული. რაც იყო საგანგაშო 1991 წელს, საუკუნის ბოლოსთვის გადაიზარდა კატასტროფაში.

ამ და სხვა განვითარებისთვის თვალის დევნების მიზმით, მე გადავაკეთე და თავიდან დავწერე ამ წიგნის მნიშვნელოვანი ნაწილი. დაემატა ორი სრულიად ახალი თავი, ერთი „სასჯელის გეოგრაფიაზე“, მეორე – „რუსული საქმე“. მე-4, მე-5, მე-7, მე-8 და მე-9 თავებში მნიშვნელოვანი ცვლილებებია შეტანილი. ძველი მე-10 თავი იყო მოხსნილი, მაშინ როდესაც დარჩენილი თავები უცვლელად დავტოვე. არ გამიზრდია ფორმატის ზომა. ისლანდიურ საგებში ისინი წერდნენ ისე, როგორც ლაპარაკობდნენ და ჩერდებოდნენ მანამ, სანამ მათ (წარმოსახვით) მსმენელებს ჩაეძინებოდათ. ეს არის ღირებული ტრადიცია.

ნ. კ.

*ოსლო, 2000 წლის თებერვალი*

# სარჩევი


მესამე გამოცემის წინასიტყვაობა 11

თავი 1. **ეფექტურობა და კეთილსინდისიერება** **17**

თავი 2. **ღმერთის თვალი** **24**

2.1 სრულ სიმარტოვეში 24

2.2 უცნობი 25

2.3 სადაც არ არსებობს დანაშაული 27

2.4 დანაშაულის შეუზღუდავი მიწოდება 29

თავი 3. **სასჯელაღსრულების გეოგრაფია** **31**

3.1 ტკივილის რუკა 31

3.2 ევროპა – დასავლეთი 33

3.3 ევროპა – ცენტრალური და აღმოსავლური 35

3.4 ამერიკა – ჩრდილოეთი 39

3.5 ამერიკა – ცენტრალური და სამხრეთი 47

3.6 სტერეოტიპების მნიშვნელობა 49

თავი 4. **რატომ არის ასე ცოტა პატიმარი?** **52**

4.1 შეხვედრები მთაში 52

4.2 ტკივილის მოლოდინში 56

4.3 ძველი კარგი დღეები – ისინი იყო საშინელება 59

4.4 პოლიტიკური იდენტობა 63

4.5 ბალტიის ტესტი 71

4.6 ტოლერანტობა ზემოდან 72
4.7 ზღვარზე მყოფი განვითარებული ქვეყნები 77
4.8 გაგრძელდება ასე? 80

თავი 5. **რატომ არის ასე ბევრი პატიმარი?** **86**
5.1 ჭარბი მოსახლეობა 86
5.2 აქციები ცხოვრებაში 90
5.3 ნარკოტიკული საშუალებების კონტროლი, როგორც ფენების კონტროლის მექანიზმი 92
5.4 ევროპის ციხესიმაგრე, დასავლეთის დივიზია 100

თავი 6. **რუსული საქმე** **105**
6.1 ის, ვინც შინ ბრუნდება 105
6.2 ციხეები შრომისთვის 107
6.3 შორს შენახული 109
6.4 ტუბერკულოზი 111
6.5 შემხვედრი ძალები 114
6.6 მოსალოდნელი საფრთხეები 116

თავი 7. **ამერიკის შეერთებული შტატები — მოდის ფუძემდებელი** **122**
7.1 რადგან ვინც უყვარს, იმას წვრთნის უფალი 122
7.2 უდიდესი პატიმრობა 123
7.3 შავი ფიგურები 127
7.4 შტატიდან შტატში 132
7.5 ციხეების მდგომარეობა 135
7.6 დანაშაულის ახსნა 141
7.7 მუხრუჭების არარსებობა 146

თავი 8. **დანაშაულის კონტროლი, როგორც პროდუქტი** **150**
8.1 თვითპრეზენტაცია 151
8.2 კერძო ბიძგი 158
8.3 ტექნოლოგიური ბიძგი 168
8.4 ციხეები, როგორც წარმოების ერთეულები 183
8.5 სოფლის განვითარების სტიმული 187
8.6 ციხეები ეროვნულ ეკონომიკაში 189

ᲗᲐᲕᲘ 9. **ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲣᲠᲘ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ** **196**
9.1 გასაყიდი ტკივილის მიწოდება 196
9.2 ინსპექტირება/მონიტორინგი 202

ᲗᲐᲕᲘ 10. **ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔᲝᲑᲐ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲔᲑᲨᲘ** **207**
10.1 4,926 განმცხადებელი 207
10.2 დაბრკოლებები 210
10.3 სახელმძღვანელო პრინციპები ტკივილის შესახებ გადაწყვეტილებებისთვის 213
10.4 გაკეთილშობილებული სამართლიანობა 215
10.5 კანონდამრღვევთან თანამშრომლობა 220
10.6 დეპერსონალიზაცია 223

ᲗᲐᲕᲘ 11. **ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲗᲣ ᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ?** **227**
11.1 სოფლის სამართალი 228
11.2 წარმომადგენლობითი სამართალი 230
11.3 დამოუკიდებელი სამართალი 234
11.4 ჩუმი რევოლუცია 236
11.5 გამომწვევი ქცევა 241

ᲗᲐᲕᲘ 12. **ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲥᲪᲔᲕᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘ** **244**
12.1 თანამედროვეობის ბავშვები 244
12.2 ეშმაკის ტანისამოსი 251
12.3 ზრდის ლიმიტები 255
12.4 ინდუსტრიული მკვლელობა 257
12.5 სამედიცინო მკვლელობები 260
12.6 სამართლებრივი მკვლელობა 262

ᲗᲐᲕᲘ 13. **ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ** **265**
13.1 საერთო ბირთვი 265
13.2 სად არის სამართლის ადგილი? 272
13.3 ტკივილის შესაფერისი რაოდენობა 276

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ 281

თავი 1

# ეფექტურობა და კეთილსინდისიერება

წინამდებარე ნაშრომი დანაშაულის კონტროლის სფეროში განვითარებული მდგომარეობის წინააღმდეგ გაფრთხილებას წარმოადგენს. თემა მარტივია. დასავლური ტიპის საზოგადოებების წინაშე დგას ორი უმთავრესი პრობლემა: სიმდიდრე ყველგან არათანაბრად არის გადანაწილებული, ისევე, როგორც ანაზღაურებად სამუშაოზე ხელმისაწვდომობა. ორივე პრობლემა არეულობის შესაძლებლობასა და პოტენციალს შეიცავს. დანაშაულის კონტროლის ინდუსტრია გამოსადეგია ორივე პრობლემის დასაძლევად. ხსენებული ინდუსტრია უზრუნველყოფს შემოსავალსა და სამუშაოს და ამავე დროს აკონტროლებს მათ, ვისაც სხვაგვარად შეეძლოთ სოციალური პროცესებისთვის ხელის შეშლა.

სხვა ინდუსტრიებთან შედარებით, დანაშაულის კონტროლის ინდუსტრია ყველაზე პრივილეგირებულ მდგომარეობაში იმყოფება. არ არსებობს დასამუშავებული მასალის ნაკლებობის პრობლემა; თითქოს განუწყვეტლივ ხდება დანაშაულის მიწოდება; დაუსრულებელია ასევე მომსახურების მოთხოვნაც, ისევე როგორც გადახდის მზაობა იმისთვის, რაც, როგორც უსაფრთხოება, ისე აღიქმება. და ისეთი ჩვეულებრივი სამრეწველო პრობლემა, როგორიც არის დაბინძურება, დღის წესრიგში არ დგას. პირიქით, ეს არის ინდუსტრია, რომელიც

ასუფთავებს, და სოციალური სისტემიდან არასასურველ ელემენტებს აშორებს.

მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში ნებისმიერ ინდუსტრიაში და ინდუსტრიისთვის მომუშავე პირები იტყვიან, რომ ახლა, მხოლოდ ახლა, მოცულობა საკმარისია. ახლა ვართ ჩვენ საკმარისად დიდები, კარგად დამკვიდრებულები და ჩვენ აღარ გვსურს ნებისმიერი შემდგომი განვითარება. გაფართოების მოთხოვნა ინდუსტრიულ ცნობიერებაში ერთადერთი იმ მიზეზით დევს, რომ კონკურენტებს მათ შთანთქმაში შეეშალოთ ხელი. დანაშაულის კონტროლის ინდუსტრიაც არ არის გამონაკლისი. თუმცა, ეს არის კონკრეტული უპირატესობების მქონე ინდუსტრია, რომელიც უზრუნველყოფს იარაღს იმისთვის, რაც ხშირად აღიქმება, როგორც მუდმივი ბრძოლა დანაშაულის წინააღმდეგ. დანაშაულის კონტროლის ინდუსტრია გავს კურდღლებს ავტრალიაში ან ველურ სინდიოფალებს ნორვეგიაში, რომლებსაც ასე ცოტა მტერი ჰყავთ ბუნებაში.

რწმენა იმისა, რომ ომში ხარ ჩაბმული განვითარების ერთ უმნიშვნელოვანეს მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს, ხოლო მეორეა – ფიქრის ინდუსტრიულ წესთან ზოგადი ადაპტაცია, ორგანიზებულობა და შესაბამისი ქცევა. სამართლის ინსტიტუტი ცვლილების პროცესშია. მოძველებულ სიმბოლოს წარმოადგენდა მართლმსაჯულების და სამართლიანობის ქალღმერთი, თვალებაკრული ქალბატონი, სასწორით ხელში. მის ამოცანას დაპირისპირებულ ღირებულებებს შორის ბალანსის მოძებნა წარმოადგენდა. აღნიშნულ როლს უკვე საფრთხე ემუქრება. სამართლის ინსტიტუტის შიგნით ჩუმი რევოლუცია არის დაწყებული. რევოლუცია, რომელიც კონტროლის ინდუსტრიას განვითარებისთვის გაზრდილი შესაძლებლობებით ამარაგებს.

ხსენებული განვითარების შედეგად, სახეზეა ვითარება, როდესაც პატიმართა რაოდენობის მკვეთრ ზრდას უნდა ველოდოთ. თუმცა არ კონტრ-ძალების ქმედებებიც აყოვნებს. როგორც ეს უახლოეს მომა-

ვალში იქნება დოკუმენტირებული, სხვა მხრივ მსგავს ქვეყნებს შორის უზარმაზარი შეუსაბამობები არსებობს ციხეში განთავსებულ პატიმრებთან დაკავშირებულ ციფრებთან და სტატისტიკასტან მიმართებაში. ჩვენ ასევე ვხვდებით ერთსა და იმავე ქვეყნებში დროთა განმავლობაში არსებულ „აუხსნელ“ ვარიაციებს. ციხეებთან დაკავშირებული ციფრები შესაძლოა შემცირდეს მაშინ, როდესაც ისინი, დანაშაულის სტატისტიკის მიხედვით, ეკონომიკური და მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით, უნდა გაზრდილიყვნენ და ისინი შესაძლოა გაიზარდონ მაშინ, როდესაც ისინი მსგავსი მიზეზების გამო, უნდა შემცირებულიყვნენ. მსგავსი „არარეგულარული“ მოძრაობის უკან ჩვენ ვხვდებით იდეებს, რომლებიც სხვების მიმართ განხორციელებული ქმედებების მხრივ აღიქმება, როგორც სწორი და სამართლიანი. იდეები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან „რაციონალურ“ ეკონომიკურ-ინდუსტრიულ გამოსავლებს. წარმოდგენილი ნაშრომის პირველი თავები ასახავს აღნიშნული კონტრ-ძალების ეფექტებს.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ჩემი გაკვეთილი არის შემდეგი: დღესდღეობით შექმნილ ვითარებაში, როდესაც ასე ადვილია განვითარება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გაანალიზება, რომ ციხეში განთავსებული პატიმრების რაოდენობა ნორმატიულ საკითხს წარმოადგენს. ჩვენ ვართ თავისუფლები, ისევე, როგორც ვალდებულნი, რომ გავაკეთოთ არჩევანი. ციხის ინდუსტიის ზრდის შეზღუდვები უნდა იყოს ტექნოგენური. ჩვენ ვიმყოფებით ისეთ სიტუაციაში, როდესაც აუცილებელია და სასწრაფოც, რომ ვაწარმოოთ სერიოზული დისკუსია იმაზე, თუ რა დონეზე უნდა იყოს შესაძლებელი ფორმალური კონტროლის სისტემის ზრდა-განვითარება. შეხედულებებმა, ღირებულებებმა, ეთიკამ – და არა სამრეწველო მოძრაობამ – უნდა განსაზღვროს კონტროლის ლიმიტი და საკითხი იმის შესახებ, თუ როდის არის საკმარისი მართლაც საკმარისი. ციხეში განთავსებული პატიმრების რაოდენობა არის გადაწყვეტილების შედეგი. ჩვენ ვართ თავისუფლები, ავირჩიოთ.

როდესაც ჩვენ არ ვართ გათვითცნობიერებულები აღნიშნული თავისუფლების შესახებ, სწორედ მაშინ იწყებს ბატონობას ეკონომიკურ/მატერიალური მდგომარეობა. დანაშაულის კონტროლი არის ინდუსტრია, თუმცა ინდუსტრიები უნდა იყვნენ დაბალანსებული. წარმოდგენილი ნაშრომი ასახავს ციხის ინდუსტრიაში განვითარებულ მოძრაობას, ისევე როგორც მორალის მხრივ კონტრ-ძალების მოქმედებას.

ზემოხსენებულიდან არაფერი მიუთითებს იმის შესახებ, რომ სიცოცხლის, სხეულის და საკუთრების დაცვა თანამედროვე საზოგადოებას არ აღელვებს. პირიქით, ფართომასშტაბიან საზოგადოებაში ცხოვრება ზოგჯერ ნიშნავს ცხოვრებას ისეთ პირობებში, როდესაც კანონის და წესრიგის წარმომადგენლები უსაფრთხოების უმნიშვნელოვანეს გარანტად განიხილებიან. ამ პრობლემის არასერიოზულად მიღება ცუდ მიზანს ემსახურება. თანამედროვეობის ყველა საზოგადოებას მოეთხოვება რაღაც მოიმოქმედოს იმის წინააღმდეგ, რაც ზოგადად აღიქმება, როგორც კრიმინალთან დაკავშირებული პრობლემები. სახელმწიფომ უნდა აკონტროლოს აღნიშნული პრობლემები; მათ უნდა გამოიყენონ ფული, ადამიანური, მატერიალური რესურსები და შენობები. ქვემოთ აღნიშნული არ იქნება მოწოდება იმის შესახებ, რომ დავბრუნდეთ სოციალური ცხოვრების იმ სტადიაზე, როდესაც არ არსებობდა ფორმალური კონტროლი. ეს იქნება თხოვნა და მოწოდება, შეზღუდვების შესახებ დისკუსიის წარმოებისა.

აღნიშნული განვითარებების შესახებ ჩემი გაფრთხილების უკან ჩვენი უახლოესი წარსულის ჩრდილი იმალება. საკონცენტრაციო ბანაკებისა დ გულაგების შესახებ კვლევამ მნიშვნელოვანი ახალი ინფორმაცია და ცნობები მოგვიპოვა. ძველი კითხვები იყო არასწორად ფორმულირებული. პრობლემას არ წარმოადგენს ის, თუ როგორ მოხდა ყოველივე, პრობლემაა ის, თუ რატომ არ ხდება ხსენებული

უფრო ხშირად? და როდის, სად და როგორ მოხდება ის მომავალში?[3] ამ კუთხით ზიგმუნტ ბაუმანის (Zygmunt Bauman) ნაშრომი „თანამედროვეობა და ჰოლოკოსტი“ (1989) (Modernity and the Holocaust) უმნიშვნელოვანეს სახელმძღვანელოს წარმოადგენს.

დანაშაულის კონტროლის თანამედროვე სისტემები შეიცავს პოტენციალს, რომ დასავლური ტიპის გულაგებში გადაიზარდონ. კარგად დამკვიდრებული ისტორიული პრეცედენტების შესაბამისად, ცივი ომის დასრულების შემდგომ, როდესაც დიდი ეკონომიკური ვარდნის პერიოდი დადგა და როდესაც უმნიშვნელოვანეს ინდუსტრიულ სახელმწიფოებს არ ყავდათ ისეთი საგარეო მტერი, რომლის წინააღმდეგაც გაილაშქრებდნენ, თითქოს არც არის გასაკვირი, რომ საშინაო მტრის წინააღმდეგ ბრძოლა პრიორიტეტული საკითხი გამხდარიყო. გულაგების დასავლური ტიპი არ შეწყვეტს არსებობას, თუმცა მათ აქვთ შესაძლებლობა, ჩვეულებრივი სოციალური ცხოვრებიდან პოტენციური პრობლემის შემქმნელებისა და თავზეხელაღებულების ძირითადი სეგმენტი მოაშორონ. მათ აქვთ პოტენციალი, გარდაქმნან ის, რაც სხვაგვარად ამ ადამიანების ყველაზე აქტიური ცხოვრების პერიოდი შეიძლებოდა ყოფილიყო, ისეთ არსებობად, რომლის შესახებაც გერმანელებს აქვთ გამოთქმა ცხოვრებაზე, რომელიც არ ღირს. „...თანამედროვე მსოფლიოში არ არსებობს ისეთი ქვეყანა-სახელმწიფო, რომელიც სრულიად იქნება დაცული ტოტალიტარიზმის ობიექტად ქცევის პოტენციალისგან“, თქვა ენტონი გიდენსმა (Anthony Giddens) (1984, გვ. 309). მე დავამატებდი: თანამედროვე საზოგადო-

[3] სამართლიანად შეიძლება აღინიშნოს: მთავარი არ არის, როდის და სად მოხდება ჰოლოკოსტი მომავალში. ის უკვე ხდება. დასავლური ინდუსტრიული და ფინანსური პოლიტიკის შედეგად ყოველდღიურად ნადგურდებიან მესამე მსოფლიოს ქვეყნები. თუმცა, მე წარმოდგენილ ნაშრომში ყურადრებას გავამახვილებ ინდუსტრიულ ქვეყნებში განვითარებულ მოვლენებზე. დანაშაულის კონტროლი დასავლეთში მიკროკოსმოსს წარმოადგენს. თუ ჩვენ გავარკვევთ, რა ხდება მსგავსი ქვეყნების შიგნით, შესაძლოა გაგვიადვილდეს მესამე მსოფლიოს ქვეყნების ფენომენის გაგებაც.

ებაში დანაშაულიდან მომავალ უმთავრეს საფრთხეს არ წარმოადგენენ დანაშაულები, არამედ — ის, რომ მათთან ბრძოლას შესაძლოა საზოგადოების ტოტალიტარიზმში გადაზრდა მოყვეს.

ის, რასაც აქ წარმოვადგენ, არის ღრმად პესიმისტური ანალიზი, თუმცა იმისგან მკვეთრად განსხვავებული, რაც, უმეტეს შემთხვევებში, ჩემი ცხოვრების წესად მიმაჩნია. ეს ასევე არის ანალიზი იმ საკითხებისა, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ამერიკის შეერთებული შტატებისთვის, ქვეყნისთვის, რომელიც უამრავი მიზეზისდა გამო ჩემთან ახლოსაა. ჩემი ანალიზის ნაწილები მე გადავეცი ამერიკელ კოლეგებს აშშ-ს შიგნით და გარეთ ორგანიზებულ სემინარებსა და ლექციებზე და ვიცი, რომ ისინი ამით არ დარჩნენ კმაყოფილნი. არ არის აუცილებელი, რომ მათ საწინააღმდეგო აზრი გამოეთქვათ, პირიქით, თუმცა ისინი დარჩნენ უკმაყოფილოები იმ ფაქტით, რომ წარმოადგენდნენ ქვეყნას, რომელსაც აქვს გარკვეული პოტენციალი ისეთი განვითარებებისთვის, რომლებსაც მე ზემოთ გავუსვი ხაზი. ასეთ მდგომარეობაში არაკომფორტულია, დარწმუნებით ვივარაუდოთ, რომ შესაძლებლობები იმისა, ევროპამ კიდევ ერთხელ მიბაძოს დასავლეთში „დიდი ძმის“ მიერ ჩამოყალიბებულ მაგალითს, საკმაოდ დიდია.

თუმცა გაფრთხილებაც ხომ ოპტიმიზმის ერთგვარი ფორმაა. გაფრთხილება მოიცავს რწმენას იმისა, რომ სასიკეთო ცვლილებები შესაძლოა მოხდეს.

წიგნი ეძღვნება ივან ილიჩს (Ivan Illich). მისი ნააზრევი  უამრავ აქ ფორმულირებულ საკითხში იკითხება. ის ასევე ჩემთვის პირადად ძალიან ბევრს ნიშნავს. ილიჩი არ წერს დანაშაულის კონტროლზე, როგორც ასეთზე, თუმცა მას იმის საწყისები აქვს ნანახი, რაც მოცემულ მომენტში ხდება: იარაღი, რომელიც ქმნის დამოკიდებულებას; ცოდნა, დამწყვდეული ექსპერტების მიერ; ჩვეულებრივი ადამიანების მოწყვლადობა, როდესაც მათ აჯერებენ, რომ მათ პრობლემებზე პასუხი და გამოსავალი სხვების ხელში და თავშია. ის, რაც ხდება

დანაშაულის ინდუსტრიული კონტროლის შიგნით, არის უკიდურესი მანიფესტაცია იმ განვითარებებისა, რომელთა შესახებაც ივან ილიჩი გამუდმებით გვაფრთხილებდა. იმის მიუხედავად, რომ წიგნში პირდაპირ არ არის გამოყენებული მისი უმნიშვნელოვანესი ნაშრომები, ისინი მაინც დავამატე ლიტერატურის ჩამონათვალში, რადგან აღნიშნული წიგნი მოიცავს მათ.

საბოლოო შენიშვნები ჩემი მიზნების, წერის მანერის და ფორმის შესახებ:

რაც შემდგომ იქნება მოცემული, წარმოადგენს მცდელობას, შეიქმნას თანმიმდევრული გაგება, დაფუძნებული მოვლენების ფართო სპექტრზე, რომლებიც განიხილება ცალ-ცალკე. გარკვეული თავები შესაძლოა უკვე წარმოდგენილია ცალკე წიგნებად, თუმცა ჩემი ინტერესი იყო,  ისინი ერთობლივად წარმომედგინა და შესაბამისად, მათი ურთიერთდამოკიდებულების შესახებ დამეწყო მსჯელობა. ჩემი მხრიდან ზედმეტი ინტერპრეტაციების თავსმოხვევის გარეშე, ვეცდები, რომ მკითხველს დავეხმარო, თავად მონახოს ეს ურთიერთდამოკიდებულებები. წინამდებარე მასალას შესაძლოა  სულ სხვაგვარი განმარტება მიეცეს, ვიდრე ეს მე მაქვს წარმოდგენილი. ეს იქნება ნორმალური. მე არ მაქვს სურვილი, შევქმნა დახურული სივრცე, არამედ, მინდა, აზრის დაუსრულებელ ძიებაში ახალი პერსპექტივები შეიქმნას.

შემდგომ წერის მანერასა და ფორმის შესახებ: სოციოლოგიური ჟარგონი ხშირად სავსეა გალათინურებული კონცეფციებითა და წინადადების რთული წყობით. თითქოს, ჩვეულებრივი სიტყვების გამოყენებით წარმოდგენილი არგუმენტებისა და დასაბუთებებისადმი ნდობა განელდება. მე მძულს ეს ტრადიცია. ვიყენებ ძალიან მცირე დოზით ტექნიკურ ტერმინებსა და რთულ, ჩახლართულ წინადადებებს. ვწერ ისე, როგორც მომესურვება, ჩვეულებრივი ადამიანური ენით.

ᲗᲐᲕᲘ 2
# ᲦᲛᲔᲠᲗᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲘ

## 2.1 ᲡᲠᲣᲚ ᲡᲘᲛᲐᲠᲢᲝᲕᲔᲨᲘ

კვირა დილაა. ოსლო ისე გამოიყურება, თითქოს უდაბნოა. როდესაც მივედი, უნივერსიტეტის ჭიშკარი დაკეტილი დამხდვა, ისევე, როგორც ინსტიტუტის შესასვლელი კარი და კარი, რომელიც ჩემს ოფისში შედის. მე ვრწმუნდები, რომ ერთადერთი ცოცხალი ორგანიზმი ვარ მთელს კომპლექსში. არავის შეუძლია ჩემი დანახვა. თავისუფალი ვარ ყოველგვარი კონტროლისგან.

ისტორიულად, ეს გამონაკლის შემთხვევას წარმოადგენს. როდესაც ჩემს გარდა არავინ მხედავს. ეს არ იყო ბებიაჩემის ან თუნდაც დედაჩემის ცხოვრება. და რაც უფრო ღრმად მივდივარ უკან წინაპრებში, მით უფრო ვრწმუნდები ამაში; ისინი არასდროს ყოფილან მარტონი, ისინი ყოველთვის იმყოფებოდნენ მეთვალყურეობის ქვეშ. როგორც მინიმუმ: ღმერთი იყო იქ. ის შესაძლოა ყოფილიყო გამგები ღმერთი, სრული სურათის გათვალისწინებით, ზოგიერთი ანომალიის მიმღებიც. ან ის იყო მიმტევებელი. თუმცა ის ყოველთვის იყო იქვე.

ასევე იყვნენ ჩვეულებრივი რიგითი ადამიანებიც.

მეთერთმეტე საუკუნის მიწურულს საფრანგეთში ინკვიზიცია ძალზე აქტუალური მოვლენა იყო. ვატიკანში დღემდეა შემონახული და-

კითხვების ზოგიერთი დაუჯერებლად დეტალური ოქმები. ლადური (Ladurie) (1978 წელი) იყენებდა მათ რათა აღედგინა, თუ როგორი იყო ცხოვრება მონტალუს (Montaillou) მთიან სოფელში 1294 წლიდან 1324 წლის ჩათვლით. ის აღწერს სუნს, ხმებს და გამჭვირვალობას. საცხოვრებელი ადგილები არ იყვნენ პირადი ცხოვრებისთვის. ისინი არ აშენებულან ამისთვის ნაწილობრივ მატერიალური მდგომარეობიდან გამომდინარე, ასევე იმის გამოც, რომ პირადი ცხოვრება ისეთი მნიშვნელოვანი არ იყო. თუკი ყოვლისშემძლე ყველაფერს ხედავდა, რაღა საჭირო იყო მეზობლებისგან რამის დამალვა? ეს იყო უძველესი ტრადიცია. თვით ტერმინი „პირადი“ “Private” საფუძველს იღებს ლათინური სიტყვიდან – *Privare* – რაც დაკავშირებულია რაიმეს დაკარგვასთან ან გაძარცვასთან და ჩამორთმევასთან, დაკავებასთან. მე აქ დამაკავეს კვირა დილას, სრულიად მარტო ჩეკეტილი ჭიშკრის და უნივერსიტეტის კარს მიღმა.

## 2.2 უცნობი

ეს იყო 1903 წელს ბერლინში, როდესაც გეორგ ზიმელმა (Georg Simmel) გამოაქვეყნა თავისი ცნობილი ესსე სახელწოდებით – „Exkurs über den Fremden“. ზიმელისთვის უცნობი არ წარმოადგენს ადამიანს, ვინც ჩნდება დღეს და ქრება ხვალ. უცნობი მისთვის არის ადამიანი, რომელიც ჩნდება დღეს და რჩება ხვალაც და შესაძლოა სამუდამოდაც, თუმცა მთელი დროის განმავლობაში წასვლის პოტენციალითა და პერსპექტივით. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის არსად არ მიდის, მას ბოლომდე მაინც არ მიუტოვებია წასვლის შესაძლებლობის თავისუფლება. ეს მან კარგად იცის. ისევე როგორც ეს იციან მისმა გარშემომყოფებმა. ის არის მონაწილე, წევრი, თუმცა შედარებით ნაკლებად, ვიდრე სხვა ადამიანები. გარშემომყოფებს მასზე სრული ძალაუფლება არ გააჩნიათ.

გეორგ ზიმელს მოეწონებოდა სქემა 2.2–1.

ზევით მიმავალი უწყვეტი ხაზი გამოხატავს ნორვეგიაში 1956 წლიდან 1997 წლის ჩათვლით ყოველ 1000 მოსახლეზე პოლიციის მიერ ყველა გამოძიებული სისხლისსამართლებრივი საქმის რაოდენობას. ეს, როგორც წესი, ასეა უმეტეს ინდუსტრიულ საზოგადოებაში. აბსოლუტურ ციფრებში ეს ზრდაში გამოიხატება 26,140–დან 272,651 შემთხვევამდე. სქემაზე არსებული მეორე წყვეტილი ხაზი — ქვემოთმოცემული დანაშაულების რაოდენობის სიმცირის გამო ითვლება ყოველ 100,000 მოსახლეზე 1,000 მოსახლის მაგივრად — ღირსების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს აჩვენებს და ასევე ცილისწამების საქმეებს, რომლებიც ჩემს ქვეყანაში კვლავ დანაშაულებრივ ქმედებებად აღიქმებიან. როგორც ეს დაკვირვებიდან ჩანს, ტენდენცია აქ საპირისპირო მიმართულებით ვითარდება. უკანასკნელი 35 წლის განმავლობაში ადამიანების ღირსების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირდა: 1,103–დან 745 შემთხვევამდე.

ჩემი ინტერპრეტაცია ტრივიალურია. ადამიანების ღირსების პატივისცემას რაც შეეხება, ხალხი არ არის უფრო კეთილი ან მეტად მზრუნველი ერთმანეთის მიმართ. ზოგადი ახსნაა უბრალოდ ის, რომ აღარ არის ბევრი დასაკარგი. ღირსება აღარ არის იმდენად მნიშვნელოვანი, რომ ღირსების შელახვის შემთხვევაში ადამიანმა პოლიციას მიმართოს. თანამედროვე საზოგადოება განზრახ თუ არაგანზრახ უამრავჯერ შეთანხმდა, რომ სხვა ადამიანი უკვე აღარ ნიშნავს იმდენს, რამდენსაც ის ერთ დროს ნიშნავდა. ჩვენი ბედია, ვიყოთ მარტოხელები, პირად სივრცეში ან გარემოცულნი ისეთი ადამიანებით, რომელთა შესახებაც ძალიან ცოტა რამ ვიცით, საერთოდ თუ ვიცით რამე. ან ჩვენ ვართ გარემოცულენი ისეთი ადამიანებით, რომელთა მიტოვებასაც მარტივად შევძლებთ, ან თვითონ მიგვატოვებდა ზემოხსენებული უცნობის სიტუაციიდან გამომდინარე. ასეთ მდგომარეობაში, ღირსების შელახვა და დაკარგვა აღარ არის ისეთი

მნიშვნელოვანი. არავის ეცოდინება ჩვენს შესახებ ჩვენი ცხოვრების ახალ გაჩერებაზე. თუმცა სწორედ ამ ნიშნით, ჩვენი გარემოცვაც ასევე კარგავს ჩვენზე გარკვეულ კონტროლს და ყოველი რეგისტრირებული დანაშაულის ხაზი დამატებით ზემოთ იწევს.

**სქემა 2.2-1. ყველა სახის დარეგისტრირებული დანაშაული, გამოძიებული ყოველ 1,000 მოსახლეზე და ცილისწამება, გამოძიებული ყოველ 100,000 მოსახლეზე. ნორვეგია 1956-1997**




## 2.3 სადაც არ არსებობს დანაშაული

დანაშაულის აღქმისთვის ერთ-ერთ გზას მისი გარკვეულწილად უმთავრეს ფენომენად მიჩნევა წარმოადგენს. გარკვეული ქმედებები კი არსებითად დანაშაულს წარმოადგენენ. უკიდურესი შემთხვევაა ბუნებითი დანაშაულები, ანუ ისეთი ქმედებები, რომლებიც თავის თავს ფაქტობრივად განმარტავენ, როგორც დანაშაულებს ან, მინიმუმ, ყველა გონიერი ადამიანის მიერ მიჩნეულები არიან დანაშა-

ულებად. თუ დანაშაულად არ მიიჩნევენ ასეთ ქმედებებს, ე.ი. ადამიანებთან არ გვაქვს საქმე. ეს შეხედულება ალბათ ახლოსაა იმასთან, რასაც უმეტესი ადამიანი სერიოზულ დანაშაულებთან მიმართებაში ინტუიციურად გრძნობს, ფიქრობს და ამბობს. მოსე ჩამოვიდა ქვემოთ წესებით და კანონებით, კანტი კი ბუნებით დანაშაულებს, როგორც მისი სამართლებრივი აზროვნების საფუძველს, ისე იყენებდა.

მაგრამ ისეთი სისტემები, სადაც ასეთი შეხედულებები ჭარბობს, კრიმინალიზაციის ტენდენციასთან მიმართებით ასევე გარკვეულ შეზღუდვებს აწესებენ.

ძირითადი მექანიზმი მარტივია. იფიქრეთ ბავშვებზე. ჩვენს საკუთარ ბავშვებზე და სხვების ბავშვებზეც. ბავშვების უმეტესობის ქმედებები სამართლებრივად შესაძლოა დანაშაულად შეფასდეს. შესაძლოა, ფული გაქრეს საფულიდან. ბიჭი არ ამბობს სიმართლეს, ყოველ შემთხვევაში, სრულ სიმართლეს იმის შესახებ, თუ სად გაატარა მან საღამო. ის სცემს თავის ძმას. თუმცა, ამის მიუხედავად, ჩვენ მაინც არ ვავრცელებთ მათზე სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და კანონმდებლობას. ჩვენ არ ვეძახით ბავშვს დამნაშავეს და ჩვენ არ ვუწოდებთ მათ ქმედებებს დანაშაულს.

რატომ?

იმიტომ რომ ეს უბრალოდ არ არის სწორი.

რატომ არ არის სწორი?

იმიტომ, რომ ჩვენ ვიცით ძალიან ბევრი. ჩვენ ვიცით კონტექსტი, რომ შვილს უკიდურესად ესაჭიროებოდა ფული, მას ერთი ნახვით შეუყვარდა, მისი ძმა მასხრად იგდებდა მას იმაზე მეტად, ვიდრე ეს ვინმეს შეეძლო – მისი ქმედებები იყო აზრიანი, არაფერი არ დაემატებოდა თუ განვიხილავდით მათ სისხლისსამართლებრივი პერსპექტივიდან. და თავად ვაჟიშვილი; ჩვენ მას ისე კარგად ვიცნობთ ათასობით შეხვედრიდან. ასეთი ცოდნის ტოტალურობისას სამართლებრივი კატეგორია ისეთი ვიწროა. მან აიღო ის ფული, თუმცა ჩვენ გვახსოვს უამრავი ისეთი შემთხვევა, როდესაც მან გულუხვად გვიწი-

ლადა თავისი ფული ან ტკბილეულობა ან სითბო. მან სცემა თავისი ძმა, თუმცა უფრო მეტად გვერდში ამოდგომია მას; მან მოიტყუა, თუმცა ის ძირითადად სანდო პიროვნებაა.

ის მართლაც არის. თუმცა ეს სიმართლე აუცილებელი არ არის ვრცელდებოდეს ბიჭზე, რომელიც ახლახანს გადმოვიდა ქუჩის მეორე მხარეს.

ქმედებები არ არსებობენ თავისთავად, ისინი წარმოიშობიან. ანალოგიურად ხდება დანაშაულთან მიმართებითაც. დანაშაული არ არსებობს. დანაშაული წარმოიშობა. ჯერ არის ქმედება, რასაც მოჰყვება ამ ქმედებისთვის აზრის მინიჭების გრძელი პროცესი. სოციალური დისტანცია, მანძილი არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი. რაც უფრო იზრდება მანძილი, მით უფრო იზრდება ტენდენცია იმისა, რომ გარკვეულ ქმედებას დანაშაულის კვალიფიკაცია მიენიჭოს, პიროვნებებს კი – დამნაშავეების იარლიყი მიეწებოთ. სხვა სიტუაციაში – უამრავიდან ოჯახური ცხოვრება მხოლოდ ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს – სოციალური პირობები არის ის, რაც ადამიანის კრიმინალად და ქმედების დანაშაულად მიჩნევის პერსპექტივებს უწევს წინააღმდეგობას.

## 2.4 დანაშაულის შეუზღუდავი მიწოდება

იმ საზოგადოებაში, სადაც ქმედების დანაშაულად აღქმის შეზღუდული ტენდენციებია და სადაც ასეთი ქმედებებისთვის უმეტესი პოტენციალი იბრკოლება ღვთის თვალით, მეზობლების მონაწილეობითა და სიტუაციური შეზღუდვებით, კანონს ნარჩენების მიღების ფუნქციაღა რჩება. სამართალი აქ ხდება მიმღები იმ მცირედის მაქსიმუმისა, რაც შემორჩა კონტროლის პირველი ხაზიდან და ხელისუფლების ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. ასეთ სიტუაციებში საქმეების სელექციის შესახებ დისკუსიის გასამართად აღარც ადგილი რჩება და არც საჭიროება. მოსამართლეები ვალდებულნი არიან მიიღონ და განიხილონ ის, რაც მათ წინაშეა. თავიდან მოქმედება.[4]

მაგრამ, როგორც უკვე გამოჩნდა, ეს არ არის ჩვენი შემთხვევა. სოციალური სისტემა შეიცვალა ისე, რომ არსებობს ნაკლები შეზღუდვები თუნდაც სამართლის მცირედი დარღვევების დანაშაულად და მათი ჩამდენი პირების დამნაშავეებად აღქმაში. ამავე დროს, ჩვენ ვიმყოფებით სიტუაციაში, როდესაც არასასურველი ქმედებების ჩადენის წინააღმდეგ თავდაცვის ძველი მეთოდები აღარ არსებობს, სამაგიეროდ, კონტროლის ახალი ტექნიკური ფორმები დამკვიდრდა. ღმერთი და მეზობლები თვალთვალის თანამედროვე ფორმების ეფექტურმა მექანიკურმა საშუალებებმა შეცვალა. ჩვენ ვცხოვრობთ კონკრეტულ სიტუაციაში, როდესაც დანაშაული მასიურ მოვლენად აღიქმება. აქ მრისხანება, აღშფოთება და შიში, რომლებიც ისეთი ქმედებებისგან გამომდინარეობენ, რომლებიც თანამედროვე საზოგადოებაში ასევე შესაძლოა მიჩნეულ იქნას ბუნებით დანაშაულებად, ყველა სახის სავალალო ქმედების წინააღმდეგ ბრძოლაში მამოძრავებელ ძალად იქცევიან. ეს ახალი სიტუაცია, ისეთ ქმედებათა განუსაზღვრელი რეზერვუარით, რომლებიც შესაძლოა მიჩნეულ იქნან დანაშაულებად, არასასურველ ქმედებათა წინააღმდეგ ომის საწარმოებლად ასევე განუსაზღვრელ შესაძლებლობებს წარმოშობს.

არსებული ცოცხალი ტრადიციით, რომელიც იმ დროიდან მოყოლებული მოდის, როდესაც ბუნებითი დანაშაულები იყო ერთადერთი, კომბინირებულნი ისეთი სახის ქმედებების განუსაზღვრელ რეზერვუართან, რომლებიც თანამედროვე საზოგადოებაში დანაშაულად შესაძლოა აღიქმებოდეს, ნიადაგი უკვე მომზადებულია. დანაშაულის კონტროლის ბაზარი მის მწარმოებლებს ელოდება.

---

4 როდესაც მოსამართლეები სჯიან დამნაშავეს, ეს მათი პასუხისმგებლობა არ არის. პასუხისმგებლობა ეკისრება მას, ვინც ჩაიდინა ის, რასაც შეიძლება ვუწოდოთ „ბუნებითი დანაშაული“. ასეთი თავიდან მოქმედების ჩარჩო – განსხვავებით პრო-აქტიურისგან – მნიშვნელოვან დაცვას იძლევა მათთვის, ვინც მართავს სისტემას. პასუხისმგებლობა იმისთვის, რაც შემდგომ ხდება ცალსახად იგულისხმება, რომ ეკისრება მას, ვინც დანაშაული ჩაიდინა. ის მოქმედებს, მთავრობა კი ვალდებულია თავიდან იმოქმედოს. სწორედ კანონდამრღვევია ყველაფრის ინიციატორი; მთავრობა უბრალოდ ბალანსს აღადგენს.

## თავი 3
# სასჯელაღსრულების გეოგრაფია

### 3.1 ტკივილის რუკა

ქვემოთ მოცემულ თავში ევროპასა და ამერიკაში არსებული დაპატიმრებების ვიზუალიზაციისთვის რუქები იქნება გამოყენებული. მსოფლიოს სხვა ნაწილებიც უნდა ყოფილიყო აქ დამატებული, რის შესახებაც ასევე მაქვს მონაცემები, თუმცა, მომდევნო თავებში აღნიშნული მონაცემებისთვის შესაბამისი მნიშვნელობის მისანიჭებლად საჭირო შესაბამისი ცოდნა არ გამაჩნია. მონაცემები კი მნიშვნელობის გარეშე სოციალურ ანალიზში არსებულ ხმაურს წააგავს. მონაცემებიდან უმეტესობა როი ვამსლის (Roy Wamsley) (1999 წელი) უკიდურესად გამოსადეგი კვლევებიდან გამომდინარეობს. ზოგიერთი მათგანი კი წარმოდგენილია იმ ქვეყნებში ჩემი პირადი კონტაქტებიდან, რომელთა შესახებაც მოცემულ ნაშრომში იქნება განხილული.

ნებისმიერ ქვეყანაში არსებული სასჯელის რაოდენობა, რომელიც სამართლებრივი სისტემის მიერ არის გამოყენებული, შესაძლოა რამდენიმე გზით იქნას შეფასებული. ჩემს მიერ წარმოდგენილი მონაცემები ძირითადად პატიმრობას შეეხება. ნებისმიერ ქვეყანაში სიკვდილით დასჯის მერე, პატიმრობა სასჯელის ყველაზე მძიმე ფორმას წარმოადგენს. ყოველი ჩვენგანი გარკვეული წნეხისა და შეზღუდვის ქვეშაა მოქცეული. ჩვენ იძულებულები ვართ ვიმუშაოთ,

რათა გადავრჩეთ, იძულებულები ვართ დავემორჩილოთ უფროსს, ვიყოთ გამომწყვდეულნი სოციალურ ფენებსა და საკლასო ოთახებში, იძულებულები ვართ, ვიყოთ მიჯაჭვულნი სხვადასხვა ფორმალურ თუ არაფორმალურ ქსელს. თუმცა, გარდა სიკვდილით დასჯისა და ფიზიკური წამებისა – ისეთი ღონისძიებებისა, რომლებიც შედარებით ნაკლებად გამოიყენება ამ წიგნში განხილული ქვეყნების უმეტესობის მიერ – არაფერია იმდენად ტოტალური შეზღუდვებში ან დეგრადაციაში, ან თუნდაც მისი ძალის გამოვლენაში, როგორც ციხე.

შესაფასებლად მე უმეტესად შედარებით ციფრებსა და მონაცემებს გამოვიყენებ, რაც ყოველ 100,000 მოსახლეზე პატიმრების რაოდენობის ყოველდღიურ ციფრს წარმოადგენს. ეს არ არის ზუსტი ინდიკატორი, თუმცა ორი სახელმწიფოს შედარებისას საუკეთესოა. სტინჰუისი და თანამშრომლები (Steenhuis and collaborators) (1983 წელი) ამ გამოყენებას კრიტიკულად უყურებენ. მათი მტკიცებით, შედარებით დაბალი მაჩვენებელი შესაძლოა განპირობებული იყოს უამრავი პატიმრით, რომლებიც მოკლე პერიოდით არიან დაკავებულნი, ან პირიქით – სამუდამო პატიმრობამისჯილი ძალიან ცოტა პატიმრით. თუმცა, მე ამაში ბოლომდე არ ვარ დარწმუნებული. გრძელვადიანი და მოკლევადიანი პატიმრობის რაოდენობისგან დამოუკიდებლად, აღსანიშნავია, რომ ყოველ 100,000 მოსახლეზე 500 პატიმრის მქონე ქვეყანა არის ქვეყანა, რომელიც გამიზნული ტკივილის ზომებს უფრო მეტად გამოიყენებს, ვიდრე საზოგადოება, რომელსაც ყოველ 100,000 მოსახლეზე მხოლოდ 50 პატიმარი ჰყავს.[5]

---

5 ციხეში პატიმრობის ახალი მონაცემები არის ის, რაც შესაძლოა მიჩნეულ იქნას ინდიკატორად (მაგალითად, პიზი (Pease), 1994 წელი). თუმცა, ეს ახალი პატიმრობის განსაზღვრების პრობლემას აჩენს. ითვლება თუ არა პოლიციის განყოფილებაში პირის მიყვანა პატიმრობად? მოლოდინის კამერაში 4, 8 ან 24 საათით გაჩერება უნდა ასევე ჩაითვალოს პატიმრობად? თუ, მხოლოდ სასამართლოს მიერ გაცემული ბრძანებით პირის დაკავება უნდა ითვლებოდეს? ზოგიერთ იურისდიქციაში, ასეთი გადაწყვეტილებების მიღება 24 საათის განმავლობაში უნდა მოხდეს. სხვაგან პოლიციას შეუძლია პირი კვირეების განმავლობაში გააჩეროს, ვიდრე ის სასამართლოს წინაშე წარსდგება და მისი პატიმრობა ჩაითვლება პატიმრობად. ზოგიერთ იურისდიქციაში კი, დაკავებული პირის სასჯელაღსრულების ადგილას გადაყვანა ახალ დაპატიმრებად ითვლება. სწორედ ამ მიზეზების გამო, მე მივყვები სწორედ დაპატიმრებული პირების რაოდენობას.

## 3.2 ევროპა – დასავლეთი

*რუკა 3.2-1* გვიჩვენებს ზოგად სიტუაციას. ორი ელემენტი აშკარად იკვეთება.

პირველი, ციხეში არსებულ მონაცემებთან მიმართებით შეგვიძლია ვიხილოთ დიდი მრავალფეროვნება ისეთ მეზობელ ქვეყნებშიც კი, როგორებიც დასავლეთ ევროპაში გვხვდებიან. ისლანდია არის სიის ქვემოთ, 100,000 მოსახლეზე მხოლოდ 40 პატიმრით, მაშინ როდესაც პორტუგალია ამ სიას სათავეში უდგას 145 პატიმრით.

რუქის მეორე განმასხვავებელი ნიშანი ერთობ საინტერესოა. სამი ყველაზე პოპულარული ქვეყანაა: პორტუგალია თავისი 145 პატიმრით, დიდი ბრიტანეთი – 125 პატიმრით და ესპანეთი – 110 პატიმრით ყოველ 100,000 მოსახლეზე.

შედარებით უფრო ჩვეულებრივი ცენტრალური ევროპის დონეზე ვხვდებით ავსტრიას, ბელგიას, საფრანგეთს, გერმანიასა და ნიდერლანდებს. ყოველ 100,000 მოსახლეზე ყველას მაჩვენებელი 95-დან 80 პატიმარს შორის მერყეობს.

მაჩვენებლების მიხედვით ყველაზე დაბლა დგანან სკანდინავიის ქვეყნები და ასევე ირლანდია და საბერძნეთი. ის, რომ სკანდინავიელები გამოირჩევიან მსგავსებებით, ეს არ არის გასაკვირი, ერთადერთი გამონაკლისია ფინეთი, რომლის შესახებაც კომენტარს 4.4 თავში გავაკეთებ, მაგრამ ირლანდია? განსხვავება ირლანდიასა და დიდ ბრიტანეთს შორის არის ერთობ აღსანიშნავი. ირლანდიას ყოველ 100,000 მოსახლეზე ჰყავს 65 პატიმარი, დიდ ბრიტანეთს კი – 125, თითქმის ორმაგი ოდენობა. ისმის კითხვა – არიან აღნიშნული ქვეყნები სხვა მხრივაც ასე განსხვავებულები? და რაც შეეხება დიდ ბრიტანეთს სკანდინავიის ქვეყნებთან შედარებით? ისე ცოტა წყალია დიდ ბრიტანეთსა და სკანდინავიას შორის და ისე ახლოს არიან მათი კულტურები ერთმანეთთან, მაგრამ ამავე დროს როგორ შორს დგანან და განსხვავდებიან ერთმანეთისგან განზრახ ტკივილის მიწოდების გამოყენების კუთხით?

რუკა 3.2-1. ევროპა — დასავლეთი




აღნიშნული ყოველთვის ასე არ ყოფილა. იყო დრო, როდესაც დიდი ბრიტანეთი მიეკუთვნებოდა დაპატიმრების მცირე რაოდენობებით გამორჩეული ქვეყნების რიგს. ეს ხდებოდა მეორე მსოფლიო ომამდე. ქვეყნის სათავეში იდგა უინსტონ ჩერჩილი. ის აღშფოთებული იყო იმ ფაქტით, რომ ციხეები სავსე იყო უამრავი გაჭირვებული ადამიანით. მას ჰქონდა მოქმედების უფლებამოსილება და შესაბამისად, ციხის მაჩვენებელი ყოველ 100,000 მოსახლეზე 30 პატიმრამდე ჩამოიყვანა. მხოლოდ ახალ ბრიტანეთში გაიზარდა აღნიშნული მაჩვენებელი 125 პატიმრამდე. მოცემული წიგნის პირველ გამოცემაში ეს ციფრი შეადგენდა 90 პატიმარს.

## 3.3 ევროპა – ცენტრალური და აღმოსავლური

რუკა 3.3-1 დღეს არსებულ მდგომარეობას გამოხატავს. როგორც ჩანს, როდესაც საქმე დაპატიმრებებს ეხება, რუსეთი ევროპაში დიდ ძალას წარმოადგენს. ოფიციალური მონაცემი ყოველ 100,000 მოსახლეზე შეადგენს 685 პატიმარს. ეს კი დაახლოებით 10-ჯერ მეტია სკანდინავიის ქვეყნების და 5-ჯერ მეტია დიდი ბრიტანეთის მონაცემებთან შედარებით. რუსეთი კი ცალსახად მოდის ფუძემდებელია მასთან ახლოსმდებარე ქვეყნებისთვის. ბელარუსში მონაცემი შეადგენს – 505 პატიმარს, მას მოჰყვება უკრაინა – 415 პატიმრით და, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ბალტიისპირეთის ქვეყნები: ლატვია – 410, ლიტვა – 355 და ესტონეთი – 320 პატიმრით. მოლდოვასა და რუმინეთში არის 260 და 200 პატიმარი შესაბამისად, ჩეხეთის რესპუბლიკაში – 215 და პოლონეთსა და საქართველოში – 145, მაშინ როდესაც სლოვაკეთსა და ბულგარეთში პატიმრების რაოდენობა შეადგენს 140, ხოლო უნგრეთში – 135 პატიმარს. პატარა სლოვენიაშიც მსგავსი სიტუაციაა, როგორც ისლანდიაში – ყოველ 100,000 მოსახლეზე სულ 40 პატიმარი მოდის.

* * *

მიენიჭა რა რუსეთს დომინანტის პოზიცია, საჭიროა უფრო დეტალური ანალიზი იმისა, კონკრეტულად თუ რა ხდება აღნიშნულ ქვეყანაში. მეორე მსოფლიო ომის შემდგომი განვითარება თუ, როგორც ამას რუსები უწოდებენ, დიდი სამამულო ომი (great patriotic war), ილუსტრირებულია 3.3-1 გრაფაზე.

აღნიშნული გრაფა არ იყოს მარტივი ჩამოსაყალიბებელი. ჩემი პირველი ვიზიტი რუსეთში 1967 წელს შედგა. მაგ დროისთვის დანაშაულებზე და სასჯელებზე სტატისტიკა ძალზე გასაიდუმლოებული იყო, რაც წლების განმავლობაში გაგრძელდა ვიდრე 1989 წლამდე. თუმცა,

ნელ-ნელა სახელმწიფო უფრო რბილი გახდა და ინფორმაციამაც დაიწყო გამოჟონვა. მე ვარ ფრიად ამაყი ერთ-ერთი მეთოდით, რომლის გამოყენების შედეგადაც აღნიშნული ინფორმაცია მოვიპოვე. მე მას ვეძახი „გუგუნის მეთოდს“. კოლეგებს ძველი საბჭოთა კავშირიდან არ შეეძლოთ ჩემთვის ეთქვათ, რამდენი პატიმარი ჰყავდათ მათ. თუმცა აღნიშნულ კოლეგებს ჰქონდათ სახეები და ისინი ასევე გამოსცემდნენ ხმებს. კონკრეტულად მახსენდება 1989 წელს შვედეთში გამართული სკანდინავიურ-საბჭოთა კავშირის კვლევის შესახებ ერთობლივი შეკრება, სადაც პატიმრების რაოდენობის შესახებ საბჭოთა კავშირში არსებული რამდენიმე წინასწარი მონაცემი წარვადგინე და ვთხოვე დამსწრე საზოგადოებას, ამასთან დაკავშირებით გარკვეული ემოციები და რეაქცია გამოეხატათ. პასუხმაც არ დააყოვნა. ის სხეულის ენით იყო გადმოცემული. ექსტრემალურ რიცხვებს, ისეთს, მაგალითად, როგორიცაა 1979 წლისთვის ყოველ 100,000 მოსახლეზე 660 პატიმარი, გაღიზიანებით ხვდებოდნენ. ყოველ 100,000 მოსახლეზე 214 პატიმრის შეთავაზების საპასუხოდ თავაზიანი ღიმილი მხვდებოდა, რომელიც თითქოს ჩემს გულუბრყვილობაზე მიუთითებდა. რიცხვი 353, რომელიც იმ დროითვის ჩემი ფავორიტი მონაცემი იყო, მიღებულ იქნა დამაკმაყოფილებელი სიჩუმით. დღესდღეობით ციხეში არსებული პატიმრების მონაცემები აღარ არის გასაიდუმლოებული.

რუკა 3.3-1. ევროპა – ცენტრალური და აღმოსავლური




როგორც ეს ცხრილიდან ჩანს, 1950 წლისთვის ციხის პოპულაცია წარმოუდგენლად მაღალთან არის ახლოს – ყოველ 100,000 მოსახლეზე 1400 პატიმარი, ანუ სხვაგვარად შეიძლება ითქვას, რომ იმ დროს არსებული მთლიანი მოსახლეობის (რომელშიც შედიოდნენ ბავშვები და მოხუცებიც) 1.4 პროცენტი იყო ციხეში ან გულაგებში მოთავსებული.[6]

---

[6] აღნიშნული რიცხვები მოსკოვის მეცნიერებათა აკადემიის მონაცემებს ეყრდნობა. 1989 წელს ბატონმა გორბაჩოვმა აკადემიას სთხოვა, რომ მათ შინაგან საქმეთა სამინისტროს საიდუმლო არქივები გამოეძიათ და შეესწავლათ. ჩამოყალიბდა ისტორიკოსებისგან შემდგარი რამდენიმე ჯგუფი, რომელთაც ვიქტორ ნ. სემსკოვი (Victor N. Semskov) ხელმძღვანელობდა. მან გამოაქვეყნა წინასწარი ანგარიში, რომელიც ჩემთვის ხელმისაწვდომი გახდა მხოლოდ არაპირდაპირ (ბექი (Bech) 1992 წელი). უმთავრესი აღმოჩენა იყო ის, რომ გულაგებმა თავის მაქსიმუმს 1950 წელს 2.5 მილიონი პატიმრით მიაღწიეს. საბჭოთა კავშირში იმ დროს არსებული მოსახლეობის რაოდენობაზე დაყრდნობით, ეს იყო ყოველ 100,000 მოსახლეზე 1423 პატიმრის ექვივალენტი.

1979 წელს საბჭოთა კავშირის ყოფილმა პროკურორმა გამოითვალა იმ წელს არსებული მონაცემები, რაც ყოველ 100,000 მოსახლეზე 660 პატიმარს შეადგენდა. აღნიშნული მონაცემები მან ამერიკის კრიმინოლოგიური საზოგადოებისთვის პრეზენტაციის სახით წარმოადგინა. ამას მოჰყვა 1989 წელი, გლასნოსტი (Glasnost) და გორბაჩოვი, შესაბამისად, რიცხვებმა დაიკლეს და ჩამოვიდნენ 353 პატიმრამდე. თუმცა, როგორც ვიცით, და როგორც ეს ცხრილიდანაც იკვეთება, გლასნოსტი იყო მხოლოდ ინტერვალი და რიცხვები მას მერე მხოლოდ ერთი მიმართულებით იზრდებოდა. პატიმრების შესაბამისი რაოდენობა 1989 წლიდან თითქმის გაორმაგდა. დღევანდელი მონაცემებით, რუსეთში განთავსებულია 1 მილიონი პატიმარი, ანუ ყოველ 100,000 მოსახლეზე – 685 პატიმარი. თუ აქ დავამატებთ პირებსაც, რომლებიც უნებლიედ აღმოჩნდნენ გარკვეულ „სამკურნალო დაწესებულებაში", შესაბამისი მონაცემი ყოველ 100,000 მოსახლეზე 700 პატიმრამდე გაიზრდება (აბრამკინი (Abramkin) პერსონალური კომუნიკაცია, ზაფხული 1999 წელი). ამ ეტაპზე ზრდა შეჩერებულია. მონაცემები არ გაზრდილა უკანასკნელი ორი ან სამი წლის განმავლობაში. 1999 წლის გაზაფხულზე Amnesty International-მა გამოაქვეყნა მონაცემები, რომლის მიხედვითაც ციხეში განთავსებულ პატიმართა რაოდენობა 70,000 პატიმარს შეადგენდა. წინა წლებთან შედარებით, ამას არ გამოუწვევია რიცხვების შემცირება, თუმცა მდგომარეობის სტაბილიზაციას შეუწყო ხელი.

**ცხრილი 3.3-1. პატიმრების რაოდენობა ყოველ 100,000 მოსახლეზე საბჭოთა კავშირში/რუსეთში 1950 1999 წლებში**

| წელი | პატიმრების რაოდენობა ყოველ 100,000 მოსახლეზე |
|---|---|
| 1950 | 1400 |
| 1979 | 660 |
| 1989 | 353 |
| 1993 | 573 |

| | |
|---|---|
| 1994 | 611 |
| 1995 | 685 |
| 1996 | 704 |
| 1998 | 685 |
| 1999 | 685 |

სასჯელაღსრულების დაწესებულების უმთავრეს სახეს რუსეთში ციხე და კოლონიები წარმოადგენს. ციხეები ძირითადად განკუთვნილია ისეთი პატიმრებისთვის, რომლებიც სასამართლოს ელოდებიან, წინასწარი დაკავების დაწესებულებების პატიმრები (SIZO prisoners), როგორც ამას ისინი უწოდებენ. მათი რიცხვი სტაბილურად იზრდება, 1990 წელს 150,000 პატიმრიდან 1998 წელს 251,000 პატიმრამდე და 1999 წელს – 269,000 პატიმრამდე[7]. აღნიშნული პატიმრები ძალზე მძიმე გარემოში არსებობენ. განაჩენის გამოტანის შემდეგ პატიმრები გადაჰყავთ რასაც ახლა უწოდებენ „კოლონიებს", იქ. ეს კი ადრე გულაგების[8] სახელით იყო ცნობილი. აქ არსებული პირობები ზოგადად უკეთესია.

კიდევ ბევრი რამ შეიძლება ითქვას რუსეთის შესახებ. იმდენად ბევრი, რომ ჩვენ ამისთვის მთელი მეექსვე თავი დაგვჭირდება. თუმცა, ახლაც კი ერთი დასკვნა ნათელია: რუსეთი ევროპის ყველაზე დიდი დამპატიმრებელია.

## 3.4 ამერიკა – ჩრდილოეთი

ჩრდილოეთ ამერიკაში შექმნილი მდგომარეობის გამოსახატად სრულებით არ არის საჭირო რუქის მოშველიება, რადგან ყველაფერი ნათელი ხდება ორი მონაცემით:

---

7 Vedomosti Ugolovno-Ispravitelnoy Sistemi Rosii (რუსეთის იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების სისტემის გაზეთი, 1998 წელი, სპეციალური გამოშვება).

8 სახელი წარმოადგენს აბრევიატურას – Glavnoye Upravlenie Lagerei – ბანაკთა ცენტრალური ადმინისტრაცია.

129

და

709

პირველი რიცხვი მიუთითებს ყოველ 100,000 მოსახლეზე პატიმართა რაოდენობას კანადაში. მეორე კი — ამერიკის შეერთებულ შტატებში. ორი ქვეყანა, ასე ახლოს მყოფი, საერთო საზღვარი, უმეტეს ნაწილებში საერთო ენა, მსგავსი მედია-საშუალებები, ერთიანი მემკვიდრეობა, მსგავსი ეკონომიკური სისტემა, რაღაც დონეზე ფულისადმი ერთიანი მიდგომა, თუმცა ამავე დროს ადმინისტრაციული კულტურა კანადაში ბრიტანეთის მსგავსია. და ასევე კანადაში კვლავ სახეზეა მეტი სოციალური დაცვა.

აშშ-ში პატიმრების რაოდენობის შესახებ მოკლე მიმოხილვა მოცემულია *ცხრილში 3.4-1.* პირველ რიგში ჩვენ ვხვდებით 1998 წლისთვის არსებულ ოფიციალურ მონაცემებს. ის გვიჩვენებს მდგომარეობას, რაც სამი უმთავრესი სახის ციხეში არსებობს. ფედერალურ და სახელმწიფო დაწესებულებებში უფრო მძიმე დანაშაულისთვის იხდიან პატიმრები სასჯელს. პატიმართა დაახლოებით 1/3 განთავსებულია ისეთ ციხეებსა თუ დაწესებულებებში, რომლებიც ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ იმართებიან. თუმცა, ეს მაინცდამაინც არ ნიშნავს იმას, რომ პატიმრები ასეთ ადგილებში მცირეხნიან სასჯელებს იხდიან. ფედერალურ და სახელმწიფო ციხეებში ადგილის ნაკლებობის გამო, საპატიმროები იძულებულნი გახდნენ, მიეღოთ პატიმრები, რომლებიც მკაცრად მიეკუთვნებოდნენ ფედერალურ და სახელმწიფო სისტემებს.

**ცხრილი 3.4-1. 1998[1] წლისთვის აშშ-ს ციხეებსა და საპატიმროებში განთავსებულ პირთა რაოდენობა, სავარაუდო[2] რიცხვები 1999 წლისთვის. საერთო რაოდენობა და რაოდენობა ყოველ 100,000 მოსახლეზე.**

| | 1998 | სავარაუდო დამატება | 1999 წელი (სავარაუდო რიცხვი) |
|---|---|---|---|
| ფედერალური და სახელმწიფო ციხეები | 1,232,900 | 80,139 | 1,313,039 |
| საპატიმროები | 592,462 | 29,031 | 621,493 |
| სულ | 1,825,362 | 109,170 | 1,934,532 |
| ყოველ 100,000 მოსახლეზე | 672 | | 709[3] |

1. პატიმრები სახელმწიფო და ფედერალურ ციხეში 31 დეკემბრის მონაცემებით და ადგილობრივ საპატიმროებში — 30 ივნისის მონაცემებით (იუსტიციის სტატისტიკის ბიუროს ინფორმაცია, ბიულეტენი, „პატიმრები 1998 წელს“). აღნიშნულ მონაცემებში არ შედიან ის პირები, რომელთა ზედამხედველობაც ციხის ან საპატიმროს გარეთ მოხდა.
2. შეფასება ეფუძნება ყოველწლიურ საშუალო მატებას 1990 წლიდან 1998 წლის ჩათვლით. ფედერალურ და სახელმწიფო ციხეებში პატიმართა რიცხვი საშუალოდ იზრდება 6.5 პროცენტით. ადგილობრივ საპატიმროებში განთავსებულთა რაოდენობა კი საშუალოდ 4.9 პროცენტით იზრდება (იუსტიციის სტატისტიკის ბიუროს ინფორმაცია, ბიულეტენი, „პატიმრები 1998 წელს“, გვ. 2).
3. ეფუძნება 1999 წლის შუა რიცხვებისთვის 273 მილიონ სავარაუდო მოსახლეს.

ცხრილიდან გამომდინარე, რიცხვების სიდიდე დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს. მოდით, ჯერ პირველ რიგში ჩამოთვლილ რიცხვებს მივაქციოთ ყურადღება. ეს არის ჩვენს ხელთ არსებული ბოლო ოფიციალური მონაცემი. ჩვენ ვხედავთ, რომ 1998 წლისთვის ციხეში არსებულ პატიმართა რაოდენობა 1.8 მილიონს აღწევს, ან ყოველ 100,000 მოსახლეზე 672 პატიმარი მოდის. თუმცა, ეს მონაცემები უკვე დაძველდა და ზრდაც ისეთი სწრაფია. შესაბამისად, შუა რიგში მოცემულია 1998 წლიდან 1999 წლამდე პატიმრების შესაძლო რაოდენობა, დაფუძნებული 1990 წლიდან 1998 წლამდე არსებულ მონაცემებზე. ჩვენი გამოთვლებით, აშშ-ს ამ საუკუნის ბოლო დღისთვის 1.9

მილიონ პატიმარზე მეტი, ან ყოველ 100,000 მოსახლეზე 709 პატიმარი ეყოლება.

ყოველივე ამასთან ახლოს არიან სრულწლოვანები. თუ 1.9 მილიონ პატიმარს მოსახლეობაში სრულწლოვანების რაოდენობას შევადარებთ, სახეზე გვექნება სურათი, როგორც ამას *ცხრილი 3.4-2* ასახავს, როდესაც ყოველ 100,000 სრულწლოვან მოსახლეობაზე 956 ხსენებული კონტროლის ქვეშ იმყოფება.

**ცხრილი 3.4-2 1998[1] წლისთვის აშშ-ს ციხეებსა და საპატიმროებში განთავსებულ პირთა რაოდენობა, სავარაუდო რიცხვები 1999 წლისთვის. საერთო რაოდენობა და მონაცემები ყოველ 100,000 მოსახლეზე.[2]**

| | 1998 | 1999 |
|---|---|---|
| ციხეებსა და საპატიმროებში განთავსებულ პირთა სრული რაოდენობა | 1825,362 | 1934,532 |
| ყოველ 100,000 სრულწლოვანზე | 911[3] | 956[4] |

1. პატიმრები სახელმწიფო და ფედერალურ ციხეში 31 დეკემბრის მონაცემებით და ადგილობრივ საპატიმროებში – 30 ივნისის მონაცემებით (იუსტიციის სტატისტიკის ბიუროს ინფორმაცია, ბიულეტენი, „პატიმრები 1998 წელს“. აღნიშნულ მონაცემებში არ შედიან ის პირები, რომელთა ზედამხედველობაც ციხის ან საპატიმროს გარეთ მოხდა.
2. პირები 18 წლის და ზემოთ.
3. 1 ივლისისთვის 18 წლის და ზემოთ პირების რაოდენობა შეადგენდა აშშ-ს 200.4 მილიონ მოქალაქეს.
4. 1 მაისისთვის 18 წლის და ზემოთ პირების რაოდენობა შეადგენდა აშშ-ს 202.3 მილიონ მოქალაქეს.

აშშ ასევე გამოირჩევა კარგი სტატისტიკით პირებზე, რომლებიც ციხეებს მიღმა არიან სისხლის სამართლის კონტროლქვეშ. ეს შესაძლებელს ხდის, შევადგინოთ *ცხრილი 3.4-3*. აქ ჩვენ ვხვდებით სამ კატეგორიას. ზედა მხარეს მოცემულია პატიმართა ის სრული რაოდენობა, რაც მოცემული იყო *ცხრილში 3.4-1*. მეორე ხაზში მოცემულია ჩვეულებრივი ციხის და საპატიმროს მიღმა საპატიმროში მომსახურე

პერსონალის ზედამხედველობის ქვეშ მყოფი პირების რაოდენობა. მესამე ხაზში კი აღნიშნულია გამოსაცდელი ვადით ან პირობით ვადამდე გათავისუფლებულთა რაოდენობის შესახებ. აღნიშნულის თაობაზე პირველი ინფორმაცია გვხვდება 1998 წლის 1 იანვრისთვის, ხოლო სავარაუდო შეფასების შესახებ კი 1999 წლიდან. ცხრილის ბოლოს გვხვდება საერთო პოპულაცია, რომელიც იმყოფება სისხლის სამართლის კონტროლქვეშ სრული სახით და ყოველ 100,000 მოსახლეზე.

**ცხრილი 3.4-3. სისხლის სამართლის კონტროლქვეშ მოქცეულ პირთა რაოდენობა ამერიკაში 1998 წლისთვის და შესაძლო რიცხვი 1999 წლისთვის**

| | 1998 | 1999 |
|---|---|---|
| პატიმრები | 1,825,362 | 1,934,532 |
| ზედამხედველობა ციხის ან საპატიმროს გარეთ | 140,217 | 146,187 |
| გამოსაცდელი ვადით ან პირობით ვადამდე გათავისუფლებულები, წლის დასაწყისში[1] | 3,946,921 | 4,107,584[2] |
| სისხლის სამართლის კონტროლქვეშ არსებული მოსახლეობის სრული რაოდენობა | 5,912,500 | 6,188,303 |
| ყოველ 100,000 მოსახლეზე | 2,187 | 2,267[3] |

1. იუსტიციის დეპარტამენტი (1998).
2. ეფუძნება პრობაციონერების 3%-იან და პირობით ვადამდე გათავისუფლებულთა 1.3%-იან ზრდას – წინა წლების მსგავსად. 1990 წლის შემდგომ ყოველწლიური ზრდა ორივესთვის იყო 3% – რაც ოდნავ განსხვავებულ მონაცემებს მოგვცემდა (18,725).
3. 273 მილიონიან მოსახლეობაზე დაყრდნობით.

საერთო ჯამში, აშშ-ს შესაძლო 6.2 მილიონი მოქალაქე სისხლის სამართლის სისტემის კონტროლქვეშ იმყოფება. ეს კი ნიშნავს, რომ 1999 წელს ყოველ 100,000 მოსახლეზე 2,267 ადამიანი მოდიოდა, ან სხვა სიტყვებით – მთლიანი მოსახლეობის 2.3%.

**ცხრილი 3.4-4. სასჯელაღსრულების სისტემის კონტროლქვეშ მყოფი პირების რაოდენობა აშშ-ში 1998 წლისთვის და მათი შესაბამისი სავარაუდო რაოდენობა 1999 წლისთვის. სრულწლოვანები და სრულწლოვანები 18-დან 44 წლამდე.**

| | 1998 | 1999 |
|---|---|---|
| სასჯელაღსრულების სისტემის ქვეშ მყოფ პირთა საერთო რაოდენობა | 5,912,500 | 6,188,303 |
| ყოველ 100,000 სრულწლოვანზე | 2,950[1] | 3,059[2] |
| ყოველ 100,000 სრულწლოვანზე 18-დან 44 წლამდე[3] | 4,623[4] | 4,835[5] |

1. 1998 წლის 1 ივლისისთვის აშშ-ს 200.4 მილიონი მოსახლე იყო 18 წლის და ზემოთ.
2. 1999 წლის 1 მაისისთვის აშშ-ს 202.3 მილიონი მოსახლე იყო 18 წლის და ზემოთ.
3. მონაცემები ეფუძნება სასჯელაღსრულების სისტემის კონტროლქვეშ მოხვედრილთაგან 18-დან 44 წლამდე სრულწლოვან პირთა 85%-ს. 1998 წლისთვის ეს გვაძლევს 5,025,625 პირს, ხოლო 1999 წლისთვის — 5,260,058 პირს.

სასჯელაღსრულების სისტემის კონტროლქვეშ მოქცეული პირების უმეტესობა შედარებით ახალგაზრდაა. ჩვენი შეფასებით, ფედერალურ და სახელმწიფო ციხეებში განთავსებულ პირთა 87% 44 წლის ან უფრო ნაკლები ასაკისაა.[9] საპატიმროებში 92% არის ხსენებული ასაკის. პრობაციონერები შესაძლოა შედარებით უფროსები იყვნენ, შესაბამისად, რომ არ შევცდეთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ სასჯელაღსრულების სისტემის კონტროლქვეშ მოხვედრილთაგან არაუმეტეს 85% არის 18-დან 44 წლამდე ასაკის. *ცხრილი 3.4-4*-დან ჩანს, რომ 1999 წლისთვის ყოველ 100,000 მოსახლეზე 4,835 პირი აღინიშნებოდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არსებული მოსახლეობის 18-დან 44 წლამდე პირების დაახლოებით 5% სასჯელაღსრულების სისტემის კონტროლქვეშ იმყოფება.

[9] აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტის მონაცემებზე დაყრდნობით, 1996 წლის აპრილი, ცხრილი 1.11, მუდმივი მაცხოვრებლების მონაცემებთან ერთობლიობაში, 1990 წლის 1 აპრილიდან 1999 წლის 1 მაისამდე. მდედრობითი სქესის წარმომადგენლები ალბათ შედარებით უფროსები არიან. ეს ასევე შესაძლოა ეხება პრობაციონერებს და პირობით ვადამდე გათავისუფლებულ პირებსაც.

თუკი აღნიშნულ რიცხვებს დავყოფთ ასევე სქესის მიხედვით, მამრობითი სქესის წარმომადგენლებისთვის მდგომარეობა უფრო ექსტრემალური ხდება. უხეშად რომ ვთქვათ, პატიმართა დაახლოებით 90% მამრობითი სქესისაა, ისევე, როგორც – პრობაციონერების 80% და – ვადამდე გათავისუფლებულ პირთა 89%. აღნიშნულის შესახებ მოცემულია ცხრილში 3.4-5, საიდანაც კარგად ჩანს, რომ აშშ-ში მცხოვრები დაახლოებით 5,221,484 მამაკაცი 1999 წელს სასჯელაღსრულების სისტემის კონტროლქვეშ იმყოფებოდა. ან მარტივად: აღნიშნული სისტემის კონტროლქვეშ მყოფი 6.2 მილიონი პირიდან 5.2 მილიონი მამაკაცია, რაც ნიშნავს იმას, რომ ყოველ 100,000 მოსახლეზე 3,923 მამრობითი სქესის წარმომადგენელია. ამათგან თითქმის ყველა სრულწლოვანი პირია. თუკი საფუძვლად ავიღებთ სრულწლოვან მოსახლეობას – როგორც ეს ცხრილში 3.4-6 არის ნაჩვენები - ყოველ 100,000 მოსახლეზე ჩვენ მივიღებთ 5,377 სრულწლოვან პირს, რომელიც აღნიშნული სისტემის კონტროლქვეშაა მოქცეული. თუკი ყურადღებას გავამახვილებთ მამრობითი სქესის წარმომადგენლების შედარებით ახალგაზრდა ნაწილზე, სახეზე გვექნება 8,159 პირი ყოველ 100,000 მოსახლეზე – 8%-ზე მეტი, რომლებიც სასჯელაღსრულების აპარატს ექვემდებარებიან.

**ცხრილი 3.4-5. აშშ-ის მოსახლეობაში 1999 წლისთვის სასჯელაღსრულების სისტემის კონტროლქვეშ მოხვედრილი მამრობითი სქესის სავარაუდო რიცხვი. საერთო რიცხვი და ყოველ 100,000 მოსახლეზე**

| | 1999 |
|---|---|
| 2,080,719 პატიმრის 90%, რომელთა ზედამხედველობაც ციხის გარეთ ხდება[1] | 1,872,647 |
| 3,410,135 პრობაციონერთა 80%[2] | 2,728,108 |
| 697,449 პირობით ვადამდე გათავისუფლებულთა 89%[3] | 620,729 |
| მამრობითი სქესის წარმომადგენელთა საერთო რაოდენობა | 5,221,484 |
| ყოველ 100,000 მოსახლეზე გაკონტროლებულ მამაკაცებთა რაოდენობა[4] | 3,923 |

1. ეს არის მოძველებული მონაცემები. პატიმრები სახელმწიფო და ფედერალურ ციხეებში 31 დეკემბრისთვის და პატიმრები ადგილობრივ ციხეებში 30 ივნისისთვის.
2. წყარო: იუსტიციის დეპარტამენტი (1998 წლის 16 აგვისტო)
3. წყარო: იუსტიციის დეპარტამენტი (1998 წლის 16 აგვისტო)
4. მონაცემები ეფუძნება 1999 წლის 1 მაისით არსებულ 133.1 მილიონ მოსახლეს (უახლესი ხელმისაწვდომი მონაცემები)

დასკვნა გარდაუვალია: აშშ არის ქვეყანა, სადაც მოსახლეობის განსაკუთრებულად დიდი ნაწილი სასჯელაღსრულების სისტემის პირდაპირი კონტროლის ქვეშ ცხოვრობს. აღნიშნული მდგომარეობა გავს რუსეთის შემთხვევას, როდესაც ციხეებში გადანაწილებულ პირებს ვადარებდით, თუმცა, როდესაც ჩვენ ასევე ვსაუბრობთ პრობაციასა და ვადამდე გათავისუფლებაზე, აშშ-ს მისი მოსახლეობის უფრო მეტი ნაწილი ჰყავს სასჯელაღსრულების სისტემის კონტროლქვეშ მოქცეული, ვიდრე სხვა რომელიმე ინდუსტრიულ სახელმწიფოს ევროპასა თუ ამერიკაში.

**ცხრილი 3.4-6. აშშ-ის მოსახლეობაში 1999 წლისთვის სასჯელაღსრულების სისტემის კონტროლქვეშ მოხვედრილი მამრობითი სქესის სავარაუდო რიცხვი. ზრდასრულები და ზრდასრულები 18-44 წლამდე**

| | 1999 |
|---|---|
| კონტროლქვეშ მოხვედრილ მამაკაცთა საერთო რაოდენობა | 5,221,484 |
| ყოველ 100,000 სრულწლოვან მოსახლეზე გაკონტროლებულ მამაკაცთა[1] რაოდენობა | 5,377 |
| ყოველ 100,000 სრულწლოვან მოსახლეზე გაკონტროლებულ 18-დან 44[2] წლამდე მამაკაცთა რაოდენობა | 8,159 |

1. 1999 წლის 1 მაისისთვის არსებობდა 97.1 მილიონი 18 წლის და ზემოთ მამაკაცი.
2. 1999 წლის 1 მაისისთვის არსებობდა 18-44 წლამდე ასაკის 54.4 მილიონი მამაკაცი არსებობდა. მონაცემები ეფუძნება 18-44 წლამდე მამაკაცთა 85%, რომელიც სასჯელაღსრულების სისტემის კონტროლქვეშ იმყოფება. 1999 წლისთვის ეს იძლევა შედეგს სასჯელაღსრულების სისტემის კონტროლქვეშ მყოფი 4,438,261 მამაკაცის (18-44 წლის) ოდენობით.

## 3.5 ამერიკა – ცენტრალური და სამხრეთი

მდგომარეობა, რაც ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში არის წარმოდგენილი, ნაჩვენებია *რუკაზე 3.5-1* და *რუკაზე 3.5-2*. ჩვენ ვხედავთ ჩილეს, რომელიც სათავეში იმყოფება, ყოველ 100,000 მოსახლეზე 375 პატიმრით. მას მოჰყვება პანამა – 270 პატიმრით, შემდეგ – ჰონდურასი, 160 პატიმრით, კოსტა-რიკა – 155 პატიმრით და ელ სალვადორი – 150 პატიმრით. ყველაზე ქვემოთ ვხვდებით პარაგვაის ყოველ 100,000 მოსახლეზე 60 პატიმრით, გუატემალას – 65 პატიმრით, ბოლივიას 70 და ნიკარაგუას 80 პატიმრით ყოველ 100,000 მოსახლეზე.

ამ მონაცემების ინტერპრეტაციისას განგაშის ზარები უნდა ისმოდეს. ზემოხესენებული ქვეყნებიდან ზოგიერთს პატიმრების აღსარიცხად ძალიან კარგი სისტემა აქვს შემუშავებული. შესაძლოა ჩანდეს, რომ მათ მეტი პატიმარი ჰყავთ, ვიდრე სხვებს. ზოგიერთი არ თვლის სამხედრო დაკავებას, ზოგიერთი კი არ თვლის პოლიციაში დაკავებას, მაშინაც კი, თუკი პატიმრები წლობით არიან დაკავებულნი ისეთ პირობებში, რაც ენით აუწერელია. მე მომინახულებია ერთი მსგავსი ადგილი. ეს იყო გაბრწყინებული დედაქალაქის ცენტრში.

**რუკა 3.5-1. ცენტრალური ამერიკა**



რუკა 3.5–2. სამხრეთ ამერიკა




ციხის გვერდით განთავსებული იყო რვა თუ ათსართულიანი საერთაშორისო დონის სასტუმრო. სასტუმროს ესაჭიროება სივრცე ფართო დერეფნებისთვის, რესტორნებისთვის, ორადგილიანი და ერთადგილიანი ნომრებისთვის და ტროპიკებში გადასარჩენად აუცილებელი ჰაერის კონდიცირების აღჭურვილობისთვის. სტუმრებისთვის სასტუმროს გვერდით არსებული შენობა აღიქმებოდა ალბათ, როგორც უბრალოდ პოლიციის განყოფილება. განყოფილების უკანა

ეზოში განთავსებული ციხე დიდ სივრცეს არ იკავებდა. პატიმრებისთვის გამოყოფილი იყო მხოლოდ 4 თუ 5 საკანი. ერთ-ერთ მათგანში 300 პირი იყო დაკავებული, არ იყო არც ჰაერის კონდიცირების სისტემა, არც გარე სივრცე ვარჯიშისთვის. პატიმართაგან ზოგიერთი ამტკიცებდა, რომ იქ წლობით იმყოფებოდა.

ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში არსებული მონაცემების ღრმა ანალიზი ჩემს კომპეტენციაში არ შედის. მე მათ აქ უპირველესად იმ მიზნით წარმოვადგენ, რომ ჩრდილოეთ ამერიკაში არსებული მდგომარეობის საფუძვლიანად გასაცნობად შესაფერისი ფონი შეიქმნას. ამ ზოგადი სურათით თუ ვიმსჯელებთ, აშშ-ში შექმნილი ვითარება უფრო მეტად არის ხაზგასასმელი. ამერიკისთვის ზოგადად არ არის დამახასიათებელი ძალზე ბევრი პატიმრის ყოლა. აშშ წარმოადგენს განსაკუთრებულ შემთხვევას, რომელიც გარემოცულია კანადითა და მექსიკით, ეკონომიკურად და კულტურულად ორი უკიდურესად განსხვავებული სახელმწიფოთი, თუმცა, ორივე შემთხვევაში პატიმრების რაოდენობა ყოველ 100,000 მოსახლეზე არ აჭარბებს 130 პატიმარს.

### 3.6 სტერეოტიპების მნიშვნელობა

ადამიანის გონებასა თუ წიგნებში სტერეოტიპები და ზოგადი თეორიები არაპრაქტიკულ სიმბოლოს არ წარმოადგენენ. ისინი ათავისუფლებენ გზას მოქმედებისთვის. რწმენა იმისა, რომ ციხეებში განთავსებული პატიმრების რაოდენობა არის ქვეყანაში დანაშაულის ინდიკატორი და ის წინააღმდეგობა, რასაც აღნიშნული რწმენა ფაქტების საწინააღმდეგოდ ავლენს, ძველ პერსპექტივებთან შედის ჰარმონიაში, რომლებიც ბუნებით სამართალსა და რეაქტიულ აზროვნებაზე არიან დაფუძნებულნი. თუკი დამნაშავე იწყებს ყოველივეს და სახელმწიფოს ერთადერთი რაც შეუძლია, ამაზე რეაგირებაა, მაშინ, ბუნებრივია, პატიმრების მოცულობა განპირობებულია დანაშაულით

და ასახავს დანაშაულის მხრივ ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას. ეს უკვე ბედია და არა არჩევანი.

თუმცა, თანამედროვე საზოგადოებას თავის განკარგულებაში აქვს ისეთი ქმედებების ულიმიტო რეზერვუარი, რომლებიც შესაძ-ლოა მიჩნეულ იქნას დანაშაულად. და როგორც ეს უკვე ცალსახად გამოჩნდა, საზოგადოება ამ რეზერვუარს ძალზე მრავალფეროვნად იყენებს. ყოველ შემთხვევაში, საზოგადოება გამოირჩევა ტკივილის მიყენების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფორმის – დაპა-ტიმრების – გამოყენებით. აღნიშნული დასკვნის გამოტანის შემდეგ, მომდევნო შეკითხვაზე შეგვიძლია გადავიდეთ: თუკი დანაშაულის მოცულობა არ ასახავს და არ ხსნის პატიმრების რაოდენობას, მაშინ როგორ შეიძლება ამ მოცულობის ახსნა? როგორ შეიძლება ავხსნათ ის უამრავი ვარიაცია და განსხვავება, რაც დროთა განმავლობაში და საზოგადოებებს შორის არსებობდა?

ზემოხსენებულის ასახსნელად მე მექნება ორი მცდელობა, იქიდან გამომდინარე, რომ ორივე პრობლემა თანაბრად საგულისხმოა. რაც ამ საზოგადოებებს აქვთ საერთო არის ის, რომ ისინი არიან საკმაოდ განვითარებულნი. მაშინ, როგორ არიან ისინი ასე განსხვავებულები პატიმრობასთან მიმართებით?

შესაბამისად, იკვეთება პირველი პრობლემა: რატომ არის, რომ ვხვდებით ზოგიერთ საზოგადოებას, სადაც დაპატიმრებების ასე მცი-რე რაოდენობაა? როგორი სოციალური მექანიზმი დგას პატიმრების მცირე რაოდენობის უკან?

და შემდეგ მივდივართ მეორე პრობლემასთან: რა მექანიზმე-ბია გამოყენებული ისეთ ქვეყნებში, რომლებიც პატიმრების მაღალი რიცხვით გამოირჩევიან? პატიმრების მცირე რაოდენობით გამორ-ჩეულ ქვეყნებთან ერთად, იმავე განვითარებული ქვეყნების ოჯახში, რატომ ვხვდებით ისეთ საზოგადოებებს, სადაც ათჯერ უფრო მეტი პატიმარია?

მე-4 და მე-5 თავები აღწერენ ზოგიერთ მექანიზმს, რაც სხვადასხვა ქვეყნებში დაპატიმრებების მაღალ და დაბალ რიცხვებს განაპირობებს. თუმცა, ეს სხვა არაფერია, თუ არა მხოლოდ დასაწყისი. პატიმრების არასტანდარტულად დიდი რაოდენობის განმაპირობებელი მექანიზმების უფრო საფუძვლიანად შესწავლის მიზნით, მე-6 თავში რუსეთის მაგალითი იქნება განხილული, მაშინ როდესაც მომდევნო, მე-7 თავში ყურადღება უფრო მეტად აშშ-ზე იქნება გამახვილებული.

## თავი 4
# რატომ არის ასე ცოტა პატიმარი?

### 4.1 შეხვედრები მთაში

ყოველ წელს, შობის შემდგომ პერიოდში, სადღაც ნორვეგიის მთებში უცნაური შეხვედრა იმართება ხოლმე. 20 წლიანი ისტორიის შემდეგ ეს შეხვედრა დღეს უკვე ტრადიციადაც კი იქცა. შეხვედრა, რომელიც საკმაოდ მაღალი დონის სასტუმროში იმართება, 2 ღამე და 3 დღე გრძელდება და მასში ორასამდე ადამიანი იღებს მონაწილეობას.

მონაწილეები იყოფიან 5 ჯგუფად.

პირველი ჯგუფი: სასჯელაღსრულების სისტემის ოფიციალური წარმომადგენლები – ციხის დირექტორები, დაცვა, ექიმები, სოციალური მუშაკები, პრობაციის ოფიცრები, ციხის მასწავლებლები, მოსამართლეები, პოლიცია.

მეორე ჯგუფი: პოლიტიკოსები – სტორტინგის (საკანონმდებლო ორგანო) წევრები, ზოგჯერ მინისტრები, მრჩევლები და ადგილობრივი პოლიტიკოსები.

მესამე ჯგუფი: „ლიბერალური ოპოზიცია“ – სისხლის სამართლის პოლიტიკით დაინტერესებული პირები, სტუდენტები, დამცველი ადვოკატები, უნივერსიტეტის ლექტორები.

მეოთხე ჯგუფი: მედიის წარმომადგენლები.

მეხუთე ჯგუფი: აქტიური პატიმრები, რომლებსაც ამ შეხვედრისთვის ცოტა ხნით ათავისუფლებენ. ზოგიერთი მიდის შეხვედრაზე ბადრაგის თანხლებით. სხვებს კი ათავისუფლებენ და ისინი ჩვეულებრივი ავტობუსით აღწევენ დანიშნულების ადგილამდე. თუმცა ყველა პატიმარს არ ათავისუფლებენ. ისეთ პირებს, რომლებზეც არსებობს ეჭვი, რომ გაიქცევა, ამ შეხვედრისთვის არ ათავისუფლებენ. თუმცა, ამავე დროს, მონაწილეთა შორის შეიძლება აღმოჩნდნენ ისეთი სერიოზული დანაშაულის ჩამდენი პირებიც, როგორიცაა, მაგალითად, მკვლელობა, ნარკოტიკული დანაშაულები, შეიარაღებული თავდასხმა, შპიონაჟი. საღამოობით შესაძლოა ზოგადად სასჯელაღსრულებასთან და კონკრეტულად ციხეებში არსებული მდგომარეობის შესახებ პატიმრებს, ციხის დირექტორებს, დაცვას, პოლიციასა და ლიბერალური ოპოზიციის წარმომადგენლებს შორის განვითარებული მწვავე დისკუსიის მომსწრე გახდეთ, თუმცა მომდევნო დილით თქვენ ასევე შესაძლოა შეესწროთ მათ შორის ძალიან ტკბილ საუბარს მთებში თხილამურებით სრიალის პერსპექტივების შესახებ.[10]

გადაწყვეიტილების მიმღებ გაერთიანებულ მორალურ საზოგადოებაში პატიმრების ჩართვა ამ შეხვედრების ეფექტურ შედეგს წარმოადგენდა.

თუმცა ჩნდება მომდევნო კითხვა: რატომ მონაწილეობენ ხელისუფლების წარმომადგენლები აღნიშნულ შეხვედრებში მთაში?

---

[10] შეხვედრა ორგანიზებულია დანაშაულებთან დაკავშირებული რეფორმების საკითხზე მომუშავე ორგანიზაცია KROM-ის მიერ. ორგანიზაცია ფუნქციონირებს უკვე 30 წელზე მეტია, უმეტესად ტომას მატიესენის (Thomas Mathiesen) (1974 წელი, 1990 წელი) ინიციატივებისა და ენერგიის ხარჯზე. დროის უმეტესი ნაწილი სწორედ მატიესენი იყო ორგანიზაციის თავმჯდომარე. ის განსაკუთრებით აღნიშნავდა მსგავსი ორგანიზაციის არსებობას მიშვებულს საშუალო დინებაზე, ისე რომ ორგანიზაციას შეენარჩუნებინა გარკვეული დისტანცია როგორც, ერთი მხრივ, რადიკალური პოლიტიკური მოძრაობისგან, ისე, მეორე მხრივ, პოლიტიკური ელიტისგან. ამ მცდელობაში უმთავრესი ადგილი „დაუსრულებელის", როგორც ღირებული პირობის, მიღებას ეკავა.

ამის ზოგიერთი მიზეზი ნათელია. ძალზე სასიამოვნოა იქ, მთებში. ციხისგან ან პოლიციისგან თავის დაღწევის ძალიან კარგი საშუალება. თუმცა, ეს საკმარისი არ არის. დარჩენა ასევე შესაძლოა პრობლემებთან იყოს დაკავშირებული. ხელისუფლების წარმომადგენლები იღებენ უამრავ კრიტიკას. მწვავე დებატები, პერსონალური დაპირისპირებები – და შემდეგ მედიაში ამის ფართოდ გაშუქება.

მთაში რამდენიმე დღით ცხოვრებისგან სიამოვნების მიღებაზე მნიშვნელოვანი შესაძლოა იყოს ერთიანი მორალური საზოგადოების წევრობის ფენომენი. ნორვეგია პატარა ქვეყანაა. ისინი, ვინც პასუხისმგებელნი არიან დანაშაულის კონტროლის ფორმალური სისტემის მართვაზე, აუცილებლად იცნობენ ერთმანეთს, ან ყოველ შემთხვევაში, ერთმანეთის შესახებ იციან მაინც. ისინი თავს ვერ აარიდებენ მათ კრიტიკოსებს და კრიტიკოსებიც ვერ გაექცევიან მათ, ვისაც პასუხისმგებლობა აკისრიათ. ჩვენ  გარკვეული ფორმის სიახლოვეს გვაიძულებენ. მდგომარეობაა სრულ დამძიმებას არ ექვემდებარებ. ვინმეს შესაძლოა ჰქონდეს მტრობის ძლიერი გრძნობები, თუმცა ხშირად სადღაც მაინც არსებობს ეჭვი. იქნებ, მეორე მხარე მართალია. უცნაურია, რომ ოფიციალური პირების უმეტესობას იურიდიული დიპლომი აქვს. ისინი არიან ძველი სტუდენტები მათივე უფრო ძველი კრიტიკოსების. მონსტრები ასეთ პირობებში ვერ შლიან ფრთებს.

თუმცა ეს არის ძალზე იდეალისტური აღწერა. ხდება მონაწილეების შერჩევა. ზოგიერთი ისეთი პირი, ვინც მძიმე კანონებისა და მკაცრი წესების მომხრე და მიმდევარია, ვერც კი იოცნებებდა აღნიშნულ შეხვედრებში მონაწილეობის მიღებაზე. კომუნიკაციის დასამყარებლად შეხვედრებში საკმარისი რაოდენობის პირი მონაწილეობს ყველა მხრიდან. მონაწილეების საკმარისი რაოდენობაა სისტემაში მეტი ციხის არსებობის პროდუქტიულობის შესახებ ფუნდამენტური ეჭვის გასაღვივებლად, ან იმაში ეჭვის შესატანად, რომ ევროპაში ზოგადად და კონკრეტულად ამერიკაში არსებული ტენდენციები სასარგებლოა.

ზემოხსენებულს ადგილი აქვს არამარტო მთებში. ეს ხდება უნი-

ვერსიტეტებშიც, სადაც მოწვეულ პირებს შორის ხშირად არიან პრაქტიკოსები. და ეს ხდება ასევე კრინიმოლოგიის შესახებ სკანდინავიური კვლევის საბჭოს (Scandinavian Research Council for Criminology) ფარგლებშიც, რომელიც რეგულარულად ახდენს პრაქტიკოსებისთვის და სხვადასხვა სფეროში მკვლევარი პირებისთვის ერთობლივი სემინარების ორგანიზებას.

ასეთი შეხვედრების ზოგად შედეგს წარმოადგენდა ალბათ გარკვეულწილად არაოფიციალური მინიმალური სტანდარტის შემუშავება იმისთვის, რაც სასჯელის დაკისრებასთან მიმართებით აღიქმება, როგორც მართებული და გამოსადეგი ქმედება ყველა ადამიანისთვის. ახსნა იმისა, თუ რატომ არის სტანდარტები ისეთი, როგორიც არის, თითქმის შეუძლებელია. თუმცა ამის მცდელობა მექნება მე-13 თავში, რომელიც შეეხება დანაშაულის კონტროლს, როგორც კულტურას. ამ სტანდარტების ყველა ადამიანისთვის გამოსადეგობის საკითხთან დაკავშირებით მინდა აქვე შემოგთავაზოთ იმის დაშვება, რომ ხსენებულს გარკვეული დოზით კავშირი აქვს წარმოსახვით ძალასთან, შესაძლებლობასთან, რომ თავი სხვა ადამიანის ადგილზე წარმოიდგინო. სხვაგვარ სიტუაციაში, როდესაც დანაშაულის ჩამდენი პირი განიხილება, როგორც სხვა კატეგორიის ადამიანი, არაადამიანი ან ნივთი, შესაძლო ბოროტმოქმედებებისთვის არ არსებობს არავითარი შეზღუდვები. კოჰენი (Cohen) (1992 წელი, გვ. 12) აღწერს თანამედროვე ისრაელში გამოყენებული წამების გამართლების ერთ კონკრეტულ სახეს:

> **... ბოლოს და ბოლოს, ისინი სინამდვილეში ამას ვერც კი გრძნობენ, შეხედეთ ძალადობას, რომელსაც ისინი ერთმანეთის მიმართ ახდენენ.**

ზოგადი სტანდარტები ძალაშია იდენტიფიკაციის წყალობით, რომელიც უფრო მეტად საშიში ზომების თავიდან ასაცილებლად ფუნქციონირებს. ეს შესაძლოა ვყოფილიყავი მე, რომელიც მცნეს დამნაშავედ და გამიშვეს ციხეში. იდენტიფიკაცია ქმნის თვით სიტუაციას,

რომელსაც როულსი (Rawls) (1973 წელი) აგებს, როგორც სხვადასხვა კონფლიქტიდან გამოსავალის ინსტრუმენტს. ეს არის სიტუაცია, როდესაც გადაწყვეტილების მიმღებებმა არ იციან, კონფლიქტის რომელ მხარეს მიეკუთვნებიან. დამნაშავეებთან დაახლოებასაც მსგავსი ეფექტი აქვს. ეს იწვევს თავშეკავებულობის ყველა სახეს. როულსის თქმით, გონებრივად მოსამართლე  იგნორირების საფარქვეშ მოქმედებს. ის  ახლოს მიდის დამნაშავესთან. შესაძლოა, თვითონაც ყოფილიყო დამნაშავე. ამის შემდეგ მას გადაწყვეტილების მიღება მეტი პასუხისმგებლობით და ზრუნვით უწევს.

ჯესიკა მითფორდი (Jessica Mitford) (1974 წელი, გვ.13) ციტირებას ახდენს ნიუ-იორკერის (The New Yorker) სიტყვას ატიკას ციხის აჯანყების შემდეგ:

> **... პირველად აღმოჩნდა მილიონობით ამერიკელი დამნაშავე კრიმინალების პირისპირ. უმეტესობა ჩვენგანი საერთოდ არ იყო მზად იმისთვის, რაც ნახა... ის ხალხი, ვინც ჩვენ ტელევიზიით ვიხილეთ, არ იყო ბრბო, არამედ წარმოადგენდნენ ადამიანებს, რომლებიც შეგნებულად შეიკრიბნენ და ის მამაკაცები, რომლებიც ჩვენ ვნახეთ, არ იყვნენ სასტიკები, იმის მიუხედავად, რომ მათ, შესაძლოა, ბევრი სისასტიკე განეცადათ თავის თავზე — ისინი იყვნენ ნამდვილი მამაკაცები, რომლებიც თავიანთი ღირსების შესაბამისად მოქმედებდნენ.**

ატიკას ტრაგედიის შემდეგ  კვლავ ნორვეგიას და მის ბანალურობებს დავუბრუნდეთ.

## 4.2 ტკივილის მოლოდინში

დროის გარკვეული პერიოდის მანძილზე ჩვენს ციხეებში არ იყო საკმარისი ადგილი. ასეთი კრიზისული სიტუაციიდან გამოსავალი ნათლად ჩანდა. ჩვენ ნება დავრთეთ მსჯავრდებულებს, რომ  თავიანთ რიგს დალოდებოდნენ. 1990 წელს ციხეში იჯდა 2,500 ადამიანი, თუმცა 4,500 მომლოდინე რეჟიმში იმყოფებოდა. ჩვენ ისინი რიგში დავაყენეთ და ნება დავრთეთ, დალოდებოდნენ ციხეში მიღებას.

ხელისუფლების წარმომადგენლები შერცხვენილები იყვნენ. მოლოდინის სიები ბაღისთვის, მოლოდინის სიები საავადმყოფოებისთვის, მოლოდინის სიები სახლის ექთნებისთვის და, ყველაფერ ამასთან, მოლოდინის სიები ტკივილის მისაღებად. ეს არ შეიძლებოდა ნორმალური ყოფილიყო.

ჩემთვის გასაგები იყო ის უხერხულობა, რომელიც ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის მხვდებოდა, განსაკუთრებით კი, როდესაც ვცდილობდი აღნიშნულის შესახებ ინგლისში ან აშშ-ში ამეხსნა. თითქოს, ამ ქვეყნების მოქალაქეები საკუთარ ყურებს არ უჯერებდნენ, როდესაც მოლოდინის სიების შესახებ ესმოდათ. მოლოდინის სიები პატიმრობისთვის? ეს ძალზე უცნაურად, დისონანსურად ჟღერს, როგორც დებიუსის კომპოზიციის შუა ნაწილში აჟღერებული მძიმე როკი.

რატომ?

უხერხულობა იქმნებოდა იმის გამო, რომ ასეთი რამ ჩამოყალიბებულ სტერეოტიპებს უპირისპირდებოდა და ეწინააღმდეგებოდა. სტერეოტიპებს როგორც პატიმრებზე, ისე – ციხის ფუნქციონირებაზე. ჩვენ ყველამ ვიცით უმთავრესი წესი პოლიციელების და ქურდების თამაშის დროს. პოლიციამ უნდა დაიჭიროს ქურდები, ჩაყაროს და გამოკეტოს ისინი ციხეში. ეს არის ძალზე მძიმე და სახიფათო სამუშაო. თუკი „ცუდ ტიპებს" მიეცემათ შესაძლებლობა, ისინი გაიქცევიან. ეს იყო ბავშვობის თამაში. ეს არის თამაში მედიაში, სცენარის მიხედვით განვითარებული რეალობა. კრიმინალი დაპატიმრებულია, დაკავებულია, სანამ ელოდება სასამართლოს, რის შემდეგაც თავისი სასჯელის მოსახდელად პირდაპირ ციხეში მიემართება.

და ზოგიერთ მძიმე შემთხვევაში აღნიშნული დახასიათება სრულ სიმართლეს შეესაბამება. თუმცა ყველა შემთხვევა ასეთი მძიმე არ არის. შესაბამისად, ჩნდება დისონანსი. დაკავებული პირების უმეტესობა ჩვეულებრივ ადამიანს წარმოადგენს და არა რაღაც განსაკუთრებულ ჯიშს, ან ბანდიტს. მათ უბრალოდ ადანაშაულებენ გარკვეულ

ქმედებაში, ისინი არ არიან გარეული ცხოველები. მათ შეუძლიათ მოიცადონ, ჩვენ ყველას შეგვიძლია მოვიცადოთ და დრამაც აღარ არსებობს.

რიგის ფენომენი სტერეოტიპებთან ჰარმონიაში ვერ მოდის.[11] რიგის აღიარება ნიშნავს იმის აღიარებას, რომ რიგში მდგომები შესაძლოა არ არიან საშიშები, არ არიან ურჩხულები. საბოლოო ჯამში ხომ ისინი ციხეში არა საზოგადოების დაცვის გამო, არამედ სულ სხვა მიზეზით მიდიან. აღნიშნული კი გვაიძულებს შესაბამისად ვიმოქმედოთ. სწორედ ამიტომაა, ხსენებული რიგი რომ კარგი მოვლენაა, თუმცა ის ასევე ცუდიცაა იმათთვის, ვინც მოლოდინის რეჟიმშია. ძნელია მომავლის დაგეგმვა, როდესაც მოლოდინის რეჟიმში ხარ. და ის ადამიანებიც, რომლებიც ელოდებიან, არ არიან ბედნიერები, იციან რა, რომ ტკივილი აუცილებლად მოვა. ზოგიერთი რჩება ძალზე პასიურად თავის საცხოვრებელში, ისე, თითქოს უკვე ციხეში იყოს. მათ იციან, რას უნდა ელოდონ. ახალბედებისთვის უფრო ადვილია. მათ არ იციან, რას უნდა მოელოდონ.

დღეს, 1999 წელს, მოლოდინის სიები აღარ არსებობს. თუმცა, მიუხედავად ამისა, ზოგიერთი კვლავ ელოდება. უფრო პატარა რიგია, ეს არის უმთავრესი განსხვავება. თუმცა, ზოგადი მდგომარეობა კვლავ მსგავსია. სასჯელმისჯილი ადამიანები იღებენ წერილებს ინსტრუქციებით და მითითებებით, თუ როდის და სად უნდა მოიხადონ მათ სასჯელი, ისინიც ალაგებენ თავის კბილის ჯაგრისს და ციხის წინ ჩნდებიან დათქმულ დროს. ეს ხდება ისე, როგორც ცივილურ საზოგადოებაში უნდა ხდებოდეს.

---

11 სასამართლო პროცესის მოლოდინი კიდევ სხვა ფენომენია. აქ „ცუდიანი“ კონტროლქვეშ უნდა იყოს მოქცეული და თამაშიც სცენარის მიხედვით ვითარდება და არა მის საწინააღმდეგოდ. მხოლოდ ის ხალხი, ვინც დაინტერესებულია სამოქალაქო უფლებებში ხანდახან აღნიშნავს, რომ ხსენებული მოლოდინი შესაძლოა გამამართლებელი განაჩენის გამოტანით დასრულდეს.

ეს სიმართლეა, თუმცა სრულ ჭეშმარიტრებას არ წარმოადგენს. ყველა არ ჩნდება. ისეთი პირებიდან უმრავლესობა, ვისაც ქვეყნის უმთავრეს ციხეებში ხანგრძლივი დროით აქვთ პატიმრობა მისჯილი, დათქმულ დროს ჩნდებიან, ისევე, როგორც მანქანის მთვრალ მდგომარეობაში მართვის გამო დაკავებული პირები. თუმცა ისეთი პირები, რომლებიც ჩვეულებრივი საზოგადოების ზღვარს მიღმა იმყოფებიან, ლოთები, მძიმე ნარკომანები, რომლებსაც არ გააჩნიათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ან ცხოვრობენ ჰოსტელებში, არ ემორჩილებიან აღნიშნულ წესს. „როგორც ამას ავიაკომპანიები აკეთებენ, ჩვენ არსებულ ადგილზე მეტი ბილეთი უნდა გავყიდოთ“, ამბობს ციხის ინსპექტორი ალფ ბიარნ ოლსენი (Alf Bjarne Olsen). „ორშაბათს ჩვენ გვექნება ორი თავისუფალი საკანი, არადა ხუთი ადამიანი დავიბარეთ მათ დასაკავებლად. თუ ისინი ყველანი გამოცხადდებიან, სამ მათგანს სხვა ციხეში გავუშვებთ“. აღნიშნული წარმოადგენს არსებულ ტენდენციას მთელი ქვეყნის მასშტაბით, გამონაკლისია ვესტრე სლიდრეს სამუშაო-კოლონია (work-colony of Vestre Slidre), სადაც დაბარებულთაგან 95% დანიშნულ დროს ჩნდება. ინსპექტორი ოივინდ კიელდსბერგის (Oyvind Kjeldsberg) განმარტებით: „პოლიცია ესაუბრება ყველას, ვინც უნდა მოიხადოს სასჯელი. ისინი ეუბნებიან პოლიციას, როდის აწყობთ სასჯელის მოხდა და ჩვენც ამით მთელ რიგ პრობლემებს ვიცილებთ თავიდან“.[12]

## 4.3 ᲫᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ – ᲘᲡᲘᲜᲘ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲨᲘᲜᲔᲚᲔᲑᲐ

თუმცა სკანდინავიური მონაცემებიც მერყეობდა. ამის მაგალითად შეგვიძია ნორვეგია მოვიყვანოთ. დიაგრამა 4.3-1 გვიჩვენებს ნორვეგიაში ყოველ 100,000 მოსახლეზე პატიმრების რაოდენობას 1814 წლიდან მოყოლებული, ანუ იმ დროიდან, როდესაც უკვე გვაქვს კონსტი-

12 Aftenposten, 21 აგვისტო, 1999 წელი, გვ. 2.

ტუცია, დღემდე. დიაგრამას აქვს უშველებელი მთის ფორმა, რომლის წვერიც ცალსახად მიუთითებს წინა საუკუნის შუა პერიოდს, რომელსაც პატიმრების რაოდენობის მხრივ ამ საუკუნის განმავლობაში შესაბამისად დაბალი და სტაბილური მონაცემები მოჰყვება.

1814 წლიდან ციხეში განთავსებული პატიმრების რაოდენობის ზრდის ახსნა შეუძლებელი არ არის. მე-18 საუკუნის უკან მოტოვება ასევე ნიშნავდა უამრავი სიკვდილით დასჯის, ისევე როგორც გამათრახების, შუბლზე ქურდის დაღის დასმის, თითების მოჭრისა თუ სხვა სასჯელის მიტოვესაბასაც. ფიზიკური ტანჯვიდან თავისუფლების აღკვეთამდე გადასვლის შესახებ გადმოცემული იყო 1815 წლის 15 ოქტომბრის აქტში:

**ხელის დაკარგვის მაგივრად — 10 წლით თავისუფლების აღკვეთა; ხელის გახვრეტის და დაღის დასმის მაგივრად — 2 წლით თავისუფლების აღკვეთა; და მხოლოდ ხელის გახვრეტის მაგივრად — 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.**

თუმცა, ზემოხსენებულმა ტრანსფორმაციამ სხვა პრობლემები წარმოშვა. პირველი და უმთავრესი პრობლემა იყო ციხის მთლიან სისტემაზე გაზრდილი წნეხი. თუ ადრე დაპატიმრება სასჯელის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენდა, ახლა ის სასჯელის უმთავრეს ფორმად იქცა. პენიტენციური და სასჯელაღსრულების სხვა ინსტიტუტები დანაშაულთან ბრძოლაში მთავარ ძალად გადაიქცნენ. 1814 წლიდან 1843 წლამდე პატიმრების ყოველდღიური რიცხვი ნორვეგიაში 550-დან 2,325-მდე გაიზარდა. ყოველ 100,000 მოსახლეზე ეს 61-დან 191 პატიმრამდე ზრდას წარმოადგენდა. თუმცა, კვლავ რაღაც მოხდა. 1842 წლიდან საუკუნის ბოლომდე სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული უამრავი ცვლილების შესაბამისად ყველაფერი იმ მიმართულებით მიდიოდა, რომ პატიმრობის ვადები უნდა შემცირებულიყო, ან სრულებით გაუქმებულიყო. 1843 წლიდან, როდესაც დაპატიმრებების რიცხვმა კულმინაციას მიაღწია, საჭირო გახდა 42 წელი, რათა მონაცემები 1814 წლის დონეს დაბრუნებოდა. ამ საუკუ-

ნის განმავლობაში ნორვეგია ასე თუ ისე ახერხებს დაპატიმრებების აღნიშნული დონის შენარჩუნებას.

**დიაგრამა 4.3-1. ნორვეგიაში ყოველ 100,000 მოსახლეზე პატიმრების რაოდენობა 1814-1998 წლებში**




ზემოხსენებულ განვითარებებს ცოტა აქვთ საერთო ნორვეგიაში იმ პირების რაოდენობასთან, რომლებიც დამნაშავედ სცნეს. დიაგრამა 4.3-2 ასახავს ყოველ 100,000 მოსახლეზე 1837 წლიდან 1997 წლამდე პატიმრების რაოდენობას. როგორც ვხედავთ, თუ შევადარებთ ორ დიაგრამას, იმ პირების რაოდენობა, რომლებიც დამნაშავედ სცნეს, მთელი მე-19 საუკუნის განმავლობაში რჩება შესაბამისად სტაბილუ-

**დიაგრამა 4.3-2. ნორვეგიაში 1835-1997 წლებში ყოველ 100,000 მოსახლეზე დამნაშავედ ცნობილი პირების რაოდენობა**




რი, მაშინ, როდესაც პატიმრების რიცხვი იკლებს 1843 წლის კულმინაციის დროს არსებული რიცხვის მეოთხედამდე. იმ პირების რაოდენობის ზრდა, რომლებიც დამნაშავეებად სცნეს, 1960 წლამდე არ აღინიშნება. თუმცა, ეს ციხეში არსებულ მონაცემებზე გავლენას არ ახდენს.

* * *

ციხის მონაცემები შესაძლოა განვიხილოთ, როგორც ინდიკატორი ქვეყანაში დანაშაულთან მიმართებაში არსებული მდგომარეობისა. დამნაშავე იწყებს, სამართალდამცავი რეაგირებს. ციხეში პატიმრების რიცხვის ზრდა განიხილება, როგორც დანაშაულის ზრდის ინდიკატორი, მაშინ, როდესაც კლება მიუთითებს, რომ დანაშაულთან მიმართებით მდგომარეობა მნიშვნელოვნად გამოსწორდა. ან იმავე ისტორიულ პერიოდში, ისეთი საზოგადოება, სადაც სასჯელის მაღალი დონეა, განიხილება, როგორც საზოგადოება, სადაც დანაშაულის დონეც მაღალია, მაშინ, როდესაც სხვებთან, ვისაც სასჯელების შედარებით დაბალი დონე აქვთ, დანაშაული არ ხდება და სრული სიმშვიდე

სუფევს. ეს არის ციხეში არსებული მონაცემების ტრადიციული განმარტება და ინტერპრეტაცია.

თუმცა, აღნიშნული ინტერპრეტაცია მეორე თავში მოცემულ პერსპექტივებს ეწინააღმდეგება, ისევე, როგორც ეწინააღმდეგება პატიმრების გეოგრაფიულ გადანაწილებას. ჩვენ აღვნიშნეთ ისეთი ქმედებების ულიმიტო რეზერვუარის შესახებ, რომლებიც დანაშაულად შეიძლება აღიქმებოდეს. ასეთ შემთხვევაში, რუკაზე არსებული ციხის მონაცემების ალტერნატიული განმარტება იქნება მონაცემების დანახვა, როგორც უთვალავი გავლენის საბოლოო პროდუქტი: სოციალური სტრუქტურის სახე, ხალხს შორის არსებული მანძილი, რევოლუციები ან პოლიტიკური გამოსვლები, სამართლებრივი აპარატის სახე, ეკონომიკური ინტერესები ან ინდუსტრიული ძვრები. დროის ნებისმიერ მონაკვეთში ის, რაც აღიქმება, როგორც დანაშაული, აუცილებლად ითამაშებს გარკვეულ როლს. ეს არის ერთ-ერთი ძალა. ერთი უამრავთაგანი. თუმცა, თუ ციხის მონაცემებს შევხედავთ, როგორც ქვეყანაში დანაშაულის მხრივ არსებული მდგომარეობის ინდიკატორს, პერსპექტივები გაცილებით ვიწროვდება.

ყოველივეს გათვალისწინებით, გადავიდეთ ფინეთზე.

## 4.4 პოლიტიკური იდენტობა

სკანდინავიის ქვეყნებს შორის ფინეთი დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა დაპატიმრებების მიწად. *დიაგრამა 4.4-1* გვიჩვენებს ზოგად სურათს. იკვეთება სამი ტენდენცია.

პირველი, განვითარების მხრივ არსებული საწყისი მსგავსებები 1918 წლამდე. თუმცა ამ ეტაპს მოჰყვა დევიაცია. 1918 წელს ფინეთის ციხეებში არსებული მონაცემები სწრაფად გაიზარდა ყოველ 100,000 მოსახლეზე 250 პატიმრით. შემდგომ ეს რიცხვი დიდი ხნის განმავლობაში მერყეობდა ყოველ 100,000 მოსახლეზე დაახლოებით 200 პატიმრამდე, მაშინ როდესაც, ფინეთთან შედარებით, სკანდინავიის

სხვა ქვეყნებში ციხეში არსებული პატიმრების რაოდენობის შესახებ მონაცემები სტაბილურად და მოკრძალებულად მერყეობდა ყოველ 100,000 მოსახლეზე 50-დან 100 პატიმრამდე.

მესამე განვითარებას უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვანი ვარდნა წარმოადგენს, რომელიც ნაჩვენებია დიაგრამაზე 4.4-2, სადაც გამოსახულია 1975 წლიდან 1998 წლამდე არსებული განვითარება. დაპატიმრებების მხრივ ლიდერის პოზიციიდან — ზოგადი ევროპული სტანდარტებითაც კი — ფინეთმა სიის თითქმის ბოლოში გადაინაცვლა.

ეროვნულ-პოლიტიკური პერსპექტივიდან თუ შევხედავთ, აღნიშნული სამი ეტაპი ძალზე პარადოქსულია. 1809 წლიდან მოყოლებული ფინეთი რუსეთის ნაწილად ითვლებოდა, თუმცა მისი სისხლის სამართლის პოლიტიკა ცალსახად სკანდინავიური იყო. 1919 წლიდან ფინეთმა დამოუკიდებლობა მოიპოვა, თუმცა დატოვა სკანდინავიური ოჯახი და გახდა უფრო მკაცრი და დამსჯელი. მაგრამ შემდგომ, ბოლო ეტაპისთვის ფინეთმა დაპატიმრებების გამოყენების ლიმიტირებით სკანდინავიის ყველა ქვეყანა უკან ჩამოიტოვა.

**დიაგრამა 4.4-1. სკანდინავიაში პატიმრების რაოდენობა ყოველ 100,000 მოსახლეზე 1886-1998 წლებში.**[1]



1. იმ პატიმართა რაოდენობის შესახებ მონაცემები, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ გერმანელებთან თანამშრომლობდნენ, ნორვეგიისთვის გამოტოვებულია. 1886 წლის მერე ფინეთში არსებული რიცხვები მეტად არ გაზრდილა. ეს ხდებოდა მანამ, სანამ ციმბირში დეპორტაციები დასრულდებოდა. საერთო ჯამში, 3,236 ფინელი პატიმარი გადაასახლეს 1826–1888 წლებში. ნორვეგიის რიცხვები შედარებით დაბალია დასაწყისში, რადგან არ ითვლებოდნენ ის პირები, რომლებიც ქვეყნის უკიდურეს ჩრდილოეთში მეთევზეობის სფეროში იძულებით სამუშაოებს ასრულებდნენ (ან მდედრობითი სქესის წარმომადგენლები, რომლებიც საყოფაცხოვრებო სამუშაოებით იყვნენ იქვე დაკავებულნი). შვედეთის რიცხვებიც ძალზე დაბალია, იქიდან გამომდინარე, რომ გარკვეული ადმინისტრაციული გადაწყვეტილებები ჩათვლილი არ არის.

ზემოხსენებულთან დაკავშირებით პასუხები შეგვიძლია მივიღოთ, თუკი უფრო საფუძვლიანად და დეტალურად გადავხედავთ ისტორიას. ყურადღება გამახვილებული იქნება 1918 წლიდან არსებულ განვითარებებზე. ყველაზე მარტივია, ავხსნათ ის დრამატული ზრდა, რაც 1918 წლის შემდეგ განვითარდა. 1918 წელი იყო დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის წელი, რომელსაც წარმოუდგენლად სასტიკი სამოქალაქო ომი მოჰყვა. ამ სამოქალაქო ომში დამარცხებულებიდან რვა ათასი მაშინვე სიკვდილით დასაჯეს, დამატებით 100,000 პირი კი ციხის ბანაკებში დაიღუპა.

**დიაგრამა 4.4–2. ფინეთში პატიმრების რაოდენობა ყოველ 100,000 მოსახლეზე 1975–1998 წლებში**



მოსახლეობაში აღნიშნული უმნიშვნელოვანესი ხლეჩვები გაგრძელდა იქამდე, სანამ არ შეიქმნა საშინაო ერთობა, რომელიც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ წარმოებული ორი სასტიკი მსოფლიო ომის (პირველი – 1939-40 წლებში, მეორე – 1941-დან 1944 წლამდე) შედეგად წარმოიქმნა. ფინეთი შეჩვეული იყო ტკივილისა და ტანჯვის ისეთ დონესთან, რომელიც ახლოსაც ვერ მივიდოდა ტკივილის იმ დონესთან, რომელიც სკანდინავიაში არსებობდა.

დიდი ხნის განმავლობაში კ. ჯ. ლანგი (K.J. Lang) ფინეთში პენიტენციური სისტემის გენერალურ დირექტორს წარმოადგენდა. მას არანაირი ილუზია არ გააჩნია იმის შესახებ, თუ რატომ უნდა იყოს ციხეში პატიმრების დიდი რაოდენობა (ლანგი 1989 წელი, გვ. 83-84, ჩემს თარგმანში):

> **...პატიმრების რაოდენობას ძალზე მცირე აქვს საერთო დანაშაულთან. პატიმრების რიცხვი უფრო გამოწვეულია საზოგადოების თავდაჯერებულობასა და პოლიტიკურ თანასწორობასთან მიმართებით ქვეყანაში შექმნილი ზოგადი მდგომარეობით. სამი ომის განმავლობაში არსებული პოლიტიკური დაძაბულობა, 1930-იანებში მემარჯვენეების მოძრაობები და კრიმინალური კომუნისტური მოძრაობა (იმ დროის) სკანდინავიის სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით ფინეთში დაპატიმრებების უფრო მეტად გამოყენების საფუძველი გახდა. ...კანონმდებლობა იქამდე მივიდა, რომ ჩვენ მივეჩვიეთ დასჯის მაღალ დონეს, სხვადასხვა დანაშაულისთვის ხანგრძლივი პატიმრობებით. ...1970-იანების განმავლობაში ფინეთს ნორვეგიასთან შედარებით სამჯერ მეტი პატიმარი ჰყავდა. იმიტომ კი არა, რომ ფინეთი სამჯერ მეტ პატიმარს აგზავნიდა ციხეში, არამედ იმიტომ, რომ თითოეული პატიმარი ციხეში ატარებდა დაახლოებით სამჯერ უფრო მეტ დროს, ვიდრე ნორვეგიაში.**

თუმცა, შემდეგ იბადება კითხვა რიცხვების დაღმასვლასთან დაკავშირებით. რა დგას ფინეთში პატიმრობის გამოყენების მხრივ უკანასკნელ წლებში განვითარებული დრამატული დაღმასვლის უკან? დაღმასვლის ერთ-ერთ მიზეზად შესაძლოა დასახელდეს ის, რომ აღმასვლის და ზრდის მიზეზი აღარ არსებობს. თუმცა, ეს ახსნისთვის საკმარისი არ არის. რჩება ასევე სოციალური ვითარება, მოძველებული ინტერესები. რაც არის, არის, იმიტომ რომ არის. თუმცა, ფინეთში

რაღაც მოხდა, რასაც პატრიკ ტორნუდი (Patrik Tornudd) (1991) აღწერს. ის მიუთითებს წარსულში განვითარებულ მოვლენათა, იდეოლოგიური ერთობისა და ასევე რამდენიმე თავისი საქმისადმი ერთგული ადამიანის დაუღალავი შრომის უნიკალურ კომბინაციაზე.

ტორნუდის თანახმად, უპირველესყოვლისა, საჭიროა პრობლემა აღიქმებოდეს, როგორც პრობლემა. ამის გასაკეთებლად აუცილებელია გავითავისოთ ის ფაქტი, რომ ფინეთში პატიმრების რაოდენობა განსაკუთრებით დიდი იყო. ასევე, აუცილებელია, გავიგოთ, რომ ეს არ იყო გამოწვეული ფინეთში დანაშაულის უცნაურად მაღალი დონით. და ბოლოს, აუცილებელია, უარვყოთ ნებისმიერი მცდელობა იმისა, რომ პატიმრების დიდი რაოდენობა არის ის, რითიც უნდა ვიამაყოთ, მაგალითად, პატიმრების რაოდენობა, როგორც სისხლის სამართლის სისტემის სიმტკიცისა და პრინციპულობის ინდიკატორი, ან ინდიკატორი იმისა, რომ სისტემა მზადაა, დახარჯოს თავისი რესურსები რეაბილიტაციის გასახანგრძლივებლად და საზოგადოების დასაცავად.

ტორნუდის მიხედვით, პროფესიონალმა კრიმინოლოგებმა საჭირო ბაზა და მონაცემები წარმოადგინეს. მათი დოკუმენტაციის თანახმად, თავისი პატიმრების რაოდენობით ფინეთი სკანდინავიის სხვა ქვეყნებისგან საკმაოდ განსხვავდებოდა. კრიმინოლოგებმა უარყვეს ზემოხსენებულის პოპულარული განმარტება – რომ დანაშაული ფინეთში საკმაოდ განსხვავდებოდა სკანდინავიის სხვა ქვეყნებში არსებული დანაშაულისგან. მაგრამ ეს არ იქნებოდა საკმარისი ციხეში განთავსებული პატიმრების რიცხვის შესამცირებლად. ექსპერტები არა მხოლოდ წარმოადგენდნენ მნიშვნელოვან ინფორმაციას, ისინი ასევე ისეთ პოზიციაზე იმყოფებოდნენ, რომ ვითარების შეცვლაც შეეძლოთ. ტორნუდი წერს (გვ. 5-6):

**...სკანდინავიის ქვეყნები ზოგადად შეიძლება დახასიათდეს, როგორც საკმაოდ ექსპერტ-ორიენტირებული ქვეყნები და ფინეთი ყველაზე ექსპერტ-ორიენტირებული ქვეყანაა მათ შორის. უდავოდ, სიმართლეს შეესაბამება**

ის, რომ ფინეთში საარჩევნო კამპანიების დროს დანაშაულის კონტროლი არასოდეს ყოფილა ცენტრალური პოლიტიკური საკითხი.

...

მაგრამ ის ფაქტი, რომ მთელი რიგი ისეთი რეფორმების გატარება გახდა შესაძლებელი, რომელთა მიზანიც ქვეყანაში სასჯელის დონის შემცირება იყო, საბოლოოდ დამოკიდებული იყო იმ ფაქტზე, რომ ექსპერტების მცირე ჯგუფი, რომლებსაც რეფორმების ორგანიზება ევალებოდათ ან რომლებიც კვლევით ინსტიტუტებსა თუ უნივერსიტეტებში დანაშაულის კონტროლის ექსპერტებად მუშაობდნენ, თითქმის ერთსულოვნად აღიარებდნენ, რომ ფინეთში პატიმრების საერთაშორისოდ მაღალი რიცხვის არსებობა იყო სირცხვილი და რომ შესაძლებელი იყო კრიმინალურ მდგომარეობაზე სერიოზული გავლენის მოხდენის გარეშე ციხეში პატიმრების რიცხვის და პატიმრობის ხანგრძლივობის მნიშვნელოვნად შემცირება.

ტორნუდის დასკვნით (გვ. 13):

ფინეთში გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენდა ის, რომ საჯარო პირები, სასამართლო და ციხის ადმინისტრაცია მოქმედებით იყვნენ მზად, პატიმრების რიცხვის შესამცირებლად მათ ხელთ არსებული ყველა საშუალება გამოეყენებინათ. პირთა ჯგუფის მცდელობების შედეგად, შესაძლებელი გახდა ფინეთის ციხეებში პატიმართა რაოდენობის პრობლემად აღქმა, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა რიგი აქტივობებისა, დაწყებული სამართლებრივი რეფორმებით და დამთავრებული შედარებით დაბალი დონის, ყოველდღიური გადაწყვეტილებებით. ყველაფერმა ამან კი საბოლოო შედეგის დაფიქსირებაში თავისი წვლილი შეიტანა.

მაგრამ, რატომ უნდა ჩათვალონ ფინელებმა მსოფლიო ომის შემდეგ, რომ მათ ციხეებში განთავსებულ პატიმართა რაოდენობა არ არის ნორმალური? თუ გაიხედავდნენ საბჭოთა კავშირის მიმართულებით, ეს რიცხვები არანორმალური არ იქნებოდა. თუმცა, სწორედ ამ მიმართულებით ფინელებს გახედვა არ სურდათ. ფინეთის სასჯელაღსრულების ისტორია ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ციხეში პატიმართა რაოდენობა არ არის განპირობებული დანაშაულებით, არამედ განპირობებულია კულტურულ/პოლიტიკური გადაწყვეტილებებით. პატიმართა რაოდენობა ემყარება გადაწყვეტილებას, თუ რა სახის საზოგადოების ნაწილი გვინდა რომ ვიყოთ.

სკანდინავიელებისთვის ფინეთი რუსეთამდე ნახევარ გზაზეა გან-ლაგებული. რუსებითვის ეს ქვეყანა, როგორც სახლი, ალბათ, ისეა. სანქტ-პეტერბურგიდან ჰელსინკიმდე მატარებლით მგზავრობას სულ რამდენიმე საათი სჭირდება და ისეთი გრძნობაა, თითქოს სანქტ-პეტერბურგის ასლში ჩადიხარ. სანქტ-პეტერბურგი და ჰელსინკი, ჩრდილოეთში ორი ყველაზე დიდი და ლამაზი ქალაქი, რომელთა დიზაინზეც ქალაქის ერთმა დამპროექტებელმა იზრუნა, ორივე ერთი და იმავე არქიტექტორის მიერ აშენდა და გარკვეული პერიოდის მან-ძილზე ერთი მეფის (Tzar) მიერ იმართებოდა, მსგავსი ადმინისტრა-ციულ-ბიუროკრატიული სისტემით და ციხეების მსგავსი ტიპით.

ფინეთში ჩემი ყველაზე პირველი ლექციითვის ფაქტებითა და რიც-ხვებით მოვემზადე. ეს ხდებოდა სამოციანებში. ფინეთს იმ დროისთვის ყოველ 100,000 მოსახლეზე 160 პატიმარი ჰყავდა, განსხვავებით დანიის, შვედეთის და ნორვეგიისგან, სადაც პატიმრების რაოდენობა 44-დან 69-მდე მერყეობდა. ახლაც მახსოვს სისხლის სამართლის ერთ-ერ-თი პროფესორის გაოცებული სახე, როდესაც აღნიშნული მონაცემები წარვადგინე: ნუთუ, ფინეთში მართლა ასე შორს ვართ სკანდინავიის სხვა ქვეყნებთან შედარებით? ეს მისთის და ასევე აუდიტორიაში რამ-დენიმესთვის ნამდვილი შოკი იყო.

რატომ?

პოლიტიკური მიზეზით. პატარა ფინეთი, რომელიც საბჭოთა კავ-შირთან ახლოსაა, მათ აქვთ საერთო ისტორია, სახიფათო ბედ-იღ-ბალი. ასეთ სიტუაციაში, ფინეთმა მფარველობა, კულტურული დაცვა ითხოვა და წავიდა დასავლეთით, გააბა კავშირები სკანდინავიასთან და გახდა სკანდინავიელი. ციხეები კულტურულ სიმბოლოს წარ-მოადგენს. ფინეთში კრიმინალურ პოლიციაზე გარკვეული პასუხისმ-გებლობებით აღსავსე ინტელექტუალურ-ადმინისტრაციული ელიტა მოქმედებას შეუდგა. წლიდან წლამდე ინკერი ანტილა (Inkeri Anttila), პატრიკ ტორნუდი (Patrik Tornudd) და კ. ჯ. ლანგი (K.J. Lang) წინ წევდ-ნენ და აქტუალურს ხდიდნენ სასჯელაღსრულების პოლიტიკას, რაც,

საბოლოო ჯამში, ჩვენს რუქებზე ციხეებში პატიმრების რაოდენობაში აისახა. თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მათ პატიმართა შემცირებასაც მიაღწიეს; კანონები შეიცვალა, ჯარიმები გამოიყენებოდა უფრო მეტად, ციხეები – ნაკლებად. ციხის მონაცემები არტეფაქტებს არ წარმოადგენს; ისინი გადაეცემა მნიშვნელოვან მონაწილეებს, რომლებიც თავისი დროის უმნიშვნელოვანეს ღირებულებებსა და მიზნებს ირეკლავენ.

ჩვენ განუწყვეტლივ ვხვდებოდით ასეთ ხალხს და მათ მსგავსებს სკანდინავიის ყველა სახის კრინიმოლოგიურ და სამართლებრივ ასოციაციებში. ჩვენ შევხვდით სერიოზული სამეცნიერო ამოცანების შესასრულებლად, თუმცა, ამავე დროს, ჩვენ ასევე საერთო კულტურასაც ვაშენებდით. ეს იყო რთული ამოცანა, განსაკუთრებით კი ფინელებისთვის. შეხვედრებზე ჩვენ სკანდინავიურად ვსაუბრობდით, დანიელები – დანიურად, ნორვეგიელები – ნორვეგიულად, შვედები კი – შვედურად. აკადემიური წარმომადგენლობა ამ სამ ქვეყანაში შედარებით ადვილად უგებდა ერთმანეთს, თუმცა ეს არ ეხებოდა ფინელებს. ისინი ცდილობდნენ შვედურად, მათ მეორე ენაზე, ესაუბრათ. შვედური ენა კი იმ დროისთვის იყო იმის სიმბოლო, რომ სკანდინავიას ეკუთვნოდი. ის ასევე დასავლეთთან მნიშვნელოვან ლინკსაც წარმოადგენდა. კავშირს, რომელიც ნეკლებად პროვოკაციული იყო სტალინისთვის, ვიდრე ეს რომ ყოფილიყო ინგლისური ან გერმანული.

დღესდღეობით, ეს ყველაფერი იცვლება. ფინელები თავიანთ ნაშრომებს უფრო და უფრო ინგლისურად წარმოადგენენ. ფინეთი ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (NATO), ისევე, როგორც ევროპული გაერთიანების წევრი გახდა. უკვე ისეთი მნიშვნელოვანი აღარ არის სხვადასხვა სიმბოლოებით, ენით თუ სასჯელაღსრულების სისტემით სკანდინავიას მიეკუთვნებოდე. ფინეთის ციხის მონაცემებზე ზემოხსენებულის შედეგებს ჯერ კიდევ ვნახავთ – 1960-იანებიდან მოყოლებული სკანდინავიელებიდან ზოგიერთი კვლავ ხელისუფლებაშია.

## 4.5 ᲑᲐᲚᲢᲘᲘᲡ ᲢᲔᲡᲢᲘ

ძალზე საინტერესოა ბალტიისპირეთის ქვეყნებში არსებული განვითარებების მიმოხილვა. ბალტიისპირეთს წარმოადგენენ ქვეყნები, სადაც მდგომარეობა დაახლოებით ისეთივეა, როგორიც იყო ფინეთში. არიან რა განლაგებულნი რუსეთთან ახლოს და ამ სიახლოვით არიან შეშინებულნი, ბალტიის ქვეყნებს სკანდინავიის ქვეყნებთან თანამშრომლობის დიდი სურვილი უჩნდებათ და შესაბამისად, ინტენსიურ კულტურულ და ეკონომიკურ თანამშრომლობას ეყრება საფუძველი. მაგრამ, როგორც ეს რუქიდან იკვეთება, ჩვენ ვხვდებით არსებით განსხვავებას, როდესაც პატიმრების რაოდენობას სკანდინავიის ქვეყნებში ვადარებთ ბალტიისპირეთის ქვეყნებში ამ მხრივ არსებულ მდგომარეობას.

შესაბამისად, მსოფლიოს ჩემს კუთხეში ისმის კითხვა: სასჯელაღსრულების სისტემის განვითარების მოდელის სანახავად, რომელ მხარეს გადაიხრებიან ბალტიის ქვეყნები — დასავლეთით, სკანდინაველი მეზობლებისკენ, თუ — ჩრდილო-აღმოსავლეთით, რუსეთის მიმართულებით? ჩემი რჩევა ბალტიისპირეთის ქვეყნებისთვის ეფუძნება ფინეთის გამოცდილებას. ბალტიისპირელ კოლეგებთან შეხვედრებისა და სემინარების დროს ვცდილობ ფორმულირება მოვახდინო აზრისა, რომელიც კულტურული იდენტობის არჩევანს შეეხება. დღესდღეობით ბალტიის ქვეყნებში არსებული სისხლისსამართლებრივი განვითარება ფინეთის მაგალითისგან რადიკალურად განსხვავებული მიმართულებით ხდება. არიან ისინი ზემოხსენებულის მოსალოდნელი შედეგების შესახებ ინფორმირებულნი? იქნებ, ამ ქვეყნებში არჩევანი უნდა გააკეთონ. ნათელია, რომ მათ დასავლეთთან და სამხრეთთან ზოგადკულტურული კავშირების განახლება სურთ, თუმცა როცა საქმე სისხლისსამართლებრივ პოლიტიკას ეხება, ამ შემთხვევაში რუსეთთან არსებულ კავშირებს ითვალისწინებენ? ან სკანდინავიის პერსპექტივიდან, არის თუ არა შესაძლებელი, ერთი

მხრივ, ქვეყანასთან პოლიტიკურად და კულტურულად ძალზე მჭირდო კავშირში იმყოფებოდე და, ამავე დროს, რადიკალურად შორს იდგე ტკივილის მიყენების საკითხებთან მიმართებით?

## 4.6 ტოლერანტობა ზემოდან

ნიდერლანდები, ერთი პატარა, მჭიდროდ დასახლებული და ძალზე განვითარებული ქვეყანა, რელიგიურად და ეთნიკურად მრავალფეროვანი, თუმცა მაინც უკანასკნელ დრომდე ევროპაში პატიმრების ყველაზე მცირე რაოდენობით გამორჩეული. ამ მოვლენის უკან დიდი კითხვის ნიშანი იდგა. პატიმრების რაოდენობის დაბალი მაჩვენებელი ევროპაში ციხეების აუცილებლობის შესახებ არსებული დებატების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს არგუმენტს წარმოადგენდა. თუ ეს შეძლო ნიდერლანდებმა, რატომ ვერ შეძლებს ამას დანარჩენი ევროპაც?

ლუკ ჰალსმენი (Louk Hulsman) (1974 წელი) აღწერდა შემწყნარებლობის დონეს დროის იმ მონაკვეთში, როდესაც პატიმრების რაოდენობა ყველაზე დაბალ მაჩვენებელს უახლოვდებოდა:

> **...პატიმრების რიცხვის ვარდნა არ აიხსნება თავისუფლების აღკვეთის, როგორც სასჯელის, შემცირებით, არამედ – მხოლოდ თავისუფლების აღკვეთის ვადების შემცირებით. ამ ვადის სიმცირე და კიდევ უფრო შემცირების ტენდენცია ნიდერლანდების სასჯელაღსრულების სფეროში არსებული განვითარებების პრინციპულ დამახასიათებელ ნიშნად შეიძლება მივიჩნიოთ. 1970 წელს მხოლოდ 35 სამწლიანი თავისუფლების აღკვეთის შეფარდება მოხდა, საიდანაც თოთხმეტ პირს შეეფარდა მკვლელობისთვის (თუმცა, იმ წელს 63 პირი იყო მსჯავრდებული ამ დანაშაულისთვის), ორს — გაუპატიურებისთვის (მსჯავრდების საერთო რიცხვი: 68), ცამეტს — ძალადობით ჩადენილი ძარცვისთვის და დარჩენილ ექვს პირს თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა გამოძალვასთან კომბინირებული ყაჩაღობისთვის... ვადამდე ადრე გათავისუფლება და შეწყალება თითქმის ყოველთვის ისედაც მოიაზრება და მას პატიმრის მიერ რეაბილიტაციის პროგრამებში ჩართულობაზე გამოხატული მზაობა არ განაპირობებს. (გვ. 14).**

დეივიდ დოუნსი (David Downes) (1988) აღწერდა ზოგიერთ მექანიზმს, რომელიც ზემოხსენებულის განხორციელებას ხდიდა შესაძ-

ლებელს. ნიდერლანდებმა  ომი და ოკუპაცია გამოიარა. ზოგიერთმა წამყვანმა აკადემიკოსმა იცხოვრა პატიმრის ცხოვრებით და შედეგად, ისინი სრულებით დარწმუნდნენ პატიმრობის ნეგატიურ ეფექტებში. მათ შორის უამრავი სასჯელაღსრულების სამართლის სპეციალისტი და მასწავლებელი იყო. ისინი ციხის მძიმე პატიმრობის საფრთხეების შესახებ მასწავლებლები გახდნენ. რამაც არა მარტო პოლიციაში, არამედ მთელ პენიტენციურ სისტემაში შეაღწია.

თუმცა მეორე მსოფლიო ომის დროს ბელგიასა და საფრანგეთშიც იქნენ წამყვანი აკადემიკოსები დაპატიმრებულები. მათაც, თავის მხრივ, დააგროვეს ცუდი გამოცდილება. ამის მიუხედავად, შედეგად პატიმრების რაოდენობა მათ ქვეყნებში რადიკალურად არ შემცირებულა. რა არის მიზეზი ასეთი განსხვავებისა?

დეივიდ დოუნსი ნიდერლანდებში ტოლერანტობის ტრადიციას უსვამს ხაზს. ლუკ ჰალსმენი (1974 წელი) ეთანხმება და სიმბოლოს სახით ქალაქ გაუდას მახლობლად, აუდევოთერში (Oudewater), განთავსებულ ე.წ. Weigh-house (საჯარო შენობა/სივრცე, სადაც წონიან საგნებს, ნივთებს, პროდუქტს) იყენებს. მე-17 საუკუნის ევროპაში, „კუდიანებზე ნადირობის“ ეპოქაში, ხალხი შორი მანძილიდან ან ახლომდებარე ტერიტორიებიდან მიემართებოდა აუდევოთერში იმის დასამტკიცებლად, რომ უწონოები არ იყვნენ — ანუ, როგორებიც იმ პერიოდში კუდიანები მიიჩნეოდნენ, რომ უნდა ყოფილიყვნენ. აუდევოთერში ისინი იღებდნენ წონის სერთიფიკატს, რომელიც ნებისმიერ ადგილას იცავდა მათ შემდგომი გამოძიებისა და დევნისგან. რუტერფორდი (Rutherford) (1984 წელი, გვ. 137) ციტირებს 1770 წლის წყაროს, რომლის თანახმადაც, ერთი წლის მანძილზე ლონდონში იმაზე მეტი კრიმინალის სიკვდილით დასჯა ხდებოდა, ვიდრე ჰოლანდიაში – ოცი წლის განმავლობაში.

ტოლერანტობასთან ერთად, სახეზეა კონფლიქტებთან გამკლავების ერთი უცნაური ჰოლანდიური მექანიზმი. ამ ქვეყნის ისტორია სავსეა საგარეო, ისევე, როგორც საშინაო კონფლიქტებით. ხალხი

შეეჩვია მათი შინაგანი განსხვავებულობით ცხოვრებას. მათ ისწავლეს კომპრომისის ხელოვნება. კონფლიქტის თავიდან აცილების ერთ-ერთ მექანიზმს წარმოადგენდა სისტემის სათავეში მყოფთათვის გადაწყვეტილების მიღების ვალდებულების დელეგირება. აქ ჰოლანდიურ საზოგადოებაში ოპოზიციური ძალების წარმომადგენლებს ეძლევათ მანდატი, რომ მოაწესრიგონ და დაალაგონ მათი განსხვავებულობა და მივიდნენ გადაწყვეტილებამდე, რომლითაც ყველა სხვადასხვა მხარე იცხოვრებდა. ეს არადემოკრატიული გამოსავალია, თუმცა ლოკალურ დონეზე სამოქალაქო ომზე უკეთეს გამოსავალს წარმოადგენს. დანაშაულის კონტროლიც მსგავს პრინციპებზეა ორგანიზებული და აწყობილი. კანონისა და წესრიგის წარმომადგენლებს მიეცათ მანდატი, დანაშაულთან მიმართებით გამოსავალი თავიანთი მოსაზრებებისა და აუცილებლობიდან გამომდინარე ენახათ. ყოველივე ზემოხსენებულმა მათ განუსაზღვრელი ძალაუფლება მიანიჭა. მეორე მსოფლიო ომის გამოცდილებიდან გამომდინარე, მათ ეს ძალაუფლება გამოიყენეს იმისთვის, რათა დანაშაულის კონტროლის ინდუსტრიის გაფართოვებას აღდგომოდნენ წინ.

თუმცა, ისინი მარტოები არ იყვნენ. პარლამენტიც მათ გვერდით იდგა. ჰალსმენის თქმით (1974 წელი):

> **იუსტიციის სამინისტროს 1947 წლის ბიუჯეტის შესახებ პარლამენტში გამართულ დებატებს უჩვეულოდ დიდი ინტერესი მოჰყვა, რადგან დიდი უმრავლესობა მთავრობისგან პენიტენციალურ საკითხებთან მიმართებით მათი პოზიციის გადახედვას მოითხოვდა. იქიდან გამომდინარე, რომ უმრავლესობის შეხედულებით, პენიტენციური სისტემა თავის თავში სოციალურ პრობლემას წარმოადგენდა, მთავრობას დაევალა წარმოედგინა კონკრეტული გეგმა იმისა, თუ როგორ აპირებდა ის ამ უმნიშვნელოვანესი საკითხის მოგვარებას.**

თუმცა სისტემა, რომელიც ტოლერანტობას ეფუძნება ზემოდან, არის ძალზე მოწყლვადი. როგორც დეივიდ დაუნსი აცხადებს (გვ. 74):

> **ასეთი მოწყობის/სქემის, ასე ვთქვათ, უმთავრეს ფასს წარმოადგენს ის, რომ მთავრობისა და პარლამენტის შიგნით თუ გარეთ არსებული ელიტები, გამო-**

**ნაკლისი შემთხვევების გარდა, კრიტიკისგან იზოლირებულები და დაცულები არიან.**

და ახლა ეს გამონაკლისი შემთხვევები აღარ არსებობს. მათ ციხეებში პატიმრების რაოდენობამ მათი მეზობლების ციხეებში არსებულ რიცხვებს მიაღწია და ევროპამაც ტოლერანტობის ყველაზე ნათელი და თვალსაჩინო მაგალითი დაკარგა.

რა მოხდა?

რა თქმა უნდა, ნარკოტიკებთან დაკავშირებული პოლიტიკის გასამკაცრებლად ნიდერლანდების მიმართ გამუდმებული საერთაშორისო ზეწოლა მიმდინარეობს; კონკრეტულად კი, გერმანია და შვედეთი დიდი ხანია ამტკიცებენ, რომ ნიდერლანდები ევროპის ნარკოტიკებისგან დაცვის საკითხში სუსტ რგოლს წარმოადგენს. თუმცა, დეივიდ დაუნსი ამტკიცებს, რომ აღნიშნული სრულ სიმართლეს არ შეესაბამება, ზეწოლას პენიტენციურ პოლიტიკაზე შესაძლოა არანაირი ზეგავლენა არ მოეხდინა. დაწესებულების ექსპერტებისთვის სიტუაცია შესაძლოა დამაბნეველად აღქმულიყო. როგორც სხვა ყველა ევროპულ სახელმწიფოში, ეს ექსპერტები სულ უფრო და უფრო უკავშირდებიან მათ საპირისპირო რიცხვებს საერთაშორისო სისტემაში და შესაძლოა ნელ-ნელა გაიზიარონ მათი რეფერენსის ჩარჩო. ჰოლანდიელი წარმომადგენლები მათი ნარკოტიკული პოლიტიკის გამო საერთაშორისო გაღიზიანებისა და რისხვის პირადი ობიექტები ხდებიან.

ქვეყანა სხვა მხრივაც ახდენს ევროპული სტანდარტების ადაპტაციას. ძველი განყოფილებები უკვალოდ გაქრა. ეს ალბათ გაცილებით უფრო ნაკლებადმნიშვნელოვანს ხდის ყველა სახის პრობლემის მოგვარების მიზნით, საზოგადოებისგან იზოლირებულად მხოლოდ სათავეში მყოფებისთვის მანდატის მიცემას. სპეციალისტებისთვის დანაშაულის პოლიტიკა ნაკლებმნიშვნელოვანი ხდება – მედია იწყებს ჩარევას და საზოგადოებისგან პოლიტიკოსების მიმართ მოთხოვნები უფრო მეტად იგრძნობა. ძველი განყოფილებები იშლება და

ადგილს უთმობს ახლებს: ამჯერად ჩვეულებრივ ხალხსა და იმ პირებს შორის არსებულ განყოფილებებს, რომლებიც დამნაშავეებად და კრიმინალებად მიიჩნევიან.

მეორე ფაქტორს კეთილდღეობის სარგებლის შემცირება წარმოადგენს. ჰალსმენი თავის 1974 წლის სტატიაში სიამაყით ჩამოთლის აღნიშნულ სარგებელთაგან რამდენიმეს და ამტკიცებს, რომ ისინი ჰოლანდიური სისტემის გამონაკლისი და განსაკუთრებული სირბილის მიღმა დგანან. დღესდღეობით (ზეპირ კომუნიკაციაში) ის ხსნის იმ გაზრდილი სიმკაცრის ფენომენს, რომელიც აღნიშნული სარგებლებიდან ზოგიერთის არარსებობამ გამოიწვია.

ასევე აღსანიშნავია ორი განვითარება, რომელიც ნიდერლანდების უნივერსიტეტებს უკავშირდება. სამართლის პროფესორების თაობა შეიცვალა; ვეტერანებმა დატოვეს თავიანთი სკამები, წაიყოლეს რა თან თავიანთი პირადი გამოცდილება და გავლენა. ცვლილებები მოხდა ასევე კრიმინოლოგიაშიც. ევროპაში ჰოლანდია კრიმინოლოგიის ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა. კრიმინოლოგიას ასწავლიდნენ უმეტეს უნივერსიტეტებში ან უნივერსიტეტების მიერ კრიმინოლოგიისთვის გამოყოფილი ადგილები დაიკავეს ისეთმა პირებმა, რომელთა უმთავრეს ინტერესს სწორედ კრიმინოლოგია წარმოადგენდა. კრიმინოლოგიას ჰოლანდიაში გარკვეული უცნაურობები ახასიათებდა. ეს იყო კრიტიკული კრიმინოლოგია, უფრო დაინტერესებული მტკივნეული საკითხების წამოწევაში, ვიდრე ავტორიტეტების მიერ უცებ გამოსაყენებელი პასუხების გაცემაში. ეს ასევე იყო კრიმინოლოგია, რომელსაც განსაკუთრებულად ძლიერი კავშირი ჰქონდა ჰუმანიტალურ და კულტურულ აქტივობებთან. ვან შვანინგენის (Van Swaaningen), ბლადისა (Blad) და ვან ლუნის (van Loon) (1992 წელი) თანახმად, კრიმინოლოგთაგან რამდენიმე უფრო წარმატებულ ნოველისტსა თუ პოეტს წარმოადგენდა. უკანასკნელ პერიოდში, ნიდერლანდებში აღნიშნული ტრადიცია დაქვეითდა. კრიმინოლოგიის სკამები დარჩა თავისუფალი და მთელი ინსტიტუტები გაუქმდა.

სამაგიეროდ, მთავრობასთან არსებული კვლევის რიცხვმა სწრაფად იმატა. მინისტრების დონეზე კვლევისა და დოკუმენტირების ცენტრში დღესდღეობით იმდენი კრიმინოლოგი არის დასაქმებული, რამდენიც — ყველა უნივერსიტეტში ერთად. რთულია იმის გაგება, ეს განვითარება ეფექტია თუ გამომწვევი მიზეზი იმისა, რაც პენიტენციურ სისტემაში ხდება.

## 4.7 ზღვარზე მყოფი განვითარებული ქვეყნები

მდგომარეობა განვითარებულ, მდიდარ ქვეყნებში ერთ-ერთი არასტაბილური წონასწორობის მაგალითს წარმოადგენს. დესტრუქციის წინააღმდეგ ყველაზე მედგრად ალბათ ის ქვეყნები დგანან, რომლებსაც შედარებით სტაბილური ეკონომიკური მდგომარეობა, ასევე განვითარებული და მდიდარი ქვეყნის დიდხნიანი ტრადიცია აქვთ და  მცირერიცხოვანი, ერთგვაროვანი მოსახლეობით გამოირჩევიან. სიმდიდრე და კეთილდღეობა ტოვებს სივრცეს ტოლერანტობისთვის, ტრადიცია მას ნაკლებშეურაცხმყოფელს ხდის გასაზიარებლად და მცირერიცხოვანი და ერთგვაროვანი მოსახლეობა უკიდურეს საჭიროებაში მყოფი ხალხის გამორიცხვის წინააღმდეგ შეზღუდვებს ქმნის. ის ასევე  არასტაბილური სიტუაციის დასტაბილურებაში ეხმარება, თუკი საზოგადოება ცხოვრებისეული მიზნებისთვის რამდენიმე განსხვავებულ კრიტერიუმს აღიარებს, მას ასევე გააჩნია გარკვეული პატივისცემა „ღარიბი, მაგრამ სუფთა/წმინდა" ადამიანისადმი, ან უპირატესობას სიუხვეს და არა ეფექტურობას ანიჭებს.

თუმცა, ჰომოგენური, მცირერიცხოვანი სახელმწიფოები ასევე განიცდიან გარკვეულ ზეწოლას. ისინი ვალდებულნი არიან კეთილდღეობაზე მეტი ფული დახარჯონ. სქემა 4.7-1 ილუსტრირებას ახდენს ნორვეგიაში არსებულ განვითარებაზე 1970 წლიდან 1997 წლის ჩათლით. ნავთობის გამო ნორვეგია განსაკუთრებით კარგ მდგომარეობაში იმყოფება. თუმცა, მიუხედავად ამისა, ამ პერიოდისთვის

უმუშევრობის, ინვალიდობის პენსიის და სოციალური დაცვის ინდიკატორები მნიშვნელოვანი ზრდის შესახებ მიუთითებენ. ეს არის კონკრეტული პრობლემები. მათ კი ამძიმებს ასევე ის ფაქტი, რომ განვითარებული სახელმწიფოებიც არიან შეშფოთებულნი ყველა ორგანიზაციული პრინციპით, რომლებიც მათ თავს ინდუსტრიალიზაციამ მოახვია. განვითარებას ადგილი აქვს ცენტრებში, შრომა ხდება აუცილებლობა, სადაზღვევო კომპანიები ანაცვლებენ ერთობლივ დახმარებას და არაპერსონალურ ურთიერთობებს კი მნიშვნელოვანი როლი აკისრია. მსგავსი მოვლენები ანადგურებენ სოციალური კეთილდღეობის პრინციპების მორალური საფუძვლის უმეტეს ნაწილს.

**სქემა 4.7-1 ლაქები კეთილდღეობაზე**

| | ყოველ 100,000 მოსახლეზე პირების რაოდენობა, რომლებიც უმუშევრობიდან სარგებელს იღებენ | ყოველ 100,000 მოსახლეზე შშმ პირების რაოდენობა, რომლებიც პენსიას იღებენ | ყოველ 100,000 მოსახლეზე სოციალური დახმარების შემთხვევები |
|---|---|---|---|
| 1970 | 205 | 3332 | 1000 |
| 1975 | 379 | 3548 | 1200 |
| 1980 | 445 | 3903 | 1500 |
| 1985 | 1246 | 4535 | 2600 |
| 1990 | 2740 | 5517 | 3900 |
| 1995 | 3074 | 5435 | 3945 |
| 1997 | 1944 | 5450 | 3577 |

ამავე დროს, ეს ცვლილებები ასევე წარმოადგენენ ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალას ხელისუფლების მიერ დარეგისტრირებულ დანაშაულთა რიცხვის სტაბილურ ზრდაში, ისევე, როგორც აღნიშნული ცვლილებები ღირსების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების შემცირების უკან დგანან.

ასეთ ახლებურ ვითარებაში, განვითარებულ ქვეყნებს შორის ყველაზე ჩამოყალიბებულიც კი ცდუნების წინაშე დგას, რომ იმათი

დაცვის მაგივრად, ვისაც ეს ნამდვილად ესაჭიროება, დაიცვას თავი ან თუნდაც სოციალური მომსახურების სააგენტოები.

თავდაცვის რამდენიმე უმთავრესი მიმართულება ჩამოყალიბდა. ერთი თვითონ სოციალური კეთილდღეობაა. სოციალური მუშაკები უფრი და უფრო ზრდიან დისტანციას მათსა და იმათ შორის, ვისაც კეთილდღეობა სურს. მუნიციპალური სოციალური მომსახურების ცენტრების მუშაკები თავის თავს იცავენ კლიენტებისგან; განაცხადებისთვის ისინი ცენტრებს ღიას კვირაში მხოლოდ რამდენიმე დღის განმავლობაში ტოვებენ და ამ დღეებშიც – დილის კონკრეტულ საათებში, ისე რომ გაჭირვებული ადამიანები დილის 5 საათიდან დგანან რიგში, რათა ისინი მიიღონ. ტელეფონებს არ პასუხობენ, შენობაში კერძო პოლიცია პატრულირებს და ჩვეულებრივი პოლიციას მხოლოდ მაშინ იძახებენ, თუკი სოციალური მუშაკები თავს დაუცველად და საფრთხეში გრძნობენ, რაც, რა თქმა უნდა მოხდება, მათსა და კლიენტებს შორის არსებულ მნიშვნელოვან დისტანციას თუ გავითვალისწინებთ.

დამატებითი პრობლემები იქმნება ე.წ. „დე-ინსტიტუციონალიზაციის" მოძრაობის მიერ. კერძოდ კი, ეს არის მოძრაობა, რომელიც მომავალში შებოჭილი იქნება ვალდებულებით, იმ განვითარებულ ქვეყნებში გავლენა მოახდინოს და ძალა დაატანოს დაპატიმრებების დონეზე. ტენდენცია აქაც, ისევე, როგორც სხვაგან, სიტუაციის „ნორმალიზაციისკენ" ვითარდება. მენტალური/გონებრივი ინსტიტუტები და განსაკუთრებული სკოლები გაუქმდა. სლოგანს წარმოადგენს შემდეგი: „უკან ნორმალურობისკენ". ამას შესაძლოა ორი განვითარება მოჰყოლოდა: ზოგიერთ არაორდინალურ პიროვნებას შესაძლოა ვერ გაეძლო ამ ყოველივესთვის და თავი ციხეში ამოეყო. თუმცა, სხვა ასპექტიც ძალზე მნიშვნელოვანია. დე-ინსტიტუციონალიზაცია არ ნიშნავს იმას, რომ ინსტიტუტები გაქრება. ისინი დარჩენიან ცარიელები და მათი ყოფილი მუშაკები ასევე დარჩებიან ცარიელი ხელებით. ეს კი თავის მხრივ ქმნის დაძაბულობასაც და ცდუნებასაც. ამ შენობათაგან ზოგიერთი მარტივად შეიძლება გადაკეთდეს ციხედ, ხოლო მომსახურე პერსონალი – ციხის თანამშრომლებად.

## 4.8 ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲐᲡᲔ?

დასჯის არსებულ დაბალ დონეს, რომელიც განვითარებული ქვეყნების ასეთ არქეტიპებში არსებობს, სხვადასხვა ძალების გამო საფრთხე ექმნება. ზოგიერთი მათგანი ზოგადი ხასიათისაა. მათ უნდა განახორციელონ ეს ინდუსტრიალიზაციის, შრომის ბაზრისა და ეროვნული კონფლიქტების ეფექტით, რაც მომდევნო თავებში იქნება განხილული. თუმცა ზოგიერთი მათგანი სპეციფიურად არის დაკავშირებული სასჯელაღსრულების სამართლის ან მასთან ახლოს მდგომი ინსტიტუციის განვითარებასთან. სწორედ აღნიშნული ძალები იქნება განხილული ქვემოთ.

პირველ რიგში, აღსანიშნავია ამ ქვეყნებში სასჯელაღსრულების პოლიტიკაზე პასუხისმგებელი ერთობლივი მორალური საზოგადოება, რომელიც უკიდურესი დაძაბულობის ქვეშ იმყოფება. 1968 წელი და სტუდენტების აჯანყება გარკვეულ დემოკრატიზაციას ნიშნავდა. ეს ნიშნავდა უფრო მეტი ყურადღების გამახვილებას სუსტებსა და მოწყლვადებს შორის არსებული კონკრეტული ჯგუფების უფლებებზე. თუმცა, ამავე დროს, ეს ასევე ნიშნავდა გაზრდილ გავლენას პენიტენციური ინსტიტუტების ყველა დონეზე. როგორც ზოგადი დემოკრატიზაციის ნაწილი, აღნიშნული პრაქტიკოსები პოლიტიკურ ავტორიტეტებთან მიმართებით თავიანთ საკუთარ შრომის ორგანიზაციებსა და ზეწოლის ჯგუფებს ქმნიან. ნორვეგიაში ციხის წარმომადგენლები ეწინააღმდეგებიან თითო საკანში ორის ტენდენციას[13], თუმცა, ქვეყა-

---

[13] ერთ საკანში ერთი პატიმრის პრინციპის შენარჩუნებისთვის ამ ბრძოლის მნიშვნელობა პერსპექტივაში დადგა ბრიტანული პირობების აღწერით (სტერნი (Stern) 1989 წელი, გვ.6): 1966 წელს ლორდმა მაუნთბათენმა (Lord Mountbatten) თქვა: „უფრო მეტად უნდა იყოს ცნობილი იმის შესახებ, რომ კვლავ არსებობს ათასობით პატიმარი, რომლებსაც სძინავთ სამს ერთ მე-19 საუკუნეში ერთი ადამიანისთვის დაპროექტებულ საკანში“. თითქმის 20 წლის შემდეგაც ვითარება უკეთესობისკენ არ შეცვლილა. სწორედ ზემოხსენებულ საკნებში, რომლებიც დაახლოებით 100 წლის წინ ერთი ადამიანისთვის აშენდა, 5,000 პატიმარი ცხოვრობს სამი ერთ საკანში და დაახლოებით 14,000 კი გადანაწილებულია ორი ერთ საკანში.

ნაში მეტი ციხის არსებობისთვის იბრძვიან. პოლიცია ასევე მუშაობს გაფართოვებაზე. საუკუნის წინ ისინი პოლიტიკოსების ჩუმ იარაღს წარმოადგენდნენ. პირობები გაუმჯობესდა და გაუარესდა. ტკივილის მიწოდების დაბალ დონეზე ინტერნაციონალიზაცია დაძაბულობის კიდევ ერთ მიზეზს წარმოადგენს. ძველად, კოსმოპოლიტენები ასევე აქტიურობდნენ. ლომბროზო (Lombroso) და ფერრი (Ferri) იტალიიდან, და მოგვიანებით, ფონ ლისტი (von Lizt) გერმანიიდან სკანდინავიურ დებატებში ჩართულ ყველასთვის ცნობილ მოღვაწეებს წარმოადგენენ. როგორც ეს ნაუკემ (Nauke) (1982 წელი) და რაძინოვიჩმა (Radzionowicz) (1996 ბ) დაგვისაბუთეს, კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო ასოციაციის (International Association of Criminal Policy) განსაზღვრული მიზნები და კონკრეტულად, ფონ ლისტის იდეები იმის ჩანასახებს შეიცავდნენ, რაც გერმანიაში 1933 წლის შემდგომ პერიოდში განვითარდა. სკანდინავიაზე ამ იდეების ეფექტი გაურკვეველია. ციხეში არსებული რიცხვების ზოგადი ვარდნა საუკუნის ბოლოსკენ დასრულდა. ეს შეიძლებოდა საზღვარგარეთის დახმარების გარეშეც მომხდარიყო. უამრავი საერთაშორისო კონტაქტის ერთი უმთავრესი შედეგი იყო სხვადასხვა ტიპის ისეთი ე.წ. „სპეციალური ღონისძიებების" ჩამოყალიბება, როგორიცაა მაგალითად, იძულებითი მკურნალობა ან განათლება ან იმ პირების გრძელვადიანი დაპატიმრება, რომლებიც მიიჩნეოდნენ ისეთებად, ვინც ვერ გამოსწორდებოდნენ. საუკუნეზე მეტი დასჭირდა ამ ღონისძიებების უმეტესობის გასაუქმებლად.

დღესდღეობით ინტერნაციონალიზაციამ გადაინაცვლა ქვემოთ ციხეში პრაქტიკოსებთან, პრობაციის სამსახურებთან და პოლიციასთან. სულ უფრო და უფრო ეს პრაქტიკოსები უკავშირდებიან თავიანთ კოლეგებს და თანატოლებს საზღვარგარეთ, დიდ და მკაცრ ქვეყნებში ეძებენ მითითებებს, იღებენ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორაა „სინამდვილეში" მსოფლიო მოწყობილი და შეუძლიათ უფრო იოლად აირიდონ თავიდან იმ „თეორეტიკოსებისგან" მომავა-

ლი კრიტიკა, რომლებიც, მათი აზრით, თავიანთ „არარეალურ" ცხოვრებას სპილოს ძვლისგან აშენებულ კოშკებში ატარებენ.

კიდევ ერთი გამოწვევა ღირებულებებზე, რაც ციხეში არსებული მონაცემების დაბალი მაჩვენებლის შენარჩუნების მიზეზია, მენეჯმენტის იდეოლოგიის სახელმწიფო ადმინისტრაციაში შეღწევის შედეგად იქმნება. ძველი ადმინისტრაციის წარმომადგენლები თავის თავს საჯარო მოსამსახურეებად აღიქვამდნენ, ვისი უმთავრესი მოვალეობაც წესების და კანონების რთული სისტემის შექმნა წარმოადგენდა. საკმაოდ ხშირად, ისინი კარიკატურის მსგავსად, ნელა, თუმცა საიმედოდ იკარგებოდნენ დოკუმენტების მთის მიღმა. მართვა/მენეჯმენტზე ორიენტირებულ, კონკრეტულ შედეგსა და პროდუქტიულობისკენ მიმართულ მიზანს მეტი ღირებულება გააჩნია. ის, რასაც ფილეი (Feeley) (1991ბ) „ახალ პენოლოგიას" უწოდებს, რომლის აქცენტებიც მთლიანი მოსახლეობის მართვაზეა მომართული, ასევე შესაძლოა სკანდინავიურ ბიუროკრატიაშიც შეგვხვდეს. თუმცა, კვლავ უნდა ითქვას: ეს მთლიანად დომინანტური თემა არ არის. ბოლო დროის ტენდენციას სკანდინავიაში, ისევე, როგორც დასავლეთ ევროპაში ზოგადად, სამართლისა და წესრიგის პოპულისტური მოთხოვნა წარმოადგენს. დანაშაული უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება მედიისთვის, ისევე, როგორც პოლიტიკოსებისთვის. ასეთ ვითარებაში, ჩნდება გრძნობა, თითქოს საჯარო მოხელეთა დამოუკიდებელი კლასის ძველი სული თავიდან გამოჩნდა. ბრიტანეთის ციხეების უფროსებმა საპროტესტო აქცია მოაწყვეს იმ განვითარებების წინააღმდეგ, რაც მათი დაწესებულებების ფარგლებში მიმდინარეობდა. ნორვეგიაში კი ციხეების სისტემაში მოღვაწე წამყვანი საჯარო მოხელეები პოლიტიკოსებს არწმუნებენ, რომ მეტი ციხე და პატიმრები გამოსავალი არ არის. პოლიცია ცდილობს პანიკის აღმოფხვრას და ყველა თანამედროვე ქვეყანაში არსებული პრობლემისადმი ბალანსირებული მიდგომისთვის იბრძვის.

მართვა/მენეჯმენტის იდეოლოგია წარმოადგენს ასევე ელემენტს უნივერსიტეტებში. სულ ზემოდან უნივერსიტეტის ადმინიასტრაცია ითხოვს დაგეგმვას, ეფექტურობასა და ანგარიშს მიღწეული მიზნების შესახებ. სულ ქვემოდან კი, სტუდენტები ისეთ ეფექტურ ცოდნას ითხოვენ, რომელსაც მათი მომავალი ბატონები – სახელმწიფოსა და ბიზნესის სფეროში მოღვაწე მენეჯერები – მათგან მოითხოვენ. ეს კი ნიშნავს, რომ უნივერსიტეტში არსებული კრიტიკული აზროვნების მოძველებული სტანდარტები გამოწვევის წინაშე დგებიან. სტუდენტები უფრო მეტად არიან მოწადინებულები, რომ იყვნენ აღჭურვილნი იმ პასუხებით, რომლებიც ადმინისტრაციულ პრობლემებს მოაგვარებდნენ, ვიდრე აწუხებდეთ კრიტიკული შეკითხვები, რომლებიც მხოლოდ ართულებენ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის მქონე პირების საქმეს. შესაბამისად, კითხვების დამსმელთა მორალური ძალა ნელ-ნელა მცირდება.

სხვა მხრივ, კრიტიკული უნივერსიტეტები და კრიტიკოსები უნივერსიტეტში მთლიანად არ გამქრალან. დიდ ბრიტანეთში, რუზერფორდი (Rutherford) (1984 წელი) ითვლება წამყვან დამცველად იმისა, რასაც თვითონ „რედუქციონისტის დღის წესრიგს“ (reductionist agenda) უწოდებს. აღნიშნულ დღის წესრიგში უმთავრესი ადგილი უკავია წინადადებას, რომ სასჯელაღსრულების სისტემის ფიზიკური შესაძლებლობები მნიშვნელოვნად უნდა შემცირდეს – 50%-ით ნაკლები არის მისი შემოთავაზება:

> **რედუქციონისტის მიზანი 1990-იანების ადრეული პერიოდისთვის არ უნდა იყოს 52,000, როგორც ეს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ იყო დაგეგმილი, არამედ – 22,000, ან ყოველ 100,000 მოსახლეზე ციხეში არსებული პატიმრების რაოდენობის მიხედვით, 110 პატიმრის ნაცვლად, უნდა იყოს დაახლოებით 35.**

ის, რომ ევროპაში ნაკლებად სჯერათ ციხეების, სტიმულირებული იყო ასევე მატიესენის (Mathiesen) წიგნით – ციხის სასამართლო პრო-

ცესი. კრიტიკული შეფასება (1990 წელი). აქ დაპატიმრების ტრადიციული არგუმენტები არის გაანალიზებული და უარყოფილი, სანაცვლოდ კი დაპატიმრების რადიკალური ალტერნატივებია შემოთავაზებული. ისეთი წიგნები, რომელთა ავტორებიც არიან, მაგალითად, რუზერფორდი და მატიესენი, და არამხოლოდ ისინი, ააშკარავებენ კულტურულ შეხედულებებს, რომლებიც დასავლეთ ევროპაში კვლავ აქტუალურია.

სასჯელაღსრულების სამართლის ყველაზე რადიკალურ ალტერნატივას  როტერდამელი ლუკ ჰალსმანის (Louk Hulsman) ნაშრომები წარმოადგენენ, უფრო მეტად კი მისი სწავლება. მისი უმთავრესი თემა მოიცავდა მცდელობას, რომ არასასურველი ქმედებები სისხლის სამართლიდან სამოქალაქო სამართალში გადაენაცვლებინა. ამ მიდგომასთან ჰარმონიაში, ის სასჯელაღსრულების სამართალს ხედავს არა როგორც გამოსავალს, არამედ, როგორც თავის თავში არსებულ სოციალურ პრობლემას. შესაბამისად, მიზანს წარმოადგენს არა მხოლოდ დაპატიმრებების რიცხვის შემცირება, ასევე სასჯელაღსრულების სამართლის მთლიანი გაუქმებაც. ან, სხვა ჰოლანდიელის, ვილემ დე ჰაანის (Willem de Haan), სიტყვებით რომ ვთქვათ (1991 წელი):

> **ებოლიციონიზმი (როგორც ასეთ აზროვნებას ხშირად უწოდებენ, ავტორი, ნ. კ.) ეფუძნება მორალურ რწმენას იმისა, რომ სოციალური ცხოვრება არ უნდა და, ფაქტობრივად, ვერც უნდა რეგულირდებოდეს ეფექტურად სისხლის სამართლით, და შესაბამისად, კრიმინალური მართლმსაჯულების სისტემის როლი მნიშვნელოვნად უნდა შემცირდეს (გვ. 203)**
>
> **...ეს, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს იმ ფაქტს, რომ არსებობს უამრავი სამწუხარო მოვლენა, ასე თუ ისე სერიოზული პრობლემები ან კონფლიქტები, რომლებსაც, შესაძლოა, მოჰყვეს დიდი თუ მცირე ტანჯვა, ზიანი ან ზარალი. ეს პრობლემები, რა თქმა უნდა, სერიოზულად უნდა იქნას მიღებული, თუმცა – არა, როგორც „დანაშაულებად“ და, ნებისმიერ შემთხვევაში, მათ არ უნდა გაუმკლავდნენ სისხლის სამართლის მეშვეობით (გვ. 208).**

პირადად მე ვთვლი, რომ შეზღუდვებისთვის გარკვეული შეზღუდვები უნდა არსებობდეს. პენიტენციური დაწესებულებების არარსე-

ბობამ შესაძლოა ისეთი ალტერნატივების რიცხვის ზრდამდე მიგვიყვანოს, როგორიცაა, მაგალითად, ფსიქიატრიული კლინიკები ან თითქოსდა კეთილთვისებიანი მექანიზმები, რომლებიც სინამდვილეში უფრო მეტად რეპრესიულია, ვიდრე ისინი, რომლებსაც ჩვენ დღეს პენიტენციურ სამართალში ვხვდებით. ჩემი პოზიცია იქნებოდა მინიმალისტური: ებოლიციონერებისგან განსხვავებით, რაც შეიძლება ნაკლები პატიმრის ყოლა. თუმცა აღნიშნული განსჯა ძალიან ჰგავს საჰარაში წყალდიდობის შესახებ გაფრთხილებას. ჩვენს უმთავრეს პრობლემას ციხეში არსებული რიცხვების ლიმიტირებული ზრდა წარმოადგენს. მოდით, ყურადღება სწორედ ამ პრობლემაზე გავამახვილოთ.

## თავი 5
# რატომ არის ასე ბევრი პატიმარი?

### 5.1. ჭარბი მოსახლეობა

ადგილი: დიდი ინდუსტრიული ქალაქი სადღაც ევროპაში.

დრო: სექტემბერი, სასიამოვნო, მზიანი დღე, არც სიცხე, არც სიცივე, იდეალური დრო სასეირნოდ, რაც უმრავლესობამ იმ დღეს გააკეთა კიდეც. ბარებისა და ყავის სახლების მაგივრად, ხალხი სეირნობდა ქუჩის კუთხეებში, ავტოსადგომებთან ახლოს ან ცარიელ მდელოებზე, სადაც ძველი სახლები აიღეს და სამაგიეროდ ახლებითაც არ ჩაანაცვლეს.

ფერი: ნაცრისფერი. მზე იყო, თუმცა ის არ იყო რეალური. ხალხი იყო ნაცრისფერი. სახლები იყვნენ ნაცრისფერი, მტვერი, ნაგავი და სიღარიბე მეფობდა არე-მარეში.

ქუჩებში მოსეირნეთაგან უმეტესობა უმუშევარი იყო. სწორედ ეს გახდა მიზეზი მათი იქ ყოფნისა.

მოვდიოდი რა კონტინენტის ერთ-ერთი იმ დაცული კუთხეებიდან, სადაც სერიოზულ უმუშევრობას ჯერ ადგილი არ ჰქონია — ეს იყო გარკვეული დროის უკან — მე უნდა გამეკონტროლებინა ის, რაც ვიცოდი, რომ გულუბრყვილო სურვილს წარმოადგენდა: მეყიდა 1000 დიდი ცოცხი და შემდგომ ორგანიზება გამეკეთებინა ადგილისა და ატმოსფეროს წმენდის ფესტივალისთვის. თითო მამაკაცს თითო ცოცხი უნდა დაეჭირა, რადგან უმეტესობა მამაკაცი იყო — მდედრობითი სქესის წარ-

მომადგენლები, რა თქმა უნდა, სახლში იმყოფებოდნენ და უვლიდნენ სახლსა და ბავშვებს – და მაშინ შეგვეძლებოდა მოგვეშორებინა სერი ფერი, გაგვეწმინდა მტვერი, ჭუჭყი, გაჭირვება.

მაგრამ, რა თქმა უნდა, მე ვიცოდი, რომ ეს გულუბრყვილო სურვილი იყო და, ამიტომ, არ განვახორციელე ის. მე ვიცოდი, რომ უმუშევრობას არაფერი ჰქონდა საერთო აუცილებლად გასაკეთებელი საქმეების ნაკლებობასთან. უმუშევრობა არ ნიშნავს სამუშაოს ნაკლებობას, ის ნიშნავს ანაზღაურებადი სამუშაოს ნაკლებობას. უმუშევრობა ორგანიზაციული პრობლემაა – უმძიმესი სოციალური შედეგებით. საქმე ეხება შესასვლელი ბილეთების განაწილებას იმისთვის, რასაც აღნიშნული კულტურები აღიქვამენ, როგორც სრული წევრობის ძირითად სიმბოლოს. ეს ეხება ძალაუფლებას, რომ შეძლო ბილეთის მოპოვება, ან ეხება სოლიდარობას ბილეთის გაზიარებაში.

ანაზღაურებადი სამუშაოს სტატუსის მოსაპოვებლად ხსენებული კონკურსი გარკვეული მექანიზმებით არის შერბილებული. შრომის ბაზარზე გადადებული შესვლა, ძირითადად სავალდებულო განათლების ხარჯზე, ახალგაზრდობის სამომხმარებლო როლის შენარჩუნებას ხდის ლეგიტიმურს. სიცოცხლის განმავლობაში სწავლის იდეა ასევე ტოვებს ხალხს ანაზღაურებადი სამუშაოს კონკურსს გარეთ. პენსიაზე ადრეული გასვლა ან ლიბერალური გამოყენება კრიტერიუმისა „ცუდი ჯანმრთელობა“ ასევე წარმოადგენს ღირსეულ გზას ამოეწერო ანაზღაურებადი მუშა-მოსამსახურის რიცხვებიდან. ყველა ამ მექანიზმს მოხმარების საშუალებები მოხმარების შესახებ ნორმებთან ზედმეტი და პირდაპირი შეჯახების გარეშე შეუძლია წარმოადგინოს, როგორც წარმოებაში მონაწილეობისთვის ჯილდო.

* * *

ინდუსტრიალიზაციის ადრეული პერიოდიდანვე „ცარიელი ხელები“ პრობლემას წარმოადგენდა. ყველა ის, ვინც იქვე უმუშევ-

რად დაიარებოდა თითქოს სულ მცირე ორი ტიპის პრობლემას ქმნიდა: ერთნი, მათი არეულობისადმი მიდრეკილებით, სხვები, უმუშევრის იძულებითი ცხოვრების წესსა და შრომისმოყვარეობის ოფიციალურ მორალს შორის არსებული დისონანსის მეშვეობით. უმუშევრის მიმართ შესაძლოა გაჩნდეს გარკვეული ეჭვები, თუკი მას მოსწონს თავისი ბედ-იღბალი. ორივე სახის პრობლემისთვის „იძულებითი შრომის" სახლებმა (შენობები ბრიტანეთში, რომლებშიც წარსულში ძალზე ღარიბი მოსახლეობა საკვებისა და თავშესაფრის სანაცვლოდ მუშაობდა) გამოსავალი წარმოადგინეს. თუმცა, ეს გამოსავალი მხოლოდ დროებითი ხასიათის იყო; სახელმწიფოები იყვნენ ღარიბები, სამუშაო სახლები კერძო კაპიტალზე უნდა ყოფილიყო დაფუძნებული და შემოსავალიც მეტი იყო სხვა ტიპის ინვესტიციებში. აშშ-ში ემიგრაციებმა ევროპაში მეტი დაძაბულობა წარმოშვა. სამუშაო სახლები გაუქმდა. და ბოლოს, მთელი თავისი სისასტიკით I და II მსოფლიო ომები პერიოდული ამოსუნთქვის საშუალებას იძლეოდა.

თუმცა, უმთავრესი პრობლემა კვლავ მოუგვარებელი რჩება. პირიქით, ახალი კატეგორიები ითხოვენ ხელმისაწვდომობას იმაზე, რაც მიიჩნევა, როგორც სრულფასოვანი ცხოვრება. მდედრობითი სქესის წარმომადგენლები ბრუნდებიან ანაზღაურებად სამუშაოს ბაზარზე – სადაც ისინი  ინდუსტრიალიზაციის საწყის ეტაპზე იმყოფებოდნენ. ჩვენსავით ორგანიზებულ საზოგადოებაში სამართლიანობა მანდილოსნებისთვის შედარებით უფრო დაბალი ფენის მამაკაცებისთვის ქმნის გართულებებს.[14]

დამატებით მოდის ის, რაც დღესდღეობით აღმოსავლეთ ევროპაში ხდება. ძველი რეჟიმების ყველა შემორჩენილი დეფექტის მიუხედავად, მათ მაინც აღმოაჩნდათ იმის ძალა, რომ არ მიეღოთ უმუშევ-

14 კფ. ჰარისი (Cf Harris) (1981 წელი) აშშ-ში მუშათა კლასის შავკანიანი მამაკაცების მდგომარეობის შესახებ.

რობა. ძველი რეჟიმის შესაბამისად, სახელმწიფოს უპირველეს მოვალეობასა და პასუხისმგებლობას წარმოადგენდა, რომ ყველასთვის, ვისაც მუშაობა შეეძლო, ხელმისაწვდომი ანაზღაურებადი სამუშაო უზრუნველყო. შესაძლოა, ეს იყო არაპროდუქტიული იდეა. ჩვენ ყველას მოგვისმენია აღმოსავლეთ ევროპაში მუშა-მოსამსახურეებით გადატვირთული ქარხნებისა და ოფისების შესახებ ისტორიები. თუმცა, ეს მაინც წარმოადგენდა ისეთ გეგმას, რომელიც უმუშევრობას ებრძოდა. ეს გულისხმობდა ადამიანთა შორის ღირსების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელვანი იარაღის გაზიარების უფლების გარანტიას. არაეკონომიკური, ირაციონალური, თაღლითობისა და კორუფციისთვის ღია გარანტია – თუმცა მაინც გარანტია. სამუშაო პროცესში მონაწილეობა ყველასთვის იყო სავალდებულო.

ასეთი ძველი სისტემის გადავარდნასთან ერთად აღმოსავლეთ ევროპა იღებს დასავლურ პრობლემებს. ამავე დროს, დასავლეთის სისტემების ყველაზე უკიდურესი ფორმები თავისუფალი კონკურენციის პრინციპსა და ბაზრისთვის იმის უფლების მიცემას ეფუძნებოდა, რომ თავისი ჰეგემონიის ხანგრძლივობა თავად გადაეწყვიტა. თითქოს, სხვა ალტერნატივა არც არსებობს. აღმოსავლეთში ხდებოდა სამუშაოს გაზიარება, რაც იყო არასწორი. გაზიარებული სამუშაო შესაძლოა სახიფათო აღმოჩნდეს. ჩვენ ვრჩებით ჭარბი მოსახლეობით, წარმოების გარეშე დარჩენილები. და ჩვენ აღმოვჩნდებით კლასიკური პრობლემის წინაშე: როგორ ვაკონტროლოთ სახიფათო ფენები? როგორ ვაკონტროლოთ ისინი, ვინც აღარ კონტროლდებიან თანამშრომლების მიერ და ვინც შესაძლოა უსამართლობად ჩათვალონ წარმოების მნიშვნელოვანი და ღირსების ამამაღლებელი საქმიანობის მიღმა დარჩენა? როგორ ვაკონტროლოთ ისინი, ვინც, ყველა ზემოხსენებულთან ერთად, იძულებულები არიან ჩვეულებრივი სამუშაოს მქონე პირებთან შედარებით უფრო დაბალი მატერიალური სტანდარტებით იცხოვრონ?

## 5.2. ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ

იმ პერიოდში, როდესაც ღმერთის თვალს უნდა დაენახა ყველაფერი, კარგი ქცევისთვის სარგებელი ასევე გათვალისწინებული იყო სისტემაში. სიცოცხლე სიკვდილით არ მთავრდებოდა, ან ჯილდოები ან სასჯელები იყო შემდგომ გათვალისწინებული. ცხოვრების წესსაც კი შესაძლოა მნიშვნელობა ჰქონოდა. მათეს სახარება, თავი 5, წინადადება 3 ამბობს:

**ნეტარ არიან გლახაკნი სულითა, ვინაიდან მათია ცათა სასუფეველი.**

ზოგიერთ თარგმანში ეს უფრო მკაცრადაც არის გამოხატული:

**ნეტარ არიან გლახაკნი, ვინაიდან მათია ცათა სასუფეველი.**

თეოლოგები ვერ თანხმდებიან ამ ორ თარგმანს შორის არჩევანზე. პირველი თარგმანი უფრო ავტორიტეტულია, თუმცა მეორე თარგმანი უფრო მეტად გავლენიანია, როდესაც საქმე სოციალურ კონტროლს ეხება. ამ შემთხვევაში საბოლოოდ ყველა გაჭირვებული იღებს თავის გასამრჯელოს. ასეთ საზოგადოებაში ჭარბი მოსახლეობის გამო პრობლემები შესაძლოა არც შეიქმნას. ასეთმა მოსახლეობამ შესაძლოა მოიცადოს კიდეც. გაჭირვებული, თუმცა პატიოსანი მოსახლეობა.

მაგრამ ეს საზოგადოება ჩვენი საზოგადოება არ არის. ჩვენი საზოგადოება აგებულია ამ ცხოვრებაში თანასწორობის შესახებ მნიშვნელოვანი დისკუსიით და უკმაყოფილებით, როდესაც ნათელი ხდება, რომ ეს დისკუსია მხოლოდ დისკუსიად რჩება. შესაბამისად, ჩვენ იძულებულები ვართ კონტროლის სხვა ფორმებს მივმართოთ.

სოციალური კონტროლის ძირითად პრინციპს წარმოადგენს ის, რომ ისინი, ვისაც აქვთ ბევრი და ისინი, ვისაც არაფერი გააჩნიათ,

არის ორი უკიდურესობა, რომელიც ყველაზე რთული სამართავია. ვისაც ბევრი აქვს, გააჩნია ასევე ძალაუფლება და შეუძლია კონტროლს წინააღმდეგობა გაუწიოს; მათ, ვისაც ცოტა აქვთ, არაფერი აქვთ დასაკარგი და შესაბამისად, ნაკლებად ეშნიათ. ჯოკ იანგი (Jock Young) (1989 წელი, გვ. 154) მნიშვნელოვნად აკრიტიკებს სიღარიბეზე ადრეული ეპოქების წარმოდგენას:

> **1950-იანებში სოციალ-დემოკრატიული კონსენსუსის მარცხი, რომ პირობების გაუმჯობესება შეამცირებდა დანაშაულის რაოდენობას, აბსოლუტური დეპრივაციის შემცირების ცნებას ეფუძნებოდა. თუმცა, ის, რაც იწვევს დანაშაულს, არის არა აბსოლუტური, არამედ შედარებითი დეპრივაცია (ლეა და იანგი (Lea and Young) 1984 წელი). კრიმინალის დონეზე გავლენას არა სიმდიდრის აბსოლუტური დონე, არამედ რესურსები ახდენენ, რომლებიც არასამართლიანად არის გადანაწილებული.**

იანგი აგრძელებს დანაშაულის პრევენციის რეცეპტის წარმოდგენას, რომელიც გამოიყურება, როგორც იმ ნაბიჯების სია, რომლებიც თანამედროვე განვითარებულმა სახელმწიფოებმა უკანასკნელ წლებში არ გადადგეს:

> **დანაშაულის დონის შესამცირებლად ჩვენ უნდა შევამციროთ შედარებითი დეპრივაცია იმის გარანტიით, რომ თვისობრივი სამუშაო იყოს გარანტირებული შრომის სამართლიანი ანაზღაურებით, ღირსეული საცხოვრებელი ადგილის გარანტიით, რომელში ცხოვრებითაც ხალხი იამაყებდა, იმის გარანტიით, რომ დასვენებისთვის განკუთვნილი დაწესებულებები უნივერსალურად იყოს ხელმისაწვდომი და ყურადღების გამახვილებით იმაზე, რომ პოლიცია კანონის უზენაესობის შესაბამისად მოქმედებდეს, ყველასთვის თანაბრად, მუშათა, ისევე, როგორც საშუალო კლასისთვის, შავკანიანებისთვის და თეთრკანიანებისთვის.**

ბალვიგი (Balvig) (1990 წელი, გვ. 25) მიუთითებს უმთავრეს პრობლემაზე, როგორც ერთ-ერთ გამოუსადეგარზე. ამ განვითარების მთავარ მესიჯს წარმოადგენს ის, რომ აღარ არსებობს მიზეზი, გვჯეროდეს, რომ განვითარებული სახელმწიფო ყველასთვის უზრუნველყოფს სამუშაო ადგილს. საზოგადოება თანდათანობით იცვლება

გაზიარებული და საერთო რაციონალურობის მქონედან ინდივიდუალურ რაციონალურობამდე.

### 5.3. ნარკოტიკული საშუალებების კონტროლი, როგორც ფენების კონტროლის მექანიზმი

პოლიციისთვის, ისევე, როგორც ბევრი სხვა ადამიანისთვის, ასეთი სიტუაცია არასახარბიელო პასუხებს იძლევა. პოლიციაში მიმართვების რიცხვი ყველა ინდუსტრიულ სახელმწიფოში სწრაფად იზრდება. ზოგი უწოდებს ამას დანაშაულს, ზოგი კი – საჩივარს. ნებისმიერ შემთხვევაში, მათ უკან იმალებიან ქმედებები, რომლებიც მარტივი უხერხულობის შექმნიდან სერიოზული საფრთხეებისა და ტანჯვის შექმნამდე მერყეობენ ისეთ ხალხს შორის, ვინც თავისი საჩივრით პოლიციისთვის მიმართვის გარდა სხვა გამოსავალს ვერ ხედავს. რეალურად კი, პოლიციას ძალზე მცირედის გაკეთება თუ შეუძლია. კომფორტების რაოდენობა, რაც შეიძლება მოპარულ იქნას, სტაბილურად იზრდება. იმდენი რამაა, რისი აღებაც ან დალევაც არის შესაძლებელი. ისე ცოტა ხალხია ირგვლივ დღის განმავლობაში საცხოვრებელ კვარტლებში და ძალზე ბევრია გასართობ დაწესებულებებში ღამის განმავლობაში. ხალხი ერთმანეთს არ იცნობს. პოლიციას არ გააჩნია ზებუნებრივი მაგიური საშუალებები. სერიოზული ძალადობრივი საქმეების გამოკლებით, სადაც ყველა რესურსია მობილიზებული, ასეთ საზოგადოებაში პოლიციას იმაზე მეტის მოგვარება არ ძალუძს, რაც თავისთავადაც მოგვარდება. ეს კი სახელმწიფოს ჰეგემონიაში კრიზისს ქმნის, ამბობს ფილიპე რობერტი (Phillipe Robert) (1989 წელი, გვ. 109-110):

> **ფაქტობრივად, რადგან მსხვერპლისთვის დამნაშავე, როგორც წესი, უცნობია, სხვა რა შეუძლია მას გააკეთოს, თუ არა – შეიტანოს საჩივარი? სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულებისთვის მიმართვა უკვე სტრატეგიის ნაწილს აღარ წარმოადგენს; ის გადაიქცა ავტომატურ პროცესად, რომლის**

**ალტერნატივაც არ არსებობს. ...პოლიციის ქმედებები უფრო და უფრო გაუბედავი და უგულო ხდება, იქიდან გამომდინარე, რომ უმეტეს საჩივარში ეჭვმიტანილი ცნობილი არ არის და, როგორც ეს ყველამ იცის, იმის შანსი, რომ პოლიციამ საქმე გახსნას, ძალზე მცირეა.**

ასეთ ვითარებაში, ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ გაჩაღებული ომი სახიფათო მოსახლეობის გასაკონტროლებლად ალტერნატიულ შესაძლებლობებს ქმნის. ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ომი ამავე დროს არის ომი იმის წინააღმდეგაც, რაც კორელაციაშია ნარკოტიკების მოხმარებასთან: იყო ახალგაზრდა, იყო ქალაქის გარეუბნებიდან, ცხოვრების ეგზიბიციონისტური წესით, რომელიც მიუღებელია საშუალო კლასის წარმომადგენლებისთვის. ნარკოტიკებთან ბრძოლით – უპირველეს ნარკოტიკებთან, და არა ალკოჰოლთან ან დამამშვიდებელ საშუალებებთან – სახიფათო ფენების ფართო მასების დაკავება და მათი კონტროლქვეშ მოხვედრა ხდება.

თუმცა, ნება მიბოძეთ დავამატო. ამ შეხედულების მიღმა არ არსებობს არც რაიმე თეორია, არც კონსპირაცია. არსებობს გარკვეული რაციონალური არგუმენტები ნარკოტიკების მოხმარებასა და მათ იმპორტზე კონტროლის განხორციელების სურვილისა, იმის მიუხედავად, რომ ის მეთოდები, რომლებსაც ამ კონტროლისთვის მიმართავენ, სადავოა. ის, რომ ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლა იძლევა ასევე სახიფათო ფენების კონტროლის შესაძლებლობებს ზოგადად, არ აკნინებს საწყის მოტივებსა თუ ცენტრალურ ფიგურებს ამ ბრძოლაში. შედეგები განსხვავდებიან მიზეზებისგან.

სკანდინავიაში ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის დასაწყისში, ჩვენ კვლავ გვჯეროდა, რომ სრულყოფილი საზოგადოებისკენ მიმავალი გზა მოვნახეთ. ჩვენ გვქონდა სრული დასაქმება, უფასო განათლება, უფასო სამედიცინო მომსახურება, და მდგრადი განვითარების ზოგადი რწმენა. მათ, ვისაც ასე სურდათ, შეეძლოთ შეექმნათ თავისთვის დამსახურებული, კარგი ცხოვრება. მაგრამ შემდეგ გამოჩნდნენ

ნარკოტიკები. გამოჩნდნენ ჰიპები, რომლებმაც უარყვეს სიმდიდრის ზოგიერთი ხილი. ჰიპების შემდგომ გაჩნდნენ ნარკოტიკებზე უფრო მეტად დამოკიდებული პირები, რომლებმაც პროტესტი გამოხატეს სკოლების წინააღმდეგ და ალტერნატიულ ცხოვრების წესს მიეცნენ. ამასთან დაკავშირებით ორი მოსაზრება იკვეთებოდა, რითიც ზემოხსენებულის ახსნა იყო შესაძლებელი. იქნებ, კვლავ არსებობდა განვითარებულ, კეთილმოწყობილ სისტემაში დეფექტები. იქნებ, ინდუსტრიალიზაცია – თუნდაც განვითარებულ ქვეყნებში – ზოგიერთი ადამიანისთვის დანაკლისს ნიშნავდა. და, იქნებ, ძველი სოციალური უსამართლობები შენარჩუნდა, და სისტემის მოწინააღმდეგე მეამბოხეები ახალი ფორმის ყოფილ ხელმოცარულებს წარმოადგენდნენ. ალტერნატიული ინტერპრეტაცია იყო, რომ საფრთხე ნარკოტიკულ საშუალებებში უნდა გვენახა. ნარკოტიკები მართლაც ისეთი სახიფათო იყო, რომ ისინი ანადგურებდნენ ადამიანს, თუნდაც თვით სრულყოფილ და კეთილმოწყობილ საზოგადოებაში.

ნათელია, რომელი პასუხი უფრო ხელსაყრელი იქნებოდა საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს მამებისთვის. ნარკოტიკული საშუალებების წინააღმდეგ ომი გამოცხადდა. და ასეთი ომი საყოველთაო კეთილდღეობასთან წინააღმდეგობაში არ მოდიოდა, პირიქით, ჰარმონიაშიც კი იყო მასთან. კეთილდღეობის ერთ-ერთ ელემენტს ადამიანებზე ზრუნვა წარმოადგენს, თუნდაც მათი სურვილის საწინააღმდეგოდ და ასევე ცხოვრებისეული საფრთხეებისგან ღირებულებების დაცვა.

შემდგომმა განვითარებებმა ნარკოტიკული საშუალებების წინააღმდეგ ბრძოლისთვის მიზეზები მხოლოდ გაზარდა. ფენებს შორის განსხვავება, თუნდაც საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოებში, რომელიც სოციალ-დემოკრატების მიერ ხორციელდება, აშკარად იზრდება. განსაკუთრებით მატულობს მდიდარ ადამიანთა რიცხი მაშინ, როდესაც ჩვეულებრივი მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტები უკიდურესად დაბალია. ეს კი ქვემოდან გარკვეული

დისტანციის შენარჩუნების საჭიროებას ქმნის. საყოველთაო კეთილდღეობის სისტემაზე ლაქა აისახება ასევე ადამიანთა რაოდენობის მომატებით ქალაქის გარეუბნებში და ადგილებში, სადაც უკიდურესად გაჭირვებულები, ღატაკები, უსახლკაროები და ა.შ. იყრიან თავს. სიღარიბე კვლავ თვალსაჩინო გახდა. გამოჩნდნენ მათხოვრები. უსახლკაროები და ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებლები კვლავ ქუჩაში გამოვიდნენ. ისინი ყველგან არიან, ბინძურები, შეურაცხმყოფელნი და პროვოკაციულები თავიანთ უსარგებლობაში.

ჩვენს წინაშეა იმის გამეორება, რაც ხდებოდა 30-იანებში, უფრო მეტად კი ქალაქის გარეუბნების თავიდან მშენებლობის შემდგომ. ღარიბთა უბნებში არსებული სამალავი ადგილები და ბნელი კუთხეები შეიცვალა გამთბარი პასაჟებით, რომლებსაც განათებულ და მოციმციმე სავაჭრო ცენტრებამდე მიყავხარ. უსახლკარო და უმუშევარი პირები ასევე ცდილობენ გამოიყენონ ეს საჯარო ალტერნატივები სამუშაო ადგილად და სახლებად, რომლებსაც ისინი მოწყვეტილნი არიან. და როგორც მოსალოდნელია, მათ ამ ადგილებიდან აძევებენ და ყრიან. 30-იანებში ხსენებული ხორციელდებოდა იმით, რომ მსგავ პირებს მიიჩნევდნენ „ავადმყოფებად", რომელთაც მკურნალობა ესაჭიროებოდათ. იყო აშენებული სპეციალური ციხე, სადაც ქუჩაში სიმთვრალისთვის დაკავებულ პირებს ალკოჰოლიზმის მკურნალობის მოტივით დიდი ხნის განმავლობაში ათავსებდნენ. მსგავსი ხდებოდა ფინეთსა და შვედეთში. 1960-იანებში და 70-იანებში ეს ყოველივე გაუქმებულ იქნა.

არასასურველ პირებს შორის ახალბედებს ასევე აღიქვამენ, როგორც ავადმყოფებს ან ისეთებს, ვისაც არ გააჩნიათ ჩვეულებრივი ნებისყოფა მათი ნარკოტიკებისადმი მოუთოკავი მოთხოვნილების და დამოკიდებულების გამო. და ახლა ხალხის ასეთი კატეგორია უფრო მეტადაც კი ერგება სისხლისსამართლებრივ საქმიანობას. 30-იანებში ჩანდა, თითქოს, მათი ავადმყოფობა ალკოჰოლისგან მომდინარეობდა, ლეგალური სითხისგან, რომელიც უმრავლესობის მიერ

მოიხმარებოდა. მხოლოდ ალკოჰოლის ბოროტად და ზედმეტად გამოყენება ისჯებოდა, ზოგადად მოხმარება კი – არა. დღესდღეობით, ზოგიერთი ინტოქსიკაციის ეფექტის მქონე ნივთიერებები უკანონოა (იმის მიუხედავად, რომ უმთავრეს ნარკოტიკს სწორედ ალკოჰოლი წარმოადგენს). უკანონობა ქმნის მკვეთრ განსხვავებას „მათსა“ და „ჩვენს“ შორის.

სკანდინავიაში ნარკოტიკული საშუალებების წინააღმდეგ წარმოებული ომი მეტწილად გახდა იმის განმეორება, რაც გასფილდის (Gusfield) (1963 წელი) აღწერით აშშ-ში „აკრძალვის პერიოდში“ ხდებოდა. ჯვაროსნული ლაშქრობა იმ დროს მიმართული იყო არა მხოლოდ ალკოჰოლის წინააღმდეგ, არამედ აშშ-ში მორალური ჰეგემონიის ახალი პრეტენდენტების წინააღმდეგაც. ყველა ინდუსტრიულ საზოგადოებაში, ნარკოტიკული საშუალებების წინააღმდეგ ბრძოლა გადაიზარდა ომში, რომელიც კონკრეტულად სახელმწიფოს მხრიდან პოტენციურად სახიფათო ფენებზე კონტროლს აძლიერებს. ისინი არ არიან გამომწვევები, როგორც ამას გასფილდი აღწერს, თუმცა თავისი ცხოვრების წესით აგრესიულებად შეიძლება ჩაითვალონ. ქვემოთ არამხოლოდ საზოგადოებაში არასრულყოფილება არის ახსნილი, მაგრამ ასევე, საკმაოდ კონკრეტულად, არაპროდუქტიული მოსახლეობის დიდი სეგმენტი უსაფრთხოდ არის გისოსებს მიღმა გამოკეტილი. ევროპულ ციხეებზე არსებული დიდი დატვირთვა, ისევე, როგორც აშშ-ს ციხეებში განთავსებული პატიმრების რაოდენობის ზრდა, უმეტესად ნარკოტიკული საშუალებების წინააღმდეგ წარმოებულ ომთან არის დაკავშირებული.

ბოლოს 19 წლის განმავლობაში ნორვეგიაზე ასეთი განვითარებების ეფექტი ნაჩვენებია *ცხრილში 5.3-1.* რაც მე აქ მოვიმოქმედე, არის მარტივად (თუმცა, პრაქტიკაში არც თუ ისე მარტივი იყო) იმის დათვლა, თუ პატიმრობის რამდენი წელი მიუსაჯეს მოსამართლეებმა ყოველ წელს, დაწყებული 1979 წლიდან და დასრულებული 1997 წლით. როგორც ვხედავთ, ამ 19 წლის მანძილზე, მათ თითქმის გა-

აორმაგეს ტკივილისთვის განკუთვნილი წლების მოცულობა, 1,620-დან 3,118-მდე. შემდეგი სვეტი მოიცავს პატიმრობებს ნარკოტიკული დანაშაულებისთვის. აქ ჩვენ ვხედავთ ზრდას 219-დან 1001 მდე; ეს კი ამ წლების განმავლობაში 4-ჯერ მეტ ზრდას ნიშნავს. და ბოლო სვეტში შეგვიძლია ვნახოთ, უფრო და უფრო რამდენად მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ნარკოტიკები ტკივილის ბიუჯეტში. განკუთვნილი ტკივილის ყველა წლის მესამედი ახლა ნარკოტიკულ დანაშაულზე მოდის. აღნიშნული გამოსახულია ზემოთ წარმოდგენილ *დიაგრამაში 4.3-1*, რომელიც ამ პერიოდში ნორვეგიაში ციხეების ზრდას შეეხებოდა. აღნიშნული ზრდის მონაცემები უმნიშვნელოა იმასთან შედარებით, რასაც სკანდინავიის მიღმა ვხვდებით, თუმცა პატიმრების რაოდენობაში მაინც აღინიშნება 1/3-მდე ზრდა.

**ცხრილი 5.3-1. ნორვეგიაში ყოველ წელს 1979 წლიდან 1997 წლამდე სასამართლოს მიერ განსაზღვრული პატიმრობის წლების რაოდენობა. ჯამური რაოდენობა და ასევე ნარკოტიკული დანაშაულისთვის განსაზღვრული პატიმრობის წლები**

| წელი | ჯამი | ნარკოტიკები | ნარკოტიკების პროცენტი ჯამიდან |
|---|---|---|---|
| 1979 | 1620 | 219 | 14 |
| 1980 | 1630 | 245 | 15 |
| 1981 | 1792 | 326 | 18 |
| 1982 | 2073 | 388 | 19 |
| 1983 | 2619 | 650 | 25 |
| 1984 | 2843 | 684 | 24 |
| 1985 | 2522 | 592 | 24 |
| 1986 | 2337 | 458 | 20 |
| 1987 | 2586 | 683 | 26 |
| 1988 | 2688 | 756 | 29 |
| 1989 | 3022 | 832 | 28 |
| 1990 | 3199 | 789 | 25 |
| 1991 | 3319 | 910 | 27 |
| 1992 | 3209 | 869 | 27 |
| 1993 | 3350 | 977 | 29 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 1994 | 3517 | 1083 | 31 |
| 1995 | 3222 | 947 | 29 |
| 1996 | 2873 | 817 | 28 |
| 1997 | 3118 | 1001 | 32 |

აშშ-ში არსებულ განვითარებებს განსაკუთრებული ყურადღება მე-7 და მე-8 თავებში მიექცევა, თუმცა უკვე აქვე იქნება მოცემული რამდენიმე ელემენტარული მონაცემი, იმის სადემონსტრაციოდ, თუ რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ნარკოტიკული საშუალებების წინააღმდეგ წარმოებულ ომს ციხის განვითარებისთვის. დიაგრამა 5.3-2 ასახავს 1970 წლიდან 1997 წლამდე ფედერალურ ციხეებში დაპატიმრებული პირების რაოდენობას.

**დიაგრამა 5.3-2. ნარკოტიკული დანაშაულისთვის ფედერალურ ციხეებში დაპატიმრებულ პირთა საერთო პროცენტული მაჩვენებელი. აშშ, 1970-1997.**[1]




[1] იუსტიციის სტატისტიკის ბიურო (Bureau of Justice Statistics), 1997 წელი, ცხრილი 6.52, გვ. 506.

ცხრილი 5.3-2 მაუერიდან (Mauer) (1999 წელი) ასახავს სახელმწიფო ციხის პატიმრებს დანაშაულის მიხედვით 1985-1995 წლებში. აქაც ისევ ვხედავთ ნარკოტიკული საშუალებების წინააღმდეგ წარმოებული ომის ეფექტებსა და შედეგებს.

**ცხრილი 5.3-2. დანაშაულის ტიპის მიხედვით სახელმწიფო ციხეებში ახალი დაპატიმრებების ზრდა, 1985-95 წლები**

| დანაშაული | დაპატიმრებები ციხეში 1985 წელი | დაპატიმრებები ციხეში 1995 წელი | ზრდა 1985-95 წლები | % ზრდა | % საერთო ჯამიდან |
|---|---|---|---|---|---|
| სულ | 183,131 | 337,492 | 154,361 | 84% | 100% |
| ძალადობრივი | 64,300 | 99,400 | 35,100 | 55% | 23% |
| საკუთრება | 77,600 | 97,600 | 20,000 | 26% | 13% |
| ნარკოტიკები | 24,200 | 104,400 | 80,200 | 331% | 52% |
| საზოგადოებრივი წესრიგი | | | | | |
| სხვა | 17,100 | 36,100 | 19,000 | 111% | 12% |

შენიშვნა: დამრგვალების გამო, სვეტები არ აჯამებს 100%. მონაცემები დათვლილია იუსტიციის სტატისტიკის ბიუროს ანგარიშიდან.

* * *

ნარკოტიკული საშუალებების წინააღმდეგ წარმოებულმა ბრძოლამ პრაქტიკაში გზა გაუხსნა ომს იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც ყველაზე ნაკლებად სასარგებლო ადამიანებად და პოტენციურად მოსახლეობის ყველაზე საშიშ ნაწილად არიან მიჩნეულნი; იმ პირთა წინააღმდეგ, ვისაც სპიცზერი (Spitzer) „სოციალურ ნარკომანებს“ უწოდებს, თუმცა ისინი გაცილებით უფრო საშიშ პიროვნებებად აღიქმებიან, ვიდრე უბრალოდ ნარკომანები. მათი არსებობა ნათელს ხდის, რომ ყველაფერი ისე არ არის, როგორც უნდა იყოს სოციალურ ქარხანაში, და ამავე დროს, ისინი არასტაბილურობის და უწესრიგობის პოტენციურ წყაროს წარმოადგენენ. სპიცზერის ტერმი-

ნოლოგიით, ისინი ხდებიან ნარკომანები და ამავე დროს – დინამიტებიც. ნარკოტიკული საშუალებების წინააღმდეგ წარმოებული ომი გაბატონებული კლიშეების ფარგლებში მიმდინარეობს. ზოგიერთი მათი ქმედებისთვის, მათ სერიოზულ დამნაშავეებად მიიჩნევენ. მათ „ნარკოტიკების ზვიგენებს“ უწოდებენ და განსაკუთრებით ხანგრძლივი დროით აპატიმრებენ, თუკი ისინი იმპორტირებას ახდენენ ან ყიდიან ნარკოტიკების მინიმალურ ოდენობაზე მეტს. რეალურად კი, მათ შორის, ვინც ნარკოტიკული დანაშაულისთვის არის დაკავებული/დაპატიმრებული, უმეტესობა წარმოადგენს მომხმარებელს, საზოგადოების ზედა ფენებს მნიშვნელოვანი მანძილით დაშორებულ პირებს (ბოდალი (Bodal), 1982 წელი). საშუალო და ზედა კლასებიდან ნარკოტიკული საშუალებების მსხვილი დილერები, იშვიათი გამონაკლისის სახით, მაგრამ მაინც, არსებობენ, ციხეებშიც კი. კლიშეების მეორე მხრიდან ჩვენ ვხედავთ იძულებითი წესით მკურნალობის ინიციატივებს. ამასთან დაკავშირებით, ახლა უმთავრესად ერთი და იგივე ხალხი მიიჩნევა უბადრუკ უიღბლოებად.

## 5.4. ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲪᲘᲮᲔᲡᲘᲛᲐᲒᲠᲔ, ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲐ[15]

წინამდებარე წიგნის პირველი გამოცემა თანამედროვე ევროპის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე ტურბულენტურ პერიოდში დაიწერა. წიგნის წერის პროცესში საბჭოთა კავშირი დაიშალა. ისევე, როგორც ჩამოიშალა რკინის ფარდა. ჩემი ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში, ჩვენ ვიყობთ საზღვარს ახლანდელ რუსეთთან. რკინის ფარდის გარეშე ჩვენ ამ მეზობლობის ახალ რეალობაში უნდა ვიცხოვროთ.

ჩვენ ყველაფერი არ მოგვწონდა, რასაც ვხედავდით. კონკრეტულად კი, ძალზე არაკომფორტულია სიღარიბის ასეთი ნათელი სურა-

---

15 მე დიდად მადლობელი ვარ ტომას მეტიესენის (Thomas Mathiesen) ამ სისტემის აღწერაში დახმარების გაწევისთვის. იხილეთ ასევე შენგენის შესახებ მისი უახლესი ნაშრომი (მატიესენი (Mathiesen) 2000 წელი).

თის დანახვა. ისინი, ვინც საზღვართან ახლოს ცხოვრობენ, იქცევიან, როგორც კარგი მეზობლები. ისინი ეპატიჟებიან მშივრებს თავისთან, ან მათ დასახმარებლად საჭმელს აგროვებენ. თუმცა, სახელმწიფოს დონეზე, ეს ყოველივე სულ სხვაგვარად გამოიყურება. რუსეთი ისეთი დიდია; რა მოხდება ყველა იქ მცხოვრებმა, ან თუნდაც მათმა ნაწილმა, დასავლეთისკენ გადასვლა რომ გადაწყვიტოს? მშიერი მეზობლები ალბათ სახლებშივე გადაგვჭამენ. EEC-ის 1992 წლის იანვრის კვლევამ აჩვენა, რომ 2.5 მილიონმა პირმა უკვე გადაწყვიტა დასავლეთისკენ გამგზავრება. დარჩენილ 10.5 მილიონს რაც შეეხება, ისინი ამბობენ, რომ, სავარაუდოდ, თვითონაც გადაწყვეტენ დასავლეთის მიმართულებით წასვლას.[16]

მსგავსი პრობლემები არსებობს რუქის ქვემოთ განლაგებულ ქვეყნებშიც. ეს პრობლემა არსებობს მთელს დასავლეთ ევროპაში. ჩვენ ვართ გარემოცულნი მშიერი მეზობლებით. და გამოსავალიც ნათელია: სტალინის და მისნაირების მიერ აგებული ძველი ღობე თავიდან უნდა აღიმართოს, ამჯერად საზღვრის მეორე მხიდან და უნდა გაგრძელდეს სამხრეთისკენაც. აფრიკაც ასევე მშიერია. ისევე, როგორც აზია. ევროპის ციხესიმაგრე ფორმას იძენს, ევროპის ციხესიმაგრე, დასავლეთის დივიზია.

საბჭოთა კავშირის დაშლამდე ამისთვის ნიადაგი უკვე მომზადებული იყო. სხვადასხვა ნაბიჯები გადაიდგა. პირველის სიმბოლოს წარმოადგენდა ასო-ბგერები ტრეძა (TREVI). ეს იყო სამთავრობათაშორისი ფორუმი ევროპული თანამეგობრობის შინაგან საქმეთა და საგარეო საქმეთა მინისტრებისთვის. რამდენიმე ისეთ ქვეყანაში, როგორიცაა, მაგალითად, აშშ, კანადა, მაროკო და სკანდინავიის ქვეყნები, გამოიყო ჯგუფი, რომელსაც დამკვირვებლის სტატუსი ჰქონდა. **ტრეძა (TREVI – Terrorism, Radicalism, Extremism and Violence)** იშიფრებოდა, როგორც ტერორიზმი, რადიკალიზმი, ექსტრემიზმი და ძალადობა. ჯგუფი უპირა-

[16] *Aftenposten*, იანვარი 1992 წელი, გვ. 3.

ტესად ტერორიზმთან საბრძოლველად 1976 წელს ჩამოყალიბდა, თუმცა პირველადი მანდატი შემდგომში  ისეთ განსაკუთრებულ ჯგუფებზე გაფართოვდა, როგორიც იყო „პოლიციასთან თანამშრომლობა“, „სერიოზული დანაშაულები და ნარკოტიკული საშუალებების ტრეფიკინგი“, და ბოლო, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანი, „პოლიტიკა და ერთიანი ევროპული ბაზრის უსაფრთხოების უზრუნველყოფა“.

ტრევის შეთანხმება ახლა ისტორიის ნაწილს წარმოადგენს იმ გაგებით, რომ ის უკვე გადაფარეს ოპერატიულმა ორგანიზაციებმა. ამ ოპერაციების სამართლებრივი ჩარჩო კი მნიშვნელოვანწილად შენგენის შეთანმხმებით ჩამოყალიბდა. შენგენი ლუქსემბურგის პატარა ქალაქია, სადაც ლუქსემბურგმა, საფრანგეთმა, დასავლეთ გერმანიამ, ბელგიამ და ნიდერლანდებმა 1985 წელს მათი შიდა საზღვრების კონტროლის გაუქმების შესახებ ოფიციალურ შეთანხმებას მოაწერეს ხელი. აღნიშნული შეთანხმება ახალი თანამეგობრობისთვის განიხილებოდა, როგორც საპილოტო პროექტი. ბევრი უთანხმოების, ისევე, როგორც შეთანხმების ირგვლივ არსებული გასაიდუმლოებების დიდი დოზის კრიტიკის შემდეგ, დეტალურ კონვენციას ხელი 1990 წლის ივნისში მოეწერა. კონვენცია შვიდი ქვეყნისთვის ძალაში 1995 წლის მარტში შევიდა. მომდევნო წლების განმავლობაში, ევროპის კავშირის ყველა ქვეყანა, დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის გარდა, შეუერთდა შეთანხმებას, ასევე ევროკავშირის ისეთმა არაწევრმა ქვეყნებმა, როგორებიც არიან ნორვეგია და ისლანდია, ცალკე ხელი მოაწერეს ერთობლივ შეთანხმებას. 1997 წელს ამსტერდამში გამართულ ევროკავშირის სამიტზე შენგენი, რომელიც მთლიანობაში ევროკავშირის პროექტად ითვლებოდა, ევროკავშირის სტრუქტურაში ოფიციალურად იყო ინტეგრირებული, და ძალაში 1999 წლის 1 მაისს შევიდა. აბელის (Abel) და სხვების სიტყვებით (1991 წელი, გვ. 4):

**რატიფიკაციამდეც კი, საპოლიციო თანამშრომლობისა და ინფორმაციის გაცვლის შესახებ არსებული მისი დებულებების მიხედვით უკვე ნათელი წარმოდგენა იქმნება იმაზე, თუ რაც იქნება მომავალში მოსალოდნელი.**

და ის ყველაფერი, რაც მომავალშია მოსალოდნელი, ევროპის ციხესიმაგრის დაცვას ემსახურება.

პირველ რიგში, პოლიციას შესაძლებლობა ექნება ქვეყნებს შორის საზღვარი უპრობლემოდ გადაკვეთოს. ისინი უფლებამოსილნი იქნებიან, ატარონ საკუთარი ცეცხლსასროლი იარაღი, თუმცა კერძო სახლებსა თუ ადგილებში, რომლებიც საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი არ არის, შესვლა აკრძალული ექნებათ.

მეორე, ერთობლივი საინფორმაციო სისტემა დაარსდება (კონვენცია, მუხლი 92):

**შენგენის საინფორმაციო სისტემა უნდა აძლევდეს კონტრაქტორი მხარეების მიერ დანიშნულ უფლებამოსილ პირებს საშუალებას, ძებნის ავტომატიზირებული პროცედურის მეშვეობით, ქვეყანაში სასაზღვრო შემოწმებისა და კონტროლისთვის, ასევე სხვა საპოლიციო და საბაჟო შემოწმებისთვის, ჰქონდეთ პირებისა თუ საგნების შესახებ ანგარიშებზე წვდომა...**

აღნიშნული კონტროლის განსახორციელებლად ახალი ტექნიკური საშუალებები მალე იქნება ხელმისაწვდომი. სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების ახალი ამბების ბიულეტენში, ევროპა (გამოცემა 1, ნომერი 1, გვ. 3) ნათქვამია:

**ინგლისში ესსექსის უნივერსიტეტის მკვლევარები ექსპერიმენტს ატარებენ თითის ანაბეჭდის სკანირების სისტემაზე, რომელიც, თაღლითობის თავიდან ასაცილებლად და მის შესამცირებლად შესაძლებელია საკრედიტო ბარათთან იქნეს მიერთებული. ხელსაწყოსთან დაკავშირებული პრობლემების მოსაგვარებლად ხელსაწყოს მოდელის ტესტირება უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული კომპანიის, ესსექსის ელექტრონული კონსულტანტების (Essex Electronic Consultants), მიერ ხდება.**

**...**

**ბიზნეს ადგილებში სკანერის გამოყენება შესაძლებელი იქნება საკრედიტო ბარათით მოსარგებლის თითის ანაბეჭდის იმ ანაბეჭდთან შესადარებლად, რომელიც ბარათის მაგნიტურ ზოლშია დატანებული. საკრედიტო ბარათთან დაკავშირებული თაღლითობის თავიდან აცილების ფუნქციასთან ერთად, ტექნიკას უამრავი სხვა აპლიკაციაც გააჩნია, მათ შორის, ნაღდი ფულის აპარატები, მართვის მოწმობები, პასპორტები და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები.**

და მესამე, ჩამოყალიბდა უცხოელების კონტროლის ხისტი სისტემა. გარე საზღვრების გადმოლახვა მხოლოდ ავტორიზებულ გამშვებ პუნქტებში არის შესაძლებელი. ევროპის ციხესიმაგრის მიღმა მცხოვრებ პირებთან მიმართებაში სახელმწიფოები ერთიან პოლიტიკას გაატარებენ. ისინი შეათანხმებენ სავიზო და თავშესაფრის მოთხოვნის პოლიტიკას და არასასურველი პირების შესახებ ინფორმაციას გაცვლიან. შესვლაზე უარი შეიძლება ითქვას, თუკი „შენგენის სხვა ქვეყნებს" აღნიშნულ პირზე ნეგატიური ინფორმაცია აქვთ. „უარი ერთი ქვეყნისგან ნიშნავს უარს თორმეტისგან. თანხმობა ერთისგან ნიშნავს თანხმობას მხოლოდ ერთისგან" (მორენი, (Moren) 1991 წელი, გვ. 43). კომპანია, რომელიც პირს საზღვარზე გადასვლაში ეხმარება, შესაძლოა დაჯარიმდეს იმის გამო, რომ აღნიშნულ პირს სათანადო დოკუმენტაცია არ გააჩნია.

რას ნიშნავს ეს ყოველივე?

გარკვეულწილად ეს ჰგავს ალყას. შიდა საზღვრები სუსტდება, თუმცა ეს კომპენსირებულია გაძლიერებული შიდა კონტროლით ეროვნული საზღვრების გადაკვეთის უფლებამოსილებით აღჭურვილი შეიარაღებული პოლიციისა და გაზიარებული საინფორმაციო სისტემის სახით; და, როგორც აუცილებელი ელემენტი, მარადიულ საზღვრებში კონტროლის ბევრად უფრო ეფექტური სისტემით. რკინის ფარდა დაეშვა, სამაგიეროდ, ჩამოეშვა სავიზო ფარდა.

იქნებ, დასავლეთ ევროპას, ყოველ შემთხვევაში, რაღაც დროის განმავლობაში მაინც, ექნება შესაძლებლობა, შეინარჩუნოს პატიმრების რიცხვის შედარებით დაბალი დონე, იმის შენახვით, რაც განიხილება, როგორც ამ მდიდარი საზოგადოების მიღმა არსებული ყველაზე უფრო საშიში ელემენტები. იქნებ, დასავლეთი ევროპა ცოტა ხნით დარჩეს კეთილდღეობის კუნძულად გაჭირვებულების ციხესიმაგრის საკნებში გამოკეტვის მაგივრად მათი შეშვებისგან თავის შეკავებით. უცხოელების წინააღმდეგ ბრძოლის გამოცხადებით, ჩვენ, შესაძლებელია, უფრო ნაკლებად ვიყოთ მოცულნი ომით იმათ ტრადიციულად შიდა მტრად მიჩნეულის წინააღმდეგ. კითხვები ჩნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ციხეში არსებული ასე ნანატრი ვითარების ფასი საკმაოდ მაღალია. ეს უკანასკნელი მოსაზრებები გვიცავს ჩვენ დასავლეთ-ევროპული თვითკმაყოფილებისგან, როდესაც ქვემოთ ვნახავთ, თუ რა ხდება რუსეთსა და ატლანტიკის სხვა მხარეებში.

# თავი 6
# რუსული საქმე

## 6.1. ის, ვინც შინ ბრუნდება

როდესაც დიდი რუსი მომღერალი, პოეტი და უბრალოდ ადამიანი, ვლადიმერ ვისოცკი (Vladimir Vysotskij) ერთხელ ეწვია ქალაქს, რომელშიც მისი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ავტო-ქარხანა იყო განთავსებული, მას რკინიგზის სადგურიდან მის ღამის კვარტლამდე ფეხით გრძელი ქუჩის ჩავლა მოუწია (პალმერი (Palmaer) 1986 წელი, გვ.10). როდესაც ის წინ მიიწევდა, ფანჯრები ერთმანეთის მიყოლებით იღებოდა, მათზე დებდნენ მაგნიტოფონებს, საიდანაც მისი სიმღერები მთელ ხმაზე ისმოდა. ეს ყოველივე იმპერატორის შინ დაბრუნებას წააგავდა.

ვისოცკიმ მილიონობით რუსის გამოცდილება თავისი სიტყვებით აღწერა. ის მოსკოვში რკინიგზის ერთ-ერთ ცენტრალურ სადგურთან ახლოს გაიზარდა. ამ სადგურს ერქვა რიჟსკი სადგური (Rizjskij Vokzal). ადგილი ხალხმრავლობით გამოირჩეოდა. ერთი ბინა და ერთი საპირფარეშო შეეძლო 20-მდე ოჯახს გაეზიარებინა. ეს იყო სტალინის სიკვდილის შემდეგ ქვეყანაში დიდი ამნისტიების პერიოდი. პატიმრები სახლში დაბრუნდნენ. ისინი ყვებოდნენ თავიანთ ისტორიებს, მღეროდნენ თავიანთი სევდის შესახებ. ვისოცკი უსმენდა მათ და შემდეგ მათ სიტყვებს მსოფლიოს აცნობდა.

1950-იანებში დაახლოებით 2.5 მილიონამდე პატიმარი საბჭოთა კავშირის გულაგებში იყო განთავსებული. ჩვენ ვიხრებით იმ აზრისკენ, რომ ესეთი ადამიანები უმეტესად პოლიტიკურ პატიმრებს წარმოადგენდნენ. **გულაგები** იყო საბჭოთა ბანაკები სოლჟენიცინისთვის (Solszhenitsyn), ასევე, ირინა რატუშინსკაიასთვის (Irina Ratusjinskaja), რომელმაც ამ მოვლენას მიუძღვნა წიგნი – „ნაცრისფერი არის იმედის ფერი" („Grey is the colour of hope"), და სხვა მათი მსგავსი ადამიანებისთვის. და მართლაც, ისინი  პოლიტიკური პატიმრების, „კლასის მტრების", არასწორი მოსაზრებების, არასწორი ოჯახების და არასწორი კლასის ან კავშირების მქონე პირების  დიდ კონტინგენტს ქმნიდნენ. თუმცა, შემდგომ, ისევე, როგორც ახლა, ბანაკებში სხვა ჩვეულებრივი ხალხიც ხვდებოდა, ვისაც შედარებით ჩვეულებრივ პირობებში ჩვეულებრივ ციხეებში, ფსიქიატრიულ კლინიკებსა თუ ახალგაზრდულ დაწესებულებებში ათავსებენ. ესენი იყვნენ ადამიანები – თუკი შეწყალების შემდეგ მათ შინ დაბრუნების უფლება მისცეს – ვინც დაბრუნდნენ უკან მოსკოვსა თუ პეტერბურგში და ცხოვრება საზოგადოების სისტემის ძირში მცხოვრებ სხვა პირებთან ერთად გააგრძელეს.

ზემოხსენებული პირები უნდა ყოფილიყვნენ ისეთივე ტიპის ადამიანები, როგორებიც დღესდღეობით აშშ-ში პატიმრობიდან სახლში დაბრუნებულები არიან. სახლში, ვაშინგტონის, ბალტიმორის, ლოსანჯელესის გარეუბნებში. მოსკოვში ღარიბებს შორის ცოტა იყო ისეთი ოჯახი, რომლის წევრსაც ბანაკებში ცხოვრებისეული გამოცდილება არ მიუღია. აშშ-ს გარეუბნებში მცხოვრები ღარიბების ოჯახებისთვისაც სიტუაცია მსგავსი უნდა ყოფილიყო. ორივე ერში, სხვა კულტურის არსებობის ნიადაგს წარმოადგენს ზემოხსენებული. ვისოცკისთვის და მასზე გაცილებით ნაკლებად ცნობადი სახეებისთვის რუსეთში, ხოლო ICE-T და მისი მსგავსებისთვის – აშშ-ში.

ვისოცკის სიმღერებში რუსეთის მელანქოლიას ვხვდებით. აშშ-ში მისი ანალოგები ჩემთვის უფრო სწრაფად, უფრო აგრესიულად ჟღერს. მე საკმარისად არ ვადევნებ თვალყურს აშშ-ს რეპ-სცენებს

მოსკოვის/პეტერბურგისა და ლოს-ანჯელესის/ნიუ-იორკის მუსიკას შორის არსებული მსგავსებებისა და განსხვავებების გასაანალიზებლად. ზედაპირული შთაბეჭდილება კი ის არის, რომ ვისოცკის სიმღერები უფრო სევდიანია, უიმედო, მაგრამ ზოგჯერ წინააღმდეგობის ძლიერი თემები იწევა წინ, როგორც ეს მის ცნობილ სიმღერაშია – „ნადირობა მგლებზე" („The Wolf-hunt"). ასეთი პოლიტიკური მესიჯები ნაკლებად გასაგებია ამერიკულ ანალოგებში. თუმცა ზოგიერთი თემა მსგავსია: სასოწარკვეთა, საყვარელ ადამიანებთან განშორება, მეგობრობა, ექსტაზი, ტრაგედია, როგორც გარდაუვალი შედეგი.

## 6.2. ᲪᲘᲮᲔᲔᲑᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ

აღმოსავლეთ ევროპაში ძველი რეჟიმების სულ ბოლო სტადიებამდე, მათი რამდენიმე ციხის სისტემა მოგებით მუშაობდა. ციხის შიგნით და მის გარეთ სამუშაო მორალი იყო საკმაოდ დაბალი, თუმცა მისი შიგნიდან გაკონტროლება გაცილებით ადვილი იყო. მახსოვს დემოკრატიზაციამდე პოლონეთში ჩემი ვიზიტი ერთ-ერთ საჩვენებელ ციხეში. ზედა სართულიდან მოყოლებული, სადამდეც თვალი მიგიწვდებოდა, იყო ქარხნები. ეს ქარხნები მდებარეობდნენ მასიური კედლის უკან და ციხეს ეკუთვნოდნენ. მთელი ქვეყნის მასშტაბით ციხის ადმინისტრაციის დირექტორის მოადგილის თქმით, სისტემა მთლიანობაში მნიშვნელოვანი მოგებით მუშაობს. 1990-იანებშიც კი ეს საკითხი აქტუალური იყო. საბჭოთა კავშირში ციხეებში არსებული მდგომარეობის ხანგრძლივი და დეტალური კვლევის შედეგად, The Helsinki Watch-მა (1991 წელი, გვ. 36) განაცხადა შემდეგი:

> **პატიმრებს უხდიან ხელფასს, საიდანაც მათი შენახვისთვის იქვითება შესაბამისი თანხა. მათ კოლონიისთვის სხვადასხვა მომსახურების გაწევა შეუძლიათ, მაგალითად, დასუფთავება, საჭმლის მომზადება, სარემონტო და სამედიცინო მომსახურება (თუკი ისინი შესაბამისად კვალიფიცირებულები არიან) ან მათ შეუძლიათ ბანაკის სამეწარმეო დაწესებულებაში მუშაობა. კოლონიებში შესაძლებელია შევხვდეთ პატიმრებს, რომლებიც დაკავე-**

**ბულები არიან ისეთი საქმიანობით, როგორიცაა ხუროს ამქრობა, ავეჯის დამზადება, მეტალთან მუშაობა და მარტივი ელექტრონიკა. ციხეში დამზადებული პროდუქცია იყიდება ჩვეულებრივ საზოგადოებაში და უკანასკნელ პერიოდამდე ექსპორტზეც გადიოდა „მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში“. გაუგებარია, როგორ აისახა ციხის პროდუქციის ექსპორტზე აღმოსავლეთ ევროპაში კომუნისტური მთავრობების უმეტესობის ვარდნა და მყარი ვალუტის ოპერაციების მიმართ საბჭოთა სავაჭრო ურთიერთობების რეორიენტაცია, თუმცა, ერთ-ერთ პრეს ანგარიშში ციხეების ძალისხმევის შესახებ აღინიშნა, რომელიც დასავლეთ ევროპულ ფირმებთან ერთობლივი წარმოების წამოწყებას ეხებოდა. ციხის წარმოება საბჭოთა ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რომლის წლიური ბრუნვაც დაახლოებით 8.5 ბილიონი რუსული რუბლია. 1989 წელს ციხის წარმოებიდან მიღებული მოგება შეადგენდა 1.14 ბილიონს. ზოგიერთ რაიონში ციხეები მონოპოლიურ მწარმოებლებად გვევლინებიან, კერძოდ კი, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სფეროში.**

კოლონიებს რუსულ ეკონომიკაში ცენტრალური ადგილი ეკავა. ისინი ძველი ეკონომიკის ერთ-ერთ საუკეთესოდ ფუნქციონირებად ნაწილს წარმოადგენდნენ. აქ დატყვევებული იყო ფხიზელი, ფრიად მოწესრიგებული სამუშაო ძალა, რომელიც იმავე მესერის მიღმა არსებულ ქარხანაში საქმეს ორ ცვლაში აკეთებდა. როგორც ეს ჩემს მიერ მონახულებულ ერთ-ერთ კოლონიაში სიამაყით იყო მითითებული: რომ არ ყოფილიყო ის მაღალი გადასახადები, რასაც სახელმწიფოს ვუხდით, აღნიშნული კოლონია, დაცვისთვის და პატიმრებისთვის დარიგებული ხელფასების გათვალისწინებითაც კი, გასულ წელს მოგებით დარჩებოდა“. დირექტორის ოფისის ფანჯრების მიღმა კი ამ სიამაყის მიზეზი იყო განთავსებული: აღნიშნულ კოლონიაში წარმოებული ფერმისთვის განკუთვნილი მანქანა-დანადგარები.

ეს პროდუქტები კოლონიის სიამაყეს წარმოადგენდა, თუმცა ასევე ეს იყო მთელი სისტემისთვის პოტენციური საფრთხეც. უკანასკნელ პერიოდში, მათ ვერ ნახეს ამ პროდუქციის მყიდველები. ისინი აწარმოებენ, რათა შეინახონ. მათ ვერც ისეთი ადამიანი იპოვეს, ვინც მათ პატიმრებს გათავისუფლების შემდგომ მიიღებდა. კვლავ ციტატა: „ძველ დროს ჩვენ უბრალოდ შეგვეძლო გვეთქვა ქარხნისთვის, რომ

მათ უნდა დაექირავებინათ პატიმარი, რომელიც შემდეგ თვეში უნდა გათავისუფლებულიყო. ახლა კი, ასეთი არავინ გვყავს“.

## 6.3. შორს შენახული

რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, მდგომარეობა მათთვის, ვინც სასამართლოს მოლოდინშია, უარესია რუსი პატიმრებისთვის. ასეთი პატიმრები უმეტესად რაიონებში მდებარე შედარებით ძველმოდურ ციხეებში არიან განთავსებულნი. სიტუაცია ასეთ გადატვირთულ ციხეებში უკიდურესად არადამაკმაყოფილებელია, შეადარეთ, კინგი (King) (1994 წელი). განაჩენის გამოტანის შემდეგ, თითქმის ყველა პატიმარი გამასწორებელ შრომით კოლონიებში გადაჰყავთ, ანუ ყოფილ **გულაგებში**. ეს კოლონიები წარმოადგენენ საერთო საცხოვრებლის ან ყაზარმის ტიპის დაწესებულებებს, რომლებიც ქარხნებთან ერთად აშენდნენ. დასავლური სტანდარტებით, კოლონიებში არსებული საკნები საკმაოდ ვიწროა, თუმცა, გაცილებით ნაკლებად ვიწრო, ვიდრე ეს წინასწარი პატიმრობის დაწესებულებებში ხდება. 10 წლის წინ Helsinki Watch-ი (1999 წელი) ციხეში საცხოვრებელი პირობების შესახებ შემდეგს ამბობდა (გვ. 14–15):

> **პირობები წინასწარი პატიმრობის დაწესებულებებში გაუსაძლისია. ისინი, რომლებიც ჩვენ ვნახეთ, ყველა იყო გადატვირთული, უჰაერო, ზაფხულში – ცხელი, ზამთარში – ცივი და, როგორც წესი, ძალზე არასასიამოვნო სუნით გამოირჩევა. მოსკოვში მდებარე ბუტირსკაიას ციხე (Butyrskaia), რომელიც დაახლოებით 100 წლის წინ, როგორც ციხესიმაგრე, ისე აშენდა, 3,500 ადამიანს იტევს.[17] 1991 წლის ივნისში, როდესაც ჩვენ ეს ციხე მოვინახულეთ, იქ 4,100 პატიმარი იმყოფებოდა, საიდანაც დაახლოებით 250–300 გასაჩივრების მოლოდინში მყოფ სასჯელმისჯილ კრიმინალს წარმოადგენდა. კრასნოპრესნესკაიას ციხე (Krasnopresneskaia), რომლის ტევადობა 2,000 პატიმარია, ყოველთვის გამოირჩევა 2,200–2,300 პატიმრით; როდესაც ჩვენ ის მოვინა-**

---

[17] იქიდან გამომდინარე, რომ ციხეში არსებული საკნების 10–15%, როგორც წესი, ან სარემონტოა, ან სხვა მიზნებით გამოიყენება, ციხის რეალური ტევადობა დაახლოებით 3,000 პატიმარს შეადგენს.

ხულეთ, იქ 2,264 პატიმარი იმყოფებოდა. „ას სამოცდაოთხს არ აქვს დასაძინებელი ადგილი", გვითხრა ციხის უფროსმა, „და მათ უნდა დაიძინონ ან გვერდულად ან იატაკზე." ცნობილი კრესტის ციხე (Kresti Detention centre) არის უდიდესი პეტერბურგში ორ ციხეს შორის, რომლებიც 5 მილიონ ადამიანს ემსახურებიან. მისი ტევადობა არის 3,300 ადამიანი, თუმცა რეალურად იქ იმყოფება 6,000-6,500 პატიმარი!

დანიური გაზეთის – *პოლიტიკენის (Politiken)*[18] – ჯგუფი ადასტურებს პეტერბურგში მდებარე კრესტის ციხის ანგარიშს. კრესტი ნიშნავს ჯვარს, რაც თითქოს ადექვატურია, როგორც მეტაფორა ციხისთვის, რომლის 8 კვადრატულ საკანშიც 14 პატიმარი არის მოთავსებული.

„მტკივა მთელი სხეული, იმიტომ რომ არასოდეს შემიძლია გავჭიმო ფეხები ან წელი," თქვა ერთმა ახალგაზრდა, მაღალმა პატიმარმა. ის იყო ბოლო, ვინც შეუშვეს საკანში, და, შესაბამისად, ძილი კართან და ღია საპირფარეშოსთან ახლოს უწევდა.

ან ისევ Helsinki Watch-ის სიტყვებით რომ ვთქვათ (გვ. 15):

თუკი საწოლის ქვედა სართულზე მოუწიათ ყოფნა, პატიმრები ხშირად მოხრილები სხედან ან წვანან თავიანთ საწოლებზე. ფანჯრები ჩარაზულია, ან, თუკი ისინი ღიაა, ისე არიან დაბლოკილნი მეტალის გისოსებით ან ჟალუზებით, რომ ვერც ჰაერი და ვერც სინათლე შიგნით ვერ აღწევს. საკმაოდ მყარ კარში ერთადერთი პატარა ღიობია, საიდანაც პატიმრებისთვის საკვების გადაცემაა შესაძლებელი. ჰაერის კონდიცირების ფაქტობრივად არანაირი საშუალება არ არსებობს; საკნები ზაფხულში ცხელია, ხოლო ზამთარში – ცივი, და, ხშირად ისინი, როგორც წესი, ძალზე სუსტად არიან განათებული.

ციხის ადმინისტრაცია სასოწარკვეთილია, თუმცა მათ რეფორმების გასატარებლად ძალზე მცირე შესაძლებლობები აქვს. „მე ვიცი, როგორიც უნდა იყოს ციხე", განუცხადა ჟურნალისტებს ციხის დირექტორმა. „მე ვიმყოფებოდი სასწავლო-ვიზიტით ფინეთში, მაგრამ ჩვენთვის ასეთი პირობები მხოლოდ ოცნებას თუ წარმოადგენს."

აღნიშნული წიგნის პირველ გამოცემაში მე მნიშვნელოვანწილად გამოვხატე პესიმიზმი. დღესდღეობით, მესამე გამოცემაზე მუშაობი-

18 Politiken, კოპენჰაგენი, 10 მაისი, 1992.

სას, მე მხოლოდ შემიძლია განვაცხადო, რომ მდგომარეობა უფრო გაუარესდა. პირობები კოლონიებში ცუდია, პირობები წინასაპატიმრო დაწესებულებებში ფაქტობრივად ენითაუწერელია. მოსკოვში მე შევხვდი 57 ადამიანს ოთახში, რომლის მოცულობაც დაახლოებით პატარა საკლასო ოთახისხელა იყო. ეს ადამიანები, რომლებსაც იქ დღე და ღამეები უწევდათ ყოფნა, სამ ცვლაში იძინებდნენ, თავსდებოდნენ ერთად ერთ საწოლზე, ფართოდ გავრცელებული დაავადებებით, საკვების უკმარისობით, ნათესავების მხრიდან საჩუქრებზე დამოკიდებულებით და სუფთა ჰაერის უკიდურესი უკმარისობით. „აქ გატარებული ერთი წელი უდრის კოლონიებში გატარებულ სამ წელს“, განაცხადა რამდენიმე პატიმარმა.

რაც ყველაზე უარესია, პირობები უფრო და უფრო მძიმდება. 1998 წლის ზაფხულის ეკონომიკური კრიზისის შემდეგ, რუსეთის ხელისუფლება უფულოდ დარჩა. სახელმწიფო დღეში ერთ პატიმარზე რუსული რუბლის ორ მესამედს გამოყოფს. ამ თანხაში შედის ასევე სამედიცინო ხარჯებიც.1998 წლის ზაფხულში 20 რუსული რუბლი ერთ აშშ დოლარს უდრიდა.

## 6.4. ტუბერკულოზი

რაც ასევე სიახლეს წარმოადგენს, არის ტუბერკულოზი.

1999 წელს 1 მილიონ პატიმარს შორის 92,000 ამ დაავადების მატარებელი იყო. ზოგიერთმა მათგანმა მკურნალობის გარკვეული კურსი გაიარა, თუმცა ეს საკმარისი არ იყო. 30,000 პატიმარს შორის ჩვეულებრივი ტუბერკულოზი მულტირეზისტენტულ ტუბერკულოზში გადაიზარდა. მსჯავრის დადება ნიშნავს სწრაფად მზარდ რისკს, დაავადდე ტუბერკულოზით ან სულაც ცხოვრება სიკვდილით დასრულდეს, ან, როგორც ამას ფარმერი (Farmer) (1998 წელი) იტყოდა, ეს არის სიტუაცია „მედიკამენტებისადმი რეზისტენტული ტუბერკულოზის, როგორც სასჯელის“.

ვივიენ შტერნის (Vivien Stern) (1999 წელი) ანგარიშის მიხედვით, ტუბერკულოზიანი 45 სპეციალური კოლონია არსებობს. ერთი მოსკოვიდან 5000 კილომეტში მდებარეობს, მარინინსკში, ციმბირში. კოლონიის მთავარმა ექიმმა დახმარებისთვის საზღვრებს გარეთ მყოფ სხვა ექიმებს მიმართა. ახალგაზრდა ბელგიელმა ექიმმა, ჰანს კლუგემ (Hans Kluge), მიიღო მოწვევა და 1996 წელს მარინინსკში ჩავიდა.1998 წელს ციხეების შესწავლის საერთაშორისო ცენტრის (International Centre for Prison Studies) მიერ ორგანიზებულ სემინარზე სიტყვით გამოსვლისას, მან ის დაბრკოლებები აღწერა, რასაც ის მარინინსკში ყოფნისას წააწყდა (შტერნი, გვ. 3-4):

> პაციენტები მარინინსკში ძალზე გართულებულ მდგომარეობაში მოდიან. იქაურობა ძალზე გადატვირთულია და არ არის იზოლაცია. პაციენტები ტოვებენ თავიანთ ნახველს ყველგან. ... შიდა იერარქიის არსებობის გამო ჩვენი პრობლემები იზრდება (პატიმრებს შორის არსებული კასტური სისტემა. ნილს კრისტი) ... ჩვენ მათ ვაიძულებდით, რძე ჩვენი თანდასწრებით მიეღოთ, რადგან იერარქიაში ყველაზე დაბლა მდგომ პატიმარს სცემდნენ და თავის რძეს აკარგვინებდნენ. როდესაც ჩვენ პირველად ვეწვიეთ ციხეს, გვინდოდა ზოგიერთი პატიმრისთვის მუნისგან მკურნალობა ჩაგვეტარებინა, თუმცა მათგან დიდ წინააღმდეგობას წავაწყდით. როგორც შემდგომ გაირკვა, მუნი ძალიან კარგ თავდაცვით მეთოდს წარმოადგენდა ციხის შხაპებში ჯგუფური გაუპატიურების თავიდან ასაცილებლად.
>
> ...
>
> მკურნალობის ეფექტურობის მაჩვენებელი არის 40%, რაც მიუღებელია. ესენი არიან მოზარდები (14-18 წლის) ... ყველას, ვინც 4 თვის თავზე კვლავ ინფიცირებულები არიან, ერთ განყოფილებაში ათავსებენ, რადგან ისინი, შესაძლოა, წამლებზე რეზისტენტული ტუბერკულოზით იყვნენ დაავადებულნი. ჩვენი მოვალეობაა შემდგომ ყველა განყოფილებას შორის მესერი აღვმართოთ. ქრონიკულები ამ მავთულხლართიანი ღობის მიღმა ხვდებიან. მათ ასევე იცავენ ჯარისკაცებიც. საშინელებაა ის, რისი გაკეთებაც 21-ე საუკუნის მიჯნაზე გვიწევს. მე უნდა მივიდე მერე და თვალებში ვუყურო ამ ხალხს.

კოლონიაში მუშაობისას ექიმ კლუგესაც დაუდგინეს ტუბერკულოზის დიაგნოზი.

ვივიენ შტერნი ხაზს უსვამს იმას, რომ პრობლემა მხოლოდ ციხეებში არ უნდა ვეძებოთ. პატიმრები ტოვებენ ციხეს და თავიანთ საცხოვრებელ ადგილებსა თუ კომუნებში ბრუნდებიან. არ არსებობს მათი თვალყურის დევნების სისტემა. პრეს-კონფერენციაზე გამოსვლისას ნატალია ვეჟნინამ (Nathalya Vezhnina) მარინინსკიდან განაცხადა:

**ყოველ წელს დაახლოებით 600 პატიმარი თავისუფლდება ჩვენი კოლონიიდან. მათ თავიანთი პრობლემები თან მიაქვთ საზოგადოებაში. ესენი არიან ადამიანები, რომლებსაც აქტიური ტუბერკულოზი აქვთ დადგენილი, და შესაბამისად, შეუძლიათ წელიწადში დაახლოებით 100 ადამიანი დააინფიცირონ.**

შვედურ გაზეთში Dagens Nyheter (1999 წლის 9 აგვისტო), კლუგე ამ ყოველივეს შედეგებზე საუბრობს:

**ყოველ წელს 300,000 რუსი პატიმარი თავისუფლდება. აქედან დაახლოებით 10,000 მულტი-რეზისტენტული ტუბერკულოზით არის დაავადებული. თუკი ვივარაუდებთ, რომ ყოველ მათგანს აქვს შესაძლებლობა, დააავადოს 20 ადამიანი, ამ შემთხვევაში რუსეთი 10 წელიწადში 2 მილიონი ასეთი ტუბერკულოზის შემთხვევის წინაშე დადგება.**

სასჯელის გამოტანამდე პატიმრობა განსაკუთრებით სახიფათოა. მოსკოვში დაფუძნებული ციხის რეფორმის ცენტრი (Moscow Centre for Prison Reform) (აბრამკინი (Abramkin), 1998 წელი) შემდეგნაირად აღწერს წინასაპატიმრო დაწესებულებებში სასამართლოს მოლოდინში მყოფი პატიმრების პირობებს:

**უფრო მჭიდროდ დასახლებულ პუნქტებში მდებარე წინასაპატიმრო დაწესებულებებში ყოველი პატიმრისთვის გამოყოფილია 1 კვადრატულ მეტრზე ნაკლები სივრცე, ზოგიერთ საკანში კი ეს სივრცე მხოლოდ 0.5 კვადრატულ მეტრს შეადგენს. პატიმრებს მორიგეობით ძილი უწევთ. ყველა პატიმრისთვის საკმარისი სივრცე არ არის. პირობები წინასაპატიმრო დაწესებულებებში ძალზე მძიმეა: ჟანგბადის ნაკლებობა, ნესტი, უკიდურესად არასასიამოვნო სუნი. ბევრ პატიმარს აღენიშნება სისხლიანი წყლული და დიდი ხნის დგო-**

**მისგან გამოწვეული ფეხების შესიება. ბევრი დაავადებულია მუნით და კანის სხვა დაავადებებით. მათი სხეულები ოფლიანდება და მაღალი ტენიანობის გამო არაფერი შრება. მჭიდრო გისოსებს მიღმა არსებულ ფანჯრებში ფაქტობრივად სინათლის არანაირი წყარო არ აღწევს. ორ ან სამიარუსიანი საწოლები მიმაგრებულია კედელზე. ნებისმიერ საკანში, იქნება ის 10 თუ 100 პატიმრიანი, მხოლოდ ერთი პირსაბანი და ერთი საპირფარეშოა (გვ. 31).**

არ დავიჯერებდი, ყველაფერი ჩემი თვალით რომ არ მენახა და მეგრძნო. აღწერა კომბინირებული უნდა იყოს ტუბერკულოზის შესახებ არსებულ მხოლოდ ჩვენ ცოდნასთან: დახურულ და უჰაერო ოთახში სადაც 100-ზე მეტი პატიმარია განთავსებული, ზოგიერთი მათგანი აუცილებლად იქნება ინფიცირებული და შესაბამისად, აუცილებლად საჯაროდ ამოახველებს.

ასეთ პირობებთან შედარებით, საოცარ თვალთმაქცობად აღიქმება დასავლეთ ევროპის მცდელობა, რუსეთი აიძულოს სიკვდილით დასჯა გააუქმოს. თუკი რუსეთი და მისი მეზობელი ქვეყნები არ შეწყვეტენ თავიანთი პატიმრების სიკვდილით დასჯას, სახელმწიფოს ევროპის საბჭოსთან წვდომა ვერ ექნება. რუსეთი დანებდა ამ ზეწოლას. დღესდღეობით რუსეთში სიკვდილით არავინ ისჯება. ისინი უბრალოდ იხოცებიან.

## 6.5. შემხვედრი ძალები

**გულაგების** ყოფილი პატიმრები იღბლიანები იყვნენ: მათ შორის იყვნენ პატიმრები, რომლებიც ადვილად ამოიცნობოდნენ, როგორც პოლიტიკური პატიმრები. არა რეჟიმის მიერ — ძალაუფლების მქონე პირების მიერ ისინი უფრო მეტად კრიმინალებად აღიქმებოდნენ, ვიდრე სხვა ნებისმიერი პირი, მარტო იმის გამო, რომ მათ რეჟიმის წინააღმდეგ დანაშაული ჩაიდინეს. მაგრამ თანდათანობით, უფრო მეტი ადამიანი აღიქვამდა ზემოხსენებულს სხვანაირად. ნელ-ნელა გულაგები არასასურველი პირებისთვის სამუშაო ბანაკებად გადაიქ-

ცნენ. საბოლოოდ კი, ისინი პოლიტიკური ზეწოლის სიმბოლოდაც იქცნენ. როდესაც სტალინის შემდეგ პოლიტიკური რეჟიმი ნაკლებად მკაცრი გახდა, ისევე, როგორც გულაგების შიდა რეჟიმი, ყველამ, ვინც იქ ცხოვრობდა გარკვეული სარგებელი/უპირატესობა გაიზიარა. ის, ვინც „წმინდა" პოლიტ-პატიმრად განიხილებოდა, ყველას სასარგებლოდ გატარებული ახალი რეფორმების მამოძრავებელ ძალად იქცა. პოლიტიკურმა რეფორმებმა სისხლისსამართლებრივ-პოლიტიკური შედეგები მიიღეს.

მაგრამ რა ხდეს დღეს? პოლიტიკური ელემენტი საფუძვლიანად არის დამარხული. დანაშაულმა გაიმარჯვა, იმ მნიშვნელობით, რომელიც ისეთ დევიანტურ ქმედებებს ენიჭებათ, რომლებიც ანაზღაურებადი სამუშაოს გარეშე დარჩენილი მამაკაცების მიერ არის ჩადენილი რუსეთში, ისევე, როგორც აშშ-ში. პოლიტიკურმა ელიტამ რუსეთში თავისი ყურადღება იმაზე გადაამისამართა, რაც ყოველთვის რუსეთის პოლიტიკის ცენტრში იყო: საზოგადოების მაღალ ფენებში ფრაქციებს შორის ბრძოლა. საზოგადოების დაბალ ფენებში მყოფი პირების მიმართ ნაკლები პოლიტიკური ყურადღებაა გამახვილებული, ისევე, როგორც სოციალური რეფორმებისთვის საკმარისი რესურსები არ მოიპოვება. მათ მიერ განხორციელებული ქმედებების დანაშაულად განხილვა და შემდგომ კოლონიებში ტრანსპორტირება ყველაზე დიდ შემონახულ ალტერნატივას წარმოადგენს.

თუმცა, ეს ძალზე ნაცრისფერი სურათია. არსებობს ასევე მეორე შემხვედრი ძალაც. არსებობენ რუსულ სისტემაში მომუშავე მაღალკვალიფიციური საჯარო მოხელეები. ისინი გადატვირთულობას უმთავრეს პრობლემად მიიჩნევენ, და შესაბამისად იმისთვის მუშაობენ, რომ პატიმრების რიცხვი შეძლებისდაგვარად შეამცირონ. არსებობს კოლონიების დირექტორების მიერ გამოქვეყნებული ანგარიშები. ისინი, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ახერხებენ თავიანთი კოლონიების თვითმყოფად ერთეულებად გადაქცევას. და ბოლოს, ახალ პოლიტიკურ ვითარებაში რუსეთში ახალი ზეწოლის ჯგუფები

ჩნდებიან. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ალბათ მოსკოვში დაფუძნებული ციხის რეფორმის ცენტრია (Moscow Centre for Prison Reform),[19] რომელსაც თავისი რადიო-სადგური გააჩნია, აქვეყნებს პამფლეტებსა და წიგნებს, ორგანიზებას უწევს ეროვრულ და საერთაშორისო შეხვედრებს. ცენტრის ბოლო დროის მიღწევას ფართომასშტაბიანი ფოტო-გამოფენა წარმოადგენდა: 1998/1999 წლის ზამთარში რუსეთის დუმის (პარლამენტის) შესასვლელი დარბაზი სავსე იყო რუსეთის ციხეებში არსებული პირობების ამსახველი ფოტოებით. სანამ თავის სამუშაო ადგილებამდე მივიდოდნენ დელეგატებს ყოველ დღე უწევდათ სიღარიბისა და უბედურების ამსახველი ადამიანისხელა ფოტოების გასწვრივ გავლა. ფოტოებს სუნი არ ასდით, განსხვავებით პატიმრებისგან, რომლებიც ამ ფოტოებზე არიან ასახულნი.

შესაძლოა, სწორედ ეს ზეწოლა იყო მიზეზი იმისა, რომ პრემიერ-მინისტრმა, ვლადიმერ პუტინმა, 1999 წლის სექტემბერში მოულოდნელად კრესტის ციხე მოინახულა და მას გარკვეული თანხაც გადაურიცხა. გაზეთ Mir za nedelya-ს (მსოფლიო ამ კვირაში) მიხედვით, 16-23 სექტემბერი: „ყოველთვის მოკრძალებული პუტინიც კი შოკირებული იყო კრესტის ციხეში არსებული პირობებით. სივრცის ასეთი ნაკლებობა ჩინეთის ციხეებშიც კი არ არის, იყო მისი დასკვნა."

## 6.6 ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔᲔᲑᲘ

მიუხედავად ყველაფრისა, რა შედეგით დასრულდება ყოველივე, გაუგებარია. რუსეთში მოსალოდნელი საფრთხეები ექვს ძირითად თავისებურებას უკავშირდება:

პირველი: რუსეთმა ააშენა უდიდესი პენიტენციური ინდუსტრია, რომელსაც ადრე ქვეყნის ეკონომიკისთვის დიდი მნიშვნელობა

[19] მისი ლიდერია ვალერი აბრამკინი (Valery Abramkin), დისიდენტი, რომელმაც 6 წელი გაატარა ციხეებსა და კოლონიებში, და რომელმაც ეს არ დაივიწყა.

ჰქონდა. საბაზრო ეკონომიკითა და პრივატიზაციით, ციხის ეს ინდუსტრია კონკურირებადი აღარ არის. ციხეში უამრავი პატიმრის განთავსების ტრადიცია შენარჩუნებულია, თუმცა ამ სფეროდან შემოსავალი აღარ მიიღება. ყოველივეს ერთ-ერთი შედეგი ციხეებში არსებობის პირობების შემდგომი გაუარესება იქნება.

მეორე: ქვეყნის ადმინისტრაციული სტრუქტურა და ტრადიცია მნიშვნელოვნად არის მისადაგებული ციხეში არსებულ დიდ რიცხვებთან და მონაცემებთან. ადმინისტრაციულ დონეზე, რუსეთს კვლავ გააჩნია „კომანდოსი ადმინისტრაცია" („commando administration"). ის საოცრად ცენტრალიზებულ წარმონაქმნს წარმოადგენს, დაფუძნებულს კონტროლზე ზემოდან და დეტალურ რეგულაციებზე იმის შესახებ, თუ რა უნდა გააკეთონ მათ, ვინც შედარებით ქვემოთ დგანან პოზიციით. სისტემის ოფიციალურმა პირებმა - რომელთა რიცხვშიც პოლიცია და პროკურატურაც შედის - ვალდებულნი არიან შეავსონ განსაზღვრული ქვოტები, იქნება ეს დაპატიმრებების რიცხვი, თუ სასჯელის რაოდენობა. ეს ეხება კარიერულ წინსვლასაც. არ არსებობს სტიმული იმისთვის, რომ ადამიანები ციხეს მოაშორო, თუკი წარმატების საწინდარი – და სამსახურეობრივი წინსვლის კრიტერიუმიც – არის რაც შეიძლება მეტი ციხეში გაშვებული ადამიანი. ეს ყოველივე კომბინირებულია კულტურულ ტრადიციასთან, როდესაც პროკურორებს მოსამართლეებთან შედარებით დიდი ძალაუფლება გააჩნიათ. არ არის მიღებული მოსამართლისთვის პირდაპირ აღუდგეს პროკუკორს და გაათავისუფლოს ეჭვმიტანილი. საქმეში ჩარეული ოფიციალური პირებისთვის საუკეთესო გამოსავალს საქმის შემდგომი გამოძიებისთვის პროკურორისთვის გაგზავნა წარმოადგენს, მაშინ როდესაც ეჭვმიტანილი ბრუნდება უკან ძველ ციხეში, რათა იქ მოვლენათა შემდგომ განვითარებას დაელოდოს. ქვემდგომი მოსამართლისთვისაც სიკეთის მომტანი არ არის შედარებით რბილი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც ზემდგომ ინსტანციაში შესაძლოა გამკაცრდეს კიდეც. მკაცრი გადაწყვეტილების მიღებით ქვემდგომ

პირს ძალის დემონსტრირება ურჩევნია. ამით კი პოტენციურად ხელს უწყობს ზემდგომი სასამართლოების მიერ მისი მკაცრი გადაწყვეტილების შედარებით რბილი გადაწყვეტილებით შეცვლას და, შესაბამისად, მათ მიერ გულისხმიერების ნიშნების გამოვლენას.

ყოველივე ზემოხსენებული გარკვეულწილად წინასწარი პატიმრობის ეტაპზე არის ასახული. წინასწარი პატიმრობის საშუალო ხანგრძლივობა 10 თვეს შეადგენს. აბრამკინის (Abramkin) (1998 წელი, გვ. 64) მიხედვით, პატიმრების მნიშვნელოვანი პროცენტი სასამართლოს გადაწყვეტილებას ერთიდან ექვსი წლის განმავლობაში ელოდება. ოფიციალურად, სასამართლოს გარეშე პატიმრების დაკავება კანონს ეწინააღმდეგება 18 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, თუმცა არ არის დაწესებული ზღვარი, სადამდეც შეიძლება გაგრძელდეს აღნიშნული სასამართლო და, შესაბამისად, პატიმრები წინასაპატიმრო დაწესებულებებში მთელი ამ დროის განმავლობაში რჩებიან. აბრამკინი ამატებს:

> **წინასაპატიმრო დაწესებულებებში გადატვირთულობის უმთავრესი მიზეზი მაინც რუსეთის ხელისუფლების კანონი-და-წესრიგის პოზიციაა. უამრავმა, თვითნებურმა დაპატიმრებებმა და უხეშმა მოპყრობამ გადატვირთა სისტემა, რომელსაც ციხეში უკვე არსებული პატიმრების შესანახად სახსრები არ გააჩნია, რომ არაფერი ითქვას ციხის პერსონალისთვის ხელფასების დარიგებაზე და ახალი ციხეების მშენებლობაზე. დანაშაულთან ბრძოლის ამჟამინდელი პოლიტიკა არ არის ფოკუსირებული ციხეში განთავსებული პატიმრებისთვის საბაზისო უსაფრთხოების უზრუნველყოფაზეც კი. ... სახელმწიფო კვლავ უარს აცხადებს დანაშაულის მეტად და ნაკლებად საშიშ კატეგორიებს შორის განსხვავების წარმოდგენაზე.**

მესამე: ყველაფერი ეს ხდება სისტემაში, რომელიც მატერიალური რესურსების გარეშეც დაუკომპლექტებელია. ამგვარად, იკვრება მანკიერი წრე. აღინიშნება იურიდიული კადრების ნაკლებობა, ისევე, როგორც სივრცის ნაკლებობა, რომ იურისტები თავისუფლად შეხვდნენ თავიანთ კლიენტებს ციხეში.

მეოთხე: ციხის გარეთ არსებული ვითარება ისეთია, რომელიც ნათლად აჩვენებს, რომ ზეწოლა იმაზე, რომ საზოგადოების არასასურველი ნაწილი დაკავებული აღმოჩნდეს, ძალზე დიდია. რუსეთმა ეკონომიკური აზროვნების ელემენტების იმპლემენტაცია დასავლეთიდან მოახდინა, ისევე, როგორც მედია-ინდუსტრიის, რომელიც ფულს დანაშაულის გაშუქებითა და მასზე წერით აკეთებს. თუმცა, არ არსებობს უსაფრთხოების ბადე მათ დასაცავად, ვინც ამ სისტემის გარეთ ხვდება და არ არსებობს ახალი მეწარმეების ეფექტური კონტროლი.

მეხუთე: ბაზრის ეკომიკასა და მასთან დაკავშირებულ ცვლილებებთან მიმართებაში რუსეთში დიდი ამბივალენტურობა არსებობს. ცხოვრება რთულია, მდგომარეობა და პირობები დაპირებული სიჩქარით არ შეცვლილა და ბევრი დისკომფორტი ახსნას საჭიროებს. „მაფია“ ძალზე ხელსაყრელი მოვლენაა. როგორც ამას ბექმენი (Backman) (1998 წელი, ა და ბ) აღნიშნავს, რუსული მაფიის სახემ ალბათ უფრო მეტი შემოსავალი ჰოლივუდს მოუტანა, ვიდრე, მათ, ვინც სავარაუდოდ, ამ სისტემას მართავს რუსეთში. როულინსონი (Rawlinson) (1998 წელი) აღწერს (გვ. 354-355), თუ როგორ იბრძვის მედია, რომ აღნიშნული „მაფიის ტიპის“ სურათი რაც შეიძლება დრამატულად წარმოაჩინოს:

> **რუს განგსტერებთან ინტერვიუს მოთხოვნა ბევრად აჭარბებს მიწოდებას და შესაბამისად, მუდამ ფხიზელი მეწარმისთვის ახალი ინდუსტრია ჩნდება. ბანდის დაბალი დონის წევრები და „პირდაპირი“ ბიჭებიც (straight guys) კი ჟურნალისტებს ინტერვიუზე მათთვის მხოლოდ მაღალი ჰონორარის გადახდის პირობით თანხმდებიან.**

სხვა სიტყვებით, მაფიის სახე ძალზე გამოსადეგია. გამოსადეგია კინო-ინდუსტრიისთვის. გამოსადეგია მედიისთვის, გამოსადეგია ჩვეულებრივი, ყველაფერსმოკლებული ხალხისთვის, ვისაც უნდათ გაიგონ, თუ რატომ არიან ერთ დროს კრიმინალებად მიჩნეული პი-

რები ახლა სასიამოვნო ცხოვრების სათავეში. მაფია ასევე გამოსადეგია სიღარიბის ასახსნელად. დამატებით, მაფიის სახე ასევე ძალზე ხელსაყრელი იარაღია რუსი ჩინოვნიკებისთვის შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის ძალაუფლების კვლავ უკან დაბრუნების საქმეში. კონკრეტულად კი, პოლიციის სხვადასხვა განყოფილებებისთვის.

რუსეთში, რა თქმა უნდა, არსებობს ორგანიზებული დანაშაული. ორივე – სოციალურად მაღალ, ისევე, როგორც დაბალ ფენებში. თუმცა პრობლემა მეტად კომპლექსურია, ვიდრე ჩანს. ჩვენ ვერ ვხედავთ აქ საჭიროებას, უფრო ღრმად გამოვიკვლიოთ ეს საკითხი. აქ საკმარისი იქნება დავასკვნათ, რომ მაფიის რწმენა მნიშვნელოვანი შედეგების მქონე სოციალური ფაქტია, მათ შორის ციხეში არსებული მონაცემებისთვის. „დიდ თევზებს“ იშვიათად აკავებენ, თუმცა ისინი მათ წინააღმდეგ წარმოებული ომის ლეგიტიმაციას ახდენენ. ომისა, რომელშიც მცირე ხალხის დიდი რაოდენობა უკიდურესად ხანგრძლივი დროის მანძილზე არის ციხეში გამოკეტილი.[20]

მეექვსე და საბოლოო შენიშვნა: რუსეთის ციხეებში პატიმართა ზრდის გამომწვევი ფაქტორი არის უამრავი რეფორმისტი დასავლეთიდან, რომლებიც რუსეთს დანაშაულთან ბრძოლისკენ მოწოდების მესიჯებს უგზავნიდნენ, კონკრეტულად კი – ნარკოტიკული დანაშაულების წინააღმდეგ, როგორც ამას ჩვენთან ახორციელებენ. შეხედეთ სკანდინავიას ან აშშ-ს! ცოტა ხნის წინ მე ვეწვიე რუსეთის დუმის ერთ-ერთ გავლენიან წევრს. მის კაბინეტში მაგიდაზე არსებული უამრავი ტელეფონიდან გამომდინარე, ის მის განკარგულებაში არსებული ორი უზარმაზარი ოფისიდან ერთ-ერთში უნდა ყოფილიყო. მან დიდხანს ისაუბრა ნარკოტიკებისგან თავისუფალი რუსეთის არსებობის აუცილებლობაზე. ერთი დამოკიდებული პირი აჩენს ათ

[20] მაფიის პრობლემების უფრო ღრმა ანალიზი მოცემულია სტატიაში, რომელსაც მე ვუწოდე: „დიდად საჭირო მაფია – დაუდევარი ტერმინების სოციალური ფუნქციის შესახებ“ (კრისტი, 2000 წელი).

ახალს, გვითხრა მან. მისმა იდეებმა უკვე მოასწრეს ქვეყნის კანონებად ქცევა. ასეთი კანონების ციხეებზე არსებული ზეწოლა უცილობლად გაიზრდება.

* * *

მთელს ამ სიტუაციაში სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს ის, რომ წინასაპატიმრო დაწესებულებები იძულებულნი იქნებიან, მიიღონ უფრო მეტი სასამართლოს მომლოდინე პატიმარი, და რომ კოლონიები თავიანთი წარმოების შესაძლებლობას დაკარგავენ და მხოლოდ ინტერნირების ბანაკებად გადაიქცევიან. რუსულ პენიტენციალურ სისტემაში ადმინსტრაციისა და სხვა მომსახურე პერსონალის კარგი განზრახვისა და დიდი მოცულობით იდეალიზმის არსებობის აღიარების შემთხვევაშიც კი, რუსეთის ციხეებში პატიმართა ცხოვრებისეული მდგომარეობის იმ დონეზე გაუარესება არის მოსალოდნელი, რომ ამას მთელს რუსულ საზოგადოებაზე ექნება გავლენა. ყოველივეს  უახლესი პოლიტიკური განვითარებები ემატება: 2000 წლის 26 მარტს ვლადიმერ პუტინი რუსეთის პრეზიდენტად აირჩიეს. არჩევნებამდე კანონი და წესრიგი, ისევე როგორც ძლიერი სახელმწუფოს არსებობის საჭიროება მის უმთავრეს მესიჯებს წარმოადგენდა. „რაც უფრო ძლიერია სახელმწიფო, მით თავისუფლები არიან მოქალაქეები“, იყო მისი ერთ-ერთი განცხადება. სხვა კი ჟღერდა შემდეგნაირად: „დემოკრატია არის კანონის დიქტატურა“. პატიმართა შესახებ მონაცემების გასაკონტროლებლად აღნიშნული პროგრამა საკმარისად შესაფერისი არ უნდა იყოს.

# თავი 7
# ამერიკის შეერთებული შტატები – მოდის ფუძემდებელი

## 7.1. ჩადგან ვინც უყვარს, იმას წვრთნის უფალი

ძალიან ცოტაა ქვეყანა, რომელში ვიზიტიც ისეთი სასიამოვნოა, როგორც აშშ-ში. როგორც ნორვეგიელი, აშშ-ში თავს ვგრძნობ, როგორც სახლში, უკეთესადაც კი, ვიდრე სახლში. ჩვენ ხშირად ვამბობთ, რომ აშშ-ში იმდენივე ნორვეგიელია, რამდენიც ნორვეგიაში. ძველი ქვეყნიდან წამოსვლით მათ კარგი საქმე გააკეთეს, მატერიალურად და შესაძლოა სოციალურადაც. უამრავი მოულოდნელი შეხვედრისას არსებული თბილი ატმოსფერო, ახალ მეზობლებზე ზრუნვა, მსხვილ ქალაქებში ვარიაციებით აღფრთოვანება.

ეს სიტყვები დაიწერა რაც შემდგომ იქნება განხილული იმის სრულიად მცდარი ინტერპრეტაციის გასანეიტრალებლად. მე განვიზრახე შეუძლებლის ჩადენა. მე ვცდილობ ვთქვა, რომ მე საოცრად მიყვარს ქვეყანა და ხალხი, რომელთანაც ვგრძნობ, რომ ახლოს ვარ, ასევე მიყვარს მათი ეროვნული მემკვიდრეობა. მაგრამ, ამავე დროს, მე შევეცდები დავამტკიცო, რომ აშშ-ის სოციალურ ქარხანაში არის რაღაც ძალიან უჩვეულოდ შემაშფოთებელი. და სწორედ იმიტომ, რომ მე ასე ახლოს ვგრძნობ მათთან თავს, როგორც ჩემ თავს, ისე ვგრძნობ ქვეყანას, უფრო და უფრო რთული ხდება დუმილი შევინარჩუნო და არ გამოვხატო ჩემი შეშფოთება.

ყველაზე მეტად რთულია კოლეგებთან შეხვედრა, რომლებიც აშშ-დან არიან. ამერიკული კრიმინოლოგია თითქმის მთელს მსოფლიოშია გაბატონებული. დანაშაულსა და დანაშაულის კონტროლზე არსებული მათი თეორიები უდიდეს გავლენას ახდენენ. ამერიკელი კრიმინოლოგები შეგნებული და კეთილსინდისიერი ხალხია. ისინი ვიზიტორებთან თავაზიანები არიან და თავიანთ სამეცნიერო საქმიანობის სტანდარტებს პატიოსნად უდგებიან. მათი სტანდარტები ჩვენი სტანდარტები ხდება და მათი გამოსავლები როგორც წესი მეორდება აშშ-ს საზღვრებს მიღმაც.

შესაძლოა, ეს არის მიზეზი იმისა, რომ 1920-იანი წლებიდან და უფრო გვიანი პერიოდიდან მე ვფიქრობ გერმანიაზე. გერმანია არის, კულტურისა და გაგების ქვეყანა, მეცნიერების ქვეყანა, რაციონალური აზროვნებისა და რომანტიკული გულის მქონე ქვეყანა. ნორვეგია ყოველთვის უფრო მეტად ორიენტირებული იყო ინგლისისა და აშშ-კენ, ვიდრე – კონტინენტური ევროპისკენ. ტრანსპორტისთვის უფრო ხელსაყრელი იყო ოკეანე, ვიდრე მთა-გორიანი გზები. თუმცა გერმანიისადმი პატივისცემა დიდი იყო. მათი სამართალმცოდნეობაში მოღვაწე პირები, ისევე, როგორც კანონისა და წესრიგის შესახებ არსებული მათი ზოგადი პოლიტიკა დიდ პატივში იმყოფებოდნენ. მეცნიერები მიდიოდნენ ამ ქვეყანაში. პოლიციისა და გამოძიების მუშაკები მიდიოდნენ ამ ქვეყანაში. ისინი გავლენიან მოდელებად ითვლებოდნენ შესაძლოა ძალზე დიდი ხნის განმავლობაში.

დღეს ჩვენ მივდივართ ამერიკაში.

## 7.2 უდიდესი პატიმრობა

1983 წლის ივნისში ჟურნალი Correctional Magazine აშშ-ის ციხეებში პატიმრების გაზრდილი რაოდენობის შესახებ წერდა შემდეგს:

**„ფანტასტიური ... გრანდიოზული ... შემაშფოთებელი“, იყო სიტყვები, რომლებიც ნორვალ მორისმა (Norval Morris), ჩიკაგოს უნივერსიტეტის სამართლის**

სკოლა, აშშ-ის ციხეებში პატიმრების გასულ წელს დაფიქსირებულ ზრდას-თან დაკავშირებით წარმოთქვა.

„ეს არის გასაოცარი ზრდა“, ამბობს ალფრედ ბლუმშტეინი (Alfred Blumstein) პიცბურგის კარნეგი-მელონის უნივერსიტეტიდან. „ამ ხალხის თავისუფლე-ბის შეზღუდვისთვის ჩვენ არ გაგვაჩნია რესურსები და საფასურიც იზრდება. უნდა მოხდეს აფეთქება“.

„მე გულწრფელად ვარ გაოცებული; ეს არის გასაოცარი ზრდა“, აცხადებს ფრანკლინ ზიმრინგი (franklin Zimring), ჩიკაგოს უნივერსიტეტის კრიმინალუ-რი მართლმსაჯულების სწავლების ცენტრის დირექტორი.

„ეს უარესია, ვიდრე ველოდი“, ამბობს კენეტ კარლსონი (Kenneth Carlson), კემბრიჯში არსებული აბტ ესოშიეტის (Abt Associates in Cambridge) წარმო-მადგენელი. „ეს უფრო და უფრო საშიში ხდება“.

ეს არის ის, რაც აღნიშნულმა ექსპერტებმა 1983 წლამდე ამერი-კულ ციხეებში პატიმართა რაოდენობის ზრდის შესახებ განაცხადეს. მაგ დროისთვის ფედერალურ და სახელმწიფო ციხეებში პატიმართა რაოდენობამ 419,820 მიაღწია; საპატიმროებში ეს რიცხვი 223,551 პირს შეადგენდა; და პენიტენციალური სისტემის საერთო რაოდენობა კი 643,371 პატიმარს შეადგენდა, ან ყოველ 100,000 მოსახლეზე — 274 პა-ტიმარს. მეც საკმაოდ შეშინებული ვიყავი ასეთი უშველებელი რიცხ-ვით, კონკრეტულად კი 1983 წლამდე ამ რიცხვის ზრდით. თუმცა აღ-ნიშნული მონაცემები და კომენტარები მალე აღარ იყო აქტუალური.

*დიაგრამა 7.2-1* აჩვენებს, თუ რა მოხდა შემდგომ. დიაგრამაზე მო-ცემულია ფედერალურ და სახელმწიფო ციხეებში არსებულ პატიმარ-თა რაოდენობა 1925 წლიდან 1998 წლამდე. მე გავზარდე ხაზი 2005 წლამდე, რადგან გამოჩნდებოდა, რომ უკანასკნელი განვითარება გრძელდება. საპატიმროებს აღნიშნული დიაგრამა არ მოიცავს. ის ადგილები, სადაც ექსპერტებმა თავიანთი შეშფოთება გამოთქვეს, პატარა ვერტიკალური ხაზით აღვნიშნე. მაგ დროიდან ვიდრე 1998 წლამდე პატიმრების რაოდენობა აშშ-ში გასამმაგდა.

ზრდის სხვა სურათს ჩვენ შევხვდით მესამე თავში უკვე წარმოდგე-ნილ *დიაგრამაზე 3.4-1*, რომელზეც ჩვენ დავითვალეთ, რომ 1998 წლი-

დან 1999 წლამდე ერთწლიანი ზრდა მოიცავდა 109,170 ახალ პატიმარს. აღნიშნული ზრდა იმდენად დიდია, რომ ევროპელებისთვის წარმოუდგენელია მისი მნიშვნელობა ბოლომდე გაიგონ. დანიას, ფინეთს, ნორვეგიასა და შვედეთს ერთად ჰყავთ 14,066 პატიმარი. ერთწლიანი ზრდის შედეგად ამერიკის მონაცემები ახლოსაა იმასთან, რომ იყოს რვაჯერ უფრო მეტი, ვიდრე პატიმართა საერთო რაოდენობა მთელს სკანდინავიაში. დიდ ბრიტანეტთან შედარებითაც კი აშშ-ის მონაცემები გასაოცარია. 1998 წლის ოქტომბერში ბრიტანეთის ციხეებში არსებულ პატიმართა საერთო რაოდენობა 73,545 პატიმარს შეადგენდა, რაც ნიშნავს იმას, რომ აშშ ერთ წელიწადში იმაზე უფრო მეტ პატიმარს ამატებს, ვიდრე ბრიტანეთის ციხეებში განთავსებული ყველა პატიმარია ერთად.

**დიაგრამა 7.2-1. ყოველ 100,000 მოსახლეზე აშშ-ში სასჯელმისჯილი პირების რაოდენობა ფედერალურ და სახელმწიფო ციხეებში 1925-1998 წლებში. 1999-2005 წლებში მოსალოდნელი ზრდა**[1].




1. 31 დეკემბრისთვის ფედერალურ და სახელმწიფო ციხეებში მოთავსებული პატიმრების რაოდენობა, ყოველ 100,000 მოსახლეზე (სისხლის სამართლის სტატისტიკის გზამკვლევიდან (from Sourcebook of Criminal Justice Statistics), 1997 წელი, გვ. 490). რიცხვები მოიცავს თავისუფლების აღკვეთის ადგილებში არსებულ პატიმრებს. 1999-2005 წლების მოსალოდნელი შედეგები ეფუძნება ყოველწლიურ საშუალო ზრდას 1990-98 წლებში – 6,5% (იუსტიციის სტატისტიკის ბიურო, ბიულეტენი, „პატიმრები 1998 წელს“, გვ. 2).

აშშ-ის სისტემაში ერთწლიანი ზრდის მასშტაბებისთვის რომ მიგვეღწია ბრიტანეთის ციხეებში არსებული მონაცემებისთვის ავსტრიაში, ბელგიაში, ნიდერლანდებსა და შვეიცარიაში არსებულ პატიმართა საერთო რაოდენობაც უნდა დაგვემატებინა.

აღნიშნული ზრდის მოცულობის ილუსტრირება შეიძლება ახალი ციხეების საჭიროებით მოხდეს. ევროპული სტანდარტების მიხედვით, ციხე, რომელშიც განთავსებულია 500 პატიმარი, დიდია, ბევრი იტყოდა, რომ ძალზე დიდიც კი. თუმცა, მოდით ვიყოთ კონსერვატორები და ვთქვათ, რომ არაუშავს, თუ აშენდება ახალი ციხეები, რომლებშიც 1,000 პატიმრის მოთავსება იქნება შესაძლებელი.[21] ეს რომ ნორმა ყოფილიყო, აშშ-ს იმ წელს (1998 წელს) დამატებით მსგავსი 83 ციხე უნდა აეშენებინა, რათა გადაეფარა ზრდა. 1983 წლიდან 1999 წლამდე პერიოდში, მათ 1,242 ახალი პატიმარი დასჭირდებოდათ. არ არის გასაკვირი, რომ ეს ყოველივე მსხვილ ინდუსტრიას უდევს საფუძვლად.

ისინი, ვინც ფედერალურ ან სახელმწიფო ინსტიტუტებში აღმოჩნდნენ, სავარაუდოდ, ძალზე დიდი ხნის განმავლობაში დარჩებიან იქ. თითქმის ყველას სასჯელი ერთ და მეტ წელს შეადგენს. 1994 წელს გათავისუფლებულ პირთა ციხეში გატარებული დროის საშუალო ხანგრძლივობა 31 თვეს მოიცავდა.[22] თუმცა ყველა არ თავისუფლდება. 1990 წელს 11,759 პატიმარი იხდიდა სასჯელს, რომელსაც ამერიკელები "ბუნებრივი სამუდამო პატიმრობის" სასჯელს ეწოდებენ, რაც გულისხმობს, რომ მათ მისჯილი აქვთ დაიხოცონ ციხეში. 1996 წელს მათი რიცხვი 17,280 პატიმრამდე გაიზარდა (The Corrections Yearbook, 1991 წელი და 1996 წელი). 1996 წელს 270,000 პატიმარზე მეტი იხდიდა სამუდამო პატიმრობას 20 ან მეტი წლით. 1997 წელს 3,335 პატიმარი ელოდებოდა სასჯელის აღსრულებას. 1977 წლიდან 1999 წლის 1 იანვ-

---

21 1996 წლის The Corrections Yearbook-ის თანახმად, იმ წელს ფედერალურ და სახელმწიფო დონეებზე მოქმედებდა 70 ციხე 69,421 „საწოლის“ შესაძლებლობით.

22 (იუსტიციის სტატისტიკის ბიურო, გზამკვლევი (Sourcebook), 1997 წელი, გვ. 431.

რამდე 500 პატიმარი დასაჯეს სიკვდილით. 1930 წლიდან 1998 წლამდე სიკვდილით სულ 4,359 პატიმარი დაისაჯა.[23]

## 7.3 შავი ფიგურები

*სქემებზე 3.4-4* და *3.4-6* ჩვენ ვნახეთ, რომ ყველა ის, ვინც პენიტენციური სისტემის კონტროლქვეშაა, შედარებით ახალგაზრდა მამაკაცებს წარმოადგენენ. თუმცა ეს ახალგაზრდები, რა თქმა უნდა, შემთხვევით შერჩეულები არ არიან. აშშ-ში ქალაქის ღარიბი მოსახლეობისთვის ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს, იყოს პატიმარი ან პრობაციონერი, ან იყოს გარემოცული ასეთი ადამიანებით, განსაკუთრებით კი თუკი ისინი ეთნიკურ უმცირესობას მიეკუთვნებიან. აშშ-ში პატიმართა თითქმის ნახევარი შავკანიანია. 1996 წელს შავკანიანთა დაპატიმრების რიცხვი 6.6% შეადგენდა, ან 100,000 მოსახლეზე 6,607 პატიმარს. თეთრკანიანების რიცხვი კი 944 პატიმარს შეადგენდა.

მარკ მაუერმა (Marc Mauer) აფრო-ამერიკელებისა და კრიმინალური სისტემის შესახებ ინტენსიური კვლევა ჩაატარა (მაგალითად, მაუერი და ჰულინგი (Mauer and Huling), 1995 წელი და მაუერი, 1999 წელი). ამ ორიდან უკანასკნელში ის წერს (გვ. 124):

> **ეროვნულ ციხეებში მყოფი პატიმრების ნახევარი აფრო-ამერიკელია, იმის გათვალისწინებით, რომ მოსახლეობაში მათი რიცხვი 13% შეადგენს და თოთხმეტი სრულწლოვანი შავკანიანიდან ერთი თითქმის ყოველ დღე ხვდებოდა ციხეში.**
>
> **ახალგაზრდა შავკანიან მამაკაცებს რაც შეეხებათ, მდგომარეობა აქ უარესად იყო. დაპატიმრების პროექტის (Sentencing Project) კვლევის შედეგად დადგინდა, რომ 1989 წლისთვის ოთხიდან ერთი 20-29 წლამდე შავკანიანი ახალგაზრდა თითქმის ყოველ დღე გარკვეული სახის სისხლისსამართლებრივი**

[23] იუსტიციის დეპარტამენტი (Department of Justice), 1999 წელი, სისხლის სამართლის სტატისტიკის გზამკვლევი. ონლაინ, გრაფა 6.75 და 6.88.

ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა — ის ან ციხეში და საპატიმროში ხვდებოდა, ან პრობაციაზე იყო ან პირობით ვადამდე იყო გათავისუფლებული. 1995 წლის შემდგომმა კვლევებმა დაგვანახა, რომ ეს რიცხვი გაიზარდა და გახდა დაახლოებით ყოველ სამში ერთი ახალგაზრდა, ეს დროის მცირე მონაკვეთში მნიშვნელოვანი ზრდა იყო. დამატებით, 1991 წელს დაბადებულ შავკანიან ბიჭს 29 პროცენტი ჰქონდა იმის, რომ ცხოვრების გარკვეულ მომენტში მას დააპატიმრებდნენ, შედარებით ლათინოამერიკელ ბიჭთან, რომელსაც ციხეში მოხვედრის 16 პროცენტი ჰქონდა, თეთრკანიან ბიჭს კი — 4 პროცენტი.

დიდ ქალაქებში მდგომარეობა უფრო რთულადაა. ჯერომ მილერი (Jerome Miller) (1996 წელი, გვ. 7) წერდა:

1992 წელს ინსტიტუტებისა და ალტერნატიული კვლევების ეროვნულმა ცენტრმა (National Centre on Institutions and Alternative Studies) ვაშინგტონის სისხლის სამართლის სისტემაში ახალგაზრდა აფრო-ამერიკელი მამაკაცების შესახებ გამოკითხვა აწარმოა. დასკვნის მიხედვით, 1991 წელს ყოველდღიურად, ათი 18–35 წლის კოლუმბიის რაიონში მცხოვრები აფრო-ამერიკელი მამაკაციდან ოთხზე მეტი (42%) იყო ციხეში, საკანში, პრობაციაზე/ვადამდე ადრე გათავისუფლებული ან იძებნებოდა.

...დაითვალეს, რომ ქალაქში მცხოვრები ყველა 18 წლის აფრო-ამერიკელ მამაკაცთა დაახლოებით 75%-ს შეეძლო დალოდებოდა, რომ მას იქამდე, სანამ 35 შეუსრულდებოდა ერთხელ მაინც დააპატიმრებდნენ. ცხოვრებისეულ რისკს რაც შეეხება, ეს 80-დან 90 პროცენტამდე მერყეობდა.

...ბალტიმორში, მერილენდი, საშუალოდ ყველა ახალგაზრდა აფრო-ამერიკელის 56% იმყოფებოდა ან ციხეში, ან საკანში, პრობაციაზე/ვადამდე ადრე გათავისუფლებული, გირაოთი გამოშვებული, ან იძებნებოდა.

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, მარტივი გასაგებია, რომ მარკ მაუერმა (1991 წელი, გვ. 9) თავისი ადრეული ანგარიშის ერთ-ერთი ქვესათაური შემდეგნაირად ჩამოაყალიბა:

აფრო-ამერიკელი მამაკაცები: გადაშენების პირას მყოფი სახეობა?

და მაუერი აგრძელებს:

აფრო-ამერიკელი მამაკაცები, რომელთაც არაპროპორციულად მცირე შემოსავლები აქვთ, უამრავ პრობლემას აწყდებიან, მათ შორის: ჩვენი ქალა-

> ქების გარეუბნების სოციალური და ეკონომიკური ვარდნა და, შესაბამისად, ახალგაზრდობისთვის შემცირებული შესაძლებლობები; ჩვენი სკოლების, ჯანდაცვის სისტემის არაქმედუნარიანობა და ახალგაზრდა შავკანიანი მამაკაცების მიერ საზოგადოებაში ლეგიტიმური როლის მიღებისთვის მათთვის საჭირო დახმარების გასაწევად ინსტიტუციონალური მხარდაჭერის ნაკლებობა; მუდმივი სიღარიბე და კეთილდღეობის გადანაწილება, რომელმაც ბოლო ოცი წლის განმავლობაში მდიდრებსა და ღარიბებს შორის უარესი უფსკრული წარმოშვა.

ციხეებში შავკანიანთა ზემოხსენებული რაოდენობა გამუდმებით იზრდება. ოსტინი და მაკვეი (Austin and McVey) (1989 წელი, გვ. 5) ამის უმთავრეს მიზეზად ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ წარმოებულ ომს ასახელებენ:

> ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა ვიწროდ იყო კონცენტრირებული კრეკზე, ნარკოტიკზე, რომელსაც საზოგადოების შედარებით დაბალი ფენები ანიჭებენ უპირატესობას. ეს ფენებიც არაპროპორციულად შავკანიანებისგან და ლათინოამერიკელებისგან შედგება. შესაბამისად, ციხეში მოხვედრილ იმ დამნაშავეთა პროპორციები, რომლებიც არ არიან თეთრკანიანები, იზრდება.

მაუერიც ეთანხმება:

> ეროვნული მასშტაბით ნარკოტიკული დანაშაულებისთვის შავკანიანი მოსახლეობის დაკავების რაოდენობა 1984 წლიდან 1988 წლამდე 30%-დან 38%-მდე გაიზარდა. მიჩიგანში ნარკოტიკების გამო დაპატიმრებები 1985 წლიდან გაორმაგდა, მაშინ, როცა ნარკოტიკული დანაშაულის გამო შავკანიანთა დაპატიმრებები გასამმაგდა. ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ წარმოებული ომი უპირატესად სისხლის სამართლის სისტემის ქვეშ მიმდინარეობდა და არაპროპორციულად იღებდა მიზანში ქალაქის გარეუბნებში მცხოვრებ პირებს. შედეგად კი მივიღეთ პატიმართა გაზრდილი რაოდენობა, რომლის მეტი წილი შავკანიან პატიმრებზე მოდიოდა.

ამ მხრივ, ფლორიდის შტატი აშშ-ის ყველა სხვა შტატთან შედარებით, ყველაზე ექსტრემალურია. 1982/1983 წლებში ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებული 299 შემთხვევა დაფიქსირდა. აქედან 54 საქმე შავკანიანი ახალგაზრდების წინააღმდეგ იყო აღძრული. 1985 წელს

თეთრკანიანების წინააღმდეგ 336 საქმე აღიძრა, მაშინ, როდესაც შავკანიანების წინააღმდეგ ეს რიცხვი იყო 371. თუმცა შემდეგ 1989/90 წლებში შავკანიანების წინააღმდეგ წარმოებული საქმეების რიცხვმა 3,415 შემთხვევას მიაღწია, მაშინ, როცა თეთრკანიანებისთვის ეს რიცხვი იყო მხოლოდ – 526.[24] ასეთი გრანდიოზული ზრდის მიღმა მდგარმა არქიტექტორმა, გუბერნატორმა მარტინესმა (Martinez), არჩევნებში წააგო და ის ხელახალი ვადით გუბერნატორად აღარ აირჩიეს, სამაგიეროდ, ის მთელი ქვეყნის ნარკოტიკების მეფედ იქცა.

უსაფუძვლო არ იქნება, ვიფიქროთ, რომ შავკანიანის და ღარიბის კომბინაცია სასამართლოშიც კი ჰანდიკაპს წარმოადგენს, თუმცა ეს სადავოა (შდრ. ვილბენკსსა და მანნს (Wilbanks and Mann) შორის დისკუსია, 1987 წელი). პირადად მე ვერასდროს შევძელი ვოლფგანგის, კელლისა და ნოლდეს (Wolfgang, Kelly and Nolde) პატარა კვლევის დავიწყება, რომელიც 1962 წელს ჩატარდა. მათ სიკვდილმისჯილი პატიმრები შეადარეს ერთმანეთს. გასაკვირი არ იყო, რომ ამ რიგში შავკანიანები გაცილებით უფრო მარტივად დგებოდნენ, ვიდრე თეთრკანიანები. შედეგად, მოსალოდნელი იყო, რომ შავკანიან პირთა შედარებით მცირე რაოდენობა მაინც დაისჯებოდა სიკვდილით, მიუხედავად მრავალგზის გასაჩივრების პროცედურებისა. თუმცა, შედეგები სრულიად საპირისპირო აღმოჩნდა. შედარებით მეტი შავკანიანი დაისაჯა, ვიდრე – თეთრკანიანი. მაუერის ბოლო წიგნში (1999 წელი) მოცემულია რამდენიმე მაგალითი ზოგადი მექანიზმისა, რომელიც სამართლებრივი პროცედურების დროს შავკანიანების საწინააღმდეგოდ მუშაობს.

ეს სიტუაცია ძალზე ირონიულია. მონობა გაუქმდა. აფრო-ამერიკელები თავისუფალნი იყვნენ გადაადგილებაში. ისინიც ასე მოიქცნენ და საბოლოოდ აღმოჩნდნენ ციხეში. სწორედ ამ მომენტში მათ

[24] ფლორიდის უზენაესი სასამართლოს რასობრივი და ეთნიკური კომპენსაციის კომისიისგან, 1991 წელი.

თავიანთი პოლიტიკური ძალაუფლებაც დაკარგეს. ფელნერისა და მაუერის (Fellner and Mauer) თანახმად (1998 წელი, გვ. 2), სისხლისსამართლებრივი მსჯავრის გამო ამერიკაში დაახლოებით 3.9 მილიონმა სრულწლოვანმა დროებით ან სამუდამოდ დაკარგა ხმის მიცემის უფლება. საიდანაც 1.4 მილიონი აფრო-ამერიკელი მამაკაცია. ეს კი მთელი სრულწლოვანი შავკანიანი მოსახლეობის 13%-ს შეადგენს. შვიდ შტატში ყოველი ოთხიდან ერთ შავკანიან მამაკაცს ხმის უფლება სამუდამოდ აქვს დაკარგული. თუკი გავითვალისწინებთ დაპატიმრებების ამჟამინდელ პროცენტულობას, შავკანიანი მამაკაცების მომდევნო თაობის ათიდან ყოველ სამ პირს მათი ცხოვრების რაღაც მონაკვეთში ასევე ჩამოერთმევათ ხმის მიცემის უფლება. ყველაზე მკაცრი საარჩევნო კანონების მქონე შტატებში, აფრო-ამერიკელი მამაკაცების დაახლოებით 40% ხმის მიცემის უფლების პერმანენტული დაკარგვის საფრთხის ქვეშაა. ფელნერი და მაუერი ასევე აღწერენ, თუ როგორი მარტივია დაკარგო ხმის მიცემის უფლება და როგორი რთული – ამ უფლების უკან დაბრუნება/აღდგენა:

> **ხმის მიცემის უფლების ჩამორთმევის შესახებ სახელმწიფო კანონების უმეტესობის მიხედვით, ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი მსჯავრი, რომელიც პატიმრობით ისჯება, ხმის მიცემის უფლების დაკარგვის წინაპირობას წარმადგენს. არ არის აუცილებელი დანაშაულს რაიმე საერთო ჰქონდეს საარჩევნო პროცესებთან. არც ისაა აუცილებელი, რომ დანაშაული კლასიფიცირებული იყოს აუცილებლად როგორც სერიოზული. მაღაზიის ქურდობა ან მარიხუანას მცირე რაოდენობის ფლობაც კი საკმარისი იქნებოდა.**
>
> **...**
>
> **სულ მცირე 16 შტატში მაინც, ფედერალურ დამნაშავეებს მათი სამოქალაქო უფლებების აღსადგენად არ შეუძლიათ სახელმწიფო პროცედურებით სარგებლობა. ყოფილი დამნაშავეებითვის არჩევნებში მონაწილეობის უფლების აღდგენისთვის ფედერალური სამართლით წარმოდგენილი ერთადერთი მეთოდი პრეზიდენტის შეწყალებაა.**

* * *

თუმცა, მოდით, ნუ დავიჯერებთ, რომ აღნიშნული განსხვავებები უნიკალური მხოლოდ აშშ-თვისაა. ყველა ინდუსტრიულ ქვეყანაში, სოციალურად დაუცველი უმცირესობები ჭარბად არიან წარმოდგენილები ციხეებში. ევროპული ციხეებიც დამძიმდა. სიღარიბეს ფერი რომ ჰქონოდა, ის უფრო გამუქდებოდა. აშშ-სა და ევროპას შორის შოვინიზმის არანაირი მიზეზი არ არსებობს. ლანგანი და ფარინგტონი (Langan and Farrington) (1998 წელი, გვ. 44) 1991 წელს ინგლისსა და უელსში არსებულ სიტუაციას ადარებენ აშშ-ში ამავე წელს განვითარებულ მოვლენებს: იმ დროისთვის აშშ-ში ყოველ 100,000 მოსახლეზე 2,563 შავკანიანი და ყოველ 100,000 მოსახლეზე 396 თეთრკანიანი იყო დაპატიმრებული. ინგლისსა და უელსში კი ყოველ 100,000 მოსახლეზე 667 შავკანიანი და 102 თეთრკანიანი იყო ციხეში მოთავსებული. ეს კი ორივე ქვეყანაში 6-ჯერ მეტ შავკანიანს ნიშნავს. სწორედ პრობლემის მოცულობაა ის, რაც აშშ-ს სიტუაციას ასეთ უნიკალურს ხდის.

## 7.4 ᲨᲢᲐᲢᲘᲓᲐᲜ ᲨᲢᲐᲢᲨᲘ

ყველაზე ლამაზი შტატებიდან, კალიფორნიის შტატი ალბათ პირველ ადგილზეა. აქ არის მზე, აქ არის დასვენება, აქ არის ბარკლისა და სტენფორდის უნივერსიტეტები და აკადემიული ცხოვრების სამოთხე, აქ არის ბიზნესი, გაფართოვება და სამუშაო, აქ არის ჰოლივუდი, მსოფლიოს ოცნების ქარხანა.

აქ არის ასევე აშშ-ს ყველაზე ცნობილი ციხეებიდან რამდენიმე. ალკატრასი (Alcatraz) აღარ არსებობს, თუმცა სან კენტინი (San Quentin) რჩება ციხედ, რომლის სახელიც ბევრად სცდება აშშ-ს

ფარგლებს. აქ არის ასევე ფოლსომის (Folsom) ციხე 7,000 პატიმრით, საიდანაც 500 სავარაუდოდ არასოდეს გათავისუფლდება. და ამ წლებში დიდ კალიფორნიულ ტრადიციებს ახალი სტრუქტურა ემატება.

1977 წელს ყოველ 100,000 მოსახლეზე კალიფორნიის შტატს სახელმწიფო და ფედერალურ ციხეებში ერთი ან მეტი წლით დაპატიმრებული 80 პატიმარი ჰყავდა. 1998 წელს შესაბამისი რიცხვები იყო 483 ან 158,742 პატიმარი. კალიფორნიის საბადრაგო სამსახურის ოფიცრების ასოციაციის თავმჯდომარემ იცის, რაშიც შეიძლება იყოს გამოსავალი. ის მიიჩნევს, რომ სახელმწიფომ უნდა ააშენოს მეგა-ციხეები, რომლებიც გათვლილი იქნება თითო 20,000 პატიმარზე. მცირეოდენ მეგა-ციხეებს, მისი აზრით, ახალ საუკუნეში ახალი ციხეების შესახებ კალიფორნიის მოთხოვნის დაკმაყოფილება შეუძლიათ.[25]

*დიაგრამას 7.4-1* შტატიდან შტატამდე მივყავართ. რიცხვები ფედერალურ და სახელმწიფო დაწესებულებებში ყოველ 100,000 მოსახლეზე ერთ წელზე მეტი ვადით დაპატიმრებულ პირთა რაოდენობას გვიჩვენებს. თითქმის ყველა მათი პატიმარი ასეთი ხანგრძლივი დროით არის დაპატიმრებული. საპატიმროები აქ არ იგულისხმება. ეს კი ნიშნავს, რომ აშშ-ს ციხეების მონაცემების დაახლოებით 1/3 არ ითვლება. ზოგიერთ შტატს გააჩნია ინტეგრირებული ციხის სისტემა, სადაც საპატიმროებიც ითვლება. შტატიდან შტატში შესადარებელი მონაცემების მისაღებად, ჩვენ ამ შტატებში 1/3-ით შევამცირეთ ციხის მონაცემები.

---

25 შლუზერი (Schlosser) (1998 წელი), გვ. 76.

**დიაგრამა 7.4-1. 1998 წელს ფედერალურ და სახელმწიფო დაწესებულებებში ყოველ 100,000 მოსახლეზე 1 ან მეტი წლით დაპატიმრებულ პირთა რაოდენობა.**[1]




1. წყარო: იუსტიციის სტატისტიკის ბიურო (Bureau of JUstice Statistics), ბიულეტენი. „პატიმრები 1998“, გვ.
2. პატიმრები და საპატიმროები ინტეგრირებული სისტემიდან. მონაცემთა ორიგინალური ბაზა საპატიმროებსა და ციხეებში განთავსებულ პატიმართა საერთო რაოდენობას მოიცავს. თავდაპირველი რიცხვები შემცირებულია 1/3-ით.
3. დაპატიმრებების რიცხვი დაახლოებით 6,200 პატიმარს მოიცავს, რომლებსაც 1 ან მეტი წელი ჰქონდათ მისჯილი, თუმცა ეს პერიოდი ადგილობრივ ციხეებში ან გამასწორებელ დაწესებულებებში გაატარეს.
4. ციხეებში განთავსებულ პატიმართა რაოდენობის შესახებ მონაცემები ეფუძნება custody counts.
5. „1 ან მეტი წლით დაპატიმრებული“ მოიცავს ასევე ზოგიერთ პატიმარს, დაპატიმრებულს „1 ან ნაკლები წლით“.

## 7.5. ციხეების მდგომარეობა

1990 წლის 1 მაისს *Los Angeles Times*-ის მიერ შემდეგნაირად იქნა აღწერილი ერთ-ერთი ციხე, რომელსაც კალიფორნიაში არსებულ უდიდეს ექსპანსიაზე უნდა ეზრუნა:

> პელიკან ბეის (Pelican Bay) ციხე მთლიანად ავტომატურ რეჟიმზეა და ისეა დაპროექტებული, რომ პატიმრებს ფაქტობრივად არანაირი კონტაქტი და პირადი შეხება დაცვასთან ან სხვა პატიმრებთან არ აქვთ. დღეში 22 1/2 საათის განმავლობაში პატიმრები გამოკეტილები არიან უფანჯრო საკნებში, რომლებიც მყარი ბეტონის ფილებითა და უჟანგავი ფოლადით არიან აგებულები ისე, რომ პატიმრებს რაიმე სახის მასალის იარაღად გადაკეთების შესაძლებლობა არ ექნებათ. ისინი არ მუშაობენ ციხის ინდუსტრიაში; მათ არ აქვთ წვდომა რეკრეაციასთან; მათ არ აქვთ შეხება სხვა პატიმრებთან. მათ მოწევის უფლებაც კი არ ეძლევათ, რადგან ასანთი უსაფრთხოების რისკად აღიქმება. პატიმრები საკვებს თავიანთ საკნებში იღებენ. საკანს ტოვებენ მხოლოდ სწრაფი შხაპის მისაღებად და ყოველდღიური 90 წუთიანი შესვენებისთვის. ისინი შხაპს იღებენ ცალკე და სეირნობენ ასევე ცალკე ცემენტით დაფარულ მინიატურულ ეზოში, რომელსაც 20 ფუტიანი ცემენტის კედელი შემოსაზღვრავს. კედელზე კი ლითონის ეკრანებია დამონტაჟებული. მათი საკნების კარები იღება და იკეტება ელექტრონულად საკონტროლო ჯიხურში მყოფი დაცვის მიერ.
>
> ...
>
> დაწესებულებაში ფაქტობრივად არ არის გისოსები; საკნების კარები გაკეთებულია უჟანგავი ფოლადის პერფორირებული ნაჭრებისგან. კარში მხოლოდ საკვების გადაცემისთვის საჭირო ღიობია დატოვებული. არც დაცვა შეინიშნება სადმე ქამარზე ჩამოკიდებული გასაღებებით იარუსებს შორის რომ დაიარებოდეს. სამაგიეროდ, დაცვა ჩაკეტილია შორს შუშის საკონტროლო ჯიხურებში და პატიმრებს დინამიკების მეშვეობით ეკონტაქტება.
>
> ...
>
> უსაფრთხო კორპუსის ბლოკს (SHU – Secure Housing Unit) თავისი საკუთარი ლაზარეთი გააჩნია; ასევე საკუთარი იურიდიული ლიტერატურის ბიბლიოთეკა (სადაც პატიმრები უსაფრთხო ოთახებში არიან განთავსებულები და იურიდიული ლიტერატურაც სლოტების მეშვეობით გადაეცემათ); ასევე გააჩნია საკუთარი ოთახი ვადაზე ადრე გათავისუფლების შესახებ არსებული საქმეების განსახილველად. პატიმრებს ბლოკიდან გაუსვლელად წლები შეუძლიათ გაატარონ.

*Corrections Digest*-ის მიხედვით (1990 წლის 27 ივნისი, გვ. 9), კალიფორნიის გუბერნატორმა აღნიშნული ციხის გახსნისას შემდეგი განცხადება გააკეთა:

> **„კალიფორნიას ამიერიდან განვითარების დონით უმაღლეს საფეხურზე მდგომი ციხე აქვს, რომელიც მთელი ერისთვის გახდება სამაგალითო. ... პელიკან ბეიში გამოხატულია ჩვენი ფილოსოფია, რომლის მიხედვითაც, დანაშაულის შემცირების საუკეთესო გზა დამნაშავე კრიმინალების გისოსებს მიღმა მოთავსებაა“.**

გუბერნატორმა ასევე აღნიშნა, რომ პატიმრის შენახვა ციხეს ყოველწლიურად 20,000 დოლარი უჯდება, შედარებით 430,000 დოლართან, რაც საზოგადოებას უჯდება, როდესაც კრიმინალი ქუჩაში მუშაობს.

ამ მხრივ კალიფორნია მარტო არ არის. ოკლახომიდან The Sunday Oklahoma 1991 წლის 24 თებერვალს წერდა შემდეგს:

> **პატიმრები, რომლებიც განთავსებულები იყვნენ “high-max” უსაფრთხოების ბლოკში, დღეში 23 საათს თავიანთ საკნებში გაატარებენ, დარჩენილ 1 საათს კი ისეირნებენ კონკრეტულ პატარა რეკრეაციულ ზონაში, რომელიც 200 ფუტიანი კედლით არის გარშემორტყმული. სივრცე მეტალის გისოსებით არის გადახურული. თეორიულად, პატიმარს შეუძლია ახალ საკანში გადაადგილდეს და არასოდეს გავიდეს გარეთ. ბლოკის პირველი მაცხოვრებელი 114 სიკვდილმისჯილი მამაკაცი იქნება. სიკვდილით დასჯის სისრულეში მოსაყვანად ბლოკში ასევე ახალი ოთახი არის განთავსებული.**

ორგანიზაცია Human Rights Watch-მა აშშ-ს ციხეებში არსებული მდგომარეობა გამოიძია. აღნიშნული კვლევა Helsinki Watch-ის მიერ საბჭოთა კავშირის ციხეებში არსებული მდგომარეობის შესახებ განხორციელებულ კვლევასთან ერთად პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობდა. თავის დეტალურ ანგარიშში Human Rights Watch აღწერს აშშ-ს ციხეებში პატიმართა სრული იზოლაციისკენ არსებულ ტენდენციებს. ისინი აღნიშნულ ტენდენციას „მარიონიზაციას“ (“Marionization”) უწოდებენ. ამავე სახელწოდების ფედერალურმა ციხემ 1983 წელს

მსგავსი უსაფრთხოების უკიდურესი ზომები შემოიღო. სხვა შტატებიც მიჰყვნენ ტენდენციას და თავიანთი საკუთარი მაქსიმალური უსაფრთხოების ინსტიტუტები შექმნეს. ასეთ დაწესებულებებს ციხის ჟარგონით „მაქსი-მაქსი“ (“Max-Maxi”) ეწოდებოდა.

„მაქსი-მაქსი“-ებში პატიმრობა ციხის ოფიციალური წარმომადგენლების მიერ არის ადმინისტრირებული. მათზე ცალკე დამოუკიდებელი ზედამხედველობა აღარ ხორციელდება. ამას კი მიჰყავს სიტუაციამდე, როდესაც პატიმრებს ფაქტობრივად ორჯერ შეიძლება მიესაჯოთ პატიმრობა: ერთხელ — სასამართლოს მიერ გარკვეული ვადით და მეორედ, მდგომარეობის გასაუარესებლად — ციხის ადმინისტრაციის მიერ.

მარიონში მდგომარეობა გაცილებით რთულადაა, ვიდრე სხვა ფედერალურ ციხეებში, მათ შორის ხდება პატიმართა დღეში 23 საათის განმავლობაში გამოკეტვა და მათთვის მნახველების მიღებაზე უარის თქმა (გვ. 4).

სახელმწიფო ციხეებსაც მსგავსი მოწყობა აქვთ. ფლორიდის შტატიდან შემდეგი სახის ანგარიში გავრცელდა:

განსაკუთრებით თვალსაჩინო მაგალითს ფლორიდის სტარკეს სახელმწიფო ციხის (Starke), უფანჯრო Q ფრთა წარმოადგენს. საიდანაც პატიმრები არასოდეს გადიან გარეთ და სადაც ზოგიერთი პატიმარი დაახლოებით 7 წლის განმავლობაში იმყოფება (გვ. 4).

...

ასეთი განთავსების მაქსიმალური ხანგრძლივობის ბოლო ზღვარი დადგენილი არ არის და, როგორც ჩვენ გვაცნობეს, შესაძლოა 15 წლამდეც კი გაგრძელდეს. პატიმრებს კვირაში სამჯერ შხაპის მიღებისა და ორი საათით ეზოში სეირნობის უფლება აქვთ მხოლოდ. ეს არის საკნის გარეთ ნებადართული ერთადერთი დრო. მას შეუძლია შეიძინოს საქონლის ლიმიტირებული რაოდენობა სატრაპეზოდან (canteen) და ერთი კვირით გამოიტანოს ბიბლიოთეკიდან წიგნი (თუკი ის არ იმყოფება ბიბლიოთეკის შავ სიაში, მორიგი დისციპლინური სასჯელი Starke-ს ციხეში). კარცერში მოხვედრილ პატიმრებს ასევე შესაძლოა ჩამოერთვათ საკნის გარეთ სეირნობის უფლება და ეს შესაძლოა წლების განმავლობაშიც კი გაგრძელდეს. ფლორიდის წესების თანახმად, „კარცერში პატიმრის მოთავსება თავისი ბუნებით დისციპლინური არ არის და პატიმრები, რომლებიც იქ ხვდებიან, არ ისჯებიან“. (გვ. 44).

დისციპლინური საკნები უფრო სერიოზული რამაა. ისინი ციხის შინაგანაწესის დამრღვევი პატიმრებისთვის არის განკუთვნილი. კარცერთან დაკავშირებული შეზღუდვების გარდა, დისციპლინურ საკნებში მოთავსებულ პატიმრებს არ ეძლევათ საკითხავი მასალის გაცნობის უფლება, გარდა იურიდიული მასალისა. თუმცა, ცხოვრება, შესაძლოა, კიდევ უფრო მეტადაც გართულდეს. ციხეს ასევე გააჩნია Q-ფრთა იმ პირთათვის, ვინც ზემოხსენებულ ადგილებში (დისციპლინური საკანი, კარცერი) ყოფნისას კვლავ გააგრძელებს შინაგანაწესის დარღვევას. საკნების მოცულობა არის - 6 ფუტი, 11 დიუიმი 8 ფუტსა და 7 დიუიმზე, ცემენტის საწოლით, საპირფარეშოთი და პირსაბანით, არ არის ფანჯარა და ავეჯი. კარები ფოლადისგანაა დამზადებული. საკანში შეინიშნება ჰაერის ჩახუთულობა, როგორც ამას Human Rights Watch აღნიშნავს (გვ. 45).

1997 წელს ახალი კონსტრუქცია გაიხსნა. როგორც მას *Correctional Digest* 1997 წლის 5 დეკემბერს აღწერს:

> დიზაინერებმა, რაც პატიმარს ესაჭიროება, ყველაფრის 105 კვადრატულ ფუტში (დაახლოებით 10 კვ. მეტრი) მოთავსება შეძლეს. ყოველ საკანში განთავსებული იქნება 2 პატიმარი, რომლებსაც ორიარუსიანი საწოლი და საპირფარეშო, პირსაბანი და შხაპი ექნებათ. და პირველად ციხეების ისტორიაში, საკნებს ასევე ექნებათ კარი, რომელიც პატიმრებს ძალიან პატარა — დაახლოებით 6 ფუტი 8 ფუტზე — აივანზე გაიყვანს, მას პატიმრები თავიანთი კუთვნილი 1 საათიანი გასეირნებისთვის გამოიყენებენ.
>
> სასეირნო ადგილას გასასვლელი კარები ელექტრონულად გაკონტროლდება ცენტრალური საკონტროლო პუნქტში მომუშავე ოფიცრების მიერ. ისე, რომ მათი გადასაწყვეტი იქნება, როდის შეეძლებათ პატიმრებს შესვლა და გასვლა.
>
> ყოველი საკნის ფოლადის კარი, რომელიც ციხის შიდა კორიდორში გამოდის, პატიმრებს ერთმანეთში კომუნიკაციის საშუალებას არ მისცემს. ყოველ კარში მოთავსებული შედარებით პატარა ზომის კარი მისცემს ოფიცრებს საშუალებას, პატიმრებს საკვები გადააწოდონ.
>
> შტატი დამატებით 19 ახალი ოფიცრისა და 2 სერჟანტის დაქირავებას გეგმავს, რათა მათ ახალ დაწესებულებაში იმუშავონ. ოფიციალური პირები აღნიშნა-

**ვენ, რომ ეს რიცხვი ახალ გარემოში 200 პატიმრის საზედამხედველოდ სავსებით საკმარისი და ადექვატური იქნება.**

“Cold Storage” წარმოადგენს Human Rights Watch-ის პატარა ანგარიშს (1997 წელი), რომელიც ერთ-ერთ მის პუბლიკაციას ჰქონდა დართული. ანგარიშის თანახმად (გვ. 18):

**36 შტატი და ფედერალური მთავრობა დღესდრეობით სულ ცოტა 57 სუპერმაქსიმალური უსაფრთხოების დაწესებულებას ამუშავებს. მათ „სუპერმაქსებსაც“ (“supermaxes”) უწოდებენ. ისინი აშენდნენ ან როგორც არსებული ციხეების დანამატი, ან – როგორც დამოუკიდებელი ერთეული. ის მშენებლობები, რომლებიც მოცემულ მომენტში მიმდინარეობს ეროვნული დონის „სუპერმაქსის“ შესაძლებლობებს დაახლოებით 25%-ით გაზრდის.**

იგივე ანგარიშში მოცემულია ფედერალური საოლქო სასამართლოს მოსამართლის, ტელტონ ჰენდერსონის (Thelton Henderson) დაკვირვება:

**ყველა პატიმრის დამშვიდებამ ძლიერი მედიკამენტების გამოყენებით, რომლებიც მათ ხანგრძლივ სტუპორულ მდგომარეობაში ტოვებენ, შესაძლოა, შეამციროს უსართხოების რისკები; თუმცა, პატიმრობის ამგვარი პირობები, ცალსახაა, რომ არაკონსტიტუციური იქნება.**

არსებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, აშშ-ში ყველა დაპატიმრებული პირის 1.8% მაქსიმალური უსაფრთხოების ციხეებში არის განთავსებული, მათ შორის იმ ციხეებშიც, რომლებსაც „სუპერმაქსებს“ უწოდებენ. ბრიტანეთში მსგავსი პროპორცია მხოლოდ 0.1% შეადგენს (ქოილე (Coyle) 2000 წელი). თუმცა აშშ არის კონტრასტების მიწა. უკიდურესი იზოლაცია ბოროტების ერთი სახეობაა. მაგრამ იზოლაციის უკიდურეს კონტრასტსაც თავისი ფასი აქვს. Human Rights Watch (1992 წელი) ასევე აღწერს ამ პირობებს (გვ. 19-20):

**საპატიმროები პატიმრების შედარებით უფრო ნაკლები დროით დაკავებისთვის არიან განკუთვნილნი, ვიდრე ეს ციხეებში ხდება და ეს ფაქტი ასეთი**

დაწესებულებების ფიზიკურ სტრუქტურაშიც აისახება. მათ ხშირად არ აქვთ რეკრეაციული სივრცეები. პატიმრები განთავსებულები არიან უფანჯრო საკნებში, და მათ პირადი სივრცე ან ძალიან მცირე დოზით, ან საერთოდ არ ეძლევათ.

მაგალითად, ნეშვილის (ტენესის შტატი) სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ცენტრი 1982 წელს აშენდა დაახლოებით 300-მდე პატიმრის ტევადობით. როდესაც ჩვენ 1990 წელს აღნიშნული ცენტრი მოვინახულეთ, იქ 800 პატიმარზე მეტი იყო განთავსებული. ჩვენ ასევე გვითხრეს, რომ უკანასკნელ პერიოდში რაღაც მომენტში პატიმრების რიცხვი 1,100 პირსაც კი აღწევდა. როგორც ერთ-ერთმა თანამშრომელმა განგვიცხადა, დაახლოებით 6 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში დაწესებულების სავარჯიშო დარბაზი რამდენიმე ასეული წინასწარი პატიმრის განსათავსებლად გამოიყენებოდა. მათ ჰქონდათ 2 აბაზანა და 2 შხაპი. ყველაზე დიდი ხალხმრავლობისას დამატებითი სივრცე მიწისქვეშა გვირაბის სახით, რომელიც სასამართლოს დარბაზში გადიოდა, 200 პატიმრისთვის გამოიყენებოდა. იქ არ იყო არც აბაზანა და არც – შხაპი.

...ჩვენი ვიზიტის დროს რიკერსის კუნძულზე ნიუ-იორკში 1,516 პატიმრიდან 300 განთავსებული იყო საკნებში (უმეტესად სეგრეგაცია), მაშინ, როდესაც დანარჩენები საერთო საცხოვრებლებში და კუნძულის სანაპიროზე მიმდგარ და გადაკეთებულ საბორნე კატარღების გემბანებზე ცხოვრობდნენ. ყოველ საცხოვრებელში დაახლოებით 57-მდე პატიმარი იყო განთავსებული.

...ლოს ანჯელესში სიბილ ბრენდის (Sybil Brand) ციხეში ქალებს დაახლოებით 130-156 პირის გარემოცვაში ეძინათ. საცხოვრებლები გადატვირთული იყო და არანაირი პირადი სივრცე არ არსებობდა.

აღნიშნული პატიმრების საჩივრები ძალზე წააგავდა რუსი პატიმრების საჩივრებს, რომელთა შესახებაც ზემოთ უკვე იყო საუბარი. ასე გამოიყურებოდა აშშ-ში პატიმართა უკმაყოფილებები:

საცხოვრებლები განკუთვნილი იყო 50 ადამიანისთვის, თუმცა ჩვენი ვიზიტის დროს იქ განთავსებული იყო 90 პატიმარი. პატიმრები ჩიოდნენ ხალხმრავალობაზე და იმაზე, რომ არ ჰქონდათ შესაძლებლობა, თავიანთი თანამეთახე თვითონ აერჩიათ. როგორც ეს უკიდურესად ჭარბწონიანმა მანდილოსანმა (მან გვითხრა, რომ მისი წონა დაახლოებით 127 კილოგრამს შეადგენდა) განგვიცხადა, როდესაც ის და მისი თანამეთახე ერთდროულად იმყოფებოდნენ პატარა ოთახში, მათ ფაქტობრივად განძვერაც კი არ შეეძლოთ (გვ. 34).

ერთმა პატიმარმა ... აღწერა თავისი საკანი (სხვა ციხეში): „კედლებიდან ჩამოცვენილი საღებავი, დაზიანებული სანტექნიკა, ფანჯრებში ჩამტვრეული

შუშა, ძალზე სუსტი განათება, ტარაკნები, ვირთხები/თაგვები, ჭიანჭველები, მწერები, დაობებული ბალიშები და ჭუჭყით დაფარული ზეწრები, გაუსაძლისი სიცხე ზაფხულში და სასტიკი სიცივე ზამთარში“.

თუმცა აშშ კონტრასტების ქვეყანაა ასევე სხვა მიმართულებითაც. ისევ Human Rights Watch-ის თანახმად (გვ. 61):

Human Rights Watch-ის მიერ მონახულებულ დაწესებულებებს შორის მხოლოდ ბედფორდ ჰილის ციხე (Bedford Hills) აძლევს ახალნამშობიარებ პატიმრებს თავიანთი ბავშის ციხეში დატოვების უფლებას. ნიუ-იორკის შტატის კანონის თანახმად, მდედრობითი სქესის პატიმრებს ციხეში ბავშვის მხოლოდ ერთი წლით დატოვების უფლება აქვთ.

ბავშვისთვის საჭირო აკომოდაციის გარდა, ბედფორდ ჰილის ციხე, სადაც პატიმრების 75% დედაა, დედებისთვის ასევე მათ უფროს შვილებთან კავშირის შენარჩუნებასაც უზრუნველყოფს. ზაფხულში დაწესებულების ორგანიზებით ადგილობრივ ოჯახებში მცხოვრები პატიმრების ბავშვებისთვის ერთკვირიანი პროგრამა იმართება. ისინი მთელ დღეს თავიან დედებთან ატარებენ. თამაშობენ დიდ, სათამაშოებით სავსე ვიზიტორების ოთახში და ასევე უამრავ ორგანიზებულ აქტივობაში შეუძლიათ მონაწილეობის მიღება. დამატებით, მათ ასევე გარეთ არსებული მოედანიც შეუძლიათ გამოიყენონ. ზედამხედველის თანახმად, წლის განმავლობაში, თვეში ერთხელ ნიუ-იორკიდან და ალბანიდან ციხის მიმართულებით ავტობუსები არის ისე ორგანიზებული, რომ ბავშვებს თავიანთი დედების მონახულება სხვა ნათესავების თანხლების აუცილებლობის გარეშეც შეუძლიათ.

## 7.6 დანაშაულის ახსნა

ციხეში განთავსებულ პატიმართა რიცხვის ზრდა ჩვეულებრივ დანაშაულის მომატებით შეიძლება აიხსნას. ყველაფერს იწყებს კრიმინალი და საზოგადოებას ისღა დარჩენია, რეაგირება მოახდინოს მაზე. ეს არის ე.წ. რე-აქტიული აზროვნება და როგორც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, მსგავსი აზროვნება ევროპისთვის აქტუალური ვერ იქნება. ამერიკაშიც უკეთესი მდგომარეობა არ არის.

1990 წლისთვის ციხეში განთავსებულ პატიმართა რაოდენობა ბოლო 10 წლის განმავლობაში გაორმაგდა. თუმცა, ეს არის ის, რაც

იუსტიციის სტატისტიკის ბიურომ (Bureau of Justice Statistics) იმ პერიოდში არსებულ მსხვერპლთა რაოდენობის შესახებ განაცხადა (National Update, იანვარი, 1992 წელი, გვ. 5):

> ვიქტიმიზაციის მაჩვენებელი აგრძელებს ვარდნის ტენდენციას, რაც დეკადების წინ დაიწყო.
>
> 1990 წელს დაახლოებით 34.4 მილიონი პიროვნებისა და საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული დაფიქსირდა, 1981 წლისგან განსხვავებით, როდესაც აღნიშნული დანაშაულების რიცხვი 41.4 მილიონს შეადგენდა.
>
> 1973 წლიდან 1990 წლამდე პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის მაჩვენებელმა (გაუპატიურება, ძარცვა, თავდასხმა, პირადი ქურდობა) 24.5%-ით დაიკლო, ხოლო საკუთრების წინააღმდეგ მიმართილი დანაშაულის (ღაჩაღობა, სახლის ქურდობა, ძრავიანი გადაადგილების საშუალების ქურდობა) რაოდენობამ — 26.1%-ით.
>
> იქიდან გამომდინარე, რომ დანაშაულის ვიქტიმიზაციის ეროვნული კვლევა (National Crime Victimization Survey — NCVS) ითვლის მხოლოდ იმ დანაშაულებს, რომელთა მსხვერპლებთანაც გასაუბრება შეიძლება, ამიტომ მკვლელობები არ ითვლება. მათი გამორიცხვა ზოგად გამოთვლებს არსებითად არ ცვლის.

მეტიც, აშშ-ში დანაშაულის შესახებ სახალხო რწმენის საპირისპიროდ, სერიოზული კანონდარღვევების რიცხვმა ასევე ძალზე მცირე დაღმასვლა აჩვენა. სერიოზული კანონდარღვევების შესახებ გამოძიების ფედერალური ბიუროს სტატისტიკის მიხედვით, 1980 წელს 5.1 მილიონით დაწყებული შემთხვევა, 1989 წელს 4.8 მილიონით დასრულდა. თუმცა ამ დანაშაულებზე არსებული სანქციების სიმძიმემ მოიმატა. 1980 წელს ყოველი 1000 დაპატიმრებიდან სერიოზული დანაშაულის ჩადენის გამო 196 პირს მიესაჯა პატიმრობა. იუსტიციის სტატისტიკის ბიუროს თანახმად, 1990 წელს ასეთი დანაშაულებისთვის დასჯილ პირთა რიცხვი 332-მდე გაიზარდა.

მაუერი (Mauer) (1991 წელი, გვ. 7) აღნიშნულის შესახებ შემდეგს აცხადებდა:

**მაშინ როდესაც ცალსახაა, რომ აშშ დანაშაულის რაოდენობის მიხედვით ლიდერია, არსებობს უამრავი მტკიცებულება, რომ ბოლო წლებში გისოსებს მიღმა აღმოჩენილ პირთა სიმრავლე შედეგია არა იმდენად დანაშაულის რიცხვის მატებისა, არამედ უფრო – ბოლო წლებში გატარებული შედარებით მკაცრი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკისა.**

როდესაც საქმე მკვლელობას ეხება აშშ თითქმის ყველა სხვა ინდუსტრიული ქვეყნებისგან განსხვავდება. ინგლისსა და უელსთან შედარებით, ქვეყნაში სულ მცირე 6-ჯერ მეტი მკვლელობა აღინიშნება. სკანდინავიასთან შედარებით, აშშ-ში მკვლელობები 10-ჯერ უფრო მეტად არის დაფიქსირებული. თუმცა, თვით აშშ-შიც კი მკვლელობა იშვიათი მოვლენაა და აქ არსებული განსხვავება ვერ ხსნის იმ უზარმაზარ სხვაობას, რაც აშშ-სა და დასავლეთ ევროპას შორის ციხეებში პატიმრების რაოდენობასთან მიმართებით არსებობს. და, რა თქმა უნდა, მკვლელობა ნამდვილად ვერ ახსნის ციხეში პატიმრების მომრავლებას. *დიაგრამა 7.6-1* აჩვენებს 1960-97 წლებში აშშ-ში არსებული მკვლელობების რაოდენობას. 1975 წლის მერე რაიმე სახის დრამატული მატება არ აღინიშნება. თუმცა რიცხვები მაღალია. და როდესაც საქმე სხვა დანაშაულებს ეხება, აშშ ისეთი განსხვავებული არ არის სხვა ქვეყნებისგან. ამის ამსახველი სურათის ხილვა შესაძლებელია ლანგანისა და ფარინგტონის (Langan and Farrington) მიერ განხორციელებულ კვლევაში (1998 წელი), სადაც ისინი აშშ-ში დანაშაულისა და მართლმსაჯულების მხრივ 1981-96 წლებში არსებულ მდგომარეობას ინგლისსა და უელსში ამ მხრივ არსებულ მდგომარეობას ადარებენ. აღნიშნული კვლევიდან ძირითადი შთაბეჭდილება რჩება, რომ, ისეთი ინდიკატორებით, როგორიც არის თვით-აღრიცხული დანაშაულები, პოლიციისთვის მიმართვის დონე და კლირენსის განაკვეთები, ამ ქვეყნებს შორის გარკვეული მსგავსებები შეინიშნება. თუმცა აშშ-ის პოლიცია უფრო მეტ საქმეს აღრიცხავს, ვიდრე მათთან განაცხადია შესული. დამნაშავეებს იქ ხშირად აქვთ თავისუფლების აღკვეთა *მისჯილი* და ეს სასჯელიც უფრო მკაცრია.

**დიაგრამა 7.6-1. ყოველ 100,000 მოსახლეზე აშშ-ში დაფიქსირებული მკვლელობების რიცხვი 1960-1997 წლებში**




აშშ-ში პატიმრების რიცხვის მკვეთრი ზრდა ვერ იქნება „დანაშაულით გამოწვეული". მიზეზი უფრო პენიტენციურ პოლიტიკაში უნდა ვეძებოთ. იუსტიციის სტატისტიკის ბიუროს ბიულეტენის 1999 წლის დასკვნის თანახმად:

> ფაქტორები, რამაც 1990-1997 წლებში სახელმწიფო ციხეებში პატიმრების რაოდენობის ზრდა გამოიწვია, მოიცავს:
>
> – ვადამდე ადრე გათავისუფლებულ იმ პირთა 39%-იანი ზრდა, რომლებმაც დაარღვიეს ვადამდე გათავისუფლების პირობები და კვლავ ციხეში აღმოჩნდნენ, ასევე 4%-იანი ზრდა სასამართლოს განჩინებების რიცხვისა პირის დაპატიმრების შესახებ.
> – 1990 წელს 37%-დან 1997 წელს 31%-მდე ვარდნა წლიურად გათავისუფლებული პატიმრების რიცხვისა.
> – საშუალო დროის ზრდა გათავისუფლებული პირების მიერ ციხეში გატარებულ დროსა (1990 წელს 22 თვიდან 1997 წელს - 27 თვემდე) და იმ დროს შორის, რაც მოსალოდნელია რომ ახალმა პატიმარმა გაატაროს (38 თვიდან 43 თვემდე).
> – მცირე, თუმცა მზარდი რიცხვი (10%) პატიმრებისა, რომლებიც გათავისუფლებამდე ციხეში 20 ან მეტ წელს გაატარებენ და 5% პატიმრებისა, რომლებიც ვერასდროს შეძლებენ გათავისუფლებას.

ეს ძირითადად იმ პატიმრებს ეხება, ვინც ძალადობრივი ქმედების ჩადენის გამო ციხეში შედარებით უფრო დიდი ხნის განმავლობაში

დარჩება. ზემოთ აღწერილ ტენდენციებს ავტომატურად მივყავართ აშშ-ს ციხეებში ძალადობრივი ქმედებისთვის დაპატიმრებულ პირთა მეტ პროცენტამდე, თუმცა ასეთი ზრდა უფრო მეტად ადმინისტრაციული და სასამართლო გადაწყვეტილებების გამო ხდება, და არა – „დანაშაულთან არსებული მდგომარეების" გამო. მიუხედავად ყველაფრისა, ეს ზრდაც კი არ ყოფილა მნიშნელოვანი. 1990 წლიდან 1997 წლამდე სახელმწიფო ციხეებში მოძალადე დამნაშავეების რიცხვმა 46%-დან 47%-მდე მოიმატა, მაშინ, როდესაც ნარკოტიკული დანაშაულის ჩამდენი პირების რაოდენობამ, პირიქით, 22%-დან 21%-მდე იკლო. თვითონ ციხეებში კი ძალადობის შემთხვევებმა 30%-დან 26%-მდე იკლო, ნარკოტიკული დანაშაულის შემთხვევებმა კი 9%-დან 22%-მდე ზრდა განიცადა. ეს 1983 წლიდან 1996 წლამდე პერიოდში ხდებოდა. ფედერალურ ციხეებში, როგორც ჩვენ ეს უკვე 5.3 თავში აღვნიშნეთ, ნარკოტიკები დომინანტი იყო. 1970 წელს ფედერალური სისტემის ფარგლებში დაკავებული 20,686 პატიმრიდან 16% ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებული დანაშაულის გამო იყო დაკავებული. 1997 წელს პატიმრების რიცხვი 90,992 პირამდე აღწევდა, საიდანაც 60% ნარკოტიკული საშუალებების გამო იჯდა.[26]

იმის მაგივრად, რომ ციხე დანაშაულთან გამკლავების საშუალებად აღიქმებოდეს, დაინტერესებულ პირს შეუძლია ეს ყოველივე პირიქით გაიგოს და სოციალურ ფენომენს ციხეში არსებული პირობების პასუხად განიხილავდეს. ბავშვებს ბიზნეს სკოლებში აგზავნიან, რათა მათ შესაბამისი განათლება მიიღონ. ისინი მთელი ცხოვრების მეგობრებსა და კოლეგებს შეიძენენ. ციხეებიც არ განსხვავდება მათგან. პატიმრებსაც თავიანთი CV აქვთ. შლოზერი (Schlosser) (1998) ამბობს:

> **გაკვეთილი, რომელიც აშშ-ის უმეტეს ციხეებში ისწავლება – სადაც ძალადობა, გამოძალვა და გაუპატიურება დიდი ხნის რუტინას წარმოადგენს – არის ის, რომ ძლიერი ყოველთვის დაჩაგრავს სუსტს. ისეთი პატიმრები, რომლე-**

[26] იუსტიციის სტატისტიკის ბიურო, გზამკვლევი 1997 წელი, გრაფა 6.52.

**ბიც სისუსტის არანაირი გამოვლინებით არ გამოირჩევიან, სწრაფად ხდებიან მტაცებლები. 1950-იანებში და 1960-იანებში კალიფორნიასა და ილინოისში თავდაცვისთვის ციხის ბანდები ფორმირდებოდა. დღესდღეობით აღნიშნულ ბანდფორმირებებს ფართო გაქანება აქვთ მთელი ქვეყნის მასშტაბით. ... ბევრი ჩვეულება, სლენგი და დიდი ხნის მანძილზე ციხის ბანდფორმირებასთან დაკავშირებული ტატუები ახალგაზრდებს შორის საკმაოდ მოდური და პოპულარული გახდა. აშშ-ს მასშტაბით ქალაქებში ციხის კულტურამ სწრაფად გადაინაცვლა ქუჩაში და ის ქუჩის კულტურად გადაიქცა.**

აღნიშნული უკვე რამოდენიმე წლის წინაც კი საკმაოდ ნათელი იყო:

რიჩარდ სტრატონი (Richard Stratton), გაზეთ Prison Life-ის რედაქტორი, ფიქრობს, რომ არსებობს მზარდი ინტერესი ციხის კულტურისადმი ზოგადად და რომ ციხის მოდაც ამის ნაწილია. ... „რასაც ხედავ, არის ციხის კულტურა, რომელიც გარეთ იღვრება და ზოგადი კულტურა ხდება", თქვა მან.

ფართო, ცუდად მორგებული ტანსაცმლის სტილი პირველად ციხეში დამკვიდრდა. მიზეზი: პატიმრებს არ ჰქონდათ ქამრის ტარების უფლება, რათა ის იარაღად არ გადაექციათ ან მისი საშუალებით თვითმკვლელობა არ ჩაედინათ. შესაბამისად, ჩაჩაჩული შარვლები ციხის ტრადიციაა. სტრატონის თქმით, რეპ-მუსიკა და ტატუებიც ციხიდან იღებენ სათავეს. „ეს ყოველივე ციხის კულტურას წარმოადგენს, რომელიც გარეთ გამოვიდა და ფართო კულტურის ნაწილი გახდა". USA TODAY, 2 ნოემბერი, 1995 წელი.

## 7.7. მუხრუჭების არარსებობა

სოციალური ცხოვრების გაგება მნიშვნელოვანწილად წარმოადგენს ბრძოლას იმის გასაგებად, თუ ზუსტად რა ფენომენთან და რატომ გვაქვს საქმე? მეფეები ღმერთების შვილები არიან, თუ რომელიმე კონკრეტული წარმატებული კრიმინალის შთამომავლები? და ბიზნესის ან გართობის სათავეში მდგომი ლამაზი ხალხი? ისინი იქ იმის გამო იმყოფებიან, რომ მათი ცხოვრების სტილი ამ სფეროებში

არსებულ სიკეთეებს შეესაბამება? ნუთუ ღარიბები უნდა მივიღოთ მაინცდამაინც როგორც უაზრო/არაფრისმომტანი მსმელები და ლოთები, თუ – როგორც მათ კონტროლს მიღმა არსებული სოციალური მდგომარეობის მსხვერპლები? ქალაქის გარეუბნები ისეთი ადგილებია, სადაც მისწრაფებების არმქონე პირები იკრიბებიან, თუ ეს ადგილები ნაგავსაყრელს წარმოადგენს მათთვის, ვისაც თანამედროვე საზოგადოების უმცირესი წილიც კი არ მიუღიათ?

ქალაქის გარეუბნები სავსეა სავალალო აქტებით – მეუღლის მიმართ ძალადობა, სქესობრივი აქტითა და ისეთი ნარკოტიკული საშუალებებით, როგორიცა, მაგალითად კრეკი, ვაჭრობა, მკვლელობა. ქმედებებით, რომლებიც დანაშაულად არიან მიჩნეულნი. ისეთი დანაშაულები, რომლებიც ომის სამიზნედ შეილება გადაიქცნენ. თუმცა კვლავაც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ფენომენს შესაძლოა, დამატებით და ამავე დროს, სხვაგვარი მნიშვნელობაც მიენიჭოს. ასეთი ქმედებები, პირველ რიგში, შესაძლებელია სიღარიბის ინდიკატორი იყოს, ასევე ეკონომიკური, საგანმანათლებლო და სამედიცინო დაწესებულებების იმ მასშტაბებით მოთხოვნის ინდიკატორიც, რა მასშტაბებზეც ეროვნულ საზღვრებს მიღმა წარმოებული ომების ინვესტირება ხდება. მესამე პირის პერსპექტივიდან იკვეთება საინტერესო კითხვა, თუ რატომ მიიჩნევიან აშშ-ს ქალაქების გარეუბნები ომის სამიზნეებად, იმის მაგივრად, რომ ისინი მკვეთრი სოციალური რეფორმების სამიზნეები გახდნენ.

უკვე 1831 წელს ალექსის დე ტოკევილლემ (Alexis de Tocqueville) (აქ 1990 წელი) დაადგინა, რომ დემოკრატიული სული და თანასწორობისთვის ბრძოლა, რასაც ის აშშ-ში თავისი მოგზაურობების დროს გადააწყდა, ასევე გარკვეული პოტენციური პრობლემური ასპექტებით გამოირჩეოდნენ. კონკრეტულად კი, მას მთელი ამ თანასწორობის პოტენციური ტირანიის ეშინოდა (1990 წელი, გვ. 231):

> **თუკი მე ჩემს შუბლზე ძალაუფლების მძიმე ხელს ვგრძნობ, მე ვიქნებოდი ცოტა შეშფოთებული და მომინდებოდა მცოდნოდა, ვინ არის ის, ვინც მჩაგრავს; თუნდაც მილიონ ადამიანს რომ ეჭიროს ჩემთვის უღელი, მე მაინც არ ვიქნები მზად თავი გამეყო მასში.**

სასამართლო სისტემასთან დაკავშირებით კი ის აცხადებს შემდეგს:

> **ჩემი ყველაზე დიდი საჩივარი და უკმაყოფილება ისეთი დემოკრატიული მთავრობის წინააღმდეგ, როგორიც აშშ-ია, არის არა მისი სისუსტე, როგორც ამას ბევრი ევროპელი თვლის, არამედ – მისი უკიდურესი სიძლიერე. ამერიკაში რაც ჩემთვის ყველაზე შემაშფოთებელია, არის არა უკიდურესი თავისუფლება, რაც იქ მეფობს, არამედ – ტირანიის წინააღმდეგ გარანტიების ნაკლებობა.**
>
> **როდესაც ადამიანი ან პარტია აშშ-ში უსამართლობას განიცდის, ვის შეუძლია მას რომ მიმართოს? ხალხის აზრს? ეს არის ის, რაც ქმნის უმრავლესობას. საკანონმდებლო ორგანოს? ის წარმოადგენს უმრავლესობას და ბრმად ემორჩილება მას. აღმასრულებელ ხელისუფლებას? ის დანიშნულია უმრავლესობის მიერ და მსახურობს, როგორც საზოგადოების პასიური ინსტრუმენტი. პოლიციას? ისინი სხვა არაფერია, თუ არა უმრავლესობა იარაღით. სასამართლოს? ეს არის უმრავლესობა, რომელსაც აქვს განაჩენის გამოტანის უფლება; თვით მოსამართლეებიც კი გარკვეულ შტატებში უმრავლესობის მიერ აირჩევიან. შესაბამისად, რაც არ უნდა უსამართლო და დაუსაბუთებელი იყოს ზომა, რომელიც გვნებს, შენ ის მაინც უნდა მიიღო.**

ზოგიერთი იტყვის, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. ეს იქნება ძალზე ძვირი და შესაბამისად, უნდა შეწყდეს.

მე ამაში ეჭვი მეპარება. ვინ ითვლის ფულს შუა ომში? ომი ნარკოტიკების წინააღმდეგ, ომი ძალადობის წინააღმდეგ, ომი პორნოგრაფიის წინააღმდეგ – უსაფრთხო ქუჩებისა და საკუთრების გადაუდებელი საჭიროება, ეს ყოველივე არქეტიპული სიტუაციაა, სადაც ფულს არ აქვს ბატონობის უფლება.

ამ სიტუაციაში კონკრეტულ საფრთხეს წარმოადგენს ის, რომ აშშ-ში განვითარებულმა მოვლენებმა შესაძლოა გაამყაროს ის, რაც ხდება რუსეთში, და პირიქით. ერთ დიდ სახელმწიფოს ციხეებში პატიმართა რაოდენობის ზრდის შესახებ თეორიის ოპონენტები ადვილად ჩუმდებიან იმით, რაც ხდება მეორეში. რუსეთში პატიმართა მზარდი რაოდენობის მიმართ არსებულ კრიტიკას მარტივად შეიძლება უპასუხო ფრაზით, „შეხედე, რა ხდება ამერიკაში“. ხოლო, რაც

შეეხება აშშ-ს, რუსეთის ციხეებში პატიმართა რაოდენობის შესახებ მონაცემების ფლობამ შესაძლოა ასევე დაამშვიდოს სინდისი.

ორმხრივი გამხნევების ზემოხსენებულ ელემენტს, რაც მსოფლიოს ორ ყოფილ ლიდერს შორის დამყარდა, შესაძლოა ასევე დანარჩენ ინდუსტრიულ ქვეყნებზეც ჰქონდეს გავლენა. როდესაც აშშ ყველა არსებულ სტანდარტს არღვევს იმით, როგორც ის მისი მოსახლეობის ნაწილს ექცევა, და, როდესაც რუსეთი რეგრესს განიცდის და თავის ყოფილ სტანდარტებს უბრუნდება, მაშინ საფრთხე ექმნება იმას, რაც, როგორც წესი, ინდუსტიულ ქვეყნებს შორის აღიქმება, როგორც პატიმართა დასაშვები რაოდენობა. დგინდება მოქმედების ახალი ჩარჩო. შედეგად კი, დასავლეთ ევროპა მათი შედარებით ჰუმანური სადამსჯელო პოლიტიკის შენარჩუნებაში შესაძლოა სიძნელეების წინაშე აღმოჩნდეს. არის შანსი, რომ აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებიც ასევე გავლენის ქვეშ მოექცნენ და დაპატიმრებებში მსოფლიოს ორ ლიდერს მიბაძონ.

# თავი 8
# დანაშაულის კონტროლი, როგორც პროდუქტი

დანაშაულის კონტროლზე ჩვენ, როგორც წესი, ვფიქრობთ, როგორც მოვლენაზე, რომელიც ფულსა და ბაზრის მდგომარეობაზე დამოკიდებული არ არის. თავიანთ მანტიებში გახვეული სერიოზული მოსამართლეები და უფრო მეტად კი, პენიტენციალური სისტემა, შორს დგანან ბაზრისგან. სასჯელი სახელმწიფოს ვალდებულებაა; ტვირთია, რომელიც უნდა ვატაროთ, თუ გვინდა, მოწესრიგებული საზოგადოების შენარჩუნება; ეს არის ვაჭრობის, ფულისა და მოგების მიღმა არსებული საქმიანობა.

მოცემული თავი სხვა მოსაზრებას გამოხატავს. მასში პენიტენციალური სისტემა ნაჩვენებია, როგორც მნიშვნელოვნად დამოკიდებული ბაზარზე არსებულ ვითარებაზე. ტკივილის მიყენებას მიმყენებლებისთვის უდიდესი ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს.

ქვემოთ მოცემულ თავში თავდაპირველად აღვწერ ტკივილის ბაზარს ისე, რომ ბაზარი სპეციალიზირებულ ბიზნეს ჟურნალებში ავლენს თავს – ციხის ინდუსტრიაში მოღვაწე პერსონალისა და მეწარმეებისთვის არსებულ გამოცემებში. შემდგომ კი, სამ ძირითად თემას განვავითარებ, რომელთა საშუალებითაც სისტემაში არსებული ზოგიერთი ზრდა აიხსნება: კერძო ბიძგი, ტექნოლოგიური ბიძგი და ეროვნული ეკონომიკისთვის ციხის ინდუსტრიის მნიშვნელობა.

## 8.1 თვითპრეზენტაცია

ფოლკლორიდან ვიცით, რომ აშშ-ში ყველაფერი უფრო დიდია, ვიდრე დანარჩენ მსოფლიოში. თუმცა, უცხოელისთვის საინტერესო გამოცდილებაა American Correctional Association-ის ოფიციალური გამოცემის ახლოს გაცნობა. სათაურია – *გამოსწორებები დღეს (Corrections Today)*, ჟურნალი პრიალა გვერდებით, ფერადი და უმაღლესი ხარისხის პრინტით, რომელშიც უამრავი რეკლამაა განთავსებული, რაც, სავარაუდოდ, ასოციაციისთვის შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა. უფრო მეტი რეკლამაა გაზეთში Correctional Building News, რომელიც 1994 წელს გამოჩნდა ბაზარზე და რომელსაც ასევე პრიალა გვერდები აქვს. გაზეთი თავის თავს „გამასწორებელი სამშენებლო ინდუსტრიის“ (“Correctional Building Industry”) შესახებ საინფორმაციო ბიულეტენს უწოდებს და მშენებლებისა და მწარმოებლების მიერ მიწოდებული რეკლამებით არის უმეტესად დაკომპლექტებული. 1999 წელს გაზეთს სახელი გადაერქვა და ეწოდა – გამასწორებელი ახალი ამბები (*Correctional News*). რედაქტორი შემდეგნაირად ხსნის ზემოხსენებულს (ივლისი/აგვისტო, გვ. 6): „ეს ნიშნავს გაფართოებულ დაფარვას, რაც უკვე ნათელია ჩვენი ისტორიაში პირველად 48-გვერდიანი გამოცემით. ახლა დაწესებულების მენეჯერებსა და მომსახურების გამწევ პირებს შეეძლებათ გაეცნონ მეტ ინფორმაციას მომსახურების ხელშეკრულებებსა და ციხეებთან, საკნებთან და წინასაპატიმრო დაწესებულებებთან დაკავშირებული მენეჯმენტის სხვა მახასიათებლებზე“.

*Corrections Today*-ის 1991 წლის გამოცემა 111 რეკლამას შეიცავს. ეს იყო ჩემი პირველი შეხება ჟურნალთან, რამაც ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, რომ უხეშად შევაფასე ამ, ისევე, როგორც სხვა თვეებში არსებული რეკლამების შინაარსი. ჟურნალის მუდმივი მკითხველი ვარ. წლების განმავლობაში ტენდენცია არ შეცვლილა. ისე, რომ 1991 წელს გაკეთებული ჩემი უხეში შეფასებები დღესდღე-

ობითაც აქტუალურია. რეკლამებში სამი უმთავრესი კატეგორია იყო ყველაზე მეტად გაშუქებული:

1. *ციხეების მშენებლობა*, მთლიანი ციხის, ან მისი ნაწილის. ამასთან დაკავშირებით 16 ასეთი რეკლამა იყო. თქვენ რეკავთ, ჩვენ კი ვაშენებთ. თქვენი ზარიდან 6 თვის თავზე ციხე მზადაა. ბესტილის ციხე (Besteel) ამის ერთ-ერთი მაგალითია. ერთგვერდიან განცხადებაში ვკითხულობთ:

> **Albany County Jail and Penitentiary. 64 საწოლიანი საერთო საცხოვრებლის ტიპის ციხე (...) დამთავრებულია 6 თვეში.**

ბელის კონსტრუქციასაც სრული ერთი გვერდი აქვს დათმობილი, სათაურით: დადებითი და უარყოფითი მხარეები

> **20 წელზე მეტია, რაც ჩვენ ვაშენებთ. ვაშენებთ რეპუტაციას. ვაშენებთ კლიენტების სიას და ვაშენებთ გამასწორებელ დაწესებულებებს. მხოლოდ ესაა, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, ჩვენ ვაშენებთ. ... და ჩვენ ამას კარგად ვაკეთებთ. 300 მილიონი დოლარის ღირებულების 25-მა გამასწორებელმა დაწესებულებამ მოგვცა გამოცდილება და ახლა ჩვენი კლიენტები ჩვენ პროფესიონალებს გვეძახიან.**
>
> **ახალი გამასწორებელი დაწესებულების აშენება გსურთ, თუ უკვე არსებულის განახლება? დაინტერესებულები ხართ დაწესებულების გარანტირებული ფასით აშენებით? ჩვენი გამოცდილების შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად, დაუკავშირდით დონ ესტესს (Don Estes), უფროს ვიცე პრეზიდენტს...**

ზოგიერთი ციხის ადმინისტრაციას ესაჭიროება ვებ-გვერდი. The Bibby Line არის კომპანია, რომელსაც მსგავსი პრობლემის მოგვარება „სულელების გემის“ ძირძველი ტრადიციით შეუძლია:

> **საზღვაო გამასწორებელი დაწესებულებები**
>
> **დრო იცვლება. ... Bibby მიწაზე არსებული დაწესებულებების ალტერნატივას გთავაზობთ. Bibby გთავაზობთ:**
> **– კრიზისისგან გათავისუფლება 90-120 დღეში**
> **– 650-მდე საწოლი 9-12 თვეში**

2. *ციხისთვის საჭირო აღჭურვილობა*. ამასთან დაკავშირებით ივნისის ნომერი 43 სარეკლამო განცხადებას შეიცავდა. მათ შორის სამი ეხებოდა ტელეფონებს, რომლებიც განსაკუთრებით ციხეებზე იყო მორგებული, ოცი განცხადება ყველანაირი სახის ელექტრონულ სათვალთვალო სისტემებს ეხებოდა, სამი – იარაღს, შვიდი განცხადება კი – უსაფრთხოების სხვა მოწყობილობას.

ტელეფონები, რომლებიც აღასრულებენ

ეს არის USWEST კომუნიკაციების მიერ წარმოდგენილი ერთგვერდიანი სარეკლამო განცხადება:

ეს ტელეფონი აკეთებს მხოლოდ იმას, რაც თქვენ გინდათ, რომ მან გააკეთოს. ის აკონტროლებს აბონენტების სასაუბრო დროს. ის ზღუდავს პირებს კონკრეტული ნომრის აკრეფვისგან. ტელეფონს, ბრძანების მიხედვით, შეუძლია მონიტორინგი გაუწიოს და ჩაიწეროს ყველა სატელეფონო აქტივობა. …განახორციელებინეთ პატიმრებს სატელეფონო პრივილეგია მკაცრად თქვენს კონტროლს ქვეშ…

ან:

დაპროექტებულია სისხლის სამართლის პროფესიონალებისთვის: ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებული დანაშაული? კი თუ არა 3 წუთში. … სწრაფი შედეგი ალიბისთვის დროს არ ტოვებს. … ONTRAK არ იძლევა გასასამართლებელ დროს და გაძლევთ სატესტო სიტუაციის სრული კონტროლის შესაძლებლობას.

„ციხის სიხშირე“ (“Prison Band”)

მოახდინეთ გაძლიერებული წყალგაუმტარი ბრასლეტის მფლობელი პატიმრების იდენტიფიკაცია. ორი მეტალის ჩამკეტი არატრანსფერირებადი უმაღლესი ხარისხის არაწელვად საიდენტიფიკაციო სისტემას უზრუნველყოფს. არანაირი ზედმეტი ხელსაწყო საჭირო არ არის ჩვენი მეტალის ჩამკეტების ჩასაკეტად. ხელმისაწვდომია ორივე, როგორც ზედაპირზე წარწერის გასაკეთებელი, ისე ბარათის განთავსების სისტემები.

*Corrections Today*-ის ივნისის გამოშვება უამრავ სარეკლამო განცხადებას მოიცავდა, თუმცა, აღნიშნული გამოშვება მალე მეორეხარისხოვანი უნდა გამხდარიყო. ივლისში გვერდების რაოდენობა 160-დან 256 გვერდამდე გაიზარდა. ჩვეულებრივი სარეკლამო განცხადებები კი 111-დან 130-მდე გამრავლდა. აღნიშნული განცხადებები მსგავსი იყო ივნისში გამოქვეყნებული სარეკლამო განცხადებებისა, მაგალითად, ცრემლსადენი გაზის რეკლამა:

> **TG Guard სისტემა, რომელიც ქვეყნის უმთავრეს ციხეებშია დამონტაჟებული, ჭერის დონეზე განთავსებული ცრემლსადენი გაზის დანადგარის სტრატეგიულ გამანაწილებელს წარმოადგენს. აღნიშნული დანადგარების ამოქმედება დაცული მომსახურე პერსონალის მიერ დისტანციური მართვის პულტითაც არის შესაძლებელი. სროლა შესაძლოა განხორციელდეს არჩეული ნიმუშის მიხედვით და კონცენტრაციის სხვადასხვა დონის გათვალისწინებით თქვენს მიერ დადგენილი მარშრუტით პატიმართა ევაკუაციის მიზნით.**

თუკი ცრემლსადენი გაზი საკმარისი არ არის, Point Black Body Armour კვლავ არის ხელმისაწვდომი:

> **ზოგიერთ პატიმარს მოუნდება შენი დანით დაჭრა, აჩეხვა, დასახიჩრება, მუშტების მოქნევა ან დაწვა. მაგრამ ისინი ვერ შეძლებენ გვერდი აუარონ შენი სპეციალური S.T.A.R.-ის ტაქტიკური აჯანყების და ბუნტის საწინააღმდეგო ჟილეტს.**

ჩვეულებრივი სარეკლამო განცხადებების გარდა ივლისის ნომერში ასევე მოცემული იყო 60 ყვითელი გვერდი სახელწოდებით:

გამასწორებელი პროდუქტებისა და მომსახურების შესახებ მყიდველის გზამკვლევი.

აქ ჩამოთვლილი იყო 269 კომპანია, თავიანთი პროდუქტების სპეციფიკებით, დაწყებული ასო-ბგერა A-დან – Access Control Systems (ხელმისაწვდომობის კონტროლის სისტემა), და დამთავრებული X-ით – X-ray and security screening equipment (რენტგენისა და უსაფრთხო სკრინინგის აღჭურვილობა). სიაში ნაჩვენებია ელექტრო მოწ-

ყობილობებს შორის უახლესი, თუმცა ასევე ტრადიციებით მყარად გაჯერებული, როგორიცაა, მაგალითად:

Human Restraint Company

**ტყავის მაღარხარისხიანი ქამრები. დამზადებული აშშ-ში 1876 წლიდან. უფასო ბროშურისთვის, დაგვირეკეთ ან მოგვწერეთ.**

ამერიკის გამასწორებელი ასოციაციის აღნიშნული ოფიციალური გამოცემა მხოლოდ ფასიან სარეკლამო განცხადებებს არ შეიცავს, მასში ასევე შესაძლებელია ვიხილოთ სტატიები, გაჭირვებით მოთავსებული სარეკლამო განხადებებს შორის. თუმცა, ზოგიერთი სტატია დაწერილია სწორედ იმ კომპანიის თანამშრომლების მიერ, რომელიც რეკლამას ათავსებს ჟურნალში. ივლისის ნომერშია სტატია, რომლის ავტორებიც არიან: რონი და ოსტროსკი (Rohn და Ostroski), ორივე საინდენტიფიკაციო სისტემის მწარმოებელი ზუსტი სიმულაციის კორპორაციიდან. ქვემოთ მოცემულია მათი განცხადებები ლოს-ანჯელესიდან, რომელსაც, მათივე სიტყვებით, „თავისუფალ მსოფლიოში" ყველაზე დიდი ერთადგილიანი საპატიმრო დაწესებულება აქვს. ამ საოცარ ადგილას უკვე 14 წელია რაც ავთენტური სამაჯურები გამოიყენება. თუმცა, ჯორჯიას შტატს გაცილებით უფრო რთული სისტემა გააჩნია:

> **ატლანრტასთან ახლოს მდებარე ხალხმრავალი DeKalb County-ის ციხე 1200 პატიმარზე მეტს იტევს. 1989 წლის ზამთარში ციხის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა, დაეწყოთ შტრიხკოდიანი სამაჯურების გამოყენება, რომლებიც იგივე ტექნოლოგიით ფუნქციონირებდნენ, როგორც შტრიხკოდები — სუპერმარკეტებსა და ტანსაცმლის მაღაზიებში.**
>
> **...**
>
> **სარეაბილიტაციო ატმოსფეროს შესაქმნელად და ამავე დროს უსაფრთხოების მაღალი დონის შესანარჩუნებლად, ციხის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა პატიმართა საიდენტიფიკაციოდ და მონიტორინგისთვის ლაზერული სკანირებისა და მონაცემთა შეგროვების პორტატული სისტემები დაამონტაჟეს.**

სამაჯურების სკანირებისთვის ხელის ლაზერული მოწყობილობების გამოყენებით ხდება ინფორმაციის პატარა კომპიუტერში მოთავსება. ინფორმაციის შეგროვების ასეთი მეთოდი გამორიცხავს პატიმართა გადაადგილების მონიტორინგთან დაკავშირებულ საქაღალდე სამუშაოებს.

...

ამ ეტაპზე ვითარდება ტექნოლოგიები იმისთვის, რომ შტრიხკოდიან სამაჯურზე პატიმრის ფოტოს გამოჩენაც გახდეს შესაძლებელი. პატიმრებს არ შეუძლიათ სამაჯურის გამორთვა/სხვა დიაპაზონზე გადაყვანა, რაც გამორიცხავს მათ შეცდომით გათავისუფლებას.

3. *ციხეების მართვასაც* უმთავრესი ადგილი უკავია 20 სარეკლამო განცხადებით ჟურნალის ივნისის თვის გამოშვებაში:

„როდესაც ყოველი საკვების მიღება მორალის საკითხია, გქონდეთ ჩვენი იმედი ... Service America მთელი ქვეყნის მასშტაბით მუშაობს გისოსებს მიღმა და მხოლოდ სანიმუშო ქცევით გამოირჩევა ... თუკი დაპატიმრებული აუდიტორიის გამოკვება თქვენი სამუშაოს ნაწილია, დაელაპარაკეთ საკვების მომსახურების სპეციალისტს, რომელმაც იცის, როგორ განახორციელოს მართლმსაჯულება. დაგვიკავშირდით ...“

მშვიდობის შესანარჩუნებლად კიდევ ერთი გარანტია ეფექტური იარაღის ფლობაა. ეფექტური ფირმები წარმოადგენენ როგორც ლეტალურ, ისე არალეტალურ იარაღს. არალეტალურ იარაღს შორის:

Cap-Stun II

გამოიყენებოდა ფედერალური ბიუროს აგენტებისა და 1100 სამართალდამცავი ორგანოს მიერ;

14 წლიანი არსებობის მანძილზე არც ერთი საქმე Cap-Stun II-ის მონაწილეობით;

ეფექტური იარაღი ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებლებისა და ფსიქოპათების წინააღმდეგ;

ხელმისაწვდომი სამომხმარებლო მოდელები მეგობრებისა და საყვარელი ადამიანებისთვის.

ივნისის გამოშვებაში არსებული 111 სარეკლამო განცხადებიდან რამდენიმე ასევე ჩვეულებრივი ადამიანებისთვის და არა სპეციფიურად ციხის ბაზრისთვის განკუთვნილი ჩვეულებრივი პროდუქტების რეკლამას წარმოადგენდა.

ივლისის გამოშვებაც ასევე შეიცავს ორ სხვა უჩვეულო საგნის რეკლამას. ერთი მოიცავს რამდენიმე გვერდიან სამადლობელო სიტყვას იმ ბანკეტის სპონსორების მიმართ, რომელიც მინეაპოლისში ყოველწლირი კონგრესის ფარგლებში უნდა გაიმართოს. ტელეფონის კომპანიიდან დაწყებული და დამთავრებული ტყვიაგამძლე შუშის მწარმოებლებით, ისინი იხდიან, ციხის ოფიცრები კი ზეიმობენ. კონგრესი დამატებით იმითაც არის მიმზიდველი, რომ შენ შესაძლებლობა გაქვს დატოვო ქალაქი „1991 წლის ლამაზი, სპორტული, უახლესი Dodge Daytona ES კლასის ავტომობილით, რომელიც სრულად არის აღჭურვილი ყველა შესაძლო აქსესუარით!“ ერთადერთი პირობა ის არის, რომ უნდა მოინახულო საგამოფენო დარბაზი, სადაც ინდუსტრია თავისი პროდუქტის დემონსტრირებას ახდენს და დაადასტურო იქ ყოფნა. მისაღებ ჰოლში დარეგისტრირების შემდეგ, თქვენ ავტომატურად ერთვებით ლატარეაში, რომელიც მანქანას ათამაშებს.

* * *

ადამიანის ადაპტაციის შესახებ ერთი პერსონალური შენიშვნა: როდესაც პირველად ვეცნობოდი ჟურნალ *Corrections Today*-ს, საკუთარ თვალებს არ ვუჯერებდი. პატიმრების სახე, რაც სარეკლამო განცხადებების კითხვისას წარმოსახვაში ჩნდებოდა, თითქმის დაუჯერებელი იყო. ასევე იყო გულწრფელი ექსპოზიცია გამასწორებელ დაწესებულებასა და ინდუსტრიულ ინტერესს შორის ურთიერთობისა. სამედიცინო ჟურნალებიც, რა თქმა უნდა, მსგავსია და ფარმაცევტული კომპანიები გამოირჩევიან ექიმების „გადაბირებით“ მათთვის კონგრესების, სემინარების, ჰავაიზე მეუღლეებთან

ერთად მგზავრობების სპონსორობით. თუმცა, ექიმებს, ითვლება რომ, სარგებელი მოაქვთ თავიანთი პაციენტებისთვის. ამერიკის გამასწორებელი ასოციაცია (American Correctional Association) კი სხვა შემთხვევაა. ეს არის ორგანიზაცია უფლებამოსილი ადმინისტრირება გაუწიოს საზოგადოების უკანასკნელ ძალას (ultimate power of society). ეს არის ორგანიზაცია, რომლის მოვალეობაშიც შედის ტკივილის მიყენება.

რომ გავაგრძელო პერსონალური შენიშვნა: მომდევნო შოკი რამდენიმე კვირის შემდეგ განვიცადე, როდესაც ჟურნალები თავიდან გადავიკითხე. ამჯერად სარეკლამო განცხადებებს ისეთი ეფექტი აღარ ჰქონდა. ვნახე ციხის ჭერში არსებული გაზის დისპენსერის სარეკლამო განცხადებები და ამაზე მაშინვე თვალწინ სიკვდილის ბანაკების ძველი გამოსახულებები არ დამიდგა. და მე დიდი ემოციის გარეშე წავიკითხე პატიმრებზე, ვინც მე და სხვა მკითხველებს სიამოვნებით დაჭრიდა დანით, აჩეხავდა, დაასახიჩრებდა, მუშტებს მოუქნევდა ან დაწვავდა. მე ამას შევეჩვიე, მოვიშინაურე ძალზე უცნაური და თავისებური დამოკიდებულება სხვა ადამიანებზე და მე ასევე გამიჩნდა ახალი (შემცირებული) მინიმალური სტანდარტები იმაზე, თუ რა სახის გარემო პირობებში შეუძლიათ ადამიანებს გადაუწყვიტონ სხვებს, რომ იცხოვრონ.

## 8.2. კერძო ბიძგი

ციხე ნიშნავს ფულს. დიდ ფულს. რაც უფრო დიდია შენობა, მით დიდია აღჭურვილობით უზრუნველყოფის დონე. 1994 წლის მაისში ამერიკის ციხის ასოციაციამ (American Jail Association) ინდიანაპოლისში სასწავლო კონფერენციას გაუწია ორგანიზება. ინდუსტრიამ კონფერენციისთვის მოსამზადებლად შემდეგი მოსაწვევი მიიღო:

ციხეების ექსპო 1994
შეადგი ფეხი ადგილობრივი ციხეების 65 მილიარდიან ბაზარზე

ციხეების ექსპოს მონაწილე პირებს ადგილობრივ გამასწორებელ დაწესებულებებში გადაწყვეტილების მიმღები პირები წარმოადგენენ – შერიფები, ციხის ადმინისტრატორები, ადგილობრივი არჩეული სამთავრობო პირები, გამასწორებელი დაწესებულებების ოფიცრები, ჯანდაცვის ხელმძღვანელები, საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფაზე უფლებამოსილი პირები, ტრენერები, არქიტექტორები, ინჟინრები – ადამიანები მთელი ქვეყნიდან, რომლებიც ციხის ადმინისტრაციის, ახალი ტენდენციების, მომსახურებისა და პროდუქტების საკითხებში არიან ჩართულნი.

100,000-ზე მეტი ადამიანია, ვინც აშშ-ს დაახლოებით 3,400 ადგილობრივ ციხეში მუშაობს. მარტო წინა წელს ინდუსტრიაზე 65 მილიარდზე მეტი დოლარი დაიხარჯა. ადგილობრივი ციხის ბაზარი ძალზე მომგებიანია. ციხეები *დიდი ბიზნესია*. (ხაზგასმა ჩემი არ არის)

კნეპერისა და ლილის (Knepper and Lilly) (1991) მიხედვით, ჯანდაცვა და საკვები პროდუქტების მომსახურება აყვავებულ გამასწორებელ ინდუსტრიაში ორ ყველაზე სწრაფად მზარდ სექტორს წარმოადგენდა. თუმცა ყველაზე დიდი მოგება მაინც მშენებლობისა და ფინანსირებიდან რჩება (გვ. 5):

1991-1992 წლებში ციხის საწოლები აშშ-ს საშუალოდ 53,100 აშშ დოლარი დაუჯდა, რაც 1987-1988 წლებთან შედარებით, როდესაც ხარჯი 42,000 აშშ დოლარი იყო, აშკარად გაზრდილ თანხას წარმოადგენდა. გასაკვირი არ არის, რომ ასზე მეტი კომპანია სპეციალიზდება მხოლოდ ციხის არქიტექტურაზე და აღნიშნული კომპანიები ციხის მშვენებლობის ბიზნესიდან ყოველწლიურად დაახლოებით 4-დან 6 მილიარდამდე აშშ დოლარს იღებენ.

სწორედ ასეთი მშენებლობების ბუმის ბუნებრივ შედეგს წარმოადგენდა 1994 წელს პირველად გამოცემული ჟურნალი – Correctional Building News. მორიგ თემას აქ წარმოადგენს:

პატიმრები, როგორც არასდროს,
ისეთი ძლიერები არიან.
საბედნიეროდ, ჩვენი ავეჯიც.

**XX ავეჯი დამზადებულია,**
**რომ, ფაქტობრივად, იყოს ურყევი.**
**გასაკვირი არ არის, ციხეში ამხელა პატივისცემას რომ ვიღებთ.**

ან, ტექსტი უშველებელ ფოტოზე, რომელზე გამოსახული სამი მამაკაციც ძალზე საშიშად გამოიყურება:

**სანამ ჩვენ წარმოვადგინეთ ჩვენი Hi. Impact Wallboard,**
**მანამდე ის რამდენიმე ექსპერტმა გამოცადა.**

და ჩვენ გვარწმუნებენ, რომ პროდუქტი:

**აღუდგება ყველაფერს, რასაც კი მას ესვრიან.**

ან, Y საწარმოსგან სასჯელებთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიასთან მსგავსი ადაპტაცია:

**ყველაფერი ის, რაც ცხოვრების მომდევნო 20 წელიწადში დაგჭირდებათ.**

მშენებლები ბედნიერები არიან. ასევე ბედნიერია საფონდო ბაზარიც. 1996 წლის 10 აპრილის Wall Street Journal-ის მიხედვით, Corrections Corporation of America და მისი კონკურენტი Wackenhut-ი ორი ყველაზე პერსპექტიული საინვესტიციო ობიექტია აშშ-ს ბაზარზე. საფონდო ბროკერმა Wackenhut-თან დაკავშირებით განაახლა თავისი რეკომენდაცია „შესყიდვიდან“ „ძლიერ ყიდვაზე“ (strong buy) და აღნიშნული შემდეგნაირად ახსნა:

> **ციხის მართვის ბიზნესის მიმზიდველობა ...იმაში გამოიხატება, რომ დაპატიმრების რიცხვი უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე ბევრი შტატის და მუნიციპალიტეტის ციხეების ბიუჯეტი. იმის მიუხედავად, რომ დანაზოგის აღრიცხვა ძნელია, ანალიტიკოსები ამტკიცებენ, რომ Wackenhut-ს, როგორც წესი, 15%-ის შემცირება შეუძლია 50 აშშ დოლარიდან, რომელსაც სახელმწიფო ყოველდღიურად პატიმართა კვებისთვის, მათი ტანსაცმლით მომარაგებისთვის და დაცვისთვის ხარჯავს.**

„ეს არის ყველა მხარისთვის მომგებიანი სიტუაცია“, ამბობს ბ-ნ. რუტენბური (Mr. Ruttenbur), ხსნის რა, რომ ამით როგორც გადასახადების გადამხდელები, ისე ციხის კომპანიებიც სარგებელში რჩებიან.

ის არაფერს ამბობს იმაზე, თუ სად შეიძლება იყოს სიტუაცია წამგებიანი.

* * *

პრივატიზაცია ახალი არ არის. ყველაფერი სწორედ პრივატიზაციით დაიწყო. თავდაპირველად – ინგლისში, შემდგომ კი – აშშ-ში. გამოძიება იყო კერძო, პოლიცია იყო კერძო, ადგილობრივი ციხეები იყო კერძო. ყველაზე მნიშვნელოვანი კი, ტრანსპორტირება კერძო ინიციატივისა და ბიზნეს ინსტინქტების შედეგს წარმოადგენდა. საბოლოოდ კი, დაახლოებით 50,000 მსჯავრდებული იქნა გადაყვანილი ატლანტის ოკეანეზე. ფილეის (Feeley) სიტყვებით (1991 წელი, გვ. 3):

ვირჯინიაში 1607 წელს გამოჩენილ პირველ კოლონისტებს ცოტა ხანში რამდენიმე მსჯავრდებულიც მოჰყვათ, რომლებიც იქ შეწყალების პირობით იქნენ ტრანსპორტირებულნი. შემდგომ ისინი ვინმესთვის მოსამსახურეებად უნდა მიეყიდათ. შესაბამისად, ახალმა პენიტენციალურმა სისტემამ მოქმედება დაიწყო. სისტემამ, რომელიც დაახლოებით 250 წლის განმავლობაში წარმატებით ფუნქციონირებდა...

...ახალ სამყაროში ტრანსპორტირება ეფექტურობისა და შედეგიანობის ქორწინებას წარმოადგენდა. ყველაზე მეტად მისი ხარჯები კომერციული ვაჭრების მიერ იყო გაღებული, რომლებიც თავიანთ ადამიანურ რესურსს/ტვირთს ყიდნენ, ისევე, როგორც – პლანტატორების მიერ, რომლებიც აღნიშნულ ტვირთს ყიდულობდნენ. ყოველივე ზემოხსენებული ეფექტური იყო, იქიდან გამომდინარე, რომ ასე ათასობით პატიმარი, რომლებიც სხვა შემთხვევაში დაუსჯელად შეიძლებოდა დარჩენილიყვნენ, სათანადოდ ისჯებოდნენ.

...ტრანსპორტირება იყო ინოვაცია, რომელიც სავაჭრო, მერკანტილური ინტერესებით იყო გაპიარებული. საჯარო პირებმა ის მხოლოდ მას მერე აღიარეს, რაც ნელ-ნელა მის ეკონომიკურ ეფექტურობაში დარწმუნდნენ.

...ტრანსპორტირების პოლიტიკამ ხელი შეუწყო სახელმწიფოს სასჯელაღსრულების მეტ შესაძლებლობებსა და რაც მთავარია, ეს მოხდა მთავრობის-

> **თვის დაბალ დასად. ტრანსპორტირებამ ცენტრალიზებული ბიუროკრატიის საჭიროების გარეშე გააფართოვა სისხლისსამართლებრივი სასჯელის მოქმედების სივრცე და მისი ეფექტურობა.**

და პრივატიზაციის ტრადიცია პირდაპირ შევიდა ციხის სისტემაში. როდესაც დასრულდა ტრანსპორტირება, ზოგიერთი ზედმეტი გემი სან-ფრანცისკოს ყურეში განათავსეს. საზღვაო გამასწორებელ დაწესებულებებს, როგორც ეს Bibby Line ჯგუფის მიერ იყო რეკლამირებული, დიდი ხნის ისტორია აქვთ. მსჯავრდებულები, სანამ ისინი San Quentin-ის ციხეს აშენებდნენ, სან-ფრანცისკოს ყურეში იყვნენ განთავსებულნი. აშშ-ს ტერიტორიაზე ადრეულ პერიოდში აშენებული ბევრი ცნობილი ციხე ასევე იმ კერძო კონტრაქტორების ფულზე იყო დამოკიდებული, ვინც მსჯავრდებულების შრომას იყენებდა. რამდენიმე დიდი ციხე კერძო კონტრაქტორებს იჯარით გადაეცა.

> **ციხეში განთავსებულ პატიმართა რიცხვი განისაზღვრებოდა არა დანაშაულის რაოდენობის მიხედვით, ან სოციალური კონტროლის საჭიროებით ანდა პოლიციის ეფექტურობით, არამედ — სურვილით, ჩადენილი დანაშაულისთვის შესაბამისი პასუხისმგებლობა დამდგარიყო — მთავრობისა და კერძო თანამშრომლების სასარგებლოდ.**

ამას ამბობს ნოვაკი (Novak) (1982 წელი), რომლის ციტირებასაც აქ ერიქსონი, მაკმაჰონი და ევანსი (Ericson, McMahon, Evans) (1987 წელი, გვ. 358) ახდენენ ძალზე ბევრისმთქმელი სათაურის მქონე სტატიაში „დასჯა მოგების მიღები მიზნით“. ისინი აგრძელებენ:

> **მისისიპის ციხის სისტემა აღნიშნავდა ფაქტს, რომ ის მეორე მსოფლიო ომამდე ყოველ წელს იღებდა შემოსავალს. მხოლოდ 1920-იანი და 1930-იანი წლების ბოლოს კანონმდებლობამ მსჯავრდებულთა იჯარის სისტემის ლიკვიდაცია მოახდინა, როგორც ჩანს, სოფლის ისეთი მწარმოებლებისა და პროფკავშირების ზეწოლის საპასუხოდ, რომლებიც კონკურენციას ვერ უძლებდნენ, განსაკუთრებით კი დეპრესიის დადგომასთან ერთად.**

იმის შესახებ ცენტრალური იდეაც კი, თუ როგორები უნდა ყოფილიყვნენ ციხეები, ადამიანების მიერ იყო ჩამოყალიბებული, რომელ-

თაც ციხეებიდან მოგების მიღება სურდათ. ცნობილია, რომ ჯერემი ბენტამმა (Jeremy Bentham) პანოპტიკონის ციხე (Panopticon) დააპროექტა. შენობა, რომელიც, ასე რომ ვთქვათ, ტოტალური კონტროლის სიმბოლოს წარმოადგენს. "Pan Opticon" ნიშნავს ტოტალურ/საერთო ხედვას. ბენტამის გამოგონება აგებულია, როგორც წრეში არსებული უშველებელი ნიჟარა, ცენტრში მაღალი კოშით. გარე წრეზე საკნებია განთავსებული. მათ აქვთ ორივე – გარეთ და შიგნით გამავალი ფანჯრები. ცერნტში არსებულ კოშკში დაცვა არის განლაგებული. იმ პოზიციიდან მათ აქვთ შესაძლებლობა ყველა საკანი დაინახონ და ირგვლივ ყოველივე თვალთახედვის არეში ჰქონდეთ, თან ისე, რომ თვითონ არ ჩანდნენ. ეს ყოველივე უზრუნველყოფს მაქსიმალურ ზედამხედველობას მინიმალური ხარჯებით. ჯერემი ბენტამმა დააპროექტა ასევე მილები, ისე რომ ყოველი საკნიდან მომავალი ხმის გაკონტროლებაც შესაძლებელი ყოფილიყო.

ბენტამმა დააპროექტა და განავითარა გეგმები კერძო კონტრაქტორებისთვის, რათა მათ მისი ინსტიტუტები აემოქმედებინათ. უფრო მეტიც, ფილეის (Feeley) (1991ა, გვ. 4-5) მიხედვით, ბენტამი „დაუღალავად შრომობდა, რათა მოეპოვებინა კონტრაქტი, რადგან სჯეროდა, რომ ეს მას მდიდარ ადამიანად აქცევდა. 1780-იანი წლების დასაწყისიდან 1800-იანი წლების დასაწყისამდე, ის შეპყრობილი იყო ამ იდეით. თავისი საკუთარი ბიუჯეტიდან ათასობით ფუნტს ხარჯავდა მიწის ნაკვეთის მოპოვებისა და პანოპტიკონის პროტოტიპის განვითარებისთვის".

მან ეს ინვესტიციები დაკარგა. თუმცა, მისი საწყისი დიზაინი, როგორც არქიტექტურული, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით, ძალზე გავლენიან მოდელად იქცა.

როგორ ჩვენ დღეს მოგვეხსენება, კერძო ციხე არ წარმოადგენს ნიჩბოსანი მონებისა და ღარიბების სამუშაოდ განკუთვნილი ადგილების ძველი იდეის გაგრძელებას. ხშირად იმართებოდა აუქციონები. ხშირად ისინი იღებდნენ საქონელს, ვისაც ყველაზე ნაკ-

ლები შეთავაზება ჰქონდა — ეს იყო ღარიბებზე ზრუნვა. ღარიბების სამუშაო ადგილების მართვაში მოგების მიღების შესაძლებლობები სადავო საკითხია. თუმცა, მოცემულ მომენტში მზარდ ფართომასშ-ტაბიან მოლაპარაკებებში ეჭვის საფუძველი არ არსებობს. აქ დიდ ფულზეა საუბარი. და რაც ყველაზე მთავარია, კერძო შემოსავ-ლის ინტერესებთან ასეთი დონის ურთიერთქმედების მასშტაბების გათვალისწინებით, კერძო ციხეების დონემდეც კი, ჩვენ სისტემაში ზრდის ფაქტორს ვქმნით. უმთავრესი კითხვა, როგორც ამას ფილეი (Feeley) აღნიშნავს (1991ა, გვ. 2), ისმის შემდეგნაირად: *რა დონეზე აფართოვებს და გარდაქმნის პრივატიზაცია სახელმწიფოს მიერ დასჯის შესაძლებლობას?*

ლოგანის (Logan) (1990 წელი) შეხედულებით, არ არის აუცილებე-ლი, პრივატიზაციის შედეგად ციხის შესაძლებლობები გაიზარდოს.

> **მთლიანობაში, ბიზნესი ვითარდება არა ყალბი მოთხოვნის სტიმულირებით, არამედ — რეალური მოთხოვნის ხასიათისა და მისი დონის ზუსტი პროგნო-ზირებით (გვ. 159).**

მაშ, როგორ გავიგოთ, რა არის „რეალური მოთხოვნა"? ლოგანს ამაზე პასუხი გააჩნია:

> **... ციხის ნაკადი უნდა პასუხობდეს დანაშაულის მაჩვენებელს, რომელიც ხშირად ქვეყნის კონტროლს მიღმაა დარჩენილი; შესაბამისად, ციხის შესაძ-ლებლობები უნდა იყოს მოქნილი (გვ. 170).**

სწორედ ახლა, ლოგანის მიხედვით, დაპატიმრებებზე რეალურად დაუკმაყოფილებელი მოთხოვნაა (გვ. 161). და ეს უარესია, ვიდრე ზედმეტობა:

> **თუკი ორივე შემთხვევას, ზედმეტობასაც და ნაკლებობასაც უსამართლობამ-დე მივყავართ, ჩვენ პრინციპში, უნდა გადავიხაროდ ზედმეტობისკენ, თუმცა ეს ძნელად მოხდება უახლოესი დროის განმავლობაში (გვ. 151-152).**

თუკი დანაშაულს მივიღებთ, როგორც დანაშაულის კონტროლის ინდუსტრიის შეუზღუდავ ბუნებრივ რესურსს, მსგავსი ტიპის მსჯელობაში გარკვეული საფრთხეები შეინიშნება. ინდუსტრიის ეკონომიკური ინტერესები, ლოგანის მტკიცებით, ყოველთვის იქნება ზედმეტობის მხარეს, ორივე, პოლიციისა და ციხის შესაძლებლობების მხრივ. ეს კი სისტემის გაფართოებისთვის უჩვეულოდ ძლიერ სტიმულს ქმნის.

დამატებით აღსანიშნავია ფაქტი, რომ პრივატიზაცია აიოლებს ციხის როგორც აშენებას, ისე მის მართვას. აქ კერძო ციხეების დამცველები პრობლემის წინაშე დგანან. რთულია, იდავო კერძო ციხეების სიჩქარეზე, მოქნილობასა და ეკონომიკურ უპირატესობაზე და ამავე დროს ამტკიცო, რომ ეს უპირატესობები არ მიიყვანენ ზედმეტობამდე. ლოგანი აღწერს უპირატესობებს (გვ. 79):

> **კერძო კომპანიებს არაერთხელ დაუმტკიცებიათ, რომ მათ შეუძლიათ მოძებნონ, დააფინანსონ, დააპროექტონ და ააგონ ციხეები გაცილებით უფრო სწრაფად, ვიდრე სახელმწიფოს შეუძლია. Corrections Corporations of America-ს ანგარიშის მიხედვით, მის მიერ მშენებლობებზე გაწეული ხარჯები სახელმწიფოს მიერ გაწეული ხარჯების დაახლოებით 80%-ს შეადგენს. CCA აღნიშნავს, რომ მას არამარტო უფრო სწრაფად შეუძლია ციხის მშენებლობა და ამით ინფლაციის ხარჯების დაზოგვა, არამედ – გაცილებით ნაკლები ხარჯებითაც, იქიდან გამომდინარე, რომ კონსტრუქციის კონტრაქტორები სახელმწიფოს უფრო მეტად ბეგრავენ, ვიდრე კერძო კომპანიებს.**

კერძო დაფინანსება ასევე ამარტივებს სახელმწიფოს ცხოვრებას. არ არის აუცილებელი ამომრჩევლებისგან ახალი ციხის მშენებლობის ნებართვა ითხოვო. სამაგიეროდ, სახელმწიფოს შეუძლია იჯარით აიღოს კერძო კომპანიებისგან ციხე, ან ახალი ციხის მშენებლობისთვის ამ კომპანიებისგან ფული ისესხოს. ლოგანის სიტყვებით, „...ამგვარად ხდება რეფერენდუმის ხარჯების დაზოგვა“ (გვ. 79). ეს ასევე ამარტივებს ციხის მართვასაც, რადგან თანამშრომლების გამოსვლები უფრო მარტივად აღსაკვეთია:

> **იქიდან გამომდინარე, რომ ნებისმიერი სახის გამოსვლა, თუ სხვაგვარი უკმაყოფილება სახელმწიფოს კონტრაქტის/ხელშეკრულების შეწყვეტის შესაძ-**

> ლებლობას მისცემს, გამოსვლების შედეგად მიღებული უმუშევრობა კერძო კომპანიებისთვის უმთავრესი საფრთხე იქნება. პირიქით, ასეთი საფრთხეები ყოველთვის ვერ უდგებიან წინ გამოწვევებს საჯარო სექტორში.

ლოგანის სიტყვებით, საჯარო სექტორისთვის შემდეგი სახის გამოსავალი შეიძლება არსებობდეს:

> ... კანონმდებლობის მიხედვით, აუცილებელი უნდა გახდეს გამასწორებელი დაწესებულებების ყველა ოფიცრის – კერძო და საჯარო სექტორიდან – სერტიფიცირება, რაც მათი გამოსვლებში მონაწილეობის შემთხვევაში ავტომატურად უნდა წყდებოდეს.

კერძო ციხეებთან მიმართებაში, როგორც უკიდურესი მაგალითი, მაგრამ ამავე დროს როგორც ეკონომიკურ/ინდუსტრიული დაწესებულება, რომელიც საზოგადოების მიერ მართულ ციხეებში საჭირო სერვისს წარმოადგენს, სისტემა ზრდის მაღალეფექტურ ფაქტორს ითვალისწინებს. როგორც ამის ილუსტრირება ჟურნალ Corrections Today-ის მეშვეობით მოვახდინეთ, დაინტერესებული გამყიდველები რიგში დგებიან, მათ მიერ ტკივილისა და ტანჯვის ეფექტური მიყენების ყველა გზა არის ნაჩვენები. პოტენციური მყიდველები კი აღნიშნულს უყურადღებოდ არ ტოვებენ და მიდიან ყოველივეს სანახავად. ამომრჩევლების თავიდან ასაცილებლად და თანამშრომლების გამოსვლების აღსაკვეთად როდესაც ხდება სახელმწიფოსთვის დახმარების გაწევა, გაფართოების მაღალეფექტური მექანიზმები იქმნება. ამასთან დაკავშირებით ლოტკე (Lotke) (1996 წელი, გვ. 21) შიშობს, რომ:

> მომავალ წლებში, როდესაც კერძო ციხის კომპანიები თავიანთი მოქმედების ფარგლებს გააფართოვებენ, ციხის ინდუსტრიული კომპლექსების გავლენა სისხლისსამართლებრივ პოლიტიკაზე მნიშვნელოვნად გაიზრდება. სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა ერთ დღესაც შესაძლოა ისეთი გავლენის ქვეშ იყოს მოქცეული Corrections Corporations of America-ს მიერ, როგორც თავდაცვის პოლიტიკაზე ლოკჰიდ მარტინი (Lockheed Martin) და მაკდონელ დუგლასი (McDonnell Douglas) ახდენენ გავლენას.

* * *

ერთი პრობლემა მაინც შეიძლება დარჩეს. თუმცა ინდუსტრიას ამასთან დაკავშირებით თავისი გამოსავალი აქვს: მშენებლობის ბუმი შესაძლოა ძალზე შორს წავიდეს, ზოგიერთი შტატი შესაძლოა ცარიელი ციხეების ამარა დარჩეს. ასეთ ვითარებაში, კერძო კომპანიები დახმარებისთვის „საწოლის ბროკერებს" მიმართავენ, რათა პატიმრების სხვა შტატებიდან გადმოყვანა მოხდეს. ერიკ შლუზერი (Eric Schlosser) შემდეგნაირად აღწერს მექანიზმს (1998 წელი, გვ. 65-66):

**1990 წლის შუა პერიოდში, აშშ-ის მასშტაბით ათასობით პატიმრის გადაყვანა მოხდა გადატვირთული ციხეების სისტემებიდან ტეხასის პატარა ქალაქებში არსებულ „იქირავე საკანი"-ის ტიპის დაწესებულებებში. ...**

**მომხმარებლებისთვის ციხის კერძო ინდუსტრია, როგორც წესი, ყოველი პატიმრისთვის ყოველდღიურ საფასურს აწესებს; კერძო ციხის წარმატება ან მარცხი „ადამიანი-დღეების" ("man-days") რაოდენობაზეა დამოკიდებული. „იქირავე საკანი"-ის ტიპის შეთანხმებაში შტატი, რომელიც პატიმართა სიჭარბით გამოირჩევა, დასახმარებლად კარგად დამკვიდრებულ „საწოლის ბროკერს" მიმართავს ... ბროკერი კი მოძებნის დაწესებულებას თავისუფალი საწოლებითა და მისაღები ფასით. „ადამიანი-დღეები"-ის ფასი განსხვავდება და ის შეიძლება 25 აშშ დოლარიდან 60 აშშ დოლარამდე მერყეობდეს. ეს დამოკიდებულია დაწესებულების ტიპსა და მასში თავისუფალი ადგილების ხელმისაწვდომობაზე. ... „საწოლის ბროკერები" იღებენ საკომისიოს, რომელიც შეადგენს „ადამიანი-დრეზე" 2.50%-დან 5.50%-მდე.**

1987 წელს კერძო კომპანიების საკუთრებაში არსებულ ციხეებში დაახლოებით 3,000-მდე პატიმარი იყო განთავსებული. 1996 წელს კი მათი რიცხვი 85,000-მდე გაიზარდა.[27] შემდგომი დეკადის განმავლობაში აშშ-ში კერძო ციხეებში არსებული საწოლების რაოდენობა მოსალოდნელია, რომ 360,000 გახდეს, აცხადებს გაზეთი USA TODAY, 1996 წლის 5 ივნისი. შემდგომ ის ეხება ასევე საკითხებს:

---

[27] იუსტიციის ეროვნული ინსტიტუტი (National Institute of Justice), 1999 წლის აპრილი. ციხეების ფედერალური ბიუროს (Federal Bureau of Prisons) პრივატიზაციის ტესტირება. შუამდგომლობა.

**ინვესტორები, რომლებიც Wackenhut Corrections-ის აქციებს ფლობენ, მიხვდნენ, რომ მათი დედები ცდებოდნენ: დანაშაული იხდის.**

**კერძო ციხის მენეჯერის წილი ამ წელს 203%-ით გაიზარდა. ორშაბათს აქციებმა 52-კვირიან მაქსიმუმს მიაღწიეს.**

**...**

**სამშაბათის ნაბიჯის უკან:**

**პირველი, კომპანიამ განაცხადა, რომ მან მოიგო 49 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების კონტრაქტი იმიგრაციისა და ნატურალიზაციის მომსახურებისთვის 200-საწოლიანი ციხის ამოქმედებისთვის.**

**...**

**შემდგომ, ვირჯინიას გამასწორებელმა დეპარტამენტმა (Virginia Department of Correction) განაცხადა, რომ მან Wackenhut-ი აირჩია, რათა ამ უკანასკნელს 1,000-საწოლიანი ციხე აემოქმედებინა.**

## 8.3. ტექნოლოგიური ბიძგი

ცივი ომის დასრულების შემდეგ, სამხედრო-ინდუსტრიული კომპლექსი პრობლემას წარმოადგენდა. თუმცა, ასეთი სიტუაცია დიდხანს არ გაგრძელებულა. ასპარეზზე ახალი მტერი გამოჩნდა: მტერი სახლში. 1993 წელს ჯონს ჰოპკინსის (Johns Hopkins) უნივერსიტეტში სემინარი ჩატარდა. თემა იყო „არა-ლეტალური თავდაცვა“. ჟანეტ რენო (Janet Reno), აშშ-ს გენერალური პროკურორი, სემინარის გახსნაზე იყო წარდგენილი.[28] მისი ფორმულირებით:

**იმ დროს, როდესაც თქვენ თავს იცავდით, სადაზვერვო კომუნები და ინდუსტრიული სექტორი სახელმწიფოსთვის ცივ ომს იგებდა, თუმცა, ჩვენ ნელ-ნელა ვაგებდით ომს დანაშაულის წინააღმდეგ აქ, სახლში. ხუთი წლის განმავლობაში, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლით დასრულდა, დანაშაულის დონემ აშშ-ში 30%-ით მოიმატა.**

---

[28] გენერალური დირექტორის სახელით დეივიდ ჯ. ბოიდის (David G. Boyd) მიერ, ტექნოლოგიისა და მეცნიერების ხელმძღვანელი, იუსტიციის ეროვნული ინსტიტუტი.

**ასე რომ, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ისეთი სახის ომში, რომელშიც ჩვენი პოლიცია ყოველდღიურად არის ჩართული. და ნება მომეცით, გამოგიწვიოთ თქვენ, რომ თქვენი შესაძლებლობები, რითიც ასე კარგად გვემსახურებოდით ცივი ომის დროს, დაგვეხმაროს ომში, რომელიც ჩვენი ქალაქების ქუჩებში და ქვეყნის მასშტაბით არსებულ სხვა ქალაქებში ყოველდღიურად მიმდინარეობს.**

და გენერალური პროკურორი შემდეგი სიტყვებით აჯამებს თავის გამოსვლას:

**ჩვენ გვაქვს არაჩვეულებრივი შესაძლებლობა, რომ ცივი ომის დროს თქვენს მიერ გაწეული შრომის ნაყოფით ვისარგებლოთ. თუ ჩვენ ავიღებთ იმას, რაც თქვენ უკვე გაგიკეთებიათ და მოვნახავთ გზას, ეს ყოველივე ჩვენ მშვიდობიან დროს არსებულ პრობლემებს მოვარგოთ, ჩვენ შევძლებთ ამერიკის ქუჩების უკან დაბრუნებას ჩვენი შვილებისთვის და მათთვის, ვინც ჩვენს მერე მოვა.**

**ხომ არ შემოგვიერთდებოდით ამ უკანასკნელ და ძალზე მნიშვნელოვან ჯვაროსნულ ლაშქრობაში?**

კონფერენციის წარმოდგენილი თემები იყო:

- **კანონის აღსრულების მოთხოვნებთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლება**
- **კანონის აღსრულებასთან დაკავშირებული ტექნოლოგიის ფასის მეტად დაფასება/გაგება**
- **თავდაცვით-ინდუსტრიული ბაზისთვის გამოკვეთილი ტექნოლოგიის ტრანსფერის შესაძლებლობები**
- **კანონის აღსრულების ბაზარზე ინდუსტიული შესაძლებლობების გამოყოფა**

ერთი წლის მერე ჩატარდა მეორე კონფერენცია, რომლის თემაც იყო შემდეგი: „კანონის აღსრულებასთან დაკავშირებული ტექნოლოგია 21-ე საუკუნეში“. კონფერენციის გახსნა ამჯერად უილიან ჰ. ვებსტერს (William H. Webster), გამოძიების ფედერალური ბიუროს ყოფილ დირექტორს, ხვდა წილად:

**როგორც კონფერენციის თავმჯდომარე, მინდა მივესალმო თითოეულ თქვენგანს კანონის აღსრულებიდან, კრიმინალური მართლმსაჯულებიდან,**

ინდუსტრიიდან, თავდაცვიდან, ტექნოლოგიებიდან და საჯარო პოლიტიკის კომუნებიდან.

...

აშშ-ს იუსტიციის დეპარმატემენტისა და თავდაცვის, ისევე, როგორც ინდუსტრიის თანამშრომლობა უმნიშვნელოვანესია კანონის აღსრულების კვლევასა და განვითარებაში. მოხარული ვარ, ვხედავდე აღნიშნულ პარტნიორებს ერთად შეკრებილებს ერთ ღონისძიებაზე. და მინდა მადლობა გადავუხადო ასეთი ღონისძიების სპონსორებს, ვინც ტექნოლოგიას ხელმისაწვდომს ხდის მათთვის, ვინც საზოგადოებრივი ინსპექტირების 95% აკეთებს – სახელმწიფო და ადგილობრივ სამართალდამცავ ორგანოებს.

და ვინ იყვნენ აღნიშნული სპონსორები? ისინი კონფერენციის ყოველდღიურ ბროშურაში შემდეგნაირად იყვნენ მოხსენიებულნი:

მაშინ, როდესაც აღნიშნულ კონფერენციას უამრავი მხარდამჭერი ჰყავს, უმთავრეს სპონსორს წარმოადგენს იუსტიციის ეროვნული ინსტიტუტი (NIJ (National Institute of Justice)), ამერიკის თავდაცვის მზაობის ასოციაციის (American defense Preparedness Association (ADPA)) უდიდესი მხარდაჭერით და ბოლოს ოპტიკური ინჟინერიის საერთაშორისო საზოგადოება (International Society for Optical Engineering (SPIE)).

...

ოპტიკური ინჟინერიის საერთაშორისო საზოგადოება წარმოადგენს არაკომერციულ ტექნიკურ საზოგადოებას, რომელიც მუშაობს ოპტიკური, ელექტრო-ოპტიკური და ოპტო-ელექტრონული ტექნოლოგიების საინჟინრო და სამეცნიერო გამოყენების გაუმჯობესებაზე პუბლიკაციების, სიმპოზიუმებისა და მოკლე კურსების მეშვეობით. ოპტიკური ინჟინერიის საერთაშორისო საზოგადოებას მთელი მსოფლიოს მასშტაბით ორგანიზაციებისა და კერძო პირების კართან მიაქვს უკანასკნელი ტექნოლოგიური ინოვაციები, ინტერაქციის დამყარებით მათ შორის, ვინც ფლობს ინფორმაციას და ვისაც სურს ის.

ასეთი თანამშრომლობა სამხედრო დაწესებულებასა და სამართლისა და წესრიგის დაწესებულებას შორის ორივე მხარისთვის მომგებიანი იქნება. მორისონი (Morrison) (1994 წელი, გვ. 891) ანიტა კ. ჯონსის (Anita K. Jones), პენტაგონის თავდაცვის კვლევისა და შემუშავების დირექტორის (Pentagon Director of Defense Research and

Engineering), ციტირებას ახდენს როდესაც მიმართავს ამერიკელ პოლიტიკოსებს:

**არსებობს ძალზე მნიშვნელოვანი სამხედრო მოტივაცია, რომ გავერთიანდეთ (მართლმსაჯულებასთან). ... ცივი ომის ეპოქის მიწურულს, აშშ სამხედრო ძალები უფრო და უფრო ხშირად არიან ჩართულნი მისიებში, რომლებიც საკმაოდ განსხვავედებიან ტრადიციული ნგრევისა და განადგურების ომებისგან.**

**(სამშვიდობო და ჰუმანიტარულ მისიებში) სამხედრო ჩართულობის წესების მიხედვით, მკაცრი შეზღუდვებია დაწესებული სამხედრო ოპერაციების დროს მსხვერპლებთან და შესაბამის ზარალთან დაკავშირებით, რასაც ხშირად იმავე ვარიანტებთან მივყავართ, რაც პოლიციელებისთვის არის განკუთვნილი/შეთავაზებული.**

და რას სწავლობენ ისინი სხვადასხვა კონფერენციებზე?[29] ისინი, რა თქმა უნდა, სწავლობენ იმას, რომ იმყოფებიან საომარ რეჟიმში, მტერი ყველგანაა, ის საშიშია და მობილური. მას უნდა გაუმკლავდნენ სამხედრო ძალებით, დააკავონ, ჩასვან ციხეში და ამის შემდგომ, თუკი ოდესმე მოახერხებს გათავისუფლებას და ციხიდან გამოსვლას, მიყვნენ მთელი ცხოვრება კვალ და კვალ და უთვალთვალონ გამუდმებით. ელექტრონული ინდუსტრიისთვის ეს არის ოქროს ხანა. ერთ-ერთი კონფერენციის მშვენიერ პამფლეტში, ჩვენ დისტანციური კონსულტაციის სისტემის შესახებ მივიღეთ ინფორმაცია. ქვემოთ მოცემულია ტექსტიც:

[29] გამუდმებით იმართება ახალ-ახალი კონფერენციები. აქ, ჩემი ნორვეგიის პერიფერიიდან არ შემიძლია ყველას თვალი ვადევნო. ყველაზე ბოლო კონფერენცია, რომლის მოსაწვევიც ჩემს სამუშაო მაგიდაზე დევს, არის 1996 წელს იუსტიციის ეროვნული ინსტიტუტის (The National Institute of Justice) თაოსნობით და ამერიკის თავდაცვის მზაობის ასოციაციის (American Defense Preparedness Association) დახმარებით ორგანიზებული კონფერენცია. მოსაწვევში შემდეგი ტექსტი წერია: „მზარდ ბაზარში მონაწილეობის არაჩვეულებრივი შესაძლებლობა“, მონაწილეები მიწვეულნი იყვნენ პლენარულ სხდომაზე, რომლის შემდეგაც გაიმართებოდა „საგამოფენო დარბაზში ეკრანებს შორის ტექნოლოგიის მიღება“.

ტექნოლოგიის აღწერილობა: მუდმივი მეთვალყურეობის მექანიზმი წარმოადგენს უჟანგავი ფოლადის მაჯის საათს ან სამაჯურს, რომელიც გათავისუფლებულის ტერფზეა მიმაგრებული და დაბლოკილი. გლობალური პოზიციონირების სისტემის ბარათი (a global positioning system chip), რომელიც მუდმივ საათშია მოთავსებული, გააკონტროლებს პირის ადგილმდებარეობის ცვალებადობას და ინფორმაციას პირდაპირ პოლიციის განყოფილებაში გადასცემს კავშირის ტექნოლოგიის (B-CDMA) ფართოზოლოვანი/მაღალგამტარიანი არხების კოდური გაყოფის მეშვეობით და არსებული ფიჭური და პირადი საკომუნიკაციო სისტემების (PCS) გამოყენებით. ინფრასტრუქტურა უკვე ხელმისაწვდომია.

ტექნოლოგიის მოქმედება: როგორ ვადევნოთ თვალი პოტენციურად საშიშ გათავისუფლებულ პირებსა და დანაშაულის ხელმეორედ ჩამდენებს? თუკი, პირობით ვადამდე გათავისუფლებული დაარღვევს მისთვის გამოყოფილ თავისუფლად გადაადგილების ზონას ან მოიშორებს მუდმივი მეთვალყურეობის მექანიზმს, აღნიშნული მექანიზმის კომპიუტერული სისტემა ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს პოლიციის ოფიცრებს, რომლებიც სიტუაციის გამოსწორებასა და კანონდამრღვევის დაკავებას შეძლებენ. იმ პირთა მუდმივი მეთვალყურეობა, რომლებიც ციხიდან გაათავისუფლეს, მაგალითად, ციხის გადატვირთულობის გამო, გაზრდის შანსებს კანონმორჩილი მოქალაქეებისთვის, რომლებიც გაუცნობიერებლად იმყოფებიან სიკვდილის ან დასახიჩრების საფრთხის ქვეშ, რაც გათავისუფლებული კრიმინალისგან შეიძლება მოდიოდეს.

დაახლოებით ორ მილიონამდე სრულწლოვანია ამ ქვეყანაში, რომელიც ან პრობაციაზე იმყოფება ან პირობით ვადამდეა გათავისუფლებული. უბრალოდ წარმოიდგინეთ მათი თვალთვალის, ადგილსამყოფელის დადგენისა და მათ მიერ გადაადგილების კონტროლის ამოცანაზე. შემდეგ კი იფიქრეთ, თუ როგორ გაუმჯობესდება და გამარტივდება აღნიშნული ამოცანა პრობაციისა და პირობით ვადამდე გათავისუფლების პერიოდში პირებისთვის სამაჯურის მუდმივად მიმაგრებით.

ელექტრონული სამაჯურის სისტემა გამუდმებით უმჯობესდება. 1996 წლის 2 მაისს ჟურნალ *Business Wire*-ის მიხედვით, საზოგადოებრივმა უსაფრთხოებამ ხელსაწყოს პრეზენტაციასთან ერთად წინ გიგანტური ნახტომი გააკეთა. ხელსაწყო, რომელიც თვალყურს ადევნებს და გამუდმებით აკონტროლებს დამნაშავეებისა და სტალკერების ადგილმდებარეობას და ამით შესაძლო მსხვერპლის წინასწარ გაფრთხილებას უზრუნველყოფს:

**იმ შემთხვევაში, თუკი დამნაშავე გადაკვეთს დაშვებულ თავისუფალ ზონას, გაფრთხილების სახით ხმაურიანი შეტყობინება მიუვა მას. მაგალითად, სექსუალური ხასიათის დანაშაულის ჩამდენ პირებს აკრძალული აქვთ სკოლებთან და ბავშვების სათამაშო მოედნებთან მიკარება. ნებისმიერი დარღვევის შემთხვევაში, ირთვება სიგნალიზაცია და ამის შესახებ შესაბამის სააგენტოებს ეცნობება.**

**...**

**ხელისუფლებას შეუძლია დააპროგრამოს SMART-ი ისე, რომ პოტენციური დაზარალებული გააფრთხილოს, თუკი ახლო-მახლო დამნაშავე იმყოფება, რომელმაც სასამართლოს მიერ მის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილება დაარღვია. მსხვერპლის ხელსაწყო აღჭურვილია პანიკის გამომწვევი ღილაკით. როდესაც მსხვეპლი აღნიშნულ ღილაკს თითს დააჭერს, განგაშის სიგნალი და მსხვერპლის ადგილსამყოფელი უმალვე იგზავნება მონიტორინგის ცენტრში.**

**„ჩვენ ვფიქრობთ, რომ SMART-ი მნიშვნელოვანი ინოვაციაა სისხლის სამართლის სისტემისთვის“, განაცხადა აშშ-ის ყოფილმა „ნარკოტიკების მეფემ“ და ფლორიდის გუბერნატორმა, PRO TECH მონიტორინგის კომპანიის პრეზიდენტმა, ბობ მარტინესმა (Bob Martinez).**

სამაჯურის ტექნოლოგია უფრო რთულია, შედარებით უფრო ძვირადღირებულიც და შესაბამისად, ლიმიტირებული შედარებით უფრო სერიოზული შემთხვევებისთვის. “Ameritech” უფრო იაფფასიანი სისტემაა, თუმცა, მას თითქოს ყველასთვის აქვს გამოსავალი, ვინც ამ ბაზარზე მოღვაწეობს. (დაახლოებით 4 მილიონი ადამიანი, რომელიც პრობაციაზე იმყოფება ან პირობით ვადამდეა გათავისუფლებული). ეს არის ხმის ვერიფიკაციის სისტემა პირთათვის, ვისი მონიტორინგიც ხდება. აღნიშნული სერვისი მინიმალური ზედამხედველობით იღებს ზარებს დამნაშავე პირებისგან, ხმის ვერიფიკაციით პოზიტიურად ახდენს პირის იდენტიფიკაციას და იმ ტელეფონის ნომრის დახმარებით, რომლიდანაც დამნაშავე რეკავდა, მის ადგილსამყოფელსაც ადგენს.[30]

---

30 Corrections Digest, 1996 წლის 9 აგვისტო, გვ. 5.

სატელიტებისა და ტელეფონების დამხარებით შესაძლებელი ხდება პირობით ვადამდე გათავისუფლებული პირების ადგილსამყოფელის დადგენა. თუმცა სასჯელაღსრულების სისტემას შესაძლოა გათავისუფლებული პირების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღებაც სურდეთ, მაგალითად, მათი მდგომარეობის შესახებ. მიცუბიში იყო ერთ-ერთი პირველი კომპანია, რომელმაც ზემოხსენებულთან დაკავშირებით დახმარების ხელი გამოიწოდა. მათი სისტემა სპეციალურად „სახლის ციხეებზე" იყო გათვლილი,[31] თუმცა, რა თქმა უნდა, შესაძლებელია ასევე ის პრობაციონერებისთვის ნებისმიერ ადგილას გამოიყენონ.

ჟურნალ *Corrections Today*-ის 1991 წლის ივნისის გამოშვებაში განთავსებულ ერთგვერდიან სარეკლამო განცხადებაში ჩვენ მთლიანი საკონტროლო პაკეტის რეკლამას ვხვდებით. პაკეტში შედის: ელექტრონული სამაჯური, და დამატებით, ტელეფონი, რომელიც სატელევიზიო გადამცემებთან არის კომბინირებული და ხელსაწყო, რომლის საშუალებითაც სისხლში ალკოჰოლის რაოდენობა დგინდება. თითქმის დარწმუნებული ვარ, სულ მალე სატელევიზიო შარდვაც დაემატება პაკეტს. ქვემოთ მოცემუალი ნაწყვეტი მიცუბიშის აღწერიდან:

> **სახლის პატიმრობების მზარდი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, მონიტორინგის სისტემა უნდა იყოს უნივერსალური, სანდო და სისხლში ალკოჰოლის დონის დამდგენი. რისკი ძალზე დიდია იმისთვის, რომ ნაკლების იმედი/მოლოდინი გვქონდეს.**
>
> **...**
>
> **სისტემა ავტომატურად უკავშირდება კლიენტს (დაახლოებით 4-ჯერ ზედიზედ), ითხოვს გარკვეული მოქმედებების გატარებას (ნებისმიერ ენაზე), და იწერს ფოტოს, რომელზეც გამოსახულია დრო, თარიღი და სახელი (წარმოადგენს მყარ მტკიცებულებას).**

---

31 „სახლის ციხეში" პატიმარი იღებს ელექტრონულ მოწყობილობას, რომელიც პირს მაჯაზე და ტერფზე უკეთია. სამაჯური ტელეფონთანაა დაკავშირებული. თუკი სახლის პატიმარი დატოვებს სახლს, ტელეფონთან არსებული კავშირი გაწყდება და ამავე დროს პოლიციაში ან პრობაციის მთავარ ოფისში განგაშის ზარი გაისმება.

...

**როდესაც საქმე ალკო-ტესტამდე მიდის (Breath Alcohol Testing (BAT)), მხოლოდ MEMS-ი წარმოადგენს დისტანციურ, გარეშე დახმარების გარეშე, პოზიტიურ ვიზუალურ მტკიცებულებას კლიენტის სისხლში ალკოჰოლის შემცველობის შესახებ. და ეს ყოველივე ხდება ავტომატურად კომპიუტერული საბაზო სადგურიდან.**

თუმცა, ამ დრომდე პირობით, ვადაზე ადრე გათავისუფლებული ან პრობაციაზე მყოფი პატიმრების გასაკონტროლებლად კვლავ „ძველი“ ტექნოლოგია ინარჩუნებს დომინირებულ პოზიციებს. ძველი ტექნოლოგია კი ნიშნავს ნარკოტიკების მოხმარების ჩვეულებრივ ტესტს და იარაღს.

უპირველესად შევეხოთ იარაღის თემას: კალიფორნიაში, ისევე, როგორც რამდენიმე სხვა შტატში, იარაღის ინდუსტრიაში პრობაციაზე მყოფი პატიმრები დასაქმდნენ, ისეთი პირები, ვინც ადრე თავის თავს სოციალურ მუშაკად და მათ ახალ კლიენტად მიიჩნევდა. პრობაციას კალიფორნიაში მისი საფუძველის გამოცლის საფრთხე ემუქრებოდა და შესაბამისად სამუშაო ადგილების დაკარგვაც იყო მოსალოდნელი. რომ გადარჩენილიყვნენ, პრობაციის ოფიცრებს მხარეები უნდა აერჩიათ – ყოფილიყვნენ სოციალური მუშაკები სამსახურის გარეშე თუ – დანაშაულის მაკონტროლებლები. მათ ეს უკანასკნელი აირჩიეს ისეთი ქმედებით, რომელიც იმის ილუსტრირებას ახდენდა, რასაც სტენ კოჰენმა (Stan Cohen) (1985) როლების აღრევა უწოდა. ამ შემთხვევაში, მათი ნაბიჯი ვადამდე ადრე გათავისუფლების ოფიცრებისთვის იარაღის მიცემით იყო სიმბოლიზებული. სმიტი (Smith) (1991 წელი, გვ. 124) წერს:

**ჩვენ ავირჩიეთ სმიტ ვესონი (Smith & Wesson) მოდელი 64, 34 კალიბრიანი რევოლვერი. ის შედარებით მსუბუქია, უჟანგავია, 5 სანტიმეტრიანი ბარელით. ის 6 ვაზნიანია და ადვილია მისი ტარება ისეთი ტანსაცმლის ქვეშ, რომელსაც აგენტები, როგორც წესი, იცვამენ. ჩვენ ავირჩიეთ საბრძოლო მასალა, რომელსაც ფრაგმენტაციის გარეშე მაქსიმალურად შეჩერების ძალა ექნებოდა.**

და შემდგომ ნარკოტიკების შესახებ. მესინჯერის (Messinger and Berecochea, 1991 წელი) მიხედვით:

> **...დაახლოებით 400,000-მდე ნარკო-ტესტი ჩატარდა გასულ წელს პირობით ვადამდე გათავისუფლებული პირებისა. მე ვფიქრობ, რომ ეს არის შარდის უსაშველოდ დიდი რაოდენობა, რომელიც უნდა მივიღოთ.**

რაც მოხდა არის ის, რომ ადრე გათავისუფლებულების მიმართ გაძლიერებული კონტროლი მიმდინარეობდა და ახლა, როდესაც ტექნოლოგია ასეთი ხელმისაწვდომია, ამის საჭიროება ნაკლებადაა. შუალედებში გათავისუფლებული პატიმრები იძულებულები არიან თავიანთი შარდი ჩააბარონ. ისინი მოსახლეობის იმ სეგმენტს წარმოადგენენ, რომლისთვისაც ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება ყოველდღიური ცხოვრების წესს წარმოადგენს. ადრე, როდესაც პრობაცია ჯერ კიდე სოციალური სამსახურს მოიცავდა, მათ შესაძლოა მხოლოდ მსუბუქი გაფრთხილება და გადარჩენისთვის გარკვეული დახმარებაც კი შეიძლებოდა მიეღოთ. ახლა უკვე არსებობს გათი გასაკონტროლებელი ტექნიკა და ისინიც უკან ბრუნდებიან. ეს კი სახიფათო კლასების მართვის ძალიან კარგ მაგალითს წარმოადგენს. ახლა არ არის აუცილებელი, რომ, ის რაც მათ უკან ციხეებში აბრუნებს, მაინცდამაინც პირველადი დანაშაული იყოს; ეს შესაძლოა მათი ცხოვრების სტილის გარკვეული ასპექტის გამოც მოხდეს. ნარკოტიკული საშუალებების კონტროლი შედარებით დაბალი ფენების კონტროლსაც ნიშნავს.

უკვე 1980-დან 1990 წლებში კალიფორნიის ციხეებში პატიმართა რაოდენობის უჩვეულო ზრდის უმთავრესი მიზეზი შესაძლოა სწორედ იარაღითა და ნარკო-ტესტებით ყოფილიყო განპირობებული. ამ მხრივ, ის წლები ძალიან ბარაქიანი იყო. ფრენკ ზიმრინგმა (Frank Zimring) (1991 წელი, გვ. 22) აღნიშნული პერიოდისთვის სქემა შეადგინა, რომელიც კალიფორნიაში უმუშევრობის დონეს ასახავდა. ის

კატასტროფულად ეცემოდა, მაშინ, როდესაც დაპატიმრებების რიცხვი საგრძნობლად იმატებდა. მესინჯერი ზემოხსენებულს პირდაპირ იარაღისა და ნარკო-ტესტების კომბინაციას უკავშირებს: პატიმრები თავისუფლდებიან პრობაციაზე. და პრობაციამ მთლიანად შეიცვალა თავისი ხასიათი: „... უკან ციხეში დაბრუნება პატიმრებისთვის არა უჩვეულო მოვლენად, არამედ ძალზე მიღებულ ფაქტად/გამოცდილებად რჩებოდა".

პირობით ვადამდე გათავისუფლების დროს ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების გამო ციხეში უკან დაბრუნებულ პატიმრებს ისინიც ემატებათ, ვინც უშუალოდ ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების გამო მოხვდნენ ციხეში. ასეთი კატეგორიები კომბინაციაში ციხეში განთავსებულ პატიმართა უმრავლესობას ქმნიან. 1986 წელს მათი რიცხვი 30%-ს შეადგენდა, 1988 წელს – 35%-ს და 1991 წელს მათმა რიცხვმა 53%-ს მიაღწია.

აღნიშნული პოლიტიკა მუდმივი განვითარების პროცესშია. აშშ იუსტიციის დეპარტამენტის (U.S. Department of Justice) ((ჰენრი და კლარკი) Henry and Clark, 1999 წელი) ანგარიშის მიხედვით, 1995 წელს პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა (Bill Clinton) გენერალურ პროკურორს ჯენეტ რენოტს (Janet Renot) უნივერსალური პოლიტიკის განვითარება და მისი შემუშავება დაავალა. გეგმა გულისხმობდა ყველა ფედერალური პატიმრის მიმართ ნარკო-ტესტის ჩატარებას იქამდე, სანამ მათი გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღება მოხდებოდა. გენერალურ პროკურორს პრეზიდენტმა ასევე დაავალა სხვადასხვა ნაბიჯების გადადგმა, რათა აღნიშნული პოლიტიკის მიღებასა და იმპლემენტაციაში სხვა შტატების დარწმუნებაც მომხდარიყო.

ჰენრი და კლარკის ანგარიში ასევე სხვადასხვა გამოყენებულ მეთოდსაც ეხება. ტექნიკის სიმარტივე კონკრეტულად გამოიხატება, როგორც ისინი აღწერენ, შარდის პორტატული ტესტირებაში (HAND-HELD URINE TESTING). ამ ხელსაწყოების უმეტესობა გავს ერთმანეთს და

ისინი დაახლოებით საკრედიტო ბარათის ზომის და ფორმისაა. შედეგი მიიღება შარდის წვეთების სინჯარაზე დაწვეთებით. შედეგი რამდენიმე წუთის შემდეგ ხდება ცნობილი და გამოიხატება გაფერადებული ზოლით. აღნიშნული ხელსაწყოებიდან ზოგიერთი მხოლოდ კონკრეტული ნარკოტიკული საშუალების ტესტირებას ახდენს, მაშინ, როდესაც სხვები – ერთდროულად რამდენიმე ნარკოტიკული საშუალების მოხმარების შესახებ იძლევა ინფორმაციას.

**აღნიშნული ხელსაწყოები, მათი პორტატულობის, შედეგის სწრაფად მიღებისა და ოპერაციების სიმარტივის გამო, სისხლისსამართლებრივ სააგენტოებში ძალზე პოპულარულები გახდნენ. იმის გამო, რომ მათ შემოწმებითვის არ ესაჭიროებათ რაიმე სახის ტექნიკური მომსახურება/დახმარება, ისინი კრიმინალური ოფიცრების მიერ ნარკო-ტესტირებაში ყოველგვარი მათი წინასწარი მომზადების გარეშე გამოიყენება.**

თუმცა, არსებობს ასევე სხვა ტექნიკური ხელსაწყოებიც. ერთი ხელსაწყოს დახმარებით ხდება, მაგალითად, პერსპირაციის ტესტირება, რაც შემდეგნაირად ხორციელდება:

**პერსპირაციის PharmChek პლასტირი წარმოადგენს წებოვან პლასტირს, რომელიც კანზე მაგრდება, როგორც წესი, ტესტირების ობიექტის მხართან. პლასტირი კანზე ერთი კვირის განმავლობაში ჩერდება და არ ექვემდებარება მოძრობას, რაც ნიშნავს იმას, რომ ობიექტის მიერ მისი მოძრობის ნებისმიერი მცდელობა გამოაშკარავებას ექვემდებარება. როდესაც ობიექტი იწყებს ოფლიანობას, ოფლი პლასტირის ქვედა ფენაში გროვდება და მისი შემდგომი ტესტირება მომწოდებლის ლაბორატორიაში ხდება.**

ჰენრი და კლარკის მიხედვით (გვ. 5), თმის ანალიზი მესამე მეთოდს წარმოადგენს. იქიდან გამომდინარე, რომ ნარკოტიკული საშუალებები თმის ლილვებში შეიწოვება, მათი მოხმარების ისტორია თმის ყოველი ღერის ზრდასთან ერთად იწერება. დროის ერთადერთი ლიმიტი, როცა ნარკოტიკების მოხმარების ფაქტი შეიძლება დადგინდეს, არის თმის სიგრძე – თმის 2 სანტიმეტრის დახმარებით 60 დღის მანძილზე ორგანიზმში ნებისმიერი სახის ნარკოტიკული

საშუალების დადგენა არის შესაძლებელი. თუმცა, ეს ძვირადღირებული მეთოდია და ძალზე მოკლე თმის მქონე პატიმრებზე ძნელად გამოიყენება.

როგორც ეს ზემოთ იყო ნაჩვენები, ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებლების უკან ადევნების ზემოხსენებული ტენდენცია კარგად ჩანს ასევე განვითარებულ ევროპულ სახელმწიფოებშიც. ნარკოტიკული საშუალებები ყველგან თანამედროვე მსოფლიოში სახელმწიფოს მხრიდან გადახვევის უმთავრეს ფორმად აღიქმებიან და საზოგადოების უმდაბლესი ფენის კონტროლის მთავარ ბერკეტად გამოიყენებიან. ნარკო-ტესტების ინდუსტიის მცირეოდენი დახმარებით კი, აღნიშნული შესაძლებლობები თითქმის ულიმიტოა.

* * *

ტექნოლოგია ასევე ზრდის ციხეებში თავის ეფექტურობას. ზემოთ ჩამოთვლილ უამრავ სარეკლამო განცხადებასთან ერთად, ნება მომეცით ყურადღება ჟურნალ Correctional News-ის ქვემოთმოცემულ სტატიაზე გავამახვილო (ივლისი/აგვისტო, 1999 წელი):

> სან-ფრანცისკო – სხვადასხვა მაღალტექნოლოგიური ინსტრუმენტი და არალეტალური იარაღი, რომლის დახმარებითაც ურჩი პატიმრების გაკონტროლება ხდება, კალიფორნიის გამასწორებელი დეპარტამენტის (California Department of Corrections) ინტენსიური მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება. სასჯელაღსრულების ოფიცრები რიცხობრივად უკვე შვიდჯერ ჩამორჩებიან მსჯავრდებულებს. იმის გათვალისწინებით, რომ შტატის 160,000 პატიმარი მომდევნო 5 წლის განმავლობაში, ყველა მონაცემით, 19%-ით გაიზრდება და პატიმრების რიცხვი დაახლოებით 191,000-ს მიაღწევს, შედარებით გონიერი და უსაფრთხო ციხეების შესაქმნელად, ახალი ხელსაწყოების შემოღება უკიდურესად აუცილებელი ხდება.
>
> ერთ-ერთ ასეთ ხელსაწყოს TSI Prism სისტემა წარმოადგენს. ეს არის პატიმრების ადგილსამყოფელის დამდგენი და განგაშის შემქმნელი კომპიუტერიზებული სისტემა, რომელიც მსგავსია იმისა, რასაც სამხედროები გამოიყენებენ. ყოველ ორ წამში ერთხელ სისტემა იმ პატიმართა ადგილმდებარეობის განახლებას ახდენს, რომლებსაც მაჯის საათისხელა ხელსაწყო უკეთიათ.

აღნიშული ხელსაწყოს მეშვეობით ხდება უკაბელო სიგნალების გადაცემა, რომლებსაც იღებს სიგნალის მიმღები. ის კი მათ თავის მხრივ პატიმართა საკონტროლო ოთახში არსებულ კომპიუტერებს გადასცემს. სიგნალის გადაცემის შესაძლებლობა არის იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ხელსაწყოს წყალი მოხვდა ან დასველდა.

სასჯელაღსრულების დაწესებულების ოფიცრებს ქამარზე პეიჯერისხელა ერთეული აქვთ მიმაგრებული. ჩამოვარდნის ან ჰორიზონტალურ მდგომარეობაში განთავსების შემთხვევაში, ის ავტომატურად რთავს განგაშის ზარს.

იარაღი, რომელიც არალეტალურ საბრძოლო მასალას ისვრის, ასევე — უხეში სპონჯის ხელსაწყო, რომელსაც აშშ-ის სამხედრო ძალები ბოსნიასა და სომალიში იყენებდნენ, სხვა ვარიანტებს წარმოადგენენ. ასევე ხელმისაწვდომია ცრემლსადენი გაზის ხელსაწყოები, რომლებიც ქამარზე შეიძლება მიმაგრდეს, შესაძლოა გამოყენებულ იქნას როგორც ცეცხლმაქრით, ასევე წყლის პისტოლეტებით, ან პატიმრების წინააღმდეგ მისი გამოყენება შესაძლებელია დაახლოებით 45 მეტრის სიშორიდან.

ციხეებისთვის განსაკუთრებით სასარგებლო ხელსაწყოს სატელევიზიო ინდუსტრია წარმოადგენს. მე არ მაქვს მხედველობაში ჩვეულებრივი სატელევიზიო პროგრამები, რომლებსაც ციხეში განთავსებული პირების დასამშვიდებლად უშვებენ. როდესაც ციხეში პატიმრის სიკვდილით დასჯაა დაგეგმილი, კინოთეკაში კარგი ფილმის არსებობა აუცილებელია. ის, რაც მე მაქვს მხედველობაში, ვიდეო-კონფერენციებსა და ტელემედიცინაში ახალი შესაძლებლობების არსებობაა. პატიმრის ტრანსპორტირება მძიმე გამოწვევაა სისტემისთვის. იზრდება გაქცევის რისკი, საჭირო ხდება აღჭურვილობა და პერსონალი, დრო და ფული. ვიდეო-კონფერენციამ შესაძლოა შეამციროს პატიმართა გადაადგილება და ამავე დროს დაწესებულების დატოვების აუცილებლობის გარეშე მაინც მისცეს შესაძლებლობა პატიმრები წარსდგნენ სასამართლოს წინაშე და ჰქონდეთ განხილვა მათ მიმართ არსებულ ბრალდებებთან, პირობით ვადამდე გათავისუფლებასთან, ან პრობაციასთან დაკავშირებით, წერს Corrections Forums, იანვარი, 1996 წელი. და აგრძელებს (გვ. 24):

ზემოხსენებული ვიდე-სისტემის გამოყენებით პატიმრებს შესაძლებლობა აქვთ მათთან დაკავშირებული ყოველგვარი სასამართლო განხილვა მათი დაწესებულებიდან და თუნდაც მათი საკნიდან გასვლის გარეშე განხორციელდეს.

...

Lincoln Hill-ი ვიდეო-კონფერენციებთან დაკავშირებულ პრობლემებს აგვარებს სისტემით, რომლის დახმარებითაც შესაძლებელი ხდება „ვირტუალური სასამართლო დარბაზის" შექმნა, ისე რომ მსჯავრდებულებისთვის შესაძლებელი იყოს სასამართლო დარბაზში გამოცხადება თავიანთი საკნებისა თუ დაწესებულების ფაქტობრივად დატოვების გარეშე.

...

მის უკანასკნელ ინოვაციას წარმოადგენს MultiView 5 Plus 1. ყველა მონაწილე ერთდროულად ჩნდება ექვს სექციად გაყოფილ მონიტორზე. ამ ექვსიდან ყველაზე გამოკვეთილ და დიდ ეკრანს ჩართული აქვს ხმოვანი სიგნალი და აჩვენებს იმათ, ვინც მოცემულ მომენტში საუბრობს. დანარჩენი 5 ეკრანი კი შესაძლებლობას იძლება ყველა მონაწილეს ერთდოულად დააკვირდე და უყურო.

პატიმრის გადაყვანასთან და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით საჭირო მომზადებისა და ყველა ხარჯის გათვალისწინებით, ამგვარ ტექნოლოგიას დიდი პერსპექტივები აქვს ხარჯების შემცირებასთან, მგზავრობის დროისა და ხარჯების დაზოგვასთან და გაძლიერებული დაცვის აუცილებლობასთან მიმართებით.

კამერები შეიძლება დამონტაჟდეს მოლოდინის ზონებში, ციხეებში, წინასაპატიმრო დაკავების ცენტრებში, სასამართლო დარბაზებში, მოსამართლის პალატაშიც კი.

პატიმრები შესაძლებელია ასევე ცუდადაც გახდნენ. კვლავ ჩნდება ტრანსპორტის, უსაფრთხოებისა და ხარჯების პრობლემა. და კვლავ, ტექნოლოგია ახალ შესაძლებლობებს გვთავაზობს, ამჯერად ტელემედიცინის სახელწოდების სახით. იუსტიციის ეროვნულ ინსტიტუტს (National Institute of Justice) 1999 წლის შესაძლებლობების თაობაზე ანგარიში აქვს წარმოდგენილი. სათაური აჯამებს ყოველივეს: ტელემედიცინას გამასწორებელი ჯანდაცვის ხარჯების შემცირება შეუძლია. ჟურნალ Corrections Digest-ის მოკლე ანალიზის მიხედვით, ციხეებს, რომლებიც ტელემედიცინის სისტემას იყენებენ, ციხეში არსებული ჩვეულებრივი სამედიცინო მომსახურების მაგივრად, ყოველ ერთ პა-

ციენტზე 102 აშშ დოლარის ოდენობით შრომითი ხარჯების შემცირება შეუძლიათ. და Corrections Forums-ი[32] ხსნის:

> **იქიდან გამომდინარე, რომ დაწესებულებების უმეტესობა დაუსახლებელ და იზოლირებულ ადგილებში შენდება, სამედიცინო მუშაკებს, პატიმრებს და პერსონალს, რომელიც ესკორტისთვის არის აუცილებელი, ციხის ლაზარეთს მიღმა საჭირო დახმარების მისაღებად ხშირად დიდი მანძილების გადალახვა უწევთ.**
>
> **...**
>
> **დამატებითი ფუნქცია, ხელმისაწვდომი ზოგიერთი ისეთი ტელემედიცინის სამედიცინო მომსახურების პროვაიდერების მიერ, როგორიცაა Wexford-ი, არის ფსიქიკური მდგომარეობისა და ქიმიურ ნივთიერებებზე დამოკიდებულების კომპონენტები, რომელთა გამოყენებაც გონებააშლილი და დამოკიდებული პატიმრების სამკურნალოდ შეიძლება.**

მსგავსი ტექნოლოგიური ინოვაციების ერთობლივ შედეგს წარმოადგენს ყველა დონეზე გაუმჯობესებული შესაძლებლობები. გაუმჯობესდა პატიმართა თვალყურის დევნების ტექნოლოგია, პრობაციაზე მყოფი პატიმრის სხეულის შესახებ მეტი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა არსებობს, ციხეში დაბრუნების შესაძლებლობებიც გაზრდილია, და როდესაც პატიმარი ციხის კედლებშია, ვიდეო-ტექნოლოგია იძლევა საშუალებას, რომ ის დარჩეს ციხეში როგორც სასამართლო პროცედურების დროს, ისე ავადმყოფობისას. მის მაგივრად მისი გამოსახულება ან გამოსახულების ნაწილი შეიძლება წარსდგეს სასამართლოში ან ჰოსპიტალში. თუმცა, ჩვენ შეჩვეულები ვართ, რომ, პიროვნებაზე, მთელი თავისი სირთულეებით, სრულფასოვან ადამიანზე, ვიფიქროთ, როგორც სუბიექტზე. ეს სუბიექტი რჩება ციხის კედლებში, ან წარმოდგენილია მხოლოდ როგორც ხმა, ან გამოსახულება, ან როგორც – ქიმიური ტესტი. თუ ეს სიმართლეა, და ეს არის სიმართლე, რომ ფიზიკური და სოციალური დისტანცია აიოლებს სხვა პიროვნების წინააღმდეგ უსიამოვნო ღონისძიებების

32 28 მაისი, 1999 წელი, გვ. 1.

გატარებას, მაშინ უკანასკნელ ელექტრონულ განვითარებებს ამისთვის იდეალური გარემო შეუქმნია.

## 8.4. ᲪᲘᲮᲔᲔᲑᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲔᲣᲚᲔᲑᲘ

ციხეები და პატიმრები არც ისეთი ზეწოლაა ეკონომიკაზე, როგორც ეს ვინმემ შეიძლება იფიქროს. საკონცენტრაციო ბანაკები და გულაგები ამის ნათელი დადასტურებაა. თანამედროვეობასაც შეუძლია ასევე თავისი მაგალითების წარმოდგენა.

პირველი, ახალი ციხის შენობა შეიძლება იაფი დაჯდეს, იქიდან გამომდინარე, რომ მშენებლები უნდა იტანჯებოდნენ. ისინი შეიძლება აიძულო დიდ ხნის განმავლობაში და დისკომფორტში აშენონ, რადგან მიზანი არის მათი დასჯა. ტეხასი აღნიშნულის ილუსტრირებას ახდენს. მათი ციხის სისტემის აღმასრულებელმა დირექტორმა 1996 წლის იანვარში „მათი ზრდისა და ცვლილებების ... მიმოხილვა" წარმოადგინა. ის აღწერს არსებულ გაფართოებას:

> **უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში რაც ტეხასის ციხის სისტემაში მოხდა, არის სრულიად წარმოუდგენელი რამ. 10 წელიწადში ჩვენ 37,000 პატიმრიდან 145,000 პატიმრავდე გავიზარდეთ. ეს არის სისტემის ოთხმაგად ზრდა, 108,000 პატიმრით ზრდა, რომელიც უფრო მეტია, ვიდრე ნებისმიერი სხვა ციხის მთლიანი სისტემა ამერიკაში, კალიფორნიის შტატის გარდა.**
>
> **...**
>
> **და ბოლოს, ჩვენი გაფართოება შესაძლებელი გახდა ქვეყანაში ციხის მშენებლობისთვის საჭირო საშუალო თანხის მხოლოდ ნახევარი ხარჯის გაწევით! იმის მიუხედავად, რომ ჩვენ კერძო მშენებლები გამოვიყენეთ, ასეთ რიცხვს ციხის დიზაინების პროტოტიპების გამოყენებით მივაღწიეთ, ნაცვლად ბორბლის თავიდან გამოგონებისა და ყოველ ერთეულზე ახალი არქიტექტორის დაქირავებისა. ასევე — ბევრი შიდა კომპონენტის გამოყენებით, როგორიცაა, მაგალითად, ფოლადი, რომელიც ჩვენს ციხეში ძვირი იმის გამო არ დაჯდა, რომ ის პატიმართა აუნაზრაურებელი შრომის შედეგად იქმნებოდა.**

სხვა სიტყვებით, ერთი ციხე ქმნის ახალი ციხის მოდელს, რომელიც თავის მხრივ კიდევ ახალი ციხის მოდელს ქმნის – და ამგვარად

გრძელდება მანამ, სანამ ტეხასი არ გადაივსება, როგორც ეს ფაქტობრივად ამ წლების განმავლობაში მოხდა.

აღმასრულებელი დირექტორი აგრძელებს მის მოხსენებას შემდეგი შენიშვნებით:

– ყოველ პატიმარს ჩვენს სისტემაში აქვს თავისი საქმე და ის ყოველ დღე სრულ განაკვეთზე მუშაობს. გამონაკლისია მხოლოდ მისი ავადმყოფობა ან მისი გადაყვანის აუცილებლობა. არც ერთ სხვა შტატს ამის თქმა არ შეუძლია.
– არც ერთი პატიმარი სამუშაოს შესრულებისთვის ანაზღაურებას არ იღებს. სხვა არც ერთ შტატს ამის თქმა არ შეუძლია.
– დილის გაღვიძებებს ვიწყებთ არაუგვიანეს დილის 3:30 საათისა.
– ყველა პატიმარი სამუშაოს შესრულებას არაუგვიანეს დილის 5:30-ზე იწყებს.
– ყველა პატიმარს აცვია თეთრი უნიფორმა, რომელიც ციხის ინდუსტრიაში იქმნება და ყველა პატიმარს მოკლედ შეჭრილი თმა აქვს და სუფთად არიან გაპარსულები. სხვა არც ერთი სისტემა ამას არ მოითხოვს.
– ჩვენ გვაქვს დაახლოებით 40-ზე მეტი ინდუსტრია, დაწყებული საბურავების აღმდგენი ქარხნით და დამთავრებული სამკერვალო ფაბრიკებით ... და დიახ, ჩვენ კვლავ ვაწარმოებთ მანქანის სანომრე ნიშნებს, ისევე როგორც – ყველა საგზაო ნიშანს, რომელიც ტეხასის გზატკეცილებზე შეიძლება შეგხვდეთ.

და შემდგომ:

ციხის მართვა ყოველდღიურად უფრო ძნელი საქმე გახდება, თუკი პატიმრებს სასჯელის მოხდის მინიმალური ვადა გაეზრდებათ. ამ შემთხვევაში კარგად მოქცევის სტიმული ნაკლებია პატიმრის მხრიდან, რომელიც არის 32 წლის და ციხეში კიდევ 40 წლის გატარებას აპირებს. თუკი მოახერხებს ამ რთული წლების გადალახვას და საბოლოოდ გათავისუფლდება, ის უკვე 72 წლის იქნება.

აღმასრულებელი დირექტორი შემდეგნაირად ასრულებს თავის მოხსენებას:

ეს ერთდროულად გამოწვევაცაა და შესაძლებლობაც დიდი მასშტაბებით.

* * *

გარდა იმისა, რომ ციხის მშენებლობა ძალზე იაფი ჯდება, რჩება ასევე ციხის მუშახელის მიერ გამომუშავებული პირდაპირი მოგება. პატიმრები ჩართულნი არიან ფედერალური და სახელმწიფო ხელისუფლებისთვის ავეჯის, საგზაო ნიშნების და ა.შ. წარმოებაში.

*Corrections Digest*-ს 1999 წლის 14 ოქტომბერს შემდეგი სახის სათაური აქვს გამოქვეყნებული: **ციხის მუშები: დიდ ბიზნესებს ისინი ესაჭიროება, მცირე ბიზნესებს და კავშირებს კი დასუსტების ეშინიათ**. და ისინი ამბობენ:

> **ციხის ფედერალური ინდუსტრიების (Federal Prison Industries, Inc (FPI)), აშშ იუსტიციის დეპარტამენტის შვილობილი სისტემის, ცნობით, გასულ წელს მისი ერთადერთი მომხმარებლის, ფედერალური სააგენტოებისთვის, გაყიდვების რაოდენობამ 540 მილიონი აშშ დოლარის ოდენობას მიაღწია. დღესდღეობით პატიმრები, რომლებიც ქვეყნის მასშტაბით 94 ციხეში მსახურობენ, სხვა უამრავ რამეს შორის ელექტრონულ კომპონენტებს, ავეჯსა და სამხედრო ტანსაცმელსაც აწარმოებენ. ახლა ციხის ფედერალურ ინდუსტრიას საქმიანობის ფარგლების კერძო სექტორზე გავრცელებაც სურს.**

სახელმწიფო პატიმრები უკვე მუშაობენ კერძო ინდუსტრიისთვის. 30 შტატზე მეტმა აღნიშნული უკვე დააკანონა. მათი ზოგიერთი პროდუქტი ძალზე პოპულარულიცაა. USA TODAY თავის 1995 წლის 2 ნოემბრის გამოშვებაში აღნიშნავს, რომ:

> **ციხის მოდა მზარდად პოპულარული მოდის გამოვლინებაა და არაფერია უფრო ჰიპური, ვიდრე ტანისამოსი, რომელიც პატიმრებს აცვიათ.**
>
> **...**
>
> **პატიმრები ორეგონის სახელმწიფო ციხიდან 1990 წლიდან მოყოლებული ციხის ტანსაცმლის თავიანთ დიზაინერულ ხაზს ყიდიან ... სარეკლამო სლოგანები მოიცავს: „დამზადებულია შიგნიდან გარეთ ჩასაცმელად“.**

არაფრის კეთებასთან შედარებით ციხის ინდუსტრიაში მუშაობა პრივილეგიად შეიძლება მიიჩნეოდეს. თუმცა, ეს ასევე შეიძლება

აღიქმებოდეს, როგორც მონობის მძიმე ფორმა. ეს არის ევანს და გოლდბერგის (Evans and Goldberg) პერსპექტივაც (1999 წელი):

> ამერიკელი მუშა-მოსამსახურე, რომელიც ერთ დროს საათში 8 აშშ დოლარს გამოიმუშავებდა, კარგავს თავის სამსახურს, როდესაც კომპანია მიმართავს ტაილანდს, სადაც მუშახელს მხოლოდ 2 აშშ დოლარს უხდიან საათში. უმუშევარი და გაუცხოებული საზოგადოებისგან, რომელსაც არ აინტერესებს მისი მოთხოვნილებები, გადარჩენის მიზნით ნარკოტიკული საშუალებების ბიზნესში, ან სხვა უკანონო საქმიანობაში ერთვება. მას აპატიმრებენ, უშვებენ ციხეში და იქ ამუშავებენ. მისი ახალი შემოსავალი: საათში 22 ცენტი.
>
> მუშა-მოსამსახურიდან უმუშევრამდე, უმუშევრიდან კრიმინალამდე, კრიმინალიდან კრიმინალ მუშა-მოსამსახურემდე. წრე შეიკრა. და ერთადერთი გამარჯვებული დიდი ბიზნესია.
>
> კერძო ბიზნესისთვის ციხის შრომა ოქროს ზოდივითაა. არც მუშა-მოსამსახურეთა გამოსვლები. არც ორგანიზებული კავშირები. არც უმუშევრობის დაზღვევის საჭიროება ან მუშა-მოსამსახურეთათვის კომპენსაციის გადახდის აუცილებლობა. არც ენის პრობლემა არსებობს, როგორც ეს უცხო ქვეყნებში ხდება. ახალი უშველებელი ციხეები მის კედლებში განთავსებული უამრავი ფაბრიკა-ქარხნებით შენდება. პატიმრებს Chevron-თვის მონაცემები შეჰყავთ, TWA-თვის სატელეფონო დაჯავშნებს ახორციელებენ, ზრდიან ღორებს, აწარმოებენ საქონლის ფეკალიების აქანდაზებს, აკეთებენ სქემის დაფებს, ლიმუზინებს, წყლის საწოლებსა და თეთრეულს Victoria's Secret-თვის. ყოველივე ეს კი „უფასო მუშახელის“ ხარჯზე ხორციელდება.
>
> ...
>
> და, უფრო და უფრო ციხეები ფასს ადებენ პატიმრის აუცილებელ მოთხოვნილებებს, დაწყებული სამედიცინო დახმარებით, დამთავრებული — ტუალეტის ქაღალდით, ან იურიდიული ბიბლიოთეკით სარგებლობით. ბევრი შტატი უკვე აწესებს გადასახადს „ოთახისა და საკვებისთვის“. პენსილვანიის შტატში არსებული Berks-ის ციხე პატიმრებს ციხეში ყოფნისთვის დღეში 10 აშშ დოლარის ოდენობის თანხას ახდევინებს. კალიფორნიაშიც მუშავდება მსგავსი კანონმდებლობა. შესაბამისად, მაშინ, როდესაც მთავრობას (ჯერ კიდევ) არ შეუძლია დაავალდებულოს პატიმრები, რომ მათ საარსებო მინიმუმზე დაბალ თანხაზე კერძო ინდუსტრიისთვის იმუშაონ, პატიმრები იძულებულები ხდებიან ასე მოიქცნენ საჭიროებიდან გამომდინარე.

## 8.5. ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲢᲘᲛᲣᲚᲘ

იმაზე მთავარი, რასაც ციხე აწარმოებს, არის ის, რასაც ის მოიხმარს. ასეთი მოხმარებით ციხეები სოფლის განვითარებას უწყობენ ხელს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმასთან დაკავშირებით, რომ ციხის ინდუსტრია რაიონების ეკონომიკურ დაღმასვლას უკეთებს სტიმულირებას. ძველ დროს არავის უნდოდა ციხე თავის ხეობასა და რაიონში. ციხეები სირცხვილის ადგილებს წარმოადგენდნენ. მათ საცხოვრებელ ადგილზე შესაძლოა არასასურველი სტიგმა გავრცელებულიყო.

დღესდღეობით ეს ყოველივე შეიცვალა. არსებობს სასტიკი კონკურენცია რაიონში ციხის მისაღებად. პოლიტიკოსები და ჩინოვნიკები ლობირებენ, რომ ასეთი შესანიშნავი სტიმულატორი მიიღონ ეკონომიკისთვის. ისინი შრომისა და წახალისების პროვაიდერები არიან. და ისინი არიან სტაბილური პროვაიდერები. თუკი ეკონომიკა დაღმასვლას განიცდის ეროვნულ დონეზე, ის გაიზრდება ინსტიტუტებში, რომლებიც მიიღებენ რეცესიისგან ყველაზე მეტად დაზარალებულებს.

სწორედ იმ დღეს, როდესაც მე ზემოხსენებული სიტყვები დავწერე, 1999 წლის მაისი/ივნისის გამოშვების *Correctional Building News*-ი დამიკავშირდა ელექტრონული პოსტით. აქ, როგორც პირველი გვერდის ტოპ-ნიუსი, მე ვპოულობ შემდეგს:

### ᲡᲐᲡᲯᲔᲚᲐᲦᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲙᲔᲜᲢᲣᲙᲘᲨᲘ ᲪᲕᲚᲘᲐᲜ ᲥᲕᲐᲜᲐᲮᲨᲘᲠᲡ

**ლექსინგტონი, კენტუკის შტატი. თუკი ციხის შეთავაზებული სამი პროექტი გაიმარჯვებს, აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ კენტუკი შესაძლოა 10 სხვადასხვა სოფელში 10 ციხის სახლად იქცეს.**

**...**

**კენტუკის ქვანახშირის სოფელში, ციხეები ეკონომიკური განახლების ქვაკუთხედად იქცნენ. ეკონომიკური განახლებისა, რომელიც ქვანახშირის მოპოვების ზრდის შემცირების ასანაზღაურებლად გახდა საჭირო.**

საკმარისად შესაფერის ადგილად ფედერალური ციხისთვის სოფელ მარტინში (Martin Country) ყოფილი მაღაროს ტერიტორია აღმოჩნდა, ისევე, როგორც სოფელ ნოტში (Knott Country) შესაფერის ადგილსამყოფელზე 895-საწოლიანი სახელმწიფო ციხის მშენებლობაა შესაძლებელი. ნოემბერში სოფელი მარტინის უმუშევრობა 18%-ს შეადგენდა.

...

895-საწოლიანი ციხის წყალობით შეიქმნებოდა 300-დან 400-მდე სამუშაო ადგილი.

აღნიშნული პრაქტიკა ახალი არ არის. ლოტკე (Lotke) (1996 წელი, გვ. 21) სასჯელს აღწერს, როგორც სოფლის განვითარების წამყვან ინდუსტრიას. „1980-იანებში ქალაქის გარეუბნებიდან იმდენი პირი მოათავსეს სოფლის ციხეებში, რომ 1980-დან 1990 წლამდე სოფლის მოსახლეობის ზრდის 5 პროცენტი სწორედ პატიმრებზე მოდიოდა და მათი დამსახურება იყო“. მოგებული დარჩა სოფელი, მოგებულები დარჩნენ კერძო კომპანიები და მოგებულები დარჩნენ სასჯელაღსრულების დაწესებულების ოფიცრები. კალიფორნიაში არსებული პროფკავშირი იყენებს თავის გავლენას, რათა ლობირება გაუწიოს შედარებით მკაცრ კანონებს, ციხის მეტ დაცვას და შედარებით მაღალ ხელფასებსა და სარგებელს. ლოტკეს მიხედვით, კალიფორნიაში ციხის საშუალო სტატისტიკური დაცვა იღებს 10,000-ით მეტს ვიდრე კალიფორნიის საშუალო სტატისტიკური სკოლის მასწავლებელი.

შლოზერმა (Schlosser) (1998) ნიუ-იორკის ჩრდილოეთ ნაწილში მშვენიერი განვითარებების შესახებ წარმოადგინა ანგარიში — თითქმის კანადის საზღვრამდე. თითქმის ყველა ახალი ციხე იმ ადგილებშია აშენებული.

ციხეები შრომის ინტენსიურ ინსტიტუტებს წარმოადგენენ. ისინი წლიურ დასაქმებას გთავაზობენ. გამოირჩევიან გარდატეხების მიმართ მდგრადობით და, როგორც წესი, სწორედ მძიმე დროებში ფართოვდებიან. ისინი არ აბინძურებენ გარემოს — მნიშვნელოვანი რამ, რაც უნდა იქნას გათვალისწინებული რეგიონებში, სადაც განვითარების სხვა ფორმები, როგორც წესი, გარემოს დამცველების მიერ არის დაბლოკილი. ციხეებს მოაქვთ სტაბილური, მდგრადი შემოსავალი რეგიონისთვის, რომელიც მიჩვეულია ძალზე სეზონურ და არამდგრად ეკონომიკას.

შტატის ჩრდილოეთში არსებულმა ციხეების ბუმმა უდიდესი გავლენა მოახდინა ადგილობრივ კულტურაზე. ახლა უკვე თითქმის ყველას ყავს სულ მცირე ერთი ნათესავი მაინც, რომელიც სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მუშაობს. ციხის სამსახურების წყალობით, მიეცათ რა ახალგაზრდებს თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში დარჩენის შესაძლებლობა, პატარ-პატარა ქალაქებიდან ხალხის მასიური გადინება მკვეთრად შენელდა.

მხოლოდ ერთი პრობლემაა: ციხეები აშენებულია ჩრდილოეთში, მაშინ, როდესაც თითქმის ყველა პატიმარი სამხრეთიდანაა. უხეშად რომ ვთქვათ, შტატის პატიმართა თითქმის 80% ნიუ-იორკ სითიდან და მისი გარეუბნებიდანაა. ზემოხსენებულის ეფექტის ნახვა მანჰეტენში კოლუმბის წრესთან არის შესაძლებელი. ყოველ პარასკევ დღეს დაახლოებით 800 ადამიანი, უმეტესად ქალები და ბავშვები, თითქმის ყველა აფრო-ამერიკელი ან ლათინოამერიკელი, კოლუმბის წრესთან იკრიბება და ჩრდილოეთით მიმავალ ავტობუსებს ავსებს. ავტობუსები მთელი ღამის განმავლობაში მოძრაობენ და დანიშნულების ადგილზე ჩასვლას სწორედ კვირას მონახულების საათებისთვის ახერხებენ. როდესაც ავტობუსების კომპანიამ 1973 წელს ფუნქციონირება დაიწყო, მგზავრების გადასაყვანად მხოლოდ ერთი ავტობუსიც საკმარისი იყო. ახლა მგზავრებს ჩვეულებრივ გამოსასვლელ დღეებში 35 ავტობუსი და მინი-ვენი ემსახურება, ისეთ სადღესასწაულო დღეებში კი, როგორიცაა მამის დღე ან მადლიერების დღე – ავტობუსების რაოდენობა გაცილებით მეტია.

## 8.6. ციხეები ეროვნულ ეკონომიკაში

დასჯის უფლება ხშირად დიდ პრივილეგიად მიიჩნეოდა. ეს ძალაუფლების გამოვლინება იყო, ამასთან – მომგებიანიც. დასჯა ხშირად ჯარიმის ან კონფისკაციის სახით ხდებოდა – პირდაპირ იმპერატორის საცავში.

რაში გამოიხატება მათი მოგება დღეს?

პოლიტიკური სარგებელი ნათელია: ხმები, ოფისი და ძალაუფლების გამოვლინება.

თუმცა, დამატებით არსებობს კიდევ სხვა სარგებლებიც. დიდი ოდენობით მოგება. ცხრილი 8.6-1 ამის ნათელ ილუსტრაციად შეიძლება მოვიყვანოთ. ის სასჯელაღსრულების დაწესებულებებისთვის გაწეულ ფედერალურ და სახელმწიფოს ხარჯებს ასახავს, რაც 1980-დან 1999 წლის ჩათვლით მილიონობით აშშ დოლარს შეადგენს. 1980 წელს 6.9 მილიარდი აშშ დოლარით დაწყებული, ხარჯებმა 1999 წლისთვის დაახლოებით 55.4 მილიარდ აშშ დოლარს უნდა მიაღწიოს. ეს ბოლო 19 წლის განმავლობაში 8-ჯერ მეტ ზრდას წარმოადგენს.

ციხეების შენახვის პირდაპირი ხარჯები მთლიანი თანხის მხოლოდ ერთ ელემენტს წარმოადგენს. დამატებით მოდის პოლიციისა და სასამართლოს ხარჯები. უხეში დათვლები მიუთითებენ, რომ 1999 წელს პოლიციის დაცვის ხარჯებმა 66 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია, მაშინ როდესაც სამართლებრივი და სასამართლო ხარჯები 36 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენდა, ან მთლიანობაში – 102 მილიარდ აშშ დოლარს[33]. აღნიშნული თანხის ნაწილი დანაშაულის კონტროლის მაგივრად სხვა მიზნებისთვის იხარჯება. თუმცა, მოდით ვივარაუდოთ, რომ სულ ცოტა ნახევარი მაინც – 51 მილიარდი – დანაშაულის კონტროლს ხმარდება. აღნიშნულის შედეგად კი სახელმწიფოს და ფედერალურ სისტემას მთლიანობაში 106 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობის თანხა უგროვდება დასაფარად.

თუმცა, საერთო თანხა, რა თქმა უნდა, უფრო მაღალია და ეს ნიშნული დიდი ხნის განმავლობაში იყო შენარჩუნებული. 1994 წლის ივნისში ვაშინგტონში გამართული კონფერენციის – სასჯელაღსრულების ტექნოლოგიები 21-ე საუკუნეში – გახსნაზე იუსტიციის ეროვნული

33 იუსტიციის სტატისტიკის ბიურო: Sourcebook of Criminal Justice Statistics, 1997 წელი, გვ.3.

ინსტიტუტის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის დირექტორმა, დეივიდ ჯ. ბოიდმა (David G. Boyd) თავის სიტყვაში გარკვეული სტატისტიკური მონაცემები წარმოადგინა.

**ცხრილი 8.6-1. სასჯელაღსრულების დაწესებულებებზე 1980-დან 1999 წლამდე[1] გაწეული ხარჯები მილიონობით აშშ დოლარებში. ფედერალური და სახელმწიფო ხელისუფლება.**

| წელი | მილიონი აშშ დოლარი |
|---|---|
| 1980 | 6900 |
| 1981 | 7868 |
| 1982 | 9048 |
| 1983 | 10411 |
| 1984 | 11793 |
| 1985 | 13534 |
| 1986 | 15759 |
| 1987 | 17548 |
| 1988 | 20299 |
| 1989 | 22566 |
| 1990 | 26153 |
| 1991 | 29297 |
| 1992 | 31461 |
| 1993 | 31946 |
| 1994 | 35013 |
| 1995 | 38374 |
| 1996 | 42058 |
| 1997 | 46096 |
| 1998 | 50521 |
| 1999 | 55371 |

1. წყარო: სისხლისსამართლებრივი სტატისტიკის წყარო, 1997 წელი, გვ. 3. 1993 წლის მონაცემები გაზრდილია 1988-1993 წლებში არსებული ყოველწლიური მატების შედეგად, რაც ყოველ წელს 9.6%-ს შეადგენდა.

1988 წლიდან მოყოლებული, სასჯელაღსრულებასა და სისხლის სამართლის სისტემაში არსებული ინვესტიციები სხვა ფედერალურ ხარჯებთან შედარებით ორჯერ გაიზარდა იქამდე, სანამ ჩვენ, როგორც ერი, დღეს უსაფრთხოების კერძო სააგენტოებზე 75 მილიარდ აშშ დოლარს ვხარჯავთ. საიდუმლო რაოდენობის თანხა კი ხშირად ჩვენი სახლებისა და ბიზნესების დაცვის წარუმატებელ მცდელობებზე იხარჯება. (კვლავ, აღნიშნული მონაცემები ძალზე კონსერვატულია და მოძველებული. ორივე ჟურნალმა, *Business Week*-მა და *U.S. News and World Report*-მა უკანასკნელ პერიოდში გაცილებით დიდი რიცხვები გამოაქვეყნა).

ამას ადასტურებს ასევე იუსტიციის ეროვნული ინსტიტუტის ადრეული ანგარიში (1991 წელი, გვ. 1-5), რომელშიც ნათქვამია:

კერძო უსაფრთხოება დღეს ნათლად წარმოადგენს სახელმწიფოს პირველად დამცავ რესურსს. დღესდღეობით კერძო უსაფრთხოებისთვის წლიური დანახარჯი 52 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს, უსაფრთხოების კერძო სააგენტოები კი 1.5 მილიონ ადამიანს სამუშაო ადგილით უზრუნველყოფენ.

ანგარიშში მოცემულია, რომ კერძო უსაფრთხოების ინდუსტრიაში გაწეული ხარჯების წლიური ზრდა 8%-ს შეადგენს. ზრდის ასეთი ტემპით, კერძო უსაფრთხოების ხარჯები 2000 წლისთვის 104 მილიარდი აშშ დოლარი იქნება.

როდესაც აღნიშნული მონაცემები სახელმწიფოს ხარჯებს ემატება, ჩვენ ვიღებთ 210 მილიარდ აშშ დოლარის ოდენობის თანხას, რომელიც აშშ-ში დანაშაულის კონტროლზე იხარჯება. აღნიშნული თანხები მოცემული ავტორის გონების მიღმაა. თუმცა, შეგვეძლო წარმოგვედგინა მისი მნიშვნელობა, თუკი აღნიშნულ რიცხვებს აშშ-ს მიერ სამხედრო ძალებზე გაწეული თანხების რაოდენობას შევადარებდით. ეს თანხა 1998 წელს 256 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენდა. სხვა სიტყვებით: შიდა მტრის წინააღმდეგ წარმოებული ომის ხარჯები ნელ-ნელა უახლოვდება გარეშე მტრის წინააღმდეგ წარმოებული ომების ხარჯებს. მაშინ, როდესაც სამხედრო დანახარჯი დაღმასვლას განიცდის, დანაშაულზე გაწეული ხარჯები იმატებს. ამის შედეგად კი

ხარჯები თანაბრდება. აღნიშნული აშშ ეკონომიკის ბუნების მნიშვნელოვანი დეტალის შესახებ გვეუბნება. დეივიდ ლაპიდოს (David Lapido) აღნიშულთან დაკავშირებით შემდეგი აქვს სათქმელი:

> ჩვენ ხშირად გვეუბნებიან, რომ ამერიკის ეკონომიკის დინამიკა განპირობებულია მისი შრომის ბაზრის დერეგულირებული მდგომარეობითა და აშშ მთავრობის ჩაურევლობის გავლენით. არაფერი შეიძება იყოს სიმართლიდან ასე შორს. ამერიკის შრომის ბაზარი ისევეა რეგულირებული (და მისი მთავრობა ისევეა მასში ჩარეული), როგორც ნებისმიერი მისი ევროპული ანალოგი. განსხვავება არა რაოდენობაში, არამედ — ისეთი სახის რეგულირებაში, როგორიც აშშ-ის ფარგლებში პრაქტიკაში გამოიყენება.
>
> ...
>
> თუმცა, თუკი სამხედრო-ინდუსტრიული კომპლექსის აშშ-ის შრომის ბაზარზე გავლენის იდეა ფართოდ არის გავრცელებული ეკონომისტებსა და სხვა სოციალურ მეცნიერებს შორის, იგივე არ შეიძლება ითქვას ციხის-ინდუსტრიულ კომპლექსზე. სინამდვილეს შეესაბამება ის ფაქტი, რომ სამხედრო ხარჯები ორჯერ აღემატება ციხის ხარჯებს. (ლაპიდო აქ მხოლოდ სახელმწიფო ხარჯებზე საუბრობს. ნ.კ.). სხვა მხრივ, „ხალხის ინტენსიურობით“ გამორჩეული აშშ-ის კრიმინალური სისტემა ნიშნავს, რომ ციხეზე გაწეულ ხარჯებს შრომის ბაზრისთვის უფრო მეტი იმწუთიერი შედეგი მოაქვს, ვიდრე აშშ-ის მეტად „კაპიტალზე ორიენტირებულ“ თავდაცვით ხარჯებს.

ამ ყოველივეს თამაშის სხვა მოგებამდეც მივყავართ: ციხის ინდუსტრია აშშ-ში პოტენციური სამუშაო ძალის მნიშვნელოვან ნაწილს შთანთქავს. ეს შეიძლება სხვადასხვა გზით გამოიხატოს. ცხრილი 8.6-2 ერთი მცდელობის ილუსტრირებას ახდენს. ჩვენ აქ ჩავრთეთ 1999 წელს ციხეში მოთავსებული ყველა პატიმარი, ისევე, როგორც — იმ დროს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მომუშავე პირები. დამატებით, ჩვენ ჩავრთეთ პოლიციის ძალების ნახევარი და სასამართლო და სამართლებრივ სექტორებში მომუშავე პირების ნახევარი. ჩვენ ასევე ჩავამატეთ კერძო უსაფრთხოების ინდუსტრიაში მოღვაწე პირები, რომლებიც ჩვენი გამოთვლებით, 2,5-ჯერ მეტნი არიან, ვიდრე სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მომუშავე პირები. ეს ყოველივე კი ჯამში 5.6 მილიონ ადამიანს შეადგენს. 1999 წელს მუშა-მო-

სამსახურეთა რიცხვი ამერიკაში 139.2 მილიონ პირს შეადგენდა. ეს კი ნიშნავს, რომ დანაშაულის კონტროლის ინდუსტრია სამუშაო ძალის 4%-ს შთანთქავს.

**ცხრილი 8.6-2. სასჯელაღსრულების სექტორში შთანთქმული სამუშაო ძალები, აშშ, 1999. მინიმალური მონაცემები.**

| | 1999 წელი |
|---|---|
| პატიმრები[1] | 1,934,532 |
| სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მომუშავე პირები[2] | 775,947 |
| პოლიცია[3] | 467,351 |
| სასამართლო და სამართლებრივ სექტორებში მომუშავე პირები[4] | 440,315 |
| კერძო უსაფრთხოების ინდუსტრიაში მოღვაწე პირები[5] | 1,939,868 |
| სულ | 5,558,013 |
| ყოველ 100,000 მოსახლეზე[6] | 2036 |
| ყოველ 100,000 სამოქალაქო სამუშაო ძალაზე[7] | 3993 |

1. იხ. ცხრილი 3.4-1.
2. Sourcebook of Criminal Justice Statistics, 1997 წელი, გვ. 25. 1993 წლის მონაცემები გაზრდილია 1988-1993 წლებში არსებული წლიური ზრდის შედეგად, რაც წელიწადში 4.8% შეადგენდა.
3. წყარო, როგორც მე-2 შენიშვნაში. 1993 წლის მონაცემები გაზრდილია 1988-1993 წლებში არსებული წლიური ზრდის შედეგად, რაც წელიწადში 1.3% შეადგენდა. ეს მონაცემები მცირდება 50%-ით, რათა სისხლის სამართალში მოღვაწე პირთა ზუსტი რაოდენობა გაირკვეს. ეს დაბალი შეფასებაა.
4. წყარო, როგორც მე-2 შენიშვნაში. 1993 წლის მონაცემები გაზრდილია 1988-1993 წლებში არსებული წლიური ზრდის შედეგად, რაც წელიწადში 2.7% შეადგენდა. ეს მონაცემები მცირდება 50%-ით, რათა სასჯელაღსრულებაში მოღვაწე პირთა ზუსტი რაოდენობა გაირკვეს. ეს დაბალი შეფასებაა.
5. სტატისტიკა ეფუძნება იუსტიციის ეროვნული ინსტიტუტის კვლევას, რომლის მიხედვითაც, კერძო უსაფრთხოების ინდუსტია ასაქმებს 2,5-ით მეტ პირს, ვიდრე სასჯელაღსრულების დაწესებულებები (კანინგჰემი (Cunningham et al.) 1991 წელი, გვ. 1-5).
6. ეფუძნება 1999 წელს არსებულ 273 მილიონ მოსახლეს. წყარო: აშშ აღწერის ბიურო (U.S. Census Bureau).
7. ეფუძნება 1999 წელს არსებულ 139.2 მილიონ სამუშაო ძალას. წყარო: სამუშაო ძალების სტატისტიკის ბიურო.

ყოველივე ზემოხსენებული ძალზე მოძველებულ მონაცემებს წარმოადგენს. ჩვენ არ ჩაგვითვლია მამაკაცების ძალა, რომლებიც აგებენ ციხეებს, უზრუნველყოფენ ციხის აღჭურვილობას და წარმოადგენენ ციხის მართვისთვის აუცილებელ ყველა კომპონენტს. თუმცა ჩვენ მაინც შეგვიძლია უყოყმანოდ დავასკვნათ, რომ დანაშაულის კონტროლის ინდუსტრიის გარეშე, აშშ-ში სამუშაო ძალების სტატისტიკა არ იქნებოდა ისეთი შთამბეჭდავი. საერთო ჯამში, იმპერატორები დარჩებოდნენ მოგების გარეშე. აშშ-ს ეკონომისტები მნიშვნელოვან კმაყოფილებას გამოხატავენ, მიუთითებენ რა უმუშევართა რიცხვის დაბალ მაჩვენებელზე – საბაზრო ეკონომიკის წარმატების კრიტერიუმი. კრიმინოლოგიური პერსპექტივიდან, წარმატების ისტორია ოდნავ გაზვიადებულია.

# თავი 9
# კონფლიქტური ლირებულებები

## 9.1 გასაყიდი ტკივილის მიწოდება

**დღესდღეობით თვით სიკვდილით დასჯაც კი ზოჯგერ კერძო კონტრაქტორე-ბის მიერ არის აშშ-ში ადმინისტრირებული.**

ზემოხსენებული წინადადება კერძო ციხეების შესახებ ყველაზე მნიშვნელოვან წიგნში ვნახე (ლოგანი (Logan), 1990 წელი, გვ. 59). სიკ-ვდილით დასჯის თაობაზე წიგნში მხოლოდ ეს ერთი წინადადებაა, რომელიც კერძო აგენტების მიერ ადმინისტრირებული სხვა საკით-ხების შესახებ მაგალითებს შორის გვხვდება. ასე, რომ ყველაფერი დანარჩენისთვის ჩვენ შეგვიძლია ჩვენი წარმოსახვის უნარი მოვიშ-ველიოთ. და მე ვიყენებ ჩემსას: კერძო კონტრაქტორები სიკვდილით დასჯისთვის - ვინ არიან ისინი თანამედროვე დროში და როგორ ფუნქციონირებენ ისინი? არეკლამებენ თუ არა ისინი თავიანთ საქმი-ანობას? არის ეს კერძო, პერსონალურ საკუთრებაში მყოფი ფირმა, თუ ის საფონდო ბირჟაზე დარეგისტრირებულია, როგორც შპს ტკი-ვილის მიმყენებელი? შეზღუდული პასუხისმგებლობა — შეზღუდული რასთან მიმართებით? და რაც შეეხება საჭირო აღჭურვილობას, სკა-მები, ნემსები, საწამლავი? ამ ყოველივეს ისინი თვითონ უზრუნველყო-ფენ, თუ ქვე-კონტრაქტორები ჰყავთ? და პერსონალის ტრენინგები

– თუ იყენებენ უკვე არსებულ know-how-ს? ჯოსეფ ინგლი (Joseph Ingle) (პერსონალური კომუნიკაცია, თუმცა იხილეთ ასევე მისი 1990 წლის ნაშრომიც) აღწერს მარცხენა-ფეხიანი ადამიანის ფენომენს – ის, ვინც 6 სპეციალისტიან ჯგუფში, სრულყოფს მარცხენა ფეხის ქამრით მოჭერის ტექნიკას მარჯვენა-ფეხიანთან შედარებით.

ჩვენ ამაზე ვრეაგირებთ, როგორც კერძო კონტრაქტორების მიერ ადამიანის მკვლელობაზე? ის, ვინც უნდა დაისაჯოს სიკვდილით, ნათელია, რომ ჩვეულებრივი სასამართლოების გადაწყვეტილების შედეგად ხვდება ციხეში. ყოველივე მიყვება ჩვეულებრივად მიღებულ წესებს და სახელმწიფოს წარმომადგენლები ნახავენ, რომ ყველაფერი მათი გადაწყვეტილების შესაბამისად ხდება. უკანასკნელი საკვებიც შეიძლება უკეთესად იყოს მომზადებული, ფსიქიატრები და მღვდელი თავიანთ პროფესიაში შეიძლება საუკეთესოები იყვნენ, რაც სცდება ჩვეულებრივ სახელმწიფო ბიუჯეტს და მკვლელობაც შესაძლებელია პროცესის რამდენიმეჯერ შეურაცმყოფელი და უხერხული შეწყვეტების გარეშე განხორციელდეს, რის შესახებაც ზოგჯერ ვრცელდება ინფორმაცია. ისინი, ვინც უნდა დაისაჯონ სიკვდილით სავარაუდოდ დააფასებენ კერძოს ხარისხს.

ლოგანის წიგნში ეს არის მსჯელობის ძირითადი ხაზი. ერთადერთი განსხვავება ის არის, რომ ავტორი ახასიათებს კერძო ციხეებს და არა კერძო აღსრულებას. მისი დასკვნა კერძო ციხესთან მიმართებით ნათელია. ყოველივე იმის გეკეთება, რასაც სახელმწიფო აკეთებს, კერძო სექტორს უკეთესად შეუძლია. ან ყოველშემთხვევაში სახელმწიფოსნაირად მაინც და არა უარესად:

> კერძო ციხეების წინააღმდეგ არსებული არგუმენტები სიმყარითა და დამაჯერებლობით განსხვავდებიან, თუმცა ვერც ერთ სფეროში ვერ ვნახე კერძო ციხეებთან მიმართებით ვერც ერთი პოტენციური პრობლემა, რაც თუნდაც მსგავსი ან ახლოსმყოფი არ იქნებოდა პრობლემებისა, რომელიც სახელმწიფოს მიერ მართულ ციხეებში გვხვდება... იქიდან გამომდინარე, რომ ისინი არ წარმოქმნიან რაიმე სახის უნიკალურ ან გადაულახავ პრობლემებს, კერძო ციხეებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა კონკურენცია გაუწიოს (და ითა-

**ნამშრომლოს) სახელმწიფო ორგანოებთან ისე, რომ გავარკვიოთ, როგორ ვმართოთ უკეთესად ციხე, რომელიც იქნება უსაფრთხო, დაცული, ჰუმანური, ეფექტური და სამართლიანი (გვ. 5).**

ყოველივე ზემოხსენებულის მიუხედავად, ჩემი დარწმუნება მაინც ვერ შეძლეს და ცოტა გამანაწყენეს კიდეც. რატომ არის, რომ ის, რაც ლოგანისთვის ნათელია, ასეთი გაუგებარია ჩემთვის? მისი კარგად მოწესრიგებული/აწყობილი წიგნი კერძო ციხეების მართებულობის შესახებ მთელ თავს შეიცავს (გვ. 49-75). მისთვის ეს ყოველივე მისაღებია:

**ჩვენს მიერ არჩეული ლიდერები ფაქტობრივად ვერ ახორციელებენ პირდაპირ ძალაუფლებას; სამაგიეროდ, ისინი გამოსცემენ ინსტრუქციებსა და დირექტივებს, რომლებიც ქვემდგომი პირების მიერ ხორციელდება... თუმცა, მცდარია იმის მტკიცება/ვარაუდი, რომ საჯარო პირების ჯაჭვის მთლიანობა აუცილებლად უფრო მაღლა უნდა იდგეს, ვიდრე საკონტრაქტო ჯაჭვის მთლიანობა.**

ზემოხსენებული მსჯელობის უკან ჯონ ლოკი დგას, უფრო კონკრეტულად კი – რობერტ ნოზიკი (Robert Nozik) თავის ადრეული ნაშრომებით. ლოგანი თავის დასკვნებამდე სწორედ მათ მიჰყავთ (გვ. 52):

**კლასიკური ლიბერალური (ან თანამედროვე ტერმინით, ლიბერტარიანული) ტრადიციით, რომელზეც აშშ-ს მართვის სისტემა არის დაფუძნებული, ყველა უფლება ინდივიდუალურია და არა კოლექტიური. სახელმწიფო არის ხელოვნური და მას არ გააჩნია საკუთარი უფლებამოსილება, ლეგიტიმური ძალაუფლება ან უფლებები, გარდა იმისა, რაც მას ინდივიდებმა გადასცეს.**

ამ გადმოსახედიდან, შეიძლება გავიგო ლოგანის კერძო მკვლელობის და სურვილის, რომ მოხდეს ტკივილის მიყენების პრივატიზაცია ზოგადად. თუმცა, ეს ყოველივე ამავე დროს შეიძლება მონსტრად გადაიქცეს, მონსტრად რბილი ზედაპირით. რობერტ პ. ვეისი (Robert P. Weiss) (1989 წელი, გვ. 38) აღწერს სწორედ ხსენებულ ზედაპირს:

**ციხის კერძო კომპანიები ... არ საჭიროებენ სამხედრო უნიფორმასა და თანამდებობებს; საბრძოლო ლექსიკა და პოლკი, რაც პენიტენციის დაარსების დღიდან პენიტენციურ საქმიანობას ახასიათებს, აღარ არის აქტუალური. ციხის კომპანიებს კვლავ სურთ ლეგიტიმური ხელისუფლების ილუზიის შექმნა, თუმცა ფსევდო-ოფიციალური ხელისუფლების ნაცვლად მაინც საქმიანი იმიჯი იქმნება. მაგალითად, ობიექტებზე, რომელსაც CCA მართავს, პატიმრებს არ მოიხსენიებენ, როგორც „პატიმრებს“, სამაგიეროდ მათ „მოსახლეობას/რეზიდენტებს“ უწოდებენ. კერძო დაცვას კი – „მოსახლეობის/რეზიდენტების ზედამხედველად“ მოიხსენიებენ. გამოწყობილს აქლემისფერ ჯემპრებში, რომლებშიც კომპანიის განმასხვავებელი ნიშნებია ფარულად დატანილი, კერძო დაცვა როგორც ამას მავანი უწოდებდა, „კორპორატიული უსაფრთხოების სპეციალისტად“ არის წარმოდგენილია.**

ლოგანის სახელმწიფო სახელშეკრულებო სახელმწიფოა. კერძო პირები ირჩევენ წარმომადგენლებს. წარმომადგენლები სასჯელის აღსასრულებლად ფირმებს ქირაობენ. თუკი ფირმა ცუდია, იქირავებენ ახალს. კერძო დაცვა წარმოადგენს მის ფირმას. სხვა არაფერია, რაც შეიძლება, რომ წარმოადგინო. სახელმწიფო არის არტეფაქტი. თუმცა, ეს ნიშნავს, რომ დაცვა მკაცრი კონტროლის ქვეშ იმყოფება.

სხვა შემთხვევაში, სადაც არსებობს სახელმწიფო, ციხის ოფიცერი ჩემი ადამიანია. მის გასაღებს მოვკიდებდი ხელს, ან მის ნაცვლად ელექტრონული სკამის გადამრთველს დავაჭერდი. ის შესაძლოა იყოს ცუდი ოფიცერი. და მეც შესაძლოა ვიყო ცუდი. ორივე ერთად ჩვენ ვქმნით ცუდ სისტემას, რომელიც ასე კარგად არის ცნობილი სასჯელის ისტორიიდან. თუმცა მე მეცოდინებოდა, რომ მე ვარ შეთანხმებაზე პასუხისმგებელი პირი. დიდი იქნებოდა იმის შანსიც, რომ სისტემაში არსებული ადამიანები მხოლოდ ცუდები არ ყოფილიყვნენ. ისინი უფრო ადვილად იქნებოდნენ პირადად მობილიზებულნი. დაცვა იყო მათი დაცვა, მათი პასუხისმგებლობა, და არა General Motors-ის ან Volvo-ს ფილიალის თანამშრომელი. სასჯელების კომუნალური ხასიათი კერძო ციხის შესახებ შეთავაზებებში ორთქლდება. იქიდან გამომდინარე, რომ თანამედროვე კერძო ციხე იმდენად ამერიკული გამოგონებაა, რომ ძალზე დიდია ცდუნება შეკითხვისთვის,

ხომ არ დაივიწყეს მათ მათი ძველი მასწავლებელი, ჩარლზ ჰორტონ ქული (Cahrles Horton Cooley) (1864-1929 წლები), რომელიც საზოგადოებას, როგორც ინდივიდუალურობის საწოლს ისე ხედავდა.

ძველად, ჩვენ დავცინოდით საჯარო მოხელეებს, როგორიოც პირებს, რომლესაც თავიანთ სამუშაო მაგიდებზე ორი მელანი ედოთ, ერთი ოფიციალური, მეორე კი კერძო წერილებისთვის განკუთვნილი. ეს დღეები წარსულს ჩაბარდა, თუმცა არა მთლიანად. მსგავსი რამ იკვეთება, როდესაც, საჯარო პირს რაიმე სახის უკანონო ქმედების ჩადენაში დამნაშავედ სცნობენ, მაგალითად, როდესაც ორჯერ წარადგენს ერთი საჰაერო მიმოსვლის ანგარიშს, და ა.შ. მსგავსი ქმედებები უფრო სერიოზულ დანაშაულად აღიქმება, ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც ჩვეულებრივი, კერძო პირი ჩაიდენდა მათ. საჯარო პირი თავის თავზე მეტს წარმოადგენს, ის (კაცი იქნება თუ ქალი) წარმოადგენს საზოგადოებას, რომელიც ვარ მე. შესაბამისად, საჯარო მოხელეს უფრო მეტი პასუხისმგებლობა აკისრია, ვიდრე მათ, ვინც უბრალოდ კერძო ფირმებს ემსახურებიან. ამ ყოველივეს კი ღირსების საკითხამდეც მივყავართ. თუკი მე "კომუნალურ პირობებში" ვცხოვრობ, პოლიტიკოსები ჩემს ნაწილს წარმოადგენენ. თუმცა ასევე ჩემს ნაწილს წარმოადგენენ საჯარო მოხელეები, ვისაც, მნიშვნელოვანი ფუნქციების შესრულების მანდატით, ამოცანები და სიმბოლური ხარისხი მიენიჭათ. მათი მარცხი ჩემი სირცხვილია, ისევე, როგორც მათი წარმატება და კეთილსინდისიერება – ჩემი სიამაყეა.

შესაძლოა, აღნიშნული მიდგომა უფრო უცხოა მკითხველისთვის ამერიკაში, სადაც კერძო ინტერესებსა და სახელშეკრულებო სახელმწიფოს უფრო მეტი ძალა აქვს, ვიდრე – მკითხველისთვის ევროპაში, სადაც სახელმწიფო არსებობს მარად. დაჰრენდორფი (Dahrendorf) (1985 წელი) 1945 წელს ბერლინში არსებულ იმ დაუჯერებელ დღეებს აღწერს, ინტერვალს ორ რეჟიმს შორის, როდესაც ფაშისტური გერმანია დაეცა და ძალაუფლება ხელში საბჭოთა კავშირმა აიღო. ზოგიერთი დღე სახელმწიფო ძალაუფლების გარეშე და შემდეგ უკან

ნორმალური პირობებისკენ, როდესაც სახელმწიფო, უბრალოდ სხვა სახელმწიფო, მოექცა სათავეში. შესაძლოა, ფლემინგ ბალვიგი (Flamming Balvig) (ჩემი მანუსკრიპტის კომენტირებისას) მართალია, ამბობს რა, რომ ევროპელები მნიშვნელოვანწილად ორივე, ეროვნულ სახელმწიფოსაც და ეროვნულ კულტურასაც, ისეთ რამედ მიიჩნევენ, რაც ყოველთვის არსებობდა, რაც მოცემული იყო თავისთავად, მაშინ, როდესაც ამერიკელებისთვის ეს უფრო მეტად არის ის, რაც მათ, როგორც ინდივიდებმა, თვითონ შექმნეს. ლოგანის სახელშეკრულებო სახელმწიფოები შესაძლოა ჰარმონიაში იყოს ამერიკის თვითშეგნებასთან. თუმცა, ეს განსხვავებები კვლავ ბუნდოვანია. ჯესიკა მიტფორდი (Jessica Mitford) შემდეგნაირად ასრულებს თავის წიგნს (1974 წელი, გვ. 297):

> **ციხის გისოსებს გარეთ დარჩენილებს არ გვინდა მანდატურებსა და დაცვაზე, როგორც ჩვენს სუროგატებზე, ისე ვიფიქროთ. თუმცა, ისინი არიან სუროგატები და ისინი ციხის კედლებს მიღმა მათ ადამიანურ ტყვეებთან ერთად სასიკვდილოდ არიან გამოკეტილები. ასე ვართ ჩვენც.**
>
> **ამგვარად, საშინელი ორმაგი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანური ეთიკის ორიგინალურ კითხვას – განა ჩემი ძმის დარაჯი ვარ?**

შესაძლოა, საჯარო მოხელისადმი პატიმისცემის დონე ატლანტიკის ორივე მხარეს მცირდება. ისტორიულად, საჯარო მოხელე მეფის ადამიანად ითვლებოდა. სამოქალაქო პირი მხოლოდ სამხედრო პირისგან განსხვავებით. მეფის ძალაუფლების შემცირებასთან ერთად, ის, თეორიულად, სახელმწიფოს მსახურად გადაიქცა. ამ მხრივ, ასეთ მსახურს ჰქონდა პოტენციალი, კონკრეტულ საზოგადოებაში არსებულ ყველა სახის ღირებულებას მორგებოდა. ღირებულებებს, გამოხატულს პოლიტიკოსების, ხალხის მიერ ზოგადად ან ყველა სახის ექსპერტების მიერ. სკანდინავიაში არსებული უკანასკნელი განვითარებები იმედის საფუძველს იძლევა: პოლიტიკურ ატმოსფეროში, დანაშაულის ირგვლივ მძიმე მორალური პანიკისა და გამკაცრებუ-

ლი სასჯელის მოთხოვნით კანონისა და წესრიგის პოპულისტური გამოსვლების ფონზე, საჯარო მოხელეები მნიშვნელოვანწილად გამოდიოდნენ, როგორც ჯანსაღი და დამამშვიდებელი ელემენტები. პოლიციის უფროსები აცხადებდნენ, რომ სიტუაციას აკონტროლებდნენ და მეტი პოლიცია ალბათ არ იქნებოდა კარგი იდეა. ციხის უფროსებმა ნათლად აჩვენეს, რომ გადაჭარბებულ დაპატიმრებებს გადაჭარბებული ნეგატიური ეფექტი შეიძლება ჰქონდეს და უნდა გამოიყენებოდეს, როგორც შეზღუდვის უკიდურესი ზომა. ერთად მათ პოლიტიკოსებსა და საზოგადოებას შეახსენეს, რომ კრიმინალები ასევე უნდა იყვნენ კანონით დაცულნი, რომ ისინიც ადამიანები არიან და რომ ადამიანის უფლებების პრინციპები მათთვისაც არსებობს.

### 9.2 ინსპექტირება/მონიტორინგი

კერძო საპოლიციო კონტროლთან მიმართებით კერძო ციხეებთან დაკავშირებული მსჯელობის მსგავსი ხაზის განვითარება არის შესაძლებელი. ევროპის საბჭოსადმი მიმართულ ანგარიშში როზენტალი და ჰუგენბუმი (Rosenthal and Hoogenboom) სწორედ ზემოხსენებულს აკეთებენ (1990 წელი, გვ. 39):

> **წარმოიდგინეთ, რომ კერძო პოლიცია პოლიციის სამთავრობო ძალებზე უფრო ეფექტურად უმკლავდება პრობლემებს. წარმოიდგინეთ, კიდევ უფრო წინ რომ გადაიდგას ნაბიჯი, კერძო პოლიცია ასევე თანასწორად და სამართლიანობის ყველა სტანდარტის შესაბამისად უნდა ექცეოდეს ხალხს. შემდგომ, მიუხედავად ყველა გარეგანი მოთხოვნის შესრულებისა, ეს მაინც არ იქნება საკმარისი არგუმენტი კერძო პოლიციის არსებობის გამართლებისთვის. კონტინენტურ გარემოში ხალხი შესაძლოა თავს უკეთესად გრძნობდეს, როდესაც სახელმწიფო საქმეს აკეთებს – მიუხედავად შედეგის ხარისხისა.**

თუმცა, ინდუსტრიული ქვეყნების უმეტესობებში განვითარებული მოვლენების შედეგადაც კი ამ პრობლემისადმი ინტერესი არ ვლინდება. პირიქით, არსებობს კერძო საპოლიციო სექტორის მნიშ-

ვნელოვანი გაფართოების კონკრეტული ტენდენცია. მოვლენათა მსგავსი განვითარების შედეგად წინ წამოიწევა რიგი სერიოზული პრობლემებისა. თუმცა ციხის სფეროსთან მსგავსებები სრული არ არის. ეს კი შეარინგისა და შტენინგის (Shearing and Stenning) მასტიმულირებელ ნაშრომებში (მაგ., 1987 წელი), ისევე როგორც ფილიპ რობერტის (Phillipe Robert) მნიშნელოვან სტატიაში (1989 წელი) არის გამოხატული. ისინი სამი ძირითადი მიმართულებით იწყებენ მსჯელობას. პირველი, პოლიცია, რა თქმა უნდა, კერძო სტრუქტურიდან სახელმწიფოს საჯარო ინსტრუმენტად გადაიქცა. შესაბამისად, კერძო პოლიციაში არაფერია ახალი. მეორე, მატერიალურად მდიდარი ფენის, ფართო გაქანების მქონე საზოგადოების განვითარებასთან ერთად, ჩვეულებრივ პოლიციას მის წინაშე არსებული ყველა პრობლემის თუნდაც მცირედ ფრაგმენტზე მეტის მოგვარების შესაძლებლობა მინიმუმამდე აქვს დაყვანილი. ამ ყოველივეს ალტერნატიული გამოსავლები უნდა მოჰყვეს. და აქვე იკვეთება მათი მესამე მოსაზრებაც: კერძო პოლიცია ჩვეულებრივ პირობებში ასევე იძულებულია მოიქცეს, როგორც კერძო პირები ან ორგანიზაციები იქცევიან. მათ განკარგულებაში არ არის სასჯელაღსრულების აპარატი და ისინი, შესაბამისად, არ არიან განსაკუთრებულად ორიენტირებულები სასჯელზე:

> **... უსაფრთხოების კერძო სისტემების ლოგიკა ცალსახად მენეჯერულია და მართვის რისკებს უკავშირდება, ამცირებს რა ინვესტიციას შესაძლო ყველაზე დაბალი ფასით. რეპრესია დიდი ხანია უკვე პრიორიტეტს აღარ წარმოადგენს: ეს კონტრპროდუქტიულია/წამგებიანია ფირმის მიზნებისთვის, ისევე, როგორც ძვირია, იქიდან გამომდინარე, რომ ის, როგორც წესი, სახელმწიფო დაწესებულებების ჩართულობასაც მოიცავს. შესაბამისად, პრევენცია, რაციონალიზაცია და კომპრომისი უმაღლეს პრიორიტეტად იქცა. (რობერტი (Robert), გვ. 111).**

ყოველივე ზემოხსენებულს კი კონფლიქტებთან დაკავშირებით კვლავ მეტ სამოქალაქო გამოსავლამდე მივყავართ. კონფლიქტების,

რომელთან გასამკლავებლადაც სასჯელაღსრულების სამართალი ერთადერთ და თან ცუდად ფუნქციონირებად ალტერნატივად დარჩებოდა.

კერძო პოლიცია დამოკიდებულია სახელმწიფო პოლიციის ხელმისაწვდომობაზე – როგორც უკანასკნელი რესურსი. თუმცა, სახელმწიფო პოლიციისთვის მიმართვის აუცილებლობა დაბლა წევს კერძო სააგენტოს ავტორიტეტს. და ეს ასევე საშიში სტრატეგიაცაა. კერძო პოლიციის ეფექტურობა დამოკიდებულია ხალხის მიერ იმის რწმენაზე, რომ ჩვეულებრივი პოლიცია მოთხოვნის შემთხვევაში სრულად დაუჭერდა კერძო სააგენტოს მხარს. შესაძლოა არც მომხდარიყო ასე.

მაშინ როდესაც კერძო ციხეებში დაპატიმრებების მეტი შესაძლებლობები ჩნდება, კერძო პოლიციამ შესაძლოა პირიქით შეამციროს დაპატიმრებების რიცხვი. ამ პერსპექტივიდან, უკანასკნელი განვითარებები საკმაოდ მიმზიდველია. შეარინგისა და შტენინგის მოსაზრებებით, თანამედროვე კერძო პოლიცია არის მტკიცებულება ისეთი კერძო ავტორიტეტების თავიდან აღზევებისა, რომლებიც ზოგჯერ ეფექტურ კონკურენციას უწევენ წესრიგის განმარტებაზე სახელმწიფოს მიერ თვითაღიარებულ მონოპოლიას (1987 წელი, გვ. 13):

> **... ის, რაც ამჟამად კერძო საპოლიციო კონტროლთან მიმართებით ვიცით, იძლევა იმის უტყუარ მტკიცებულებას ... რომ, რასაც ჩვენ კერძო საპოლიციო კონტროლის ზრდასთან ერთად ვადევნებთ თვალს, საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად არამარტო პასუხისმგებლობის გადანაცვლებაა, არამედ – კერძოდ განსაზღვრული ახალი წესრიგის გაჩენაც, რომელსაც საპოლიციო კონტროლს კერძოდ დაქირავებული აგენტები ახორციელებენ. ისინი კი ზოგიერთ შემთხვევაში შეუსაბამოა ან ზოგჯერ კონფლიქტურიც კია სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ საზოგადოებრივ წესრიგთან.**

თუმცა, სასჯელაღსრულების სამართლის სფეროზე კონტროლის მიღების შესაძლო მოგება – აბოლიციონისტების (პირები, ვინც მხარს უჭერენ რომელიმე პრაქტიკის თუ ინსტიტუციის გაუქმებას, განსაკუთ-

რებით, როგორიცაა სიკვდილით დასჯა ან მონობა) საოცნებო სიტუ-აცია – დაბალანსებული უნდა იყოს კერძო პოლიციის ორ უმთავრეს დეფექტთან მიმართებით: მათი კლასობრივი კავშირები და სერი-ოზული პოლიტიკური კონფლიქტის დროს მათი ძალების ბოროტად გამოყენების პოტენციალები.

კლასობრივ აღრევას ორი მხარე აქვს. ყველაზე ნაკლებად პრობ-ლემატურს ის გამოკვეთილი ფაქტი წარმოადგენს, რომ მაღალი კლასის საზოგადოებისთვის უფრო მარტივად არის შესაძლებელი სამარცხვინო სიტუაციიდან დაიძვრინონ/გამოისყიდონ თავი. ეს ასევე სასჯელაღსრულების სამართლის ჩვეულებრივ სისტემასაც ეხება. ნა-თელია, რომ კონტროლის ყველა ფორმალური სისტემა ყურადღებას მოსახლეობის იმ ფენებზე ამახვილებს, რომლებიც ძალაუფლების მქონე პირებისგან უსაფრთხო მანძილზე იმყოფებიან. ძალაუფლების მქონე პირების სასამართლოსთვის გადაცემის გამონაკლისი შემთხ-ვევები უბრალოდ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებს წარმოადგე-ნენ. კერძო საპოლიციო კონტროლის უფრო მეტად პრობლემატურ ეფექტს წარმოადგენს ის, რომ კერძო პოლიცია შედარებით დაბალი ფენების ადგილსამყოფელსა და მათ ინტერესებს დაუცველს დატო-ვებს. ეს დიდი ბრიტანეთის ახალი რეალისტების (იანგის და მეთიუსის (Young and Metthews), (1992 წელი), იანგის და ლის (young and Lea) და იანგის (1984 წელი)), როგორც უმთავრესი მაჩვენებლების ცენტ-რალურ მესიჯს წარმოადგენს. ისინი არიან სრულიად მართლები, როდესაც ამბობენ, რომ მუშათა და მათზე დაბლა მგომი კლასის წარმომადგენლებს განსაკუთრებით ემუქრებათ ჩვეულებრივი ქურ-დობის, ძალადობის და ვანდალიზმის მსხვერპლად ქცევა. გადახდის შესაძლებლობისა და სურვილის მქონე პირების უსაფრთხოებაზე მზრუნველმა კერძო პოლიციამ შესაძლოა შეამციროს მაღალი კლა-სების ინტერესი, ჰყავდეთ კარგი, საჯარო პოლიცია და, შესაბამისად, სხვა დარჩენილი კლასები და მათი უბნები უფრო უარეს სიტუაციაში დატოვონ.

დამატებით ჩნდება მაკონტროლებლების გაკონტროლების პრობლემა. როგორ აღვკვეთოთ არსებულ საჯარო პოლიციასთან შედარებით კერძო პოლიციის უფრო გაძლიერება? როგორ გავაკონტროლოთ, რომ, საჯარო პოლიციამ, ფორმალურად ან არაფორმალურად, იმ საქმის განსახორციელებლად, რისი გაკეთებაც საჯარო პოლიციას არ ევალება, კერძო პოლიციის წარმომადგენლები არ დაიქირავოს? როგორ აღვკვეთოთ სახელმწიფო ძალაუფლებისთვის ისეთი კერძო ჯგუფების მხრიდან გაწეული საჭირო დახმარების მიღების ფაქტები, რომლებიც ხელშეუხებლები არიან რბილი მოსამართლეებისა და ადვოკატების მხრიდან.

გესტაპო ან სსრკ-ის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი (სუკ) დიქტატორების მიერ დაქირავებული კერძო ფირმების განყოფილებები რომ ყოფილიყვნენ, თავიანთ მეთოდებში ისინი თანაბრად ეფექტურები და მახინჯები შეიძლებოდა ყოფილიყვნენ, თუმცა, თავიანთ სახელმწიფო რეჟიმებს მსგავს დონემდე ვერ დააშინებდნენ. როდესაც დანაშაულის კონტროლის სისტემის გარკვეული ნაწილები ეკუთვნის სახელმწიფოს, მცირეოდენი იმედი მაინც არსებობს იმისა, რომ ეს ნაწილები სახელმწიფოს განადგურებასთან ერთად განადგურდებიან. არსებობს ამის მხოლოდ იმედი და არა დარწმუნებულობა, როგორც ეს ზოგიერთ აღმოსავლეთ ევროპულ ქვეყნებში შექმნილმა განვითარებებმა აჩვენა. თუმცა, თუკი ისინი კერძო ფირმებს წარმოადგენენ, რეჟიმის დაცემის შემთხვევაში ისინი უფრო მეტადაც კი იქნებიან დაცულნი. რეჟიმის დაცემის შემდგომ ისინი გახდებიან ისეთი სახის ორგანიზაციები, რომელთა საჭიროებასაც ორივე, საერთაშორისო და ეროვნული ინტერესები გაითვალისწინებენ. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ განადგურდა გესტაპოსა და ესესის ჯარები, თუმცა ის ფირმები, რომლებიც პატიმრებს მონებად ამუშავებდნენ და ბანაკებს საჭირო აღჭურვილობით ამარაგებდნენ, გერმანიაში დღესრეობითაც ცოცხლობენ, ისევე, როგორც უნივერსიტეტები, რომლებიც ბანაკებიდან საკვლევ მასალას იღებდნენ.

# თავი 10
# თანამედროვეობა გადაწყვეტილებებში

## 10.1 4,926 განმცხადებელი

წინა დღეებში პრობლემები მქონდა, თუმცა მცირეოდენი. ჩვენთან არსებობს ჩემი უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლის სურვილის მქონე განმცხადებლების მიმღები კომისია, რომლის წევრიც მე გახლავართ. წელიწადში ერთხელ კომისია ახალი სტუდენტების რაოდენობის შესახებ იღებს გადაწყვეტილებას. ამ ზაფხულს განმცხადებლების რაოდენობა შეადგენდა 4,928 ადამიანს. აქედან მხოლოდ 500 უნდა აგვერჩია. ახალგაზრდებს შორის არსებული უმუშევრობის დონემ უმაღლესი განათლების სისტემაზე დიდი გავლენა იქონია. თუმცა, ჩვენთვის ამოცანა მარტივი იყო. უნივერსიტეტში მიღების შესახებ უმეტესი გადაწყვეტილება სკოლის დამამთავრებელ კლასებში განმცხადებლის მიერ დაგროვილ ქულებს ეფუძნება. ქულები ერთ დიდ მონაცემში ჯამდება. სხვადასხვა სახის სამუშაო გამოცდილების არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია რამდენიმე დამატებითი ქულის მიღებაც. კეთილსინდისიერი და ძალზე ეფექტური მდივანი ამზადებს ყოველივეს და განმცხადებლებს აფასებს. კომიტეტის მოვალეობაში მხოლოდ გამსვლელი მინიმალური ქულის განსაზღვრა რჩება. მიიღება ყველა ის განმცხადებელი, რომელსაც აღნიშნულ ქულაზე მეტი ექნება დაგროვილი.

თუმცა დამატებით ასევე ორ სხვა პრობლემასაც ვაწყდებით. ზოგიერთი განმცხადებელი მათი ჯანმრთელობისა თუ სოციალური მიზეზების გათვალისწინებით რიგგარეშე მიღებას ითხოვს. შესაძლოა, ფინალური გამოცდების დროს ისინი მძიმე ავადმყოფობას უჩიოდნენ, ან ოჯახის წევრი გარდაეცვალათ, ან დაბრმავდნენ და დაყრუვდნენ, ეტლს მიეჯაჭვნენ, ან ნარკოტიკულ საშუალებებთან, კრიმინალთან ან გონებრივ აშლილობასთან დაკავშირებული მძიმე პრობლემები ჰქონდათ. ჩვენ ყოველ ცალკეულ შემთხვევას განვიხილავთ და, როგორც წესი, უმეტესი მათგანის მოთხოვნას ვაკმაყოფილებთ. ფაკულტეტმა უნდა იზრუნოს მათზე, ვინც გასაჭირშია. თუმცა, ამავე დროს, მინიატურულად, ჩვენ კეთილდღეობის ზოგად პრობლემას ვაწყდებით: არის თუ არა სწორი, რომ ისევე მარტივია ციხიდან ან ფსიქიატრიული კლინიკიდან უნივერსიტეტში მოხვედრა, როგორც სკოლიდან – ბეჯითი შრომისა და კარგი ქულების დამსახურებით? ამ კითხვაზე ჩვენ, როგორც წესი, დადებითად ვპასუხობთ. საბედნიეროდ, ამგვარი განაცხადების რაოდენობა დიდი არ იყო.

პრობლემებს ქმნის ასევე სხვა კატეგორიაც, არა ინდივიდუალური განაცხადების გამო, არამედ – იმ სკოლის კატეგორიის გამო, რომლიდანაც ისინი მოდიან. აღნიშნული სკოლები ჯიუტად აცხადებენ უარს მოსწავლეების შეფასების ოფიციალური სქემის მიხედვით შეფასებაზე. ისინი ამტკიცებენ, რომ საბოლოო გამოცდები და ქულები მოსწავლეების შესახებ არასაკმარის ინფორმაციას იძლევა. სამაგიეროდ, ამ სკოლებში ყოველი მასწავლებელი ყოველი მოსწავლის შესახებ ყოველ საგანში წერს პატარა ესსეს და ამ ყოველივეს მოსწავლის მიერ შესრულებული ერთი დიდი ნაშრომის დეტალურ შეფასებასაც უმატებს, იქნება ეს ნახატი, ფოტო-გამოფენა თუ ესსე სარტრის შესახებ.

შესარჩევი კომისიისთვის ეს შეუძლებელია. წელს ასეთი სკოლებიდან ჩვენ სამი განმცხადებელი გვყავდა. ყველა კარგად მახსოვს, რაც გარდაუვალი იყო, მათი სიახლოვის გამო. ყველა მათ-

განი, როგორც მათ სკანდინავიაში უწოდებენ, ე.წ. ვალდორფის (Waldorf Schools) ან რუდოლფ შტაინერის (Rudolf Steiner) სკოლებიდან არიან. მოსწავლეებს ამ სკოლებში 12 წლის განმავლობაში ხშირად ერთი და იგივე მასწავლებლები ასწავლიან. მოსწავლეები მათ იცნობენ, ალბათ ძალიან კარგადაც კი. თავიანთი მოსწავლეების შესახებ ისინი ხშირად წერენ გაგებით და უმეტეს შემთხვევაში, სიყვარულით. ისინი ახლოს არიან თავიანთ მოსწავლეებთან და ჩვენც გვაახლოვებენ მათთან. ეს კი გადაწყვეტილების მიღებას შეუძლებელს ხდის.

სამი განმცხადებელი საერთოდ შეფასების გარეშე იყო წარმოდგენილი. და რამდენიმე „სოციალური საქმე“. ესენი იყვნენ განმცხადებლები, რომლებთანაც მქონდა შეხება. თუმცა, იყო ასევე სხვა სულ ცოტა 4,400 განმცხადებელი მაინც, რომელთა მიღებაც ვერ მოხერხდა. ახალგაზრდები მიღებისთვის საჭირო ყველანაირი კრიტერიუმითა და საჭიროებით. თუმცა, მათი კვალიფიკაცია გადაკონვერტირდა ციფრებში და ეს ციფრები არასაკმარისი აღმოჩნდა.

რაც უარესია – და ეს ძალზე აქტუალურია ჩემი თემისთვის თანამედროვეობის შესაძლებლობების შესახებ, მე, ბევრი პრინციპული მოსაზრებიდან გამომდინარე, წინააღმდეგი ვარ მოსწავლეების გამოცდისა და ქულების სისტემის. მე ვიყავი აქტიური წევრი სამეფო კომისიისა, რომელიც ჩვენს სავალდებულო სასკოლო სისტემაში ქულების გაუქმებისთვის იბრძოდა. და რაც უფრო უარესია, მე ასევე წინააღმდეგი ვარ უნივერსიტეტში ლიმიტირებული მიღების, რის წინააღმდეგაც არაერთგზის მიმიცია ხმა. თუმცა, მე წავაგე აღნიშნული საქმეები და თავს ვალდებულად ვთვლი, მონაწილეობა მივიღო ჩემთვის გადმოცემულ ადმინისტრაციულ დავალებებში. ეს რომ მე არ გამეკეთებინა, სხვა ვინმე გააკეთებდა. შესაძლოა, მე მეხსნა ერთი ან ორი, რომლებიც სხვაგვარად ვერ მოხვდებოდნენ წმინდა მიწაზე.

## 10.2 ᲓᲐᲑᲠᲙᲝᲚᲔᲑᲔᲑᲘ

ერთ-ერთი მიზეზი, რატომაც მართლმსაჯულების აღსრულებისთვის ამდენი დროა საჭირო, არის ის, რომ სასამართლოები გადატვირთულები არიან საქმეებით, რომელთა საწარმოებლადაც ისინი ძალზე ცუდად არიან აღჭურვილნი. აღნიშნულის შესახებ ზოგადად ცნობილია. დრომ ჩაუარა უამრავ სასამართლოს. პარიკები ძირითადად გადავარდა მოდიდან და აღარ არის აქტუალური, თუმცა კვლავ დარჩა შენელებული ტემპი. საბეჭდმა მანქანამ შეცვალა ბატის ბუმბული და ზოგიერთ სასამართლოს კომპიუტერიც კი აქვს, თუმცა, ყოველივედან გამომდინარე, სასამართლოები კვლავ რჩებიან სუსტ, დაბრკოლებებით სავსე დაწესებულებებად, რომლებსაც ახალ მოთხოვნებთან ადაპტაცია არ ძალუძთ. დამატებით, მათი შედეგები ვერ უძლებს ხარისხის კონტროლს. უამრავი კვლევა სასჯელებთან მიმართებით დიდ უთანასწორობას აჩვენებს. მსგავსი ქმედების ჩადენისთვის ერთ უბანში თვეები მიუსჯიათ, მეორეში კი – წლები. ეს კი დამატებით საქმეს აჩენს სააპელაციო სასამართლოსთვის, გაუსაჩივრებლობის შემთხვევაში კი — უსამართლობას.

აშშ-ში ეს ყოველივე შეცვლის პირასაა და ამისთვის უკვე ბევრი რამ გაკეთდა.

1984 წელს კონგრესმა აამოქმედა სასჯელის რეფორმის აქტი (Sentencing Reform Act). აქტის უმთავრეს მიზანს ეფექტიანი და სამართლიანი სასჯელაღსრულების სისტემის მეშვეობით დანაშაულთან ბრძოლის კუთხით სისხლის სამართლის სისტემის გაძლიერება წარმოადგენდა. სამართლიანი განსაკუთრებით ნაკლებ განსხვავებას ნიშნავდა. მსგავსი ქმედებების ჩადენისთვის სასჯელიც მსგავსი უნდა ყოფილიყო. ამ მიზნით, რეფორმის შედეგად სასამართლოებს უფრო მეტი და უფრო ნაკლები უფლებამოსილება მიენიჭა. გაურკვეველი სასჯელისა და პირობით ვადამდე გათავისუფლების კომისიის ძველი სისტემების გაუქმებით სასამართლოებს მეტი უფლებამოსილება და ძალაუფლება მიენიჭათ. პირის გათავისუფლების დრო ახლა უკვე

სასამართლოების მიერ გადაწყდება. თუმცა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის დაკისრების შესახებ დეტალური სახელმძღვანელო პრინციპების სისტემის შემოღებით სასამართლოების უფლებამოსილება შეიზღუდა.

ამ მიზნით, კონგრესმა აშშ-ის სასჯელის დაკისრების კომისია (United States Sentencing Commission) შექმნა, რომელიც წარმოადგენს:

> **სასამართლო სისტემაში არსებულ დამოუკიდებელ ორგანოს, რომელიც შვიდი ხმის უფლების მქონე და ორი ხმის უფლების არმქონე, ex officio წევრისგან შედგება. ორგანოს უმთავრეს მიზანს ფედერალური სისხლისსამართლებრივი სისტემისთვის სასჯელის დაკისრების ისეთი პოლიტიკისა და პრაქტიკის შექმნა წარმოადგენს, რომელიც მართლმსაჯულების აღსრულებას ფედერალური დანაშაულის ჩამდენი მსჯავრდებულებისთვის შესაბამისი სასჯელის დაკისრების შესახებ დეტალური რეკომენდაციების გამოქვეყნების გზით უზრნველყოფს. (აშშ-ის სასჯელის დაკისრების კომისიის (U.S. Sentencing Commission) რეკომენდაციები, 1990 წელი, §1.1)**

აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში (მისრეტა აშშ-ის წინააღმდეგ (Misretta v. United States)) მხარი დაუჭირა სხვადასხვა გამოწვევასთან დაკავშირებით სასჯელის დაკისრების კომისიის კონსტიტუციურობას, შესაბამისად, დღესდღეობით კომისია ამტკიცებს, რომ ის ფედერალურ დონეზე აშშ-ში სასჯელაღსრულების სამართალთან მიმართებით განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს.

**ცხრილი 10.3-1. სასჯელის დაკისრების ცხრილი (პატიმრობა თვეების მიხედვით) სისხლისსამართლებრივი ისტორიის კატეგორია (სისხლისსამართლებრივი ისტორიის ქულები (Criminal History Points))**

| დანაშაული დონე | I (0 ან 1) | II (2 ან 3) | III (4,5,6) | IV (7,8,9) | V (10,11,12) | VI (13 ან მეტი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 0-6 | 0-6 | 0-6 | 0-6 | 0-6 | 0-6 |
| 2 | 0-6 | 0-6 | 0-6 | 0-6 | 0-6 | 0-6 |
| 3 | 0-6 | 0-6 | 0-6 | 0-6 | 0-6 | 0-6 |
| 4 | 0-6 | 0-6 | 0-6 | 2-8 | 4-10 | 6-12 |
| 5 | 0-6 | 0-6 | 1-7 | 4-10 | 6-12 | 9-15 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 0–6 | 1–7 | 2–8 | 6–12 | 9–15 | 12–18 |
| 7 | 1–7 | 2–8 | 4–10 | 8–14 | 12–18 | 15–21 |
| 8 | 2–8 | 4–10 | 6–2 | 10–16 | 15–21 | 18–24 |
| 9 | 4–10 | 6–12 | 8–14 | 12–18 | 18–24 | 21–27 |
| 10 | 6–12 | 8–14 | 10–16 | 15–21 | 21–27 | 24–30 |
| 11 | 8–14 | 10–16 | 12–18 | 18–24 | 24–30 | 27–33 |
| 12 | 10–16 | 12–18 | 15–21 | 21–27 | 27–33 | 30–37 |
| 13 | 12–18 | 15–21 | 18–24 | 24–30 | 30–37 | 33–41 |
| 14 | 15–21 | 18–24 | 21–27 | 27–33 | 33–41 | 37–46 |
| 15 | 18–24 | 21–27 | 24–30 | 30–37 | 37–46 | 41–51 |
| 16 | 21–27 | 24–30 | 27–33 | 33–41 | 41–51 | 46–57 |
| 17 | 24–30 | 27–33 | 30–37 | 37–46 | 46–57 | 51–63 |
| 18 | 27–33 | 30–37 | 33–41 | 41–51 | 51–63 | 57–71 |
| 19 | 30–37 | 33–41 | 37–46 | 46–57 | 57–71 | 63–78 |
| 20 | 33–41 | 37–46 | 41–51 | 51–63 | 63–78 | 70–87 |
| 21 | 37–46 | 41–51 | 46–57 | 57–71 | 70–87 | 77–96 |
| 22 | 41–51 | 46–57 | 51–63 | 63–78 | 77–96 | 84–105 |
| 23 | 46–57 | 51–63 | 57–71 | 70–87 | 84–105 | 92–115 |
| 24 | 51–63 | 57–71 | 63–78 | 77–96 | 92–115 | 100–125 |
| 25 | 57–71 | 63–78 | 70–87 | 84–105 | 100–125 | 130–137 |
| 26 | 63–78 | 70–87 | 78–97 | 92–115 | 110–137 | 120–150 |
| 27 | 70–87 | 78–97 | 87–108 | 100–125 | 120–150 | 130–152 |
| 28 | 78–97 | 87–108 | 97–121 | 110–137 | 130–162 | 140–175 |
| 29 | 87–108 | 97–121 | 108–135 | 121–151 | 140–175 | 151–188 |
| 30 | 97–121 | 108–135 | 121–151 | 135–168 | 151–188 | 168–210 |
| 31 | 108–135 | 121–151 | 135–168 | 151–188 | 168–210 | 188–235 |
| 32 | 121–151 | 135–168 | 151–188 | 168–210 | 188–235 | 210–262 |
| 33 | 135–168 | 151–188 | 168–210 | 188–235 | 210–262 | 235–293 |
| 34 | 151–188 | 168–210 | 188–235 | 210–262 | 235–293 | 262–327 |
| 35 | 168–210 | 188–235 | 210–262 | 235–293 | 262–327 | 292–365 |
| 36 | 188–235 | 210–262 | 235–293 | 262–327 | 292–365 | 324–405 |
| 37 | 210–262 | 235–293 | 262–327 | 292–365 | 324–405 | 360-სამუდამო |
| 38 | 235–293 | 262–327 | 292–365 | 324–405 | 360-სამუდამო | 360-სამუდამო |
| 39 | 262–327 | 292–365 | 324–405 | 360-სამუდამო | 360-სამუდამო | 360-სამუდამო |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 40 | 292–365 | 324–405 | 360-სამუდამო | 360-სამუდამო | 360-სამუდამო | 360-სამუდამო |
| 41 | 324–405 | 360-სამუდამო | 360-სამუდამო | 360-სამუდამო | 360-სამუდამო | 360-სამუდამო |
| 42 | 360-სამუდამო | 360-სამუდამო | 360-სამუდამო | 360-სამუდამო | 360-სამუდამო | 360-სამუდამო |
| 43 | სამუდამო | სამუდამო | სამუდამო | სამუდამო | სამუდამო | სამუდამო |

## 10.3 სახელმძღვანელო პრინციპები ტკივილის შესახებ გადაწყვეტილებებისთვის

სასჯელის დაკისრების კომისიის მუშაობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი აღბეჭდილია *ცხრილში 10.3-1*. ეს არის ე.წ. პატიმრობის ცხრილი. ცხრილის გამოყენების მთავარი პრინციპი საკმარისად მარტივია. პირველ რიგში გადავხედოთ დანაშაულის დონის რამდენიმე მაგალითს, ვერტიკალურ სვეტს ცხრილში. მოსამართლის ამოცანას აქ დანაშაულის ტიპის დადგენა წარმოადგენს. დანაშაული შესაძლოა იყოს თვითმფრინავის გატაცება, ან ამ უკანასკნელის მცდელობა. სახელმძღვანელო, თავი 2.14, ნათელია.

ა) საბაზისო დანაშაულის დონე: 38
ბ) სიკვდილის დადგომის შემთხვევაში, იზრდება 5 დონით.

სიკვდილის შემთხვევაში, დამნაშავე დაასრულებს 38 + 5 = 43, რაც ცხრილის მიხედვით სამუდამო პატიმრობას ნიშნავს.

უფრო რთული შემთხვევაა საცხოვრებელი ადგილის დაყაჩაღება. ამ შემთხვევაში ინსტრუქციები არის შემდეგი:

საცხოვრებელი ადგილის დაყაჩაღება

ა) საბაზისო დანაშაულის დონე: 17
ბ) კონკრეტული დანაშაულის მახასიათებლები
1) თუკი დანაშაული მინიმალურ დაგეგმვაზე მეტთან არის დაკავშირებული, უნდა გაიზარდოს 2 დონით.
2) თუკი ზარალი 2,500 აშშ დოლარზე მეტს შეადგენს, დანაშაულის დონე გაიზრდება შემდეგნაირად:

| ზარალი (მოქმედებს ყველაზე დიდი რიცხვი) | | დანაშაულის დონეების ზრდა (Increase in Level) |
|---|---|---|
| (A) | 2,500 აშშ დოლარი ან ნაკლები | არ იზრდება |
| (B) | 2,500 აშშ დოლარი ან მეტი | ემატება 1 |
| (C) | 10,000 აშშ დოლარი ან მეტი | ემატება 2 |
| (D) | 50,000 აშშ დოლარი ან მეტი | ემატება 3 |
| (E) | 250,000 აშშ დოლარი ან მეტი | ემატება 4 |
| (F) | 800,000 აშშ დოლარი ან მეტი | ემატება 5 |
| (G) | 1,500,000 აშშ დოლარი ან მეტი | ემატება 6 |
| (H) | 2,500,000 აშშ დოლარი ან მეტი | ემატება 7 |
| (I) | 5,000,000 აშშ დოლარი ან მეტი | ემატება 8 |

როგორც ვხედავთ, სასჯელის მინიმალური დონე იქნება 17. უარეს შემთხვევაში კი, მაქსიმუმ იქნება 30.

აქედან გამომდინარე, საქმის ნახევარი გაკეთებულია. რაც რჩება არის ის, რომ უნდა დადგინდეს დანაშაულის ისტორიის კატეგორია. სახელმძღვანელოს თავი 4.1 ასახავს, თუ როგორ უნდა დადგინდეს აღნიშნული კატეგორია:

(ა) ყოველ წინასწარ პატიმრობას, რომელიც სცილდება 1 წელიწადსა და 1 თვეს, დაემატოს 3 ქულა.
(ბ) ყოველ წინასწარ პატიმრობას, რომელიც გრძელდება არანაკლებ 60 დღისა (რომ არ ჩაითვალოს პუნქტ (ა)-ში მითითებული პერიოდი), დაემატოს 2 ქულა.
(გ) ყოველ წინასწარ პატიმრობას (პირველ ორ პუნქტში მითითებული პერიოდის გამოკლებით) დაემატოს 1 ქულა, ამ პუნქტისთვის სულ 4 ქულამდე.
(დ) დაემატოს 2 ქულა, თუკი მსჯავრდებული ჩაიდენს მყისიერ სამართალდარღვევას სასჯელის მოხდის პერიოდში, რომელიც მოიცავს პრობაციას, პირობით ვადამდე გათავისუფლებას, ზედამხედველობით გათავისუფლებას, პატიმრობას, სამუშაო გათავისუფლებას ან გაქცევის შემთხვევებს.
(ე) დაემატოს 2 ქულა, თუკი მსჯავრდებული მყისიერ სამართალდარღვევას ჩაიდენს გათავისუფლებიდან 2 წელიწადზე ნაკლებ დროში ისეთი პატიმრობიდან, რომლის სასჯელიც პირველი ორი პუნქტის მიხედვით დადგინდა, ან იმ დროს, როდესაც ასეთი სასჯელით პატიმრობაში იმყოფება ან გაქცეულის სტატუსი აქვს მინიჭებული. თუკი პუნქტ (D)-თვის 2 ქულა დაემატება, მოცემული პუნქტისთვის მხოლოდ 1 ქულა დაემატოს.

სასჯელის ცხრილში მაქსიმუმი შეადგენს 13 ქულას. წარსულის 4 მსჯავრი, რომელიც პატიმრობის 13 თვეს აღემატება, და 1 მცირე სასჯელი, არის ის, რაც აღნიშნულ შედეგს იძლევა.

ასეთი ინსტრუქციებითა და მითითებებით ჩვენ ყველას შეგვიძლია შევასრულოთ სამუშაო.

ადგილი ჰქონდა ყაჩაღობას (დონე 17), რომელიც კარგად იყო დაგეგმილი (იზრდება მე-19 დონემდე), ამას მოჰყვა ზარალი 10,000 აშშ დოლარზე მეტი (იზრდება 21-ე დონემდე), თუმცა არც იარაღი და არც ნარკოტიკული საშუალებები არ მოუპარავთ და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებაც არ მომხდარა, დანაშაულის დონე კვლავ რჩება 21.

სამართალდამრღვევს 2-ჯერ მიესაჯა სასჯელი, რომელიც 13 თვეზე მეტხნიან პატიმრობას მოიცავდა, შესაბამისად, მისი კრიმინალური/დანაშაულის ისტორიის კატეგორია ჰორიზონტალური შკალის მიხედვით არის 6. ამ პუნქტიდან ვეშვებით ქვემოთ იქამდე, სანამ არ შევხვდებით 21-ე დონის ჰორიზონტალურ ხაზს და შედეგიც ნათელი ხდება: მოსამართლე თავისუფალია აირჩიოს პატიმრობის ხანგრძლივობა 46-დან 57 თვემდე.

დაბრკოლებები გადალახულია.

## 10.4 გაკეთილშობილებული სამართლიანობა

ასეთი სახელმძღვანელოს უპირატესობას მისი გულწრფელობა წარმოადგენს. ის ნათლად გამოხატავს იმას, რასაც მოიცავს, თუმცა ასევე იმასაც აჩვენებს, რაც არ იყო გათვალისწინებული. ამასთან დაკავშირებით კონგრესი კომისიისთვის განკუთვნილ თავის რეკომენდაციებში ძალზე კონკრეტული და სპეციფიური იყო. ის:

**კომისიისგან ითხოვდა იმის გარანტიას, რომ მისი სახელმძღვანელო პრინციპები და პოლიტიკური განცხადებები ასახავდა იმ ფაქტს, რომ პატიმრობის**

**სახესთან ან ვადასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას მსჯავრდებულის განათლების, პროფესიული უნარ-ჩვევების, შრომითი ჩანაწერების, ოჯახური კავშირებისა და მოვალეობების, ისევე, როგორც საზოგადოებრივი კავშირების გათვალისწინება მიუღებელია/გაუმართლებელია.**

უნდა ვაღიარო, რომ ორჯერ მომიწია წაკითხვა: მიუღებლობა/გაუმართლებლობა? ჩემი ტრადიციით, მე უფრო ისეთი მოთხოვნის მოლოდინი მექნებოდა, რომლის მიხედვითაც სახელმძღვანელო პრინციპები ასახავდნენ ყოველი ზემოხსენებული ფაქტების, პირიქით, გათვალისწინების მიზანშეწონილობას. თუმცა, ეს ასე არ არის და კომისიაც მიყვება კონგრესის მოთხოვნებს, რომ არ გაითვალისწინოს:

**ასაკი.**

**განათლება და პროფესიული უნარ-ჩვევები.**

**ფსიქიკური და ემოციური მდგომარეობა.**

**ფიზიკური მდგომარეობა, მათ შორის ნარკოტიკულ საშუალებებზე და ალკოჰოლურ სასმელებზე დამოკიდებულება.**

**წარსული სამუშაო ჩანაწერები.**

**ოჯახური მდგომარეობა და პასუხისმგებლობები, ასევე საზოგადოებრივი კავშირები.**

**რასა, სქესი, ეროვნება, რელიგიური და სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი.**
**(აშშ. სასჯელის დაკისრების კომისია, 1989 წელი, გვ. 5.35-5.37)**

მოძველებული ევროპული კრიმინალური პოლიტიკის ტრადიციას მიჩვეული პირისთვის ასეთი დირექტივები, რბილად რომ ითქვას, გასაკვირია. დადებითად ინტერპრეტაციისას, გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ აღნიშნული ფაქტორები გამოირიცხოს, მაჩვენებელია სხვაგვარი სახის მართლმსაჯულების მიღწევის მცდელობისა. კონგრესი შესაძლო შიშობდა, რომ იმათ, ვინც ყველა კრიტერიუმს აკმაყოფილებდა, პრეფერენცია მიეღო; უბრალოდ ამ მიზეზით მიეღოთ მკურნალობა. საზოგადოების მაღალი ფენის კრიმინალებს შესაძლოა მიემართათ ოჯახისთვის და საზოგადოებრივი კავშირებისთ-

ვის, ისევე, როგორც მნიშნელოვანი პასუხისმგებლობებისთვის და შესაბამისად, უსამართლოდ გაქცეოდნენ სასჯელს, განსხვავებით იმ პირებისგან, რომლებიც მსგავსი კავშირებითა და პასუხისმგებლობებით არ გამოირჩეოდნენ.

ისეთი პირი, რომელიც ეკონომიკურად შეძლებულია და სოციალური კავშირებიც კარგი აქვს, ამ მდგომარეობის გამო არ უნდა გაექცეს სასჯელის სრულ ტვირთს. კარგი, ეს მისაღებია, მაგრამ რაც შეეხება ადამიანებს, რომლებსაც არ აქვთ შესაბამისი კავშირები და პასუხისმგებლობები და გამოირჩევიან განსაკუთრებით დაბალი სოციალური სტატუსით? თუკი სასამართლოს არ ექნება შესაძლებლობა ყველა ეს ფაქტორი გაითვალისწინოს – ისე, რომ დამატებითი უპირატესობით არ ისარგებლოს უკვე პრივილეგირებულმა პირმა – სასამართლოს ამავე დროს არ ექნება შესაძლებლობა გამოავლინოს მეტი თანაგრძნობა მათ მიმართ, ვინც განსაკუთრებით დაუცველია. ამით ისინი სოციალური სამართლიანობის მთლიან საკითხს აღმოფხვრიან. რაც შეეხება ძალზე გაჭირვებულ სამართალდამრღვევს, რომელიც მხოლოდ შიმშილის გამო იპარავს? ან როგორ მოვიქცეთ მარტოხელა ადამიანთან მიმართებით, რომელსაც არ აქვს შესაბამისი სოციალური კავშირები. (მცირე რაოდენობის) შეძლებული ადამიანის მიერ თავისი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აღკვეთასთან ერთად კანონმდებელი უკანონოდ თვლის მართლმსაჯულებისთვის, რომ მოხდეს ზუსტად იმ ფაქტორების გათვალისწინება, რომლებიც ასე დამახასიათებელია ციხეში მოთავსებული პირების უმრავლესობისთვის: სიღარიბე და გაჭირვება, „კარგ ცხოვრებაში წილის არარსებობა“, „სახიფათო ფენის“ არაპროდუქტიულობის ყველა უმთავრესი ატრიბუტი.

კონგრესს რომ მართლა მოენდომებინა შეძლებული ადამიანების მიერ თავიანთი სოციალური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების თავიდან აცილება, კონგრესი მოაგვარებდა პრობლემას. სოციალური ფაქტორების ამოქმედება არ არის იმაზე რთული, ვიდრე

ისეთი ქმედებების განხორციელება, რომლებიც დანაშაულად არიან მიჩნეულნი. მინდა დავეხმარო კომისიას ქვემოთ მოცემული დანაშაულის დონის ცხრილის შედგენაში:

თავდაპირველად, რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას გაზრდასთან (increases) დაკავშირებით:

**სამართალდამრღვევს უმაღლესი განათლებით (ვისაც შესაბამისად, უკეთესად უნდა სცოდნოდა) ემატებათ 2 ქულა;**

**სამართალდამრღვევს ბოლო ორი წლის განმავლობაში X-ზე მეტი შემოსავლით ემატება 4 ქულა;**

**სამართალდამრღვევს მნიშვნელოვანი წარსული სოციალური კავშირებითა და პასუხისმგებლობებით ემატება 5 ქულა.**

შემდგომ კი — ორიოდე სიტყვა შემცირებებზე (reductions):

**მინიმალური სავალდებულო განათლების მქონე სამართალდამრღვევს აკლდება 3 ქულა;**

**სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრებ სამართალდამრღვევს აკლდება 4 ქულა;**

**სამართალდამრღვევს, რომელსაც ახალგაზრდობაში არაორდინალური ტრავმა აქვს მიღებული და რომელიც სოციალური საგამოძიებო ორგანოების მიერ არასაკმარისი სოციალური ფენის მქონე პირად არის მიჩნეული, გამოაკლდეს 5 ქულა.**

აღნიშნული ჩამონათვალი უფრო გრძელი და უფრო წონადი შეიძლებოდა ყოფილიყო. ბრალეულობის რა რაოდენობა დარჩება ქალზე, რომლის მიმართაც ბავშვობიდან გამუდმებით ხდებოდა მამამისის მხრიდან ფიზიკური და სექსუალური ძალადობა და რომელმაც, სიღარიბესა და გაჭირვებაში მცხოვრებმა, ბოლოს სასოწარკვეთის ნიადაგზე მოკლე მამამისი? ან, ასეთი ნათელი რომ არ იყოს: რაც შეეხება ისეთ გარემოებებს, როდესაც, დამატებით დედამისმა ყოველივეს შესახებ იცოდა და ერეოდა? რა დონის შემამსუბუქებელი გარემოება უნდა

იქნეს ასეთ ვითარებაში გათვალისწინებული? და დამატებით იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს პიროვნება გარეუბნებში/ბარაკებში იზრდებოდა? შესაძლოა მომხდარიყო ისე, რომ, როდესაც ყველა შემამსუბუქებელი გარემოება იქნებოდა გათვალისწინებული, ზოგიერთი დამნაშავის დანაშაულის I დონის ქვემოთ გადაყვანა გახდებოდა საჭირო, ისე, რომ მოსამართლე იძულებული გახდებოდა მათთვის კომპენსაციის გადახდის ვალდებულება საზოგადოებისთვის დაეკისრებინა? ამ საკითხის უფრო ღრმად შესწავლას უნდა გამოეწვია დანაშაულის კონტროლის, როგორც პოლიტიკურ დებატებში მონაწილე პირებისთვის ძალზე გამოსადეგი თემის, განადგურება.

რაძინოვიჩი და ჰუდი (Radzinowicz and Hood) (1981 წელი) აღწერენ იმ განვითარებებს, რომლებმაც ასეთ მდგომარეობას შეუწყო ხელი. რეფორმების უმეტესი ნაწილი გამოწვეული იყო გულწრფელი სურვილით შეემცირებინათ პატიმრობის რაოდენობის გამოყენება. გავლენიანი კომიტეტი, რომელიც პატიმრობას შეისწავლიდა (ვონ ჰირში (von Hirsch)) (1976 წელი) იყო ძალზე გასაგები სასჯელის ნაკლებად და არა მეტად დაკისრებასთან დაკავშირებით. კომიტეტის თანახმად, დაპატიმრებების რიცხვის შემცირების გარეშე სარეაბილიტაციო მოდელის მიტოვება, იქნებოდა წარმოუდგენელი სისასტიკე და საშიში ქმედება. ხუთი წელი, მკვლელობების გამოკლებით, იქნება უმაღლესი სასჯელი. რაძინოვიჩი და ჰუდი ასევე ყოფილი მოსამართლე, ბაზელონის, სიტყვების ციტირებას ახდენენ (1978 წელი):

> **ის სწორად იქცევა, როდესაც აკრიტიკებს სენატის კანონპროექტს, რომელიც კომისიის შექმნის ინიციატივით გამოდის, იმ მოტივით, რომ თანასწორობის რიტორიკით ის „ითვალისწინებს კრიმინალურ პროცესს, როგორც სოციალური კონტროლის უდიდეს ძრავს". იქიდან გამომდინარე, რომ დანაშაულის პრობლემა ჩადებულია საზოგადოების სოციალურ პირობებში, „შესაბამისად, გადაწყვეტილებები სამართალდამრღვევის მდიდარი წარსულის გამოცდილებიდან გამომდინარე უნდა იქნას მიღებული". ამ დელიკატური პროცესის „ავტომატიზირების" მცდელობა „მონაწილეებს და საზოგადოებას მთლიანად ართმევს ინფორმაციას, რომელიც ასეთი მნიშვნელოვანია სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების ცნებისთვის".**

მიზეზები, რატომაც არ მომხდარა სოციალური ფაქტორის სასჯელის ცხრილში ჩართვა, მყარად ეფუძნება *just deserts*-ის იდეოლოგიას. ამ იდეის უმთავრეს შინაარსს წარმოადგენს ის, რომ სასჯელი კრიმინალური ქმედებების დასჯადობას უნდა ასახავდეს. და რაც უფრო ნაკლები სოციალური ფაქტორია თვალთახედვის არეში, მით უფრო ნათელი ხდება კონკრეტულ ქმედებასა და სასჯელს შორის კავშირი. სოციალურ ფაქტორებს შეუძლიათ აურიონ ნათელი და სავარაუდოდ სამართლიანად დამსახურებული სასჯელი, რომელიც ბოროტმოქმედების შედეგია. *Just deserts*-ის ფარგლებში, ეს ჩანს, როგორც ზიანის მომტანი. მორალური მასშტაბი – და საზოგადოებისადმი მიმართული მესიჯის სიცხადე – ბუნდოვანია, ისევე, როგორც – უსამართლობის პრევენციის შესაძლებლობა, იგივე ქმედებისთვის სხვადასხვა სასჯელების დაკისრების გაგებით. მიზანს წარმოადგენს უთანასწორობის პრევენცია, თუმცა სოციალური შედეგები გამოიხატება იმაში, რომ გადაწყვეტილების მიღების სისტემიდან სხვა მნიშვნელოვანი ღირებულებები იდევნება. *Just deserts* ხდება სამართლიანი ერთ შემთხვევაში და სასტიკად უსამართლო, როდესაც სხვადასხვა ღირებულებები უნდა დადგეს ერთმანეთის პირისპირ სასწორზე. იქიდან გამომდინარე, რომ სხვა ღირებულებები ძირითადად სოციალურად დაუცველი პირებისთვის უპირატესობის მინიჭებად ითვლებოდა, *just deserts*-ში არსებული შეზღუდვები მთლიანობაში უკიდურესად უსამართლო სისტემას ქმნიან. თავისი სიმარტივის გამო, სწრაფი მართლმსაჯულებისთვის და სისხლისსამართლებრივ პროცესებზე სამართალდამრღვევის დეპერსონალიზაციისთვის აღნიშნული თეორია ყველაზე გამოსადეგი და მისაღებია.

## 10.5 კანონდამრღვევთან თანამშრომლობა

ამერიკის უფლებათა ბილის მიხედვით, ყველა ამერიკელს, რომელსაც ბრალად ედება დანაშაულის ჩადენა, აქვს უფლება მისი საქმე მიუკერძოებელმა სასამართლომ განიხილოს. თუმცა რეალობაში, ბრალდებულთა ძალზე მცირე პროცენტი თუ იყენებს აღნიშნულ უფ-

ლებას. 90%-ზე მეტი – ზოგან კი 99%-მდე – თავს დამნაშავედ ცნობს. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუკი აღიარებების რიცხვი თუნდაც მცირე პროცენტით მაინც შემცირდებოდა, აშშ-ში არსებული მთელი სასამართლო სისტემა ფაქტობრივად პარალიზებული იქნებოდა.

მაგრამ რატომ ცნობენ თავს დამნაშავედ?

იმიტომ, რომ ისინი თავის უდანაშაულოდ ცნობის რისკს საკუთარ თავზე ვერ იღებენ.

კანონდამრღვევთან ასეთი წარმოუდგენელი თანამშრომლობის მიღწევის მექანიზმი მარტივია და მას საპროცესო გარიგება ეწოდება. პროკურორს სჯერა, რომ მას შეუძლია დაამტკიცოს სავარაუდო კანონდამრღვევის მიერ ა, ბ, გ და დ ქმედების ჩადენა. აქედან გამომდინარე, პროკურორი ბრალდებულს აღნიშნული ქმედებების ჩადენაში მისი ბრალის აღიარების სანაცვლოდ ჰპირდება, რომ მხოლოდ ა და ბ ქმედებისთვის აგებინებს პასუხს.

შესაბამისად, ამერიკელები გასამართლებულნი არიან არა იმისთვის, რაც მათ სინამდვილეში ჩაიდინეს, არამედ იმისთვის, რაზეც პროკურორთან მოლაპარაკება შეძლეს.

სასჯელის დაკისრების კომისია აღნიშნული სისტემისადმი დადებითად არ იყო განწყობილი და შეეცადა, გაეუქმებიან ბრალის აღიარება[34], თუმცა, საბოლოოდ საქმის ბოლომდე მიყვანაზე უარი თქვეს, იქიდან გამომდინარე, რომ მათ ვერ შეძლეს:

---

[34] კომისია წერს (1990 წელი, გვ. 1.4–1.5): კომისიისთვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა იმის გადაწყვეტა, სასჯელის დაკისრება უნდა მომხდარიყო რეალური ქმედების გათვალისწინებით, რომელშიც ბრალდებული იყო გარეული მიუხედავად ბრალდებისა, რომლის საფუძველზეც მოხდა მისი დაკავება („რეალური დანაშაულის“ სასჯელი), თუ ისეთი ქმედების გათვალისწინებით, რომელიც დანაშაულის ელემენტს წარმოადგენს, რომლისთვისაც ბრალდებულს ბრალი წაუყენეს და რომლისთვისაც ის იყო მსჯავრდებული („ბრალდების დანაშაულის“ სასჯელი). ბანკის მძარცველს, მაგალითად, შესაძლოა გამოეყენებინა იარაღი, შეეშინებინა ხალხი, აეღო 50,000 აშშ დოლარი, ზიანი მიეყენებინა მოლარესთვის, გაფრთხილებაზე რომ გაჩერებულიყო, უარი განეცხადებინა და გაქცეულიყო გზად შემხვედრი საკუთრების დაზიანებით. რეალური დანაშაულის სისტემა გადახედავდა ზოგიერთ ზიანს, რაც არ შეესაბამება დანაშაულის შემადგენელ ნაწილებს, რომლის გამოც პირს ბრალი წაეყენა.

**... სამართლიანი სასამართლო პროცედურების საჭიროებისა და სასჯელის სწრაფი დაკისრების საჭიროების ერთმანეთთან შეთავსების პრაქტიკული გზის გამონახვა (1990 წელი, გვ. 1.5).**

შესაბამისად, როდესაც მოსამართლე სასჯელის დაკისრების ცხრილს იყენებს, ქმედება, რომლის კატეგორიზაციაც უნდა მოხდეს არის არა ის, რაც დამტკიცდა რომ ბრალდებულმა ჩაიდინა, არამედ ის, რაზეც ბრალდებული და პროკურორი შეთანხმდნენ — თუკი ბრალდებული იმდენად გულკეთილია, რომ აღიაროს დანაშაული და შესაბამისად უზრუნველყოს მარტივი და სწრაფი სასამართლო პროცესი.

ასეთი სისტემის შედეგად ლანგბეინი (Langbein) (1978 წელი) გამოყოფს ორ მიმართულებას. პირველი, ის უზარმაზარი ძალის კონცენტრირებას პროკურატურის ხელში ახდენს (გვ. 18):

**სასამართლო პროცესის შესახებ არსებული ჩვენი ფორმალური კანონი პასუხისმგებლობის განაწილებას ითვალისწინებს. ჩვენ ველით პროკურორისგან ბრალდებას, მოსამართლისგან და განსაკუთრებით ნაფიცი მსაჯულისგან — შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას და მოსამართლისგან — სასჯელის ზომის დადგენას. საპროცესო გარიგების შედეგად კი სამივე ფაზა — ბრალდების, დადგენის და ფუნქციური — პროკურორის ხელში ხვდება.**

რაძინოვიჩი და ჰუდი სრულად თანხმდებიან ზემოხსენებულზე (1981 წელი, გვ. 142-143):

**სასამართლოს დისკრეციული უფლებამოსილების მკვეთრი შეზღუდვა და მისი ზედამხედველობა ამცირებს მოსამართლის როლს კრიმინალურ პროცესებში და ზრდის პროკურორის ძალაუფლებას.**

თუმცა, რომ აიძულო ბრალდებული დანაშაული აღიაროს, რაიმე სახის საშინელება უნდა მოხდეს, მან რომ არ აღიაროს. ლანგბეინის (Langbein) სიტყვებით (გვ. 12):

მეოცე საუკუნის ამერიკაში ჩვენ გავიმეორეთ შუა საუკუნეების ევროპული ცენტრალური გამოცდილება სისხლის სამართლის პროცესთან მიმართებაში: ჩვენ სასამართლოს სისტემიდან აღიარების სისტემაზე გადავინაცვლეთ. ჩვენ ვაიძულებთ ბრალდებულს, რომლის წინააღმდეგაც მისი დამნაშავეობის სავარაუდო მტკიცებულებებს ვნახულობთ, რომ აღიაროს თავისი ბრალი. რა თქმა უნდა, ჩვენი საშუალებები გაცილებით გასაგები და მისაღებია; ჩვენ არ ვიყენებთ წამების ადრე გავრცელებულ მეთოდებს, არამედ, როგორც შორეული საუკუნეების ევროპელები, რომლებიც აღნიშნულ მეთოდებს იყენედნენ, ჩვენ ვქმნით ისეთ სისტემას, რომლის შედეგადაც ბრალდებულისთვის მისი უფლებების დაცვა ძალიან ძვირი ჯდება. ჩვენ ვემუქრებით მას სანქციების მატერიალური გაზრდით, თუკი ის ისარგებლებს თავისი საკონსტიტუციო უფლებებით და შემდგომ მაინც გახდება მსჯავრდებული. სანქციებს შორის განსხვავება არის ის, რაც საპროცესო გარიგებას რეალურს ხდის.

და სქოლიოში (გვ. 17) ის წინ წევს საკითხს იმის შესახებ, საპროცესო გარიგების სისტემა წარმოადგენს თუ არა აშშ-ში დასჯადობის მაღალი დონის არსებობის მიზეზს? მისი თქმით:

მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეებში, როდესაც ევროპელები აუმჯობესებდნენ თავიანთ სასჯელებს, ჩვენ ამას არ ვაკეთებდით. ჩნდება კითხვა, არის თუ არა საპროცესო გარიგების სისტემის მოთხოვნები ამაში გარკვეულწილად დამნაშავე?

## 10.6 დეპერსონალიზაცია

პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომ ბრალდებულის სოციალური წარმომავლობისთვის ყურადღება არ მიექციათ, მოიცავს უფრო მეტს, ვიდრე ტკივილის შესახებ გადაწყვეტილებასთან მიმართებით აღნიშნული ნიშნების შეუსაბამობას. ამის გარდა, ბრალდებული უმეტესწილად აღარ აღიქმება, როგორც პიროვნება. არ აქვს მნიშვნელობა სოციალურ წარმომავლობას, ბავშვობას, ოცნებებს, მარცხებს – აღრეულს ბედნიერი დღეების ერთგვარ გამოვლინებებთან – სოციალურ ცხოვრებას, ყველა ეს მცირე დეტალი, რაც უმთავრესია სხვა პირის, როგორც სრული პიროვნების აღსაქმელად. სასჯელის შესახებ

სახელმძღვანელო და მისი უპირველესი შედეგი, სასჯელის დაკისრების ცხრილი, დანაშაული სტანდარტიზებულია როგორც კანონდარღვევის დონე, ადამიანის სიცოცხლე — როგორც კრიმინალური ისტორიის ქულები და ტკივილის მიყენების შესახებ გადაწყვეტილება კი მცირდება იქამდე, სანამ ორი ხაზი ერთმანეთს არ გადაკვეთს. სწორი გადაწყვეტილება სივრცეში წერტილად იქცევა, და ტკივილად.

ამგვარად, სისხლის სამართლის პროცესი ხდება მსგავსი იმისა, რასაც გეორგ ზიმელი (Georg Simmel) (აქ 1950 წელი) აღწერს ეკონომიკური ცხოვრებიდან. მისთვის, ფული წარმოადგენს კონდენსირებულ, ანტი-ინდივიდუალურ ერთეულს, რომელიც თანამედროვე ცხოვრებას შესაძლებელს ხდის. მის შეშფოთებას იწვევს ის, რომ თანამედროვეობა ავტონომიასა და ინდივიდუალობას ანადგურებს.

> **...მოვლენათა ინდივიდუალობა არ თავსდება მატერიალურ პრინციპებთან. ამ თვისებებმა ასევე უნდა გააფერადონ ცხოვრების შინაარსი და მხარი დაუჭირონ იმ ირაციონალურ, ინსტინქტურ, სუვერენულ კვალსა და იმპულსებს, რომლებიც ცხოვრების წესის შიგნიდან განსაზღვრას ისახავენ მიზნად, გარედან მიღებული ზოგადი და სპეციალურად სქემატური ცხოვრების წესის მიღების მაგივრად (გვ. 409–413).**

სასჯელის გამოტანის მიზნიდან გამომდინარე, ბრალდებული ასევე შესაძლებელია არ იმყოფებოდეს სასამართლოში. ყველაფერი უკავშირდება ქმედებასა და წარსულში განხორციელებულ ქმედებებს, რომლებიც დანაშაულს წარმოადგენენ. ბრალდებულს მინიმალური შესაძლებლობები აქვს, თავისი თავი კაცობრიობის სამყაროს როგორც ჩვეულებრივი და, შესაბამისად, თავისებური წევრი, ისე წარმოადგინოს.

გადაწყვეტილების მიღების აღნიშნულ სისტემას აქვს აშკარა შედეგი ადამიანთან მიმართებით დისტანციის შექმნის. როდესაც სოციალური კუთვნილებები უგულვებელყოფილია, თითქოს „ობიექტური“ და მიუკერძოებელი სისტემა იქმნება. ზიანი ფულადი ერთეულია

– ზიანი ტკივილით, როგორც მისი ფასი. ეს არის სისტემა, რომელიც სრულად შეესაბამება ნორმალურ ბიუროკრატიულ სტანდარტებს და ამავე დროს უჩვეულოდ კარგად ერგება ძალაუფლების მქონე ადამიანებს.

მანძილი შეიძლება შეიქმნას ფიზიკურად შორ მანძილზე გამოსაყენებელი (long-range) იარაღის მოხმარებით, სოციალურად – კლასით, პროფესიონალურად – მომზადებული/ნასწავლი უუნარობით დაინახო მთლიანი ადამიანი ისეთი, როგორიც ის იქნებოდა აღქმული, რომ ყოფილიყო მეზობელი, მეგობარი ან საყვარელი. უფლებამოსილებათა სტრუქტურაში დამატებითი მანძილი იქმნება ბრძანებების მიხედვით მოქმედებიდან გამომდინარე. სასჯელის დაკისრების ცხრილი სწორედ ასეთი ბძანებაა ზემოდან. მოსამართლე შესაძლოა თავისი სირბილით გამოირჩეოდეს. მან შესაძლოა გაიგოს სიღატაკეში ცხოვრების გემო. თუმცა ცხრილი იქვეა. ძალიან ვწუხვარ, მაგრამ თქვენი დანაშაულის დონე არის 38. ეს არ არის ჩემი პერსონალური გადაწყვეტილება, მე ის უბრალოდ უნდა განვახორციელო.

სასჯელის აღნიშნული სისტემით, ძალაუფლების მქონე პირებს შედარებით უფრო მეტი კონტროლის შესაძლებლობა ექნებათ, ვიდრე მანამდე. განვითარდა სასჯელის დაკისრების შესახებ ყველა გადაწყვეტილების რეგისტრაციის სისტემა და უფრო მეტი სიახლეა მოსალოდნელი (აშშ-ის სასჯელის დაკისრების კომისიის წლიური ანგარიში, 1989 წელი). ამ ყოველივეს კი ძალაუფლება კიბის შემდგომ საფეხურზე აყავს, ბრალდებულის შესაძლო იდენტიფიკაციისგან ერთი საფეხურით მოშორებით და ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთი ნაბიჯით ახლოს.

სასჯელის დაკისრების კომისიები უკვე აშშ-ის არაერთ შტატშია ამოქმედებული: მინესოტა, ორეგონი, პენსილვანია და ვაშინგტონი. მინესოტა კი ზოგადად მიჩნეულია აღნიშნულის როგორც ძალზე წარმატებული შემთხვევა (მაგ, ვონ ჰირში (von Hirsch), 1982 წელი), მაშინ,

როდესაც ტონრი (Tonry) (1991 წელი, გვ. 309) ფედერალურ სისტემას კატასტროფას უწოდებს. თუმცა, მათი ნაშრომების მიღმა არსებული ძირითადი პრინციპები თითქოს მსგავსია. ისინი ქმნიან გამარტივებული ცხრილების თავიანთ ვარიანტებს, რომლებიც დანაშაულის ტიპიდან და წარსულში არსებული მსჯავრის რაოდენობიდან გამომდინარეობენ და პასუხებიც მოცემულია.[35]

[35] ნაშრომში სასტიკი სახელწოდებით „სასჯელაღსრულების რეგრესიები“, რაძინოვიჩი ამბობს:
მიმაჩნია, რომ სასჯელის დაკისრების კომისიებს აქვთ ამა თუ იმ სახის სერიოზული ხარვეზები. ისინი არ უნდა იყვნენ მიჩნეულნი გამოსავლად პრობლემიდან, რომელსაც სასჯელაღსრულების თანამედროვე სისტემა აწყდება. რჩევის სახით გამოსავლის მიწოდება – მისაღებია, მაგრამ არა პირდაპირი დირექტივების გაცემა.

## თავი 11
# სამართლიანობა განხორციელებულია თუ მართული?

გაზეთ The New Yorker-ში განთავსებული ხუმრობები ხშირად გაუგებარია ევროპელებისთვის. ჩვენ არ ვიზიარებთ საერთო კულ-ტურულ ფონს და ამიტომ ხშირად ვერ ვიგებთ ერთმანეთის სიმბო-ლოებსა და მათ ორმაგ მნიშვნელობას. კულტურული სიმბოლოები მხოლოდ მსგავსი და გაზიარებული გამოცდილების შემთხვევაში შეიძლება იყოს გაგებული.

ჩვენ დროში, ადამიანების უმეტესობისთვის და ატლანტიკის ორივე მხარეს, ქალბატონი იუსტიციის (Lady Justice) იმიჯი კარგად ნაცნობია და თავისი მნიშვნელობითაც არის დატვირთული. ერთ ხელში მას, ბა-ლანსის პრინციპზე დაყრდნობით, სასწორი უჭირავს, რა თქმა უნდა, ძველმოდური სახის, მეორე ხელში კი – მახვილი. უმეტესად, მას თვა-ლებზე ნაჭერი აქვს ახვეული და თეთრ სამოსშია წარმოდგენილი.

აღნიშნულ სიმბოლოს დიდი მნიშნელობა აქვს. მაგრამ, რა თქმა უნდა, ყველასთვის – არა. შესაძლოა, ჩვენ სამართალი უკეთესად გავიგოთ, თუკი ისეთ სოციალურ სისტემებს გადავხედავთ, სადაც ამ ქალბატონს არავითარი მნიშვნელობა არ გააჩნია და შევადარებთ მათ ისეთ სისტემებს, სადაც მას ფაქტობრივად წმინდა მნიშვნელო-ბა აქვს. მოდით, სწორედ ასე მოვიქცეთ და შევადაროთ სამი სახის სამართლებრივი ორგანიზაცია: სოფლის სამართალი, წარმომად-გენლობითი სამართალი და დამოუკიდებელი სამართალი. ეს იქნება

იდეალურ-ტიპიური დახასიათება, სამართლებრივი რეგულირების მიღმა არსებული რამოდენიმე ზოგადი პრინციპის ნათლად გაგების მცდელობა.

## 11.1 ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ

...იქნებოდა ისეთი ადგილი, სადაც მართლმსაჯულების სიმბოლოს მნიშვნელობა არ ენიჭება.

პირველი, რატომ უნდა იყოს ის სოფელში თვალებახვეული? წარმოიდგინეთ სოფელი, საკმარისი ავტონომიით რომ შიდა კონფლიქტები დაარეგულიროს. სოფელი, დიდი ხნის ისტორიითა – ყოველ შემთხვევაში, იმდენი ხნის ისტორიით მაინც, რომ დაედგინა, თუ რა არის კარგი და რა – ცუდი – და მოსახლეობას შორის შედარებით თანასწორი ურთიერთობით. ასეთ სისტემაში სამართალს ყველა იქ მცხოვრებისთვის დიდი მნიშვნელობა ექნებოდა. მათ მონაწილეობის შედეგად ეცოდინებოდათ წესები. იმ შემთხვევაშიც კი, თუკი სამართლებრივი გადაწყვეტილებები გარკვეულ დონეზე მაინც იქნებოდა ფორმალიზებული, საკუთრება იურიდიულ ცოდნაზე არ იქნებოდა მონოპოლიზებული. სოფელში ცხოვრების შედეგად, მათ ეცოდინებოდათ და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ყველა ბუნებრივი მონაწილე იქნებოდა. ეს არ იქნებოდა მარტივი გადაწყვეტილებები. იქიდან გამომდინარე, რომ არ იარსებებდნენ სპეციალისტები, ვერავის ხელში ვერ მოექცეოდა ძალაუფლება ისე, რომ მას დავის საზღვრებისა და ტიპის განსაზღვრა მოეხდინა. განხილვები შესაძლოა დღეების განმავლობაში გაგრძელებულიყო. ძველი ისტორიები განახლდებოდა და ძველი გადაწყვეტილებები წინ წამოიწევდა.

ძალზე ფუნდამენტური გაგებით, ასეთ სოფელში სასამართლო მოსახლეობასთან ძალზე მჭიდროდ იმუშავებდა. ხშირად ყველა მიიღებდა მონაწილეობას, ყველას გააჩნია შესაბამისი ცოდნა და ყველას მოუწევდა თავისი გადაწყევტილების შედეგებით ცხოვრება.

თუმცა, მსგავსი აღწერა ასევე ნათელს ხდის ფაქტს, თუ რატომ არ არის ქალბატონი იუსტიცია სოფელში აქტუალური. ის ყველაზე მაღალა დგას. ის ხელშეუხებელია, თეთრებშია გამოწყობილი და არ წარმოადგენს მთლიანის ნაწილი. ამასთან, თვალებახვეულია და თან მახვილით დგას ისეთ სიტუაციაში, როდესაც ყველაფერს აქვს მნიშვნელობა – როდესაც საჭიროა ყველაფერი ჩანდეს – და როდესაც მახვილის გამოყენება არ იქნება მართებული, რადგან ეს გამოიწვევს კონფლიქტს, რომელსაც სოფლის დაქცევა შეუძლია. სადაც ხელისუფლება პასიურობს, კონსენსუსის მიღწევაა აუცილებელი. შესაბამისად, სოფლის სამართალი სამოქალაქო გამოსავლების ძიებისკენ იხრება; კომპენსაციები და კომპრომისები – და არა ბრალის/უდანაშაულობის დიქოტომიები და წაგებული მხარისთვის ტკივილის მიყენება.

ეს იყო ძირითადი თავისებურებები. თუმცა, ნება მომეცით, დავამატო: სოფლის სამართალი არ არის აუცილებელი, რომ „სამართლიანი" იყოს. კერძოდ, ის მისცემდა მცირე დაცვას მათ, ვისაც სოფელში არ გააჩნდათ ძალაუფლება და კავშირები. ესეთ პოზიციაში ხშირად, მაგრამ ყოველთვის არა, მდედრობითი სქესის წარმომადგენლები იყვნენ. ეს იყო კანონი, რომელიც დიდი ხნის წინ გადავარდა, თუმცა მისი კვალი დარჩა.

სოფლის ტრადიციის შესახებ მოგონებების ნახვა შესაძლებელია ტერმინში „მშვიდობის მოსამართლეები" (justices of the peace). როდესაც ხელისუფლება არც ძლიერი იყო, არც – განყენებული. აუცილებელი გახდა გამოსავლის ძიება, რომელიც მხარეებისთვის მისაღები იქნებოდა, რომ ამგვარად მშვიდობა შექმნილიყო. რაც უფრო ახლოს არიან გადაწყვეტილების მიმღებები კონფლიქტის მონაწილეებთან, მით უფრო მნიშვნელოვანი ხდება საქმე. მშვიდობასთან ერთად მშვიდობისმყოფელი იღებს ღირსებასაც და მშვიდობიან გარემოცვაში უკეთესი ცხოვრების შესაძლებლობასაც.

მშიდობისმყოფელებმა შესაბამისად იციან საერთო ღირებულებების გამონახვის აუცილებლობის შესახებ. თუმცა, მშვიდობისმყოფელები ვერ იქნებიან თვალებახვეულნი. პირიქით, მათ ყველა გრძნობის გამახვილება დასჭირდებათ იმისთვის, რომ მიაგნონ საერთო ღირებულებებს, რომელთა დახმარებითაც მხარეები კომპრომისის მიღწევას შეძლებენ. მახვილი კი ასეთ სიტუაციაში სრულიად ზედმეტი იარაღი იქნებოდა, რადგან ის სიმბოლურად ძალის შესაძლო გამოყენებას გამოხატავს.

## 11.2 წარმომადგენლობითი სამართალი

სოფელში ქალბატონი იუსტიციის იმიჯი არარელევანტურია. მას ვერ გაუგებენ. თუმცა, თანამედროვეობის ბავშვებსაც შესაძლოა სირთულეები ჰქონდეთ მის იმიჯთან მიმართებით, კერძოდ კი, თუ ისინი ადგილობრივი დემოკრატიის ძლიერი დამცველები არიან. უამრავი ღირებულების მიხედვით, რა თქმა უნდა, კარგია, რომ სამართლის ინსტიტუტი ხალხთან ახლოს დგას. ამან შესაძლოა ორი ფორმა მიიღოს:

რომ მოსამართლეები და პროკურორები დემოკრატიულად არიან არჩეულნი,

ან

რომ კანონმდებლებს აქვთ ძლიერი გავლენა იმაზე, რაც ხდება სასამართლოში.

პირველი ფორმის ამოქმედება გამოიხატება იმაში, რომ ქალბატონმა იუსტიციამ პირდაპირ არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა და თავის საქმიანობას არჩეული მოსამართლის სახით შეუდგეს. ეს დემოკრატიულად ჟღერს, მითუმეტეს თუ საოლქო პროკურორი და პოლიციის უფროსიც არჩეულები არიან. თუკი ისინი ელექტორატის სურვილებისდა მიხედვით არ იმოქმედებენ, შესაძლოა მათ დაატოვებინონ პოზიცია შემდეგ არჩევნებამდე.

მაშ, რატომ არის ქალბატონი იუსტიცია თვალებახვეული? ურთიერთსაწინააღმდეგო იქნებოდა, ის რომ ახლოს მისულიყო ხალხთან და ამავე დროს მათ არგუმენტებთან ბრმა დარჩენილიყო. ქალბატონი იუსტიციის თვალებახვეულობის უკან, რა თქმა უნდა, მისი ობიექტურობის შენარჩუნების სურვილი დგას, ასევე ის, რომ არ დაინახოს და არ მოექცეს იმის გავლენის ქვეშ, რისი დანახვაც მისთვის არ შეიძლება. მაგრამ, იყო დემოკრატიულად არჩეული, ნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში, თუკი ქალბატონი იუსტიცია არ გადაწყვეტს საქმეს ისე, როგორც ამას მისი ელექტორატი მოითხოვს, მისთვის ძალაუფლების ჩამორთმევაც კი არის შესაძლებელი. ამ ყოველივეში კი კონფლიქტის ნიშნები შეინიშნება. მართლმსაჯულება, რომელიც ახლოს არის ხალხთან და მართლმსაჯულება, რომელიც თუნდაც იდეალურად წარმოადგენს ამ ხალს, ამავე დროს აღიშნული ხალხის მაქსიმალური კონტროლის ქვეშაა მოქცეული. ასეთი არის სოფლის მართლმსაჯულება, სადაც ქალბატონ იუსტიციას არაფერი ესაქმება. ის ასევე არ არის აქტუალური თანამედროვე არჩევნებში. იმისთვის, რომ არჩევნებზე მიზანს მიაღწიოს, აუცილებელია, რომ მოისმინოს და ამავე დროს დაინახოს კიდეც. ამას გარდა, თანამედროვე საზოგადოებების რეალობაში, იყო დემოკრატიულად არჩეული არ ნიშნავს წარმოადგენდე ყველას. არჩევნებში მონაწილეობას იღებს 50%. გამარჯვება კი ნიშნავს, წარმოადგინო იმათი უმრავლესობა, ვინც არჩევნებში ხმა მისცა. ხშირად კი ეს ნიშნავს წარმოადგენდე მოსახლეობის 1/3-ს, ან თუნდაც – 1/4-ს და არა ყველას და განსაკუთრებით პატარა ანკლავებს, რომლებიც უმრავლესობისგან შესაძლოა სტილითა და ზოგიერთი უმთავრესი ღირებულებით განსხვავდებოდნენ. მაშასადამე, ჩვენი ტიპის საზოგადოებაში იყო ხალხთან ახლოს ნიშნავს, იყო ახლოს მხოლოდ ამ მოსახლეობის გარკვეულ სეგმენტთან. ამავე დროს, ეს ნიშნავს იყო განყენებული ისეთი სიტუაციებიდან, სადაც მართლმსაჯულებას ტოვებენ ტოტალურობისთვის მნიშვნელოვან ღირებულებებს შორის ბალანსის მოსაძებნად. აღნიშნული განსაკუთრებით ასეა ისეთ საზოგადოებაში, სადაც ძლიერი

გავლენა სწორედ საზოგადოებრივი აზრის კვლევებით გაჯერებული მას-მედიის მხრიდან აღინიშნება. მედია დანაშაულით იკვებება და თავის მხრივ წარმოადგენს ძალზე დამახინჯებულ სურათს იმისა, რასაც ყოველივე ეხება. კვლევები კი მიღებულ ზედაპირულ შეხედულებებს ასახავენ, რაც თავის მხრივ მას-მედიაში ტენდენციებს აძლიერებს.

მაგრამ ქალბატონი იუსტიცია ასევე წარმოადგენს ანაქრონიზმს მეორე ფორმაში, რომელიც ზემოთ იყო ნახსენები. როდესაც, რაც სასამართლოში ხდება, წუთობრივად კონტროლდება კანონმდებლის მიერ. კვლავ უნდა ითქვას, რომ, დემოკრატიული იდეალების შესაბამისად, ასეთი კონტროლის არსებობა სავსებით ნორმალურია. მთელი ძალაუფლება ხალხს, მაშასადამე, ძალაუფლება უფრო მეტად კანონმდებელს და არა მოსამართლეს.

და კანონების გამოცემა, რასაკვირველია, კანონმდებლის ამოცანას წარმოადგენს და ეს ყოველთვის ასე იყო იმ საზოგადოებაში, რომელიც თავის თავს დემოკრატიულად მიიჩნევს. რეალური პრობლემა დაკავშირებულია კანონმდებლის მიერ გამოცემული კანონების დეტალიზაციის დონესთან. კანონი შესაძლოა ამბობდეს:

ქურდობა არის დანაშაული, რომელიც უნდა ისჯებოდეს,

ან

ქურდობა არის დანაშაული, რომელიც უნდა ისჯებოდეს 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთით,

ან

ქურდობა არის დანაშაული, რომელიც უნდა ისჯებოდეს 2-დან 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთით,

ან

მე-19 ტიპის ქურდობა არის დანაშაული, რომელიც უნდა ისჯებოდეს 30 თვით თავისუფლების აღკვეთით.

სკანდინავიის სისხლის სამართლის კათედრის დეკანი, პროფესორი ჯოს ანდენესი (Johs. Andenaes) აცხადებდა (1991 წელი, გვ. 386, ჩემი თარგმანი):

**პირადად მე კრიტიკულად ვარ განწყობილი საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებას შორის განვითარებული ცვლილებების მიმართ, რომლებიც სასამართლოს მიერ სასჯელის გამოყენების დეტალურ რეგლამენტირებას ახდენენ... პოლიტიკურ დემოკრატიაში, არაფერი შეიძლება ითქვას საკანონმდებლო ორგანოს უფლების წინააღმდეგ, ღირებულებების ძირითადი არჩევანი გააკეთოს იმასთან მიმართებით, თუ რა უნდა იყოს კრიმინალიზებული და როგორი სასჯელი უნდა იყოს აღნიშნულისთვის გათვალისწინებული. თუმცა, კანონმდებლის დონეზე რთულია ჩამოყალიბდეს კონკრეტული და რეალისტური კონცეფცია რეალობებისა, რომლებსაც სასამართლო ინდივიდუალურ და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის განხილვისას გადააწყდება. ზოგადი გამოცდილებაა, რომ არაპროფესიონალი ადამიანები განსხვავებულად რეაგირებენ, როდესაც ინდივიდუალურ საქმეს ეცნობიან, ვიდრე მაშინ, როცა ისინი დანაშაულთან და სასჯელთან მიმართებით ზოგად განცხადებებს აკეთებენ. არ არსებობს მიზეზი, გვჯეროდეს, რომ აღნიშნული მოსაზრება პარლამენტარებთან მიმართებაშიც ასევე მართებულია.**

ანდენესი სავარაუდოდ არაპროფესიონალ მოსამართლეებთან თავის გამოცდილებას გულისხმობდა. ხშირად იკვეთება და ლიტერატურაშიც დასტურდება, რომ ასეთი მოსამართლეები დამნაშავეების მიმართ შედარებით უფრო რბილები არიან, ვიდრე გამოცდილი მოსამართლეები. მათ ზოგადად შეუძლიათ იდავონ დანაშაულის პოლიტიკისა და მკაცრი ზომების შესახებ, მაგრამ შემდეგ ისინი გამონაკლისს უშვებენ ბრალდებულის მიმართ, რომელსაც ისინი კონკრეტული საქმის განხილვის დროს შეხვდნენ. ასეთ შემთხვევაში იმდენი განსაკუთრებული გარემოებაა სახეზე. უმთავრესად ის, რომ ბრალდებული იყო კეთილსინდისიერი პიროვნება და არა „ნამდვილი“ დამნაშავე; ყოველ შემთხვევაში, ცხოვრების განმავლობაში ის იმდენ ხანს იტანჯებოდა, რომ მკაცრი სასჯელის დაკისრება ძალზე არასამართლიანი იქნებოდა.

სასჯელის დაკისრების კომისიის მიერ შედგენილი სასჯელის ცხრილები წარმომადგენლობითი სამართლის უკიდურეს მაგალითს წარმოადგენენ. სასჯელის დაკისრება მთლიანად პოლიტიკოსების მიერ არის კონტროლირებული და მოსამართლე სასჯელის დაკისრების ეტაპზე მთლიანად უფუნქციოდ რჩება. მოსამართლეს არ აქვს

თავისუფლება, განიხილოს საქმის განსაკუთრებული გარემოებები. სასამართლოებს შეუძლიათ მხოლოდ კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით გადაწყვიტონ საქმე. ჩაიდინა თუ არა დანაშაული ბრალდებულმა? თუმცა, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მთელი საკითხი ამოღებულია დღის წესრიგიდან. ასეთ სიტუაციაში არ არის აუცილებელი, რომ ქალბატონი იუსტიცია თვალებახვეული იყოს. არაფერია, რასაც შეიძლება მან შეხედოს, გარდა ცხრილისა. სასჯელის დაკისრების კომისიის ფორმით წარმოდგენილმა ცენტრალურმა ხელისუფლებამ უკვე ყველაფერი გადაწყვიტა. და მისი სასწორის საჭიროებაც აღარ არის. ყოველივეს აწონ-დაწონვაც ცხრილების მეშვეობით ხდება. ამოცანა გამარტივებულია. რა გასაკვირია, რომ საქმეების განხილვაც უფრო სწრაფ ტემპებში მიმდინარეობს. თანამედროვეობის პროგრესი. თუმცა, ქალბატონი იუსტიციის მახვილის გამოყენებაც უფრო იოლია. მახვილის, რომელიც ასევე ცხრილის მიერ იმართება.

## 11.3 დამოუკიდებელი სამართალი

ბავშვები გარკვეულ წესებზე თანხმდებიან. ისინი მათ წესების შექმნის პროცესში სწავლობენ. მცირე მასშტაბების სისტემაში მცხოვრები სოფლის მოსახლეობა სამართლებრივი სისტემის ძირითად პრინციპებს მემკვიდრეობით იღებს, თუმცა შემდგომ – ზოგადი მონაწილეობის პროცესში — აგრძელებს თამაშს. მათი დისკუსიები ერთ-ერთი ნორმის განმარტებად შეგვიძლია მივიჩნიოთ. ნელ-ნელა დღის სინათლეზე გამოდის საქმის მთლიანი სირთულე. არგუმენტები დალაგებულია, მიღებულია ან დაბლოკილია, ან წონადობა აქვს მიცემული და შეჯამებულია. ეს არის ფაქტების გამუდმებით გადახედვისა და შემდგომ ამ ფაქტების ნორმებთან შედარების პროცესი. ადგილი აქვს ე.წ. ღირებულებების კრისტალიზაციას, სისტემის ძირითადი ღირებულებების ყველასთვის განმარტებას.

ძველ-მოდურ სასამართლოებს აღნიშნულ ტრადიციაში კვლავ აქვთ თავიანთი ფესვები გადგმული. მოსამართლე არ არის ისეთი თავისუფალი, როგორც ბავშვი, რომ წესები დაადგინოს, არც – როგორც სოფლის შედარებით თავისუფალი მოსახლე. ასეთი ტიპის მოსამართლეს ამოძრავებს მხოლოდ კანონი და გამოცდილება, თუკი ის პროფესიონალი მოსამართლეა. თუმცა, კვლავ რჩება თავისუფალი ადგილი მოულოდნელი და ისეთი პრობლემებისთვის, რომელთა თაობაზეც არავის უფიქრია იქამდე, სანამ მათ შესახებ ცნობილი არ გახდა.

თუმცა, ძირითადად, ეს არ არის დემოკრატიული. ასეთი ტიპის მოსამართლეები არ დგანან ხალხთან ახლოს, როგორც ეს სოფლად ხდება. ისინი ასევე არ იმართებიან ხალხის მიერ, როგორც ეს წარმომადგენლობითი სამართლის დროს აღინიშნება. დამოუკიდებელი მოსამართლე არის ტერმინი, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ. თუმცა აღნიშნული დამოუკიდებლობა განსხვავდება. უკიდურესი თავისუფლება და დამოუკიდებლობა მომდინარეობს მაშინ, როდესაც მოსამართლედ არჩევა სხვა მოსამართლეებით დაკომპლექტებული შესარჩევი ორგანოს მიერ ხდება, როდესაც მათ თავიანთი ცხოვრების ამოცანა აქვთ და როდესაც გასაჩივრების მთლიანი პროცესი მხოლოდ მათ ხელშია მოქცეული და როდესაც ისინი დარჩენილი მოსახლეობისგან რანგითა და ქონებით არიან დაცულნი.

ადვილი გასაგებია ამგვარი მოსამართლის დემოკრატიული კრიტიკა. პარლამენტის ან სასჯელის დაკისრების კომისიის მხრიდან დეტალური ინსტრუქციების გაცემა ამის ერთგვარი პასუხია, მოსამართლეთა გაკონტროლების ერთგვარი მცდელობა. მეორე სახის პასუხს საზოგადოებრივი აზრის კვლევები წარმოადგენენ. ასეთ კვლევებს შეუძლიათ გადმოსცენ მოსახლეობის შეხედულებები, რაც სწორი სასჯელის დაკისრების სტანდარტად შეიძლება იქნეს გამოყენებული. თუმცა, არსებული კითხვები საკმარისად სიღრმისეული არ არის და ჩვენ დროში უმეტესად მედიის მიერ შექმნილი სტერეოტიპების ფერმკრთალ ანარეკლს წარმოადგენენ. კითხვარზე პასუხების გაცემა

სავალდებულო არ არის. ქმედებები – შეხედულებების შემოწმებაა. კონკრეტული ქმედებები. კონკრეტულ საქმეებში სწორედ ჩვეულებრივი ადამიანების პასუხისმგებლობით აღსავსე მონაწილეობის შედეგია ის, რომ ჩვენ სამართლიანობაზე მათი პრინციპების შესახებ წარმოდგენას ვიქმნით. როდესაც მათ ტკივილის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღება და ამ გადაწყვეტილების აღსრულებაც პერსონალურად და დამოუკიდებლად უწევთ, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ვიგებთ მონაწილეობის პროცესში ჩამოყალიბებული ძირითადი შეხედულებების შესახებ.

შესაძლოა, უნდა ვაღიაროთ, რომ გამოსავალი არ არსებობს. იქნებ, აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებას შორის არსებული დისტანციის ძველ იდეას ამასთან კავშირი აქვს. და სწორედ ასეთ სიტუაციაში ქალბატონი იუსტიციის იდეა მნიშვნელობას იძენს. ძველმოდური მოსამართლე თავისუფალი ადამიანია, თუმცა არ არის გარკვეული შეზღუდვებიც. ზოგიერთი ფუნდამენტური ღირებულებები მისი აზროვნების/მსჯელობის საფუძველი უნდა იყოს. გადაწყვეტილებები არ იყიდება. სწორედ აქ ჩნდება ქალბატონი იუსტიციის თვალებახვეულობა. ის არ უნდა მოექცეს ისეთი შეუსაბამობების გავლენის ქვეშ, როგორიცაა ფული, კავშირები, ნათესაობა. ის უნდა დარჩეს სუფთა – თეთრი და მას ესაჭიროება სასწორი. მისი ამოცანა რთულია. სამართლებრივ ბრძოლებში არსებული ცენტრალური შეკითხვა ყოველთვის უკავშირდებოდა იმას, თუ რა არის დასაშვები, რომ მისი სასწორის თეფშებზე განთავსდეს. პირველ რიგში, რა სახის არგუმენტები შეიძლება იქნეს გამოყენებული, და შემდგომ, რა წონა ექნება აღნიშნულ არგუმენტებს.

## 11.4 ᲩᲣᲛᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲐ

გასაკვირი არ არის, რომ თანამედროვე მენეჯერები ძველმოდურ სასამართლო დარბაზებს ხშირად სიძულვილით/ამრეზით ტოვებენ.

ისინი იქ შესაძლოა მოწმის სახით იმყოფებოდნენ, ან როგორც დაზარალებულები ან, ბრალდებულები. და მათ უწევთ ფორმალობების დაცვა: მანტიები, მოსამართლის შემოსვლისას ყველას ფეხზე წამოდგომა, ფიცის დადება ბიბლიაზე. შემდგომ ნელი ტემპი. დეტალური დოკუმენტაცია, დაუსრულებელი განმეორებები, სანამ ყოველივე არ დასრულდება — ან ასე ჩათვლის მენეჯერი, სანამ არ გაარკვევს, რომ ვერდიქტის გამოტანამდე შესაძლოა კვირეები ან თვეებიც კი გავიდეს.

მენეჯერის მოუთმენლობა ადვილი გასაგებია. გადაწყვეტილების მიღების მექანიზმის იმ ტიპთან შედარებით, რომელსაც ის თანამედროვე ინდუსტრიიდან კარგად იცნობს, სასამართლოები არქაულობით გამოირჩევიან. ისინი არ თავსდებიან თანამედროვე დროში და აუცილებლად უნდა შეიცვალონ.

ეს არის სწორედ ის, რაც ხდება.

მართლმსაჯულების ამერიკულ სისტემაში უკანასკნელი წლების განმავლობაში რელოვუციურ განვითარებებს აქვს ადგილი. თუმცა, სახელმწიფო თითქოს საკუთარ რევოლუციაში ბოლომდე არ არის გათვითცნობიერებული. ეს არც არის გასაკვირი. პირველი ინდუსტრიული რევოლუცია ხმაურიანი და გამურული აპარატურით შემოიჭრა, რომლის შესახებაც არ შეიძლებოდა ყველას არ სცოდნოდა. მეორეს მხრივ, თანამედროვე წარმოებისა და არსებული რევოლუციური პროცესების დამახასიათებელ ნიშანს მათი სიჩუმე წარმოადგენს. მათი უმეტესობა სიმბოლურ დონეზე ხდება. ფული ელექტრონული ფორმით გადაცემული მცირე ნიშნების მეშვეობით მოძრაობს. პროდუქტს, უმეტესწილად, სიმბოლოები, სიტყვები, პერსპექტივები, სიცოცხლის დაბადებისა და ცხოვრების დაგეგმვის ახალი გზები წარმოადგენენ. უკანასკნელ პერიოდში განვითარებული რევოლუცია გარეგნულად ნაზი და ფაქიზია, მშვიდობიანია და უამრავი ადამიანისთვის კომფორტის დაპირებას იძლევა.

სამართლებრივი კუთხით, კანონისა და წესრიგის სისტემა ჩუმად, მაგრამ ძალზე ეფექტურად ესადაგება თანამედროვეობას. ადაპტი-

რებს, რომ გახდეს ინდუსტრიალიზაციის ბავშვი. ცენტრალურ ღირებულებას აქ დასახული მიზნის ზუსტად ჩამოყალიბება, წარმოების კონტროლი, ფასების დაკლება, რაციონალურობა და შრომის გადანაწილება წარმოადგენს. ყოველივე ეს კომბინირებულია ყველა ქმედების ხელმძღვანელობის უმაღლესი დონიდან (higher level of command) კოორდინირებით. ჩვენ კვლავ ვუბრუნდებით მაქს ვებერსა (Max Weber) და ნათლად განსაზღვრული მიზნების მიღწევის უკიდურესი ეფექტურობის სისტემას.

როგორც ეს ფლემინგ ბალვიგის (Flemming Balvig) მიერ ამ წიგნის შემდგომ წერილობით კომენტარებშია ფორმულირებული:

**ადაპტაცია სასამართლო დარბაზებში ფიზიკური ცვლილებების სახით გამოიხატება. ნელ-ნელა დარბაზები მსხვილ ფირმაში უმცროსი დირექტორის ოფისს ემსგავსებიან. აღარ არის აქტუალური მანტიები. კედლებზე ძველი ნახატები თანამედროვე ლიტოგრაფიებით იცვლება, გამოხატვის ფორმები უფრო პირდაპირი ხდება და ადგილების განთავსებაც უფრო და უფრო ემსგავსება ჩვეულებრივ გადაწყვეტილების მიმღებებს. კომპიუტერი ბუნებრივ ადგილს იკავებს დარბაზში. ძალაუფლების რადიაცია, ძველი მემკვიდრეობა და სამართლიანობა კომფორტითა და ეფექტურობით იცვლება.**

ადაპტაციის ნახვა ასევე სასჯელაღსრულების სისტემის შედეგებშიც არის შესაძლებელი. წარმოება უფრო სწრაფია, მეტი ადამიანი შეიძლება გახდეს მსჯავრდებული გაცილებით ნაკლები ძალისხმევით. გადაწყვეტილებები შედარებით ერთგვაროვანია. მსგავსი ქმედებები, რომლებიც დანაშაულად არიან აღქმულნი, უფრო თანაბრად ისჯებიან. მათთვის, ვინც მართლმსაჯულებას განსაზღვრავს, როგორც თანასწორობას, და თანასწორობა მიიღწევა, როდესაც მსგავსი ქმედების ჩამდენი ყველა პირი მსგავსი კრიმინალური ჩანაწერებით განკუთვნილი ტკივილის მსგავს სახეს იღებს პასუხად, სამართლიანობის დონე მაღლდება. სისტემის ფარგლებში ასევე გაიზარდა პროგნოზირებადობის დონე. ნებისმიერ ბავშვს შეუძლია წაიკითხოს სასჯელის დაკისრების ცხრილი, მონახოს განზრახული ქმედების დანაშაულის დონე და გადაწყვიტოს, ღირს თუ არა მისი ჩადენა ამ ფასად.

უმთავრესი დაბრკოლებები გადალახულია. საპროცესო გარიგება უზრუნველყოფს სწრაფ აღიარებით ჩვენებას, სასჯელის დაკისრების სახელმძღვანელოების შედეგად კი ასევე სწრაფად მიიღება გადაწყვეტილებები სასჯელთან დაკავშირებით. ეს კი საქმეების დასამუშავებლად/განსახილველად თითქმის შეუზღუდავ კომპეტენციას ქმნის. სახელძღვანელოები მალე ელექტრონული ფორმის გახდება, თუ ეს უკვე არ განხორციელებულა. ყველა იმ საჭირო ფაქტორის დახმარებით, რომელსაც აღნიშნული სახელმძღვანელოები მოიცავენ, მდივანს ყოველივე შეუძლია იმ დონემდე მოამზადოს, რომ მოსამართლე მხოლოდ უკანასკნელ ღილაკს აჭერს თითს და ამით არჩევანის ინტერვალებს იძლევა.

სისწრაფე, ანგარიშვალდებულება, მსგავსება, პოტენციური კრიმინალებისთვის ნათელი მესიჯები, სისტემა, რომელიც სასჯელის დაკისრების კომისიის ფორმით წარმოდგენილი ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ადვილად ოპერირებად კონტროლს სთავაზობს. აღნიშნული კომისიები კი ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლების კონტროლქვეშ არიან მოქცეულნი. ეს ყოველივე კი თანამედროვეობის სრულყოფილ ადაპტაციას წარმოადგენს.

და კიდევ ერთხელ: ის რაც ხდება აშშ-ში, ხდება სხვაგანაც. ინგლისი და უელსიც კი სასამართლო ხელიფუფლებაზე მეტი ცენტრალური კონტროლისკენ მიმავალ გზას ადგას. კრიმინალის, მართლმსაჯულებისა და საზოგადოების დაცვის შესახებ ოფიციალურ დოკუმენტში (White Paper on Crime, Justice and Protecting the Public (ჰოუმ-ოფისი (Home Office), 1990 წელი) ძალზე მნიშვნელოვანია, რომ სასჯელი სრულად შეესაბამებოდეს ჩადენილ დანაშაულს (იდიომა - მიესალმებიან სამართლიანი უდაბნოების მოდელს the just desert model is hailed). აღნიშნული მოცემულია მთავრობისთვის შეთავაზებული უმთავრესი წინადადებების პირველ პუნქტში:

**– სასჯელისთვის გამოყოფილი თანმიმდევრული საკანონმდებლო ჩარჩო, სადაც სასჯელის სიმძიმე ჩადენილი დანაშაულის სერიოზულობას შეესაბამება ...**

და შემდგომ, 1-2 გვერდებზე ვხვდებით:

სააპელაციო სასამართლომ მეტად სერიოზული დანაშაულების ჩადენისთვის სასჯელის დაკისრების შესახებ სახელმძღვანელო პრინციპები გამოსცა, რომელსაც ხელისუფლება დიდად მიესალმება. მაგისტრატების ასოციაციამ დროებითი სახელმძღვანელო პრინციპები მოამზადა ისეთი საქმეებისთვის, რომლებიც მაგისტრატების სასამართლოში იხილება. თუმცა, კვლავ არსებობს უამრავი გაურკვევლობა და მცირე ინსტრუქცია იმ პრინციპებთან მიმართებით, რომლებიც სასჯელის ზომის შესახებ გადაწყვეტილებას უნდა ედოს საფუძვლად. გაურკვევლობაა ასევე პატიმრის პირობით ვადამდე გათავისუფლებასთან დაკავშირებითაც.
...
შესაბამისად, სახელმწიფოს სასჯელის დაკისრებისთვის ახალი და მეტად შეთანხმებული საკანონმდებლო ჩარჩოების შესახებ წინადადება შემოაქვს. ის დაეფუძნება იმ სახელმძღვანელო პრინციპებს, რომლებიც სააპელაციო სასამართლოს მიერ იყო შემოთავაზებული.
...
ხელისუფლების შემოთავაზების მიზანს სასჯელისადმი მეტად თანმიმდევრული დამოკიდებულებით მიღწეული უკეთესი მართლმსაჯულების ჩამოყალიბება წარმოადგენს, ისე, რომ მსჯავრდებული კრიმინალები თავიან საკადრის სასჯელს (Just deserts) იღებენ. სასამართლოს მიერ დადგენილი სასჯელის სიმძიმე პირდაპირკავშირში უნდა იყოს ჩადენილი დანაშაულის სერიოზულობასთან.

თუმცა, ინგლისსა და უელსში სახელმწიფოს მიერ სასამართლო ხელისუფლებაში ჩარევის დონე გარკვეულწილად შეზღუდულია (გვ. 8-9):

კანონმდებლობა იქნება ზოგადი ხასიათის. ხელისუფლების მიზანს არ წარმოადგენს, პარლამენტი აიძულოს სასამართლოები მკაცრი საკანონმდებლო სახელმძღვანელო პრინციპებით რომ შებოჭოს. სასამართლოებმა მრავალგზის გამოავლინეს თავიანთი უნარ-ჩვევები, როდესაც საქმე განსაკუთრებულ შემთხვევებში ადექვატური სასჯელის დაკისრებას ეხებოდა. სასამართლოებს სავარაუდოდ მომავალშიც ექნება ფართო დისკრეცია იმ შემთხვევებში, როდესაც საქმე მათ წინაშე არსებული შემთხვევების სამართლიანად გადაწყვეტას შეეხება. ხელისუფლება უარყოფს უხეშ საკანონმდებლო ჩარჩოს, ან გარკვეული დანაშაულებისთვის გათვალისწინებული მინიმალური სავალდებულო სასჯელის სისტემას. ეს კი გამონაკლის შემთხვევებში სამართლიანი სასჯელის დაკისრებას უფრო გაართულებდა. ეს ასევე გამოიწვევდა გამამართლებელი განაჩენების რიცხვის ზრდას და შესაბამისად, მეტი დამნაშავე მამაკაცისა და ქალის უსამართლო გათავისუფლებას.

მაშასადამე, ორი ნაბიჯი წინ და ერთი უკან ინგლისსა და უელსში. თუმცა, გენერლური პროკურორის თანამდებობა ახალი მოვლენაა ამ მხარეებში. ხელისუფლება იძლევა დაპირებას, რომ მიიღებს ზომებს იმისთვის, რათა გადაამზადოს პირები, რომლებიც სასჯელს აწესებენ. ეს ყოველივე კი სასჯელის დაკისრების ახალი პოლიტიკის ეფექტურად ამოქმედებასა და სააპელაციო სასამართლოების მიერ კანონმდებლობის უფრო მეტად დეტალურ ინტერპრეტაციას ემსახურება. შემდგომ:

> ახალი საკანონმდებლო დებულებები, ცალკეული დანაშაულისთვის მაქსიმალური ჯარიმები, სააპელაციო სასამართლოს მიერ გაცემული სახელმძღვანელო პრინციპები და გენერალური პროკურორის ახალი უფლებამოსილება, რომ სააპელაციო სასამართლოს მიმართოს იმ შემთხვევაში, თუკი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის ძალზე მსუბუქი სასჯელის დაკისრება მოხდა. ეს ყოველივე ხელს უნდა უწყობდეს შესაბამისი სასჯელის დაკისრების პრაქტიკას, რომელიც შეიძლება სასამართლოებში სასამართლო კვლევების საბჭოს (judicial studies board) მიერ გავრცელდეს, ასეთი ფონის საწინააღმდეგოდ (იტალიკი ჩემია), ხელისუფლება სასჯელის დაკისრების კომისიის მიერ სასჯელის დაკისრების პოლიტიკისა და სახელმძღვანელო პრინციპების განვითარების საჭიროებას არ ხედავს.

შესაძლოა, უკან გადადგმული ნაბიჯი მხოლოდ ნახევარი იყო.

## 11.5 გამომწვევი ქცევა

თანამედროვეობა არის რაციონალურობა. თუმცა, დანაშაულის ზოგიერთი ასპექტი რაციონალურობის მიღმა ხვდება. მსხვერპლისთვის, საქმე – თუკი ეს საქმე სერიოზულია – როგორც წესი, ერთჯერად მოვლენას წარმოადგენს. ეს არის ემოციურად უაღრესად დატვირთული მოვლენა. თუკი დანაშაული აღქმულია, როგორც მძიმე დანაშაული, მსხვერპლი შესაძლოა გრძნობდეს ბრაზს, ან თუნდაც მწუხარებას. ვერც ერთი სასამართლო – სოფლის სასამართლოს გარდა – ასეთ ემოციებს ვერ უმკლავდება. უმეტესობა მათგანი არის

მოსაწყენი და მხოლოდ საქმეზე ორიენტირებული. მსხვერპლი არ წარმოადგენს თამაშში მთავარ პერსონაჟს. საქმე ისეთი ხალხის მიერ იმართება, რომლებიც ირწმუნებიან, რომ მხარეებს წარმოადგენენ. მსხვერპლის მიმართ არსებული დისტანცია მსხვერპლის უკმაყოფილების ერთი მიზეზი შეიძლება იყოს და ასევე მათი უამრავი უკმაყოფილო განცხადებისა, რომ კრიმინალმა ძალიან იოლად შეძლო მისთვის განკუთვნილი სასჯელისთვის თავის არიდება. შედარებით უფრო მძიმე სასჯელის მოთხოვნა შესაძლოა მსხვერპილის საჭიროებების მიმართ გამოჩენილი ყურადღების ნაკლებობის შედეგია, რომელიც მსხვერპლის გამომხატველ საშუალებებს ეხება და არა მათ შურისძიების სურვილებს.

აღნიშნულის გამოსწორების ერთი გზა შეიძლება პროცესზე მსხვერპლისთვის მეტად უფრო ცენტრალური პოზიციის მინიჭება იყოს და ამავე დროს მთლიანი ოპერაციის უტილიტარული ხასიათის შემცირების მცდელობა. მე სხვა შემთხვევებში შევეცადე შემედარებინა ერთმანეთისთვის ბრაზი და მწუხარება (კრისტი, 1987 წელი). სიკვდილი — ეს არის მოვლენა, რომელიც ხშირად უკიდურეს მწუხარებას იწვევს. დაკრძალვებზე ლეგიტიმურია აღნიშნული გრძნობის გამოხატვა. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ჯერ-ჯერობით ვერავინ ვერ გაბედა ასეთ სიტუაციაში ჩარევა. კრემატორიუმის კედლებზე არ არის ჯანმრთელი ცხოვრების წესის პროპაგანდა: „მას რომ არ მოეწია, ჩვენ დღეს აქ არ ვიქნებოდით“. დაკრძალვები სავარაუდოდ ერთ-ერთი იმ მცირე სივრცეთაგანია, სადაც გამომწვევი/ექსპრესიული ქცევის გამოხატვა ხდება.

სასამართლოები დიდი ხნის განავლობაში ცუდად იყვნენ აღჭურვილნი გამომხატველობითი ქცევებისთვის. თანამედროვეობასთან ერთად ისინი ცუდიდან უარესობისკენ წავიდნენ. სასჯელის დაკისრების დეტალური ინსტრუქცია, განსაკუთრებით კი ელექტრონული, შესაძლოა სასჯელის დაკისრების პროცესისთვის ისეთივე უცხო მოვ-

ლენა იყოს, როგორც ის ცოდვილსა და მღვდელს შორის ურთიერ-ქმედების შემთხვევაში იქნებოდა. შურისძიება, რომელიც ცხრილით ან ღილაკზე თითის დაჭერით რეგულირდება ისეთი სიტუაციიდან წინ გადადგმულ ნაბიჯს გამოხატავს, როდესაც ბრაზსა და მწუხარებას ლეგიტიმური გამოხატვის საშუალებას აძლევენ. სისტემამ ექსპრესი-ული რიტუალიზმიდან მენეჯერული ეფექტურობისკენ გადაინაცვლა.

აშშ-ის რიცხვებში არსებული ზოგიერთი აფეთქება შესაძლოა უწ-ყებათაშორის ერთგვარ გაუგებრობასთან იყოს დაკავშირებული. კა-ნონის ინსტიტუტი ძალიან ახლოს მივიდა პოლიტიკასთან.

## თავი 12
# თანამედროვეობა და ქცევის კონტროლი

### 12.1 თანამედროვეობის ბავშვები

მოცემული თავის სათაური დიდი ფიქრის შედეგად დაიწერა. მის მიზანს ზიგმუნდ ბაუმანის (Zygmunt Bauman) მნიშვნელოვან წიგნთან, „თანამედროვეობა და ჰოლოკოსტი“ (1989 წელი), კავშირის დამყარება წარმოადგენს.

მეორე მსოფლიო ომის დროს არსებული საკონცენტრაციო ბანაკების გაგების მხრივ ბაუმანი მესამე ტალღას წარმოადგენს.

თავიდან გაჩნდა პირველი ტალღა, რომელიც ბანაკებს ხსნიდა, როგორც არანორმალური გონების პროდუქტს. ჰიტლერიდან დაწყებული ქვემოთ ბანაკების დაცვით დასრულებული, ყველა, ვინც მუშაობდა იქ, აღქმული იყო, როგორც დევიანტი, შეშლილი და, რა თქმა უნდა, როგორც ცუდი, ან აშლილი ავტორიტარული პიროვნება (Adorno et al. *1950 წელი*), ან სულ მცირე, როგორც სხვა ამგვარი პირების მეთაურობის ქვეშ მყოფი პირი. სხვაგვარად როგორ უნდა ახსნილიყო ის საშინელება, რაც იქ ხდებოდა? სხვანაირად როგორ უნდა ყოფილიყო გაგებული, რომ გოეთეს, შილერისა და მეცნიერების ყველაზე განვითარებული ნაწილის ქვეყანა ასე შეცდა?

მეორე ტალღა საკონცენტრაციო ბანაკების ასახსნელად დევიანტი პირებიდან დევიანტ სოციალურ სისტემაზე გადავიდა. ჩადენილ

დანაშაულებს რაიმე უნდა ჰქონოდათ საერთო გერმანული ერის ღრმა დეფექტებთან, სავარაუდოდ თავისებურ პოლიტიკურ სპექტრთან, სადაც ყოველივე პირველი ტალღის წარმომადგენლების მიერ დახასიათებული პირების მიერ იყო გამოწვეული, ცუდი ან შეშლილი ან ღრმად ავტორიტეტული პირების მიერ. ნორმალური ადამიანები არანორმალურ ქმედებებს მაშინ სჩადიან, როდესაც სიტუაცია ხდება არანორმალური. საკონცენტრაციო ბანაკებში არსებული დაცვის შესახებ მე პირადადაც ამ კონტექსტში ვწერდი (კრისტი, 1952–53 წლები).

მესამე ტალღას რაც შეეხება, ის რადიკალურად განსხვავებულია. აქ საკონცენტრაციო ბანაკებს არა როგორც გამონაკლისს, არამედ, როგორც ჩვენი სოციალური ორგანიზაციის უმთავრესი ტიპის ლოგიკურ გაგრძელებას, ისე აღიქვამენ. ამ პერსპექტივიდან, ჰოლოკოსტი ჩვენი ტიპის საზოგადოების ბუნებრივი შედეგია და არა მისი გამონაკლისი. განადგურება უფრო თანამედროვეობის ბავშვია და არა ბარბარიზმის ადრეულ საფეხურებთან დაბრუნება. ჰოლოკოსტის გამომწვევი მიზეზები სწორედ ისინია, რომელთა დახმარებითაც ინდუსტრიული საზოგადოება შეიქმნა: შრომის გადანაწილება, თანამედროვე ბიუროკრატია, რაციონალური სული, ეფექტურობა, სამეცნიერო მენტალობა და კონკრეტულად, საზოგადოების მნიშვნელოვანი სექტორიდან ღირებულებების გამოდევნა. ამ პერსპექტივიდან, ჰოლოკოსტი წარმოადგენს ერთ მაგალითს, მაგრამ მხოლოდ ერთს იმისა, თუ რა შეიძლება მოხდეს, როდესაც საქმიანობის ფართო სექტორები თავისუფლდებიან ღირებულებების მთლიანი ნაკრებიდან რომ იყვნენ შეფასებულები – წესიერების ჩვეულებრივი სახლის სტანდარტები. აუშვიცის საკონცენტრაციო ბანაკის მეთაური ალბათ არასოდეს მიიწვევდა მის საყვარელ დეიდას იქ მისი ვიზიტისთვის. ერთ-ერთმა ექიმმა მიიწვია იქ თავისი მეუღლე, რაც შემდგომ ძალიან ინანა (ლიფტონი (Lifton), 1986 წელი).

საკონცენტრაციო ბანაკები რაციონალურად ორგანიზებული საზოგადოების ნახაზებს/გეგმებს წააგავდა. როგორც ბაუმანი გამოხატავს (გვ. 11–12):

**...არც ერთი იმ სოციალური პირობიდან, რამაც აუშვიცი შესაძლებელი გახადა, სინამდვილეში ბოლომდე ჯერაც არ გამქრალა. და მსგავსი შესაძლებლობებისა და პრინციპების დახმარებით მომხდარი აუშვიცის მსგავსი კატასტროფების თავიდან ასაცილებლად არც ერთი ეფექტური ზომა არ მიღებულა.**

**...**

**ჩემი ვარაუდით, ჰოლოკოსტის გამოცდილება, რომლის გამოკვლევაც დეტალურად ხდება თანამედროვე ისტორიკოსების მიერ, უნდა განიხილებოდეს, როგორც, ასე ვთქვათ, სოციოლოგიური „ლაბორატორია". ჰოლოკოსტმა ჩვენი საზოგადოების ისეთი ატრიბუტები გამოაჩინა და გამოიკვლია, რომლებიც ჯერ არ გამომჟღავნებულა, და შესაბამისად, „არალაბორატორიულ" პირობებში ემპირიულად ხელმისაწვდომები არ არიან. სხვა სიტყვებით, ჩემი შემოთავაზება იქნება, რომ ჰოლოკოსტს მივუდგეთ, როგორც თანამედროვე საზოგადოების დაფარული შესაძლებლობების იშვიათ, თუმცა მნიშვნელოვან და სანდრო ტესტად.**

ბედნიერი ოპტიმისტები[36] და კაცობრიობის მდგრად და დაუსრულებელ პროგრესში დარწმუნებული პირები ბაუმანის წიგნში ბევრ სანუგეშოს ვერ ნახავენ. არსებობს ფარული ალიანსი, სადაც სჯერათ პროგრესის. უფრო მეტნი არიან ისინიც, ვისაც თანამედროვე „ედემის სახელმწიფოსი" ("gardenian state") სჯერა. ისინი ხედავენ საზოგადოებას, როგორც პროექტირების, კულტივაციისა და სარეველების მოწამვლის ობიექტს. ბაუმანი აღნიშნულს რადიკალურად ეწინააღმდეგება. ის მუშაობს ივან ილიჩისა (Ivan Illich) და მის ირგვლივ მომუშავე

36 ნორბერტ ელიასი (Norbert Elias) (1978 წელი, 1982 წელი) ხშირად მოიაზრება ასეთ პიროვნებად. მისი ოპტიმისტური პერსპექტივები შემდეგია: ბრძოლისთვის მუდმივ მზადყოფნაში ცხოვრებიდან, და ფიზიკური შეტევისგან პირის სიცოცხლისა და საკუთრების დასაცავად ემოციების თავისუფალი გამოვლინებიდან, ჩვენ გადავინაცვლეთ კომპლექსურ საზოგადოებაში, რომელიც ცივილურობასა და პირად თავშეკავებას ითხოვს. თუმცა, მის ამ მესიჯს რადიკალურად ეწინააღმდეგება მისი მიძღვნა: მისი მშობლების ხსოვნას, რომლებიც ბრესლაუში 1940 და აუშვიცში 1941 წელს დაიხოცნენ. აღნიშნულ წიგნებში სახელმწიფოს/თვის ქცევა უმეტესწილად თითქოს ელიასის ინტერესებს მიღმა დგას. ელიასის შესახებ მეტად პოზიტიური შეხედულებისთვის, იხილეთ, გარლანდი (Garland) (1986 წელი).

ჯგუფის ტრადიციების მიხედვით, რაც უკანასკნელ პერიოდში გამოიხატა ნაშრომში – „პროგრესის ლექსიკონი" ("Dictionary of Progress") (საჩს (Sachs), 1992 წელი). ბაუმანისთვის ჰოლოკოსტი უფრო მეტია, ვიდრე მისი საკუთარი საშინელებები. ჰოლოკოსტი ასევე გამაფრთხილებელი ნიშანიცაა. ამ დრომდე, ის ყველაზე ნათელი ინდიკატორია იმისა, რომ ინდუსტრიალიზაცია მაინცდამაინც პროგრესს არ ნიშნავს, რომ ჩვენ არასწორ გზას ვადგავართ და რომ მკურნალობად არ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ მსგავსი სახის წამლის მეტი რაოდენობით მიღება.

ბაუმანი გაფრთხილებას იძლევა ებრაელების ტენდენციის შესახებ, რომ მოახდინონ ჰოლოკოსტის მონოპოლიზაცია, რომ ის მხოლოდ ებრაელებისთვის დამახასიათებელ ფენომენად აქციონ. ივან ილიჩი იზიარებს მსგავს შეხედულებებს და ამტკიცებს (ზეპირი კომუნიკაცია), რომ ანტი-სემიტიზმისადმი მიმართული ყურადღების შედეგად, ვეღარ ვამჩნევთ ჰოლოკოსტის გაცილებით საფუძვლიან ფესვებს. აღნიშნული მონოპოლიზაცია ასევე გვაბრმავებს საკონცენტრაციო ბანაკებში არსებული სხვა ისეთი ჯგუფების ბედთან მიმართებით, როგორებიც არიან ბოშები, ჰომოსექსუალები, კომუნისტები. ასევე ვეღარ ვამჩნევთ გულაგებში საბჭოთა რეჟიმის სავარაუდო მტრებსაც.

ჰოლოკოსტის შესახებ ბაუმანის განმარტების ცენტრალური ნაწილი თანამედროვე საზოგადოებაში მორალური ინდეფერენტულობის სოციალურ წარმოებას ეხება. რომ გულგრილობა იდეოლოგიური განსაზღვრებებისა და ინდოქტრინაციის შედეგად მსხვერპლთა ავტორიზაციის, რუტინიზაციისა და დეჰუმანიზაციის გამო წარმოიშვა.

აღნიშნულ პროცესში ბიუროკრატიზაცია უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენდა. როგორც ეს ევროპელ ებრაელთა განადგურების (The Destruction of the European Jews) შესახებ ჰილბერგის (Hilberg) მონუმენტურ ნაშრომშია (1985 წელი, ტომი III, გვ. 1011) გადმოცემული:

**დასავლური ბიუროკრატია ადრე არასოდეს მდგარა მორალურ მოძღვრებასა და ადმინისტრაციულ ქმედებებს შორის არსებული ამხელა უფსკრულის წინაშე; ადმინისტრაციული მანქანა მანამდე არასოდეს დაუტვირთიათ ამგვარი დავალებით. იმ გაგებით, რომ ებრაელების განადგურების ამოცანამ გერმანული ბიუროკრატია უდიდესი გამოცდის წინაშე დააყენა.**

ისინი კი არ იყვნენ განსაკუთრებულები. ზედა ინსტანციებიდან ქვედა ინსტანციებამდე, ყველა ჩვეულებრივი იყო. ჰილბერგი განაგრძობს:

**წესრიგის პოლიციის (Order Police) ნებისმიერ წევრს გეტოში ან მატარებელში დაცვად შეეძლო ემუშავა. რეიხის უსაფრთხოების მთავარი ოფისის (Reichs Security Main Office) ნებიემიერი იურისტი მობილური მკვლელობების ქვედანაყოფის ხელმძღვანელობაში შეიძლებოდა განხილულიყო; ეკონომიკური ადმინისტრაციის მთავარი ოფისის (Economi-Administrative Main Office) ნებისმიერი ექსპერტი ბუნებრივ არჩევანს წარმოადგენდა სიკვდილის ბანაკებში მსახურებისთვის. სხვა სიტყვებით, ყველა საჭირო ოპერაცია ნებისმიერი ხელმისაწვდომი პერსონალის მიერ ხორციელდებოდა.**

საკონცენტრაციო ბანაკების შექმნა თავიდანვე არ იყო გადაწყვეტილი. თავდაპირველად, მიზანს გერმანიის ებრაელებისგან გათავისუფლება წარმოადგენდა. შემდგომ გერმანიას დაემატა ავსტრია, რომელიც ასევე უნდა დარჩენილიყო ებრაელებისგან თავისუფალი. ებრაელები შესაძლოა აზიის ტერიტორიებისკენ გადაესროლათ, თუმცა ადგილობრივი ადმინისტრაციის მხრიდან ამას პროტესტი მოჰყვა. მადაგასკარი იყო ასევე ერთ-ერთი გამოსავალი; აიხმანს (Eichmann) ეს იდეა თითქმის ერთი წელი ამოძრავებდა, თუმცა, ბრიტანეთი მართავდა ტალღებს და შედეგად, იგი იძულებული გახდა, გეგმები შეეცვალა და ებრაელთა ფიზიკური განადგურება მოეხდინა:

**დანარჩენი კი სახელმწიფო ბიუროკრატიის სხვადასხვა დეპარტამენტს შორის თანამშრომლობის საკითხს წარმოადგენდა; ასევე დეტალური დაგეგმვის, შესაბამისი ტექნოლოგიის დაპროექტების, ტექნიკური აღჭურვილობის, ბიუჯეტირების, კალკულაციისა და მობილურობის საკითხიც მოიაზრებოდა. ... არჩევანი ცვალებადი გარემოებების შედეგად განვითარებადი „პრობლემის"**

რაციონალურად გადაჭრის გზების ძიების სერიოზული ძალისხმევის შედეგად იყო გაკეთებული. (ბაუმანი, გვ. 16–17).

პროცესი არ იმართებოდა მონსტრების მიერ. მისი ორგანიზება ადმინისტრაციისა და ეკონომიკის სექციის (Section of Administration and Economy) მიერ განხორციელდა. პროცესი მიმდინარეობდა ზუსტად, სწრაფად და გამოთვლადი უნივერსალისტების წესების (Calculable universalistic rules) მიხედვით. “ირაციონალურობა” მთლიანად იყო გამორიცხული. ადამიანები, რომელთა მიმართაც იყო ეჭვი, რომ მათ სიამოვნებას ჰგვრიდათ მკვლელობა, აუცილებლად გამოირიცხებოდნენ.

ასეთი რაციონალურობიდან გამომდინარე, პროცესი ცივილიზებული პროცესის ელემენტებთან ჰარმონიაში მოდიოდა. პროცესი, რომლისთვისაც საზოგადოებრივი ცხოვრებიდან ძალადობის დაუღალავი აღმოფხვრა იყო დამახასიათებელი. ან, ბაუმანის მნიშვნელოვანი დამატებით, პროცესი, რომელსაც ძალადობის სახელმწიფოს კონტროლქვეშ კონცენტრაცია ახასიათებდა. რაც აქ ხდება, ასევე მოითხოვს ზნეობრიობის, როგორც უმთავრესი პრობლემის, დადუმებას. ბაუმანი ამბობს (იტალიკი მისი) (გვ. 28–29):

...ცივილიზაციის პროცესი, სხვა დანარჩენთან ერთად, ამავე დროს არის მორალური გათვლებიდან ძალადობის გამოყენებისა და სარგებლიანობის გამოცალკევების პროცესი და სასურველი რაციონალურობის, მიზანშეწონილობის ეთიკური ნორმებისა და მორალური აკრძალვებისგან გათავისუფლება.

... ბიზნესის (როგორიცაა, მაგალითად, შინამეურნეობისა და საწარმოს შორის, ან კერძო შემოსავალსა და საჯარო „საფულეს“ შორის განხორციელებული გამიჯვნა/განცალკევება) რაციონალურად მართვის პირობები ამავე დროს ფუნქციონირებენ, როგორც ძლიერი ფაქტორები საბოლოო მიზანზე ორიენტირებული, რაციონალური ქმედების სხვა (განსაზღვრებით ირაციონალური) ნორმების მიერ მართული პროცესებისგან იზოლაციისთვის და, ამგვარად, ერთობლივი დახმარების, სოლიდარობის, ურთიერთპატივისცემის და ა.შ. პოსტულატების შეზღუდული გავლენის მიმართ მას იმუნიტეტს ანიჭებენ.

ბაუმანისთვის ჰოლოკოსტი არ იყო ბარბაროსული ტენდენციების ირაციონალური გამოვლინებები, მისთვის ჰოლოკოსტი “თანამედროვეობის სახლის ლეგიტიმურ მოსახლეს წარმოადგენდა”. და მე მინდა დავამატო: ჰოლოკოსტი არის ევროპული კოლონიური ისტორიის უმთავრესი მიმართულების მხოლოდ გაგრძელება.

ჩვენ მხოლოდ ახლა ვიმყოფებით აფრიკაში რამდენიმე დიდი ევროპული გამარჯვების ასწლეულში. ინტელექტუალურ საფუძველს იმისა, რამაც დაუჯერებელი დანაშაულები გამოიწვია, განვითარების თეორიები და ბუნებრივი გადარჩევა წარმოადგენდა. ყველაზე ძლიერების გადარჩენის ხელსაწყო ცეცხლსასროლი იარაღი იყო ისრების წინააღმდეგ. ნუთუ ჰიტლერმა თავისი მეთოდები სტალინისგან ისწავლა? სწორედ ეს არის ისტორიკოსებსა და სოციოლოგებს შორის დებატების მიზეზი გერმანიაში. აბსურდი, ამბობს ლინდკვისტი (Lindqvist) (1992, gv. 199-200). ჰიტლერმა ამ მეთოდების შესახებ ბავშვობიდან იცოდა. ჰაერი, რომელიც მას და მისი ბავშვობისდროინდელ სხვა დანარჩენ ევროპელს გარემოიცავდა, გაჟღენთილი იყო რწმენით იმის შესახებ, რომ იმპერიალიზმი ბიოლოგიურ საჭიროებას წარმოადგენდა, რასაც შედარებით დაბალი ფენების გარდაუვალ განადგურებამდე მიყავდა საქმე. 9 წლის ადოლფ ჰიტლერი 1898 წლის 4 მაისს არ იმყოფებოდა ალბერტ ჰოლში. მისთვის უდიდეს დღეს - აფრიკაში დიდი გამარჯვებების პიკში - ლორდმა სალისბურმა (lord Salisbury), დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა, განაცხადა, რომ მსოფლიოს სახელმწიფოები შესაძლოა მომაკვდავ და ცოცხალ სახელმწიფოებად დაიყოს. ჰიტლერი იქ არ იმყოფებოდა. ასე რომც ყოფილიყო, მან იცოდა, ისევე როგორც ყველა ევროპელმა იცოდა. მათ იცოდნენ, რაც საფრანგეთმა აფრიკაში ჩაიდინა, რაც ინგლისმა ჩაიდინა და როგორც ბოლოს მოსულებმა, რაც გერმანიამ 1904 წლისთვის მოიმოქმედა. მომაკვდავი ეროვნებები დახმარებას საჭიროებდნენ, რომ როგორმე გადაელახათ აღნიშნული.

შესაბამისად, საკონცენტრაციო ბანაკები ახალი მოვლენა არ არის. ჩვენ არ უნდა ვიყოთ ასეთი შოკირებულები. ჰიტლერისა და სტალინის ბანაკები ტრადიციის მხოლოდ ნაწილს წარმოადგენდნენ. თუმცა ეს ევროპის შიგნით მოხდა. ეს კი ნიშნავდა, რომ ისინი ახლოს მოვიდნენ — და, ამავე დროს, მეტად გაუგებრები გახდნენ.

## 12.2 ეშმაკის ტანისამოსი

აზრები წარმოუდგენელია, ვიდრე მათი ფორმულირება არ მოხდება. ამგვარად: ჰიტლერის იდეა ეფუძნებოდა ხალხს, ჯიშის სიწმინდეს და ამ წმინდა პროდუქტისთვის სასიცოცხლო სივრცეს (Lebensraum). მას ჰქონდა უნარი გაეანალიზებინა აღნიშნული. საკონცენტრაციო ბანაკი ინდუსტრიალიზაციის პროდუქტს წარმოადგენდა. ერთი პროდუქტი ბევრ სხვა პროდუქტს შორის, რომელიც მსოფლმხედველობის, სოციალური მოწყობისა და ტექნიკური საშუალებების კომბინაციას შეადგენდა. ჩემი მტკიცებით, აშშ-ში არსებული ციხის სისტემა სწრაფი ტემპებით მიემართება იგივე მიმართულებით. არსებული ტენდენცია სავარაუდოდ სხვა ინდუსტრიულ ქვეყნებშიც განვითარდება, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთ ევროპაში. უფრო გასაკვირი იქნება, ასე რომ არ მოხდეს, ვიდრე აღნიშნული ამ ათწლეულში რომ მოხდეს.

ზოგიერთისთვის, თვითონ იდეა, რომ ინდუსტრიულ დემოკრატიულ საზოგადოებებში არსებული კრიმინალური პოლიცია შეიძლება რამით მაინც ემსგავსებოდეს ფაშისტების დროს არსებულ ვითარებას და საკონცენტრაციო ბანაკებს, აბსურდულად ჟღერს. ჩვენი ძალზე ინდუსტრიული საზოგადოებების უმეტესობა დემოკრატიულად იმართება, სადაც დაცულები არიან დანაშაულის, როგორც მათი მიზნის, და არა განადგურების წინააღმდეგ.

ეს, რა თქმა უნდა, სიმართლეს შეესაბამება. და მე არ ვთვლი, რომ თანამედროვე ინდუსტრიულ საზოგადოებებში არსებული ციხეები

საკონცენტრაციო ბანაკების ასლებად გადაიქცევიან. ყველაზე უარესი განვითარების შემთხვევაშიც კი თანამედროვე ციხის სისტემაში პატიმრების უმეტესობის განზრახ მკვლელობა მაინც არ იქნება მოსალოდნელი. ამოქმედდება მთელი რიგი სიკვდილით დასჯა, თუმცა პატიმრების უმეტესობა მაინც გათავისუფლდება, ან სიცოცხლეს თვითმკვლელობით, ან პატიმრობის დროს ძალადობით[37], ან ბუნებრივი მიზეზების გამო დაასრულებს. შესაბამისად, უფრო მოსალოდნელია, ყოველივე გულაგებში გადაიზარდოს, ვიდრე — საკონცენტრაციო ბანაკებში. ჩემი ყველაზე ცუდი პროგნოზი იზღუდება მხოლოდ იმის თქმით, რომ შედარებით დაბალი ფენებიდან მომავალი მამაკაცების დიდმა პროცენტმა შესაძლოა თავისი ცხოვრების ყველაზე აქტიური ნაწილი ციხეებსა ან ბანაკებში გაატაროს. მე იმასაც კი არ ვამტკიცებ, რომ აღნიშნული აუცილებლად მოხდება, თუმცა ამის დიდი შანსები არსებობს. ინდუსტრიული პროგრესი და ცივილიზაცია ამგვარი განვითარებების წინააღმდეგ არანაირ გარანტიას არ იძლევა.

პირიქით, ჩვენ შეგვიძლია ვნახოთ ცვლილებების ენერგიული დასაწყისები იურიდიულ აპარატში, სათანადო სასჯელის იდეოლოგიაში, მაკონტროლებელი ძალების ზრდასა და ეფექტურობაში, პატიმრების გაზრდილ რაოდენობასა და ასევე აღნიშნულ პატიმრებთან გამკლავებასთან მიმართებით. მალკოლმ ფილეი (Malcolm Feeley) (1991ბ, გვ. 66-67) „ახალი პენოლოგიის“ (“the new penology”) შესახებ საუბრობს. ამაში ის გულისხმობს პენოლოგიას, რომელიც არ არის ორიენტირებული ინდივიდუალურ პირებზე, კონკრეტულად კი რეაბილიტაციის ან სასჯელის გამოყენებით მათ გამოსწორებაზე. სამაგიეროდ, უმთავრეს ყურადღებას მოსახლეობის აგრეგაციის მართვას უთმობს.

---

[37] Human Rights Watch-ის (1992 წელი) ანგარიშის მიხედვით, უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში, სახელმწიფო ციხეებში თანაპატიმრის მიერ განხორციელებული მკვლელობა სიკვდილის დადგომის მეორე ან მესამე წამყვან მიზეზს წარმოადგენს. პირველ მიზეზად დასახელებულია ავადმყოფობები და სხვა ბუნებრივი გამომწვევი მიზეზები, თვითმკვლელობა და პატიმრის მიერ პატიმრის მკვლელობა კი მეორე ადგილს იკავებს.

**ამოცანა მენეჯერულია და არა ტრანსფორმაციული.**

**...**

**აღნიშნულის ინსტრუმენტებს წარმოადგენენ „ინდიკატორები“, პროგნოზირებადი ცხრილები, კლასიფიკაციის სქემები, რომლებშიც სათვალთვალო, პატიმრობის ან კონტროლის მიზნებისთვის აგრეგაციის საკლასიფიკაციო სისტემის მიერ ინდივიდუალიზებული დიაგნოსტიკა და რეაგირება არის მოცემული.**

**ახალი სასჯელის ცენტრალურ მახასიათებელს პიროვნების მორალური ან კლინიკური დახასიათების მოსახლეობაზე მორგებული შესაძლო კალკულაციებისა და სტატისტიკური დისტრიბუციებით აქტუალური ენით შეცვლა წარმოადგენს.**

ფილეისთვის (Feeley) სასჯელაღსრულების ახალი პოლიტიკა არც დასჯას ეხება და არც დამნაშავის რეაბილიტაციას. სამაგიეროდ, ის დაუმორჩილებელი ჯგუფების იდენტიფიკაციასა და მართვასთან არის დაკავშირებული. წინამდებარე წიგნში ჩვენი პერსპექტივიდან, სწორედ ეს არის ის, რაც სახიფათო კლასების კონტროლისთვის არის საჭირო. ამან ახალი პენოლოგიის შედეგად შექმნილ დისტანციასთან არსებული პრობლემის გამკლავებასთანაც მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწია. ინდივიდებიდან კატეგორიებამდე, ზნეობრიობიდან მართვამდე და აქტუარულ აზროვნებამდე.

თუ ჩვენს გვსურს, გავაკონტროლოთ ეშმაკი, ჩვენ მას უნდა ვიცნობდეთ. ჩვენ უნდა გავიგოთ, თუ რა პრინციპები მოქმედებდა გერმანიასა და, სასურველია, საბჭოთა კავშირში მომხდარი ამბების მიღმა, და ამის შემდგომ უნდა შევეცადოთ აღნიშნული პრინციპები გადმოვთარგმნოთ ისე, რომ აქ და ახლა არსებული მდგომარეობის შესაბამისად გაანალიზება შევძლოთ.

თუმცა, ეშმაკს თავისი ხრიკები აქვს. ის იცვლის თავის გარეგნობას. თუ ჩვენ გვსურს, რომ ეშმაკს ნიღაბი ჩამოვგლიჯოთ, ჩვენ ის, როგორც ზოგადი კატეგორია, ისე უნდა დავინახოთ და ამის საფუძველზე განვჭვრიტოთ, თუ რა სახით წარმოგვიდგება ის მომავალში.

ყოველივე ზემოხსენებულის განსახორციელებლად პირველი ნაბიჯი ჩვენს არსებულ სტრუქტურაში უმთავრესი პრობლემებისა და

ნეგატივის წყაროს მონახვა და შემდეგი კითხვის დასმა უნდა იყოს: როგორ ხდება ჩვენს ინდუსტრიულ სახელმწიფოში ამ პრობლემების გამოვლენა?

ჰიტლერი ჯიშის სიწმინდეზე ზრუნავდა და ამ წმინდა პროდუქტისთვის სასიცოცხლო სივრცის (lebensraum) არსებობის საჭიროებას ხედავდა. სუპერინდუსტრიული სახელმწიფოები ორი უკვე ხსენებული პრობლემის წინაშე დგანან: პირველი, თავიანთი პროდუქტებისთვის lebensraum-ის მონახვა; მეორე, როდესაც გაიზრდება მანქანის ეფექტურობა, მოვნახოთ გამოსავალი მათთვის, ვინც აღარ იქნება საჭირო (to find a solution for those no longer needed when the efficiency of the machinery increases.)

აქ კი უსიამოვნო დაკვირვება იჩენს თავს: ჩვენ ვნახეთ, რომ ციხეები ყველაზე გამოსადეგი იქ არსებული ორი პრობლემით არიან: ყველაზე სტაბილურ განვითარებულ ქვეყნებში, მეტად პროვოკაციული არაკონტრიბუტორების მიმართ განხორციელებული მკაცრი სისხლისსამართლებრივი სადამსჯელო ქმედებები დანარჩენი საზოგადოების მიმართ კეთილდღეობის პოლიტიკის გატარების შესაძლებლობას იძლევა. სხვა ინდუსტრიულ ქვეყნებში კი, პატიმრობა სახიფათო კლასების კონტროლს ნიშნავს. თუმცა, დამატებით და მზარდი მნიშვნელობით, იმ ფაქტის შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ დანაშაულის კონტროლის მთლიანი ინსტიტუტი თავისთავად წარმოების სისტემის ნაწილს წარმოადგენს. სისტემას როგორც მფლობელისთვის, ისე მუშისთვის ერთნაირად მნიშვნელოვანი ეკონომიკური ინტერესი გააჩნია. თანამედროვე საზოგადოებისთვის ეს არის უდიდესი მნიშვნელობის წარმოების სისტემა. ის აწარმოებს კონტროლს. ამ პერსპექტივით, წარმოიშობა პრობლემა: როდის არის საკმარისი ნამდვილად საკმარისი? ინდუსტრიალიზაცია თავის თავში გაფართოების აუცილებლობას მოიცავს. რა მოუვა კრიმინალურ პოლიციას, თუკი ინდუსტრიული განვითარება გაგრძელდება?

## 12.3 ზრდის ლიმიტები

ამ სფეროში არანაირი „ბუნებრივი შეზღუდვები“ არ არსებობს. არ არსებობს შეზღუდვები ნედლ მასალაზე, ან მწვანეთა მოძრაობაზე, რომელმაც შესაძლოა ინდუსტრიას პრობლემები შეუქმნას. ღვთის წინაშე ყველანი ცოდვილები ვართ და უმეტესობა ჩვენგანს ჩაუდენია ისეთი რამ, რის გამოც, ჩვენს დასჯაში საკმარისი ინტერესი რომ ყოფილიყო, ხელისუფლების წინაშე ჩვენი პასუხისგება იქნებოდა შესაძლებელი. ნებისმიერ შემთხვევაში, ცალსახაა, რომ მოსახლეობის ბევრად უფრო დიდი ნაწილის გაბმა იქნებოდა შესაძლებელი ქსელში, თუკი ის საკმარისად გამძლე და წვრილად დაწნული იქნებოდა.

ციხის სისტემის გაფართოების შეჩერების საკმარისი მიზეზის ნახვა ინდუსტრიული განვითარების, როგორც მთლიანი პროცესის, შეჩერების შემთხვევაში არის შესაძლებელი. ეს კი თავისუფალ საწარმოზე ოცნებას მოკლავდა. ბევრი, ვინც სიღარიბის ზღვართან ახლოს არასოდეს ყოფილა, მიხვდებოდა, რომ უმუშევრობა აუცილებლად ინიციატივის ნაკლებობით, უსაქმურობით ან ჰედონისტური ცხოვრების წესით არ იყო განპირობებული. ამოიწურება ასევე ინდუსტრიის კონტროლისთვის საჭირო ფულის წყაროც. გადასახადების გადამხდელთა იმ მცირე რაოდენობის ფული, რომელსაც რამის გადახდის შესაძლებლობა ექნებოდათ, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი საჭიროებისთვის შეინახებოდა.

თუმცა, ღრმა რეცესიაც ასევე წარმოადგენს სიტუაციას, რომლის თანახმადაც, ციხეები ყველა საჭიროებიდან უმთავრესად შესაძლებელია მიიჩნეოდნენ. ღრმა რეცესიის დროს სახიფათო კლასის მოცულობა იზრდება და ხდება უფრო საშიში, ვიდრე ოდესმე. როგორც უკვე ვნახეთ, შედარებით დაბალი ფენები ყველა ჩვენთვის ნაცნობი ციხის სისტემაში არიან მასიურად წარმოდგენილნი.

არ არსებობს არანაირი ბუნებრივი შეზღუდვა და ლიმიტი. არსებობს ინდუსტრია. არსებობს მისი შესაძლებლობები. მოსახლეობის ორ-მე-

სამედს ბევრად უფრო მაღალი ცხოვრების დონე ექნება, ვიდრე ვინმეს სადმე მსოფლიოში. მას-მედია ყვავის მოსახლეობის დარჩენილი ორი-მესამედის მიერ ჩადენილი დანაშაულების სახიფათოობის შესახებ გადმოცემული ინფორმაციის წყალობით. მმართველებს ირჩევენ მათი დაპირებებისთვის, რომ სახიფათო მესამედს გისოსებს მიღმა დააკავებენ. რატომ უნდა შეჩერდეს აღნიშნული პროცესი? რაციონალური გონებისთვის არ არსებობს რაიმე სახის ბუნებრივი შეზღუდვა.

ისეთი ძლიერია მამოძრავებელი ძალები. მათ მიმართ არსებული ინტერესები უმთავრეს ღირებულებებთან არიან ჰარმონიაში. ისინი მორალურად იმდენად მყარად არიან დასაბუთებულნი. უახლოეს მომავალში, რატომ არ უნდა მიაღწიონ მათ სრულ წარმატებას?

გერმანიამ ეს შეძლო. მათი რკინიგზებისა და ასევე დაცვის ალერნატიული გამოყენების გადაუდებელი საჭიროების მიუხედავად, შუა ომში საბოლოო გამოსავალი ნახა. ომისთვის მზადების პროცესში და მის შემდგომ საბჭოთა კავშირმა გულაგების ჩამოყალიბება და მათი მართვა შეძლო. მათ არამარტო ჰქონდათ ზემოხსენებულის შესაძლებლობა, ისინი ამით მოგებასაც კი ნახულობენ. რატომ არ შეიძლება თანამედროვე, ინდუსტრიულმა ერმა უფრო მეტ წარმატებას მიაღწიოს?

ჰიტლერსა და მის ხალხს თითქმის შეუძლებელთან გათანაბრებული ამოცანა ჰქონდათ. ასევე იყვნენ საბჭოთა კავშირის ლიდერებიც. გაცილებით მარტივი არ იქნება ახალი, სახიფათო ფენების მართვა?

ნიადაგი უკვე მომზადებულია. მედია ამას ყოველდღიურად უწყობს ხელს. პოლიტიკოსებიც მედიას უერთდებიან. პოლიტიკურად შეუძლებელია ცოდვის წინააღმდეგი არ იყო. ეს არის კონკურსი, რომელსაც უკეთესად მოთამაშე იგებს. დანაშაულისგან ხალხის დაცვა ყველაზე მეტად სამართლიანია. ამავე დროს, კონტროლის მწარმოებლები ითხოვენ წესრიგს. მათ აქვთ ამის შესაძლებლობა. არ არსებობს არანაირი ბუნებრივი შეზღუდვა. საზოგადოება დანაშაულის გარეშე – უამრავისთვის იმდენად საკრალური მიზანია, რომ ფულსაც კი არ აქვს მნიშვნელობა. ვინ კითხულობს ხარჯებს ტოტალური ომის

დროს? მენეჯმენტი სიტყვა “menage”-დან მომდინარეობს. მენეჯერული მოდელის უმთავრეს მაგალითს ცხენების მომთვინიერებელი კაცი წარმოადგენს, რომელიც მათრახის მეშვეობით ცხენს წრეზე ატრიალებს. მენეჯმენტის წარმატება ღირებულების სტრუქტურების გამარტივებასთან არის დაკავშირებული. ეს პირობა კი, თანამედროვე საზოგადოებაში, როგორც ჩანს, სრულდება.

## 12.4 ინდუსტრიული მკვლელობა

„საბოლოო გამოსავლის“ რეალიზაციაში გერმანული ინდუსტრია ყველაზე სასარგებლო აღმოჩნდა. გაზს, რომელიც საკონცენტრაციო ბანაკებში გამოიყენებოდა, ციკლონი ეწოდებოდა. გაზი კერძო კომპანიებისგან უნდა შეეძინათ. ჰილბერგის (Hilberg) (1985 წელი, გვ. 886) მიხედვით, ის საწარმოები, რომლებიც ფაშისტებს გაზით ამარაგებდნენ, ქიმიური ინდუსტრიის ნაწილს წარმოადგენდნენ, რომელთა სპეციალიზაციაც სპეციალურად ამისთვის შექმნილ გაზის კამერებში შენობების, ბარაკებისა და ტანსაცმლის დეზინფექცია იყო. კომპანია, რომელმაც გაზის მეთოდი განავითარა, იყო Deutsche Gesellschaft für Schadlingsbekämpfung – DEGESCH. ფირმა სამი კორპორაციის საკუთრებას წარმოადგენდა. I.G. Farben (42.5%), Deutsche Gold- und Silber-Scheideamstalt (42.5%) და Goldsmidt (15%). 1942 წელს მათმა მოგებამ 760,000 რაიხმარკა შეადგინა[38]. ომის უკანასკნელ პერი-

[38] „ციკლონის წარმოება ორი კომპანიის მიერ ხდებოდა: the Dessauer Werke და the Kaliwerke at Kolin. I. G. Farben-ის ერთ-ერთი ქარხანა (უერდინგენში) ციკლონისთვის სტაბილიზატორს აწარმოებდა. გაზის დისტრიბუციას აკონტროლებდა კომპანია DEGESCH-ი, რომელმაც 1929 წელს მსოფლიო ბაზარი ამერიკულ კომპანიასთან, ციანამიდთან (Cyanamid) ერთად გადაინაწილა. თუმცა, DEGESCH-ი მომხმარებლებზე პირდაპირ მაინც არ ყიდდა ციკლონს. გაყიდვებით სხვა ორი ფირმა იყო დაკავებული: HELI და TESTA. აღნიშნული ორი კორპორაციის ტერიტორიები გამყოფი ზოლით იყო დაყოფილი ... (ამის შედეგად) HELI-მ ძირითადად კერძო მომხმარებლები მიიღო, TESTA-მ კი – სამთავრობო სექტორი, მათ შორის Wehrmacht-ი და სს.“

ოდამდე ბიზნესი ჩვეულებრივ მიდიოდა. 1944 წლის მარტში ერთ-ერთი ქარხანა დაიბომბა და მძიმედ დაზიანდა. ამ დროისთვის ესესი 750,000 ებრაელის აუშვიცში გაგზავნისთვის ემზადებოდა. ეს იყო იმ დროისთვის არსებული ერთადერთი ბანაკი, რომელიც დღემდე არის შემორჩენილი. თუმცა TESTA-მ ეს კიდევ ერთხელ ჩაიდინა. 2,800 კგ ციკლონი გაიგზავნა აუშვიცში. ჰილბერგის (Hilberg) მიხედვით (გვ. 891), „ფირმამ სასწრაფოდ გაარკვია, ვისთვის უნდა გაეგზავნათ ანგარიში". გაზის მიწოდება ბოლომდე ხორციელდებოდა.

კომპანია I. G. Farben-ი აუშვიცისთვის გაზის წარმოებაში მონაწილეობდა, თუმცა, გარკვეული არ იყო, იცოდნენ, თუ არა, რასაც აკეთებდნენ. 1938 წლიდან 1943 წლამდე ციკლონ ბ-ზე მოთხოვნა და შესაბამისად, გაყიდვები გაორმაგდა. გაზი ასევე სხვა მიზნებისთვისაც გამოიყენებოდა. კონკრეტულად კი, საომარი ტექნიკის, მაგალითად, ყაზარმებისა და წყალქვეშა ნავების, დასაცლელად. ერთი ტონა ციკლონის გაზი საკმარისი იყო ერთი მილიონი ადამიანის მკვლელობისთვის. 1943 წელს კი 411 ტონა გაზი აწარმოეს (ჰაიესი, (Hayes), 1987 წელი, გვ. 362). შესაბამისად, მწარმოებლებს შესაძლოა არ სცოდნოდათ იმის შესახებ, რომ მათი გაზის მეშვეობით საკონცენტრაციო ბანაკებში ხალხი იცოხებოდა. I. G. Farben-ის არც ერთი ლიდერი შემდგომ მსგავსი სახის დანაშაულისთვის არ გაუსამართლებიათ.

თუმცა, ქარხნების მონახულებისას მათ ასევე უნდა ესუნთქათ. ერთი-ერთი ასეთი ქარხანა აუშვიცის გვერდით იმყოფებოდა. სამშენებლო სამუშაოებისთვის ბანაკმა მონა-მოსამსახურები გამოყო. უმაღლეს აღმასრულებლებსაც კი არ შეეძლოთ თავი აერიდებინათ „ბირკენაუსა და აუშვიცის კრემატორიუმებიდან მომავალი მყრალი სუნისთვის". სიმყრალემ „უბრალოდ მოიცვა ოფიციალური განმარტება, რომ ბანაკებში ტიფთან გამუდმებული ბრძოლის გამო, მათ მკვდარი სხეულების დაწვა უწევდათ". (ჰაიესი, 1987 წელი, გვ. 364). უფრო მეტიც, მონა-მუშებმა საკმაოდ კარგად უწყოდნენ მათთვის

მომზადებული ბედის შესახებ. I. G. Farben-ის ზედამხედველები „გაზის შესახებ არა მხოლოდ ხმამაღლა საუბრობდნენ, არამედ იყენებდნენ კიდეც მას, როგორც მოტივაციას, რომ მუშებს მეტი ემუშავათ“. ახლო-მახლო მდებარე სხვა ფაბრიკებში, რომლებიც ასევე I. G. Farben-ს ეკუთვნოდა, მდგომარეობა გაცილებით უარესი იყო. საკვები იყო უკეთესი, მაგრამ სიცოცხლის ხანგრძლივობა მერყეობდა ოთხიდან დაახლოებით ექვს კვირამდე.

ომის შემდგომ I. G. Farben-ის ხუთი ლიდერი მონური შრომის გამოყენებისთვის გაასამართლეს. სასჯელი იყო მსუბუქი, და სასამართლოს მიერ მითითებული მიზეზებიდან რამდენიმეს განხილვა კერძო ციხეების მიმართაც მნიშვნელოვანია:

> ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ კერძო მოქალაქე უნდა აღმოჩნდეს ისეთ პოზიციაში, რომ მან შუა ომის დროს გადაწყვიტოს მისი მთავრობა მართალია, თუ არასწორი. (ციტირებულია ჰეიესში, 1985 წელი, გვ. 332).

1951 წელს, I. G. Farben-ის უკანასკნელი ხელმძღვანელი პატიმრობიდან გათავისუფლდა. ამის შემდგომ, ისინი ყველანი ძველ ცნობადობასა და კეთილდღეობას დაუბრუნდნენ, როგორც მრჩევლები ან ოფიცრები უამრავ გერმანულ კორპორაციაში. და რატომაც არა, კითხულობს ჰაიესი (1987 წელი, გვ, 380 და 382):

> Farben-ის ლიდერებმა ასეთ სიტუაციაში ბიზნესმენობა აირჩიეს, და არა რევოლუციონერობა.
>
> ...
>
> ისინი, მათი პროფესიონალური პასუხისმგებლობის გრძნობიდან გამომდინარე, ყველა საკითხს, პირველ რიგში, მათი განსაკუთრებული კომპეტენციებისა და პასუხისმგებლობების მიხედვით უდგებოდნენ, ამ შემთხვევაში კი – მათი საქმიანობის სფეროსა და აქციონერებს. აღნიშნული მანდატიდან გამომდინარე, ისინი ათავისუფლებდნენ თავს აუცილებლობისგან მორალური ან სოციალური განსჯა ან მათი გადაწყვეტილების საერთო შედეგების ანალიზი მოეხდინათ.

## 12.5 ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲛᲙᲕᲚᲔᲕᲠᲝᲑᲔᲑᲘ

მსგავსი რამ არ შეიძლება აქ მოხდეს. ჩვენ დემოკრატიებში ვცხოვრობთ. ჩვენ ვიცით მეტი. ჩვენს მოსახლეობას ზოგადი განათლების მეტად უფრო მაღალი დონე აქვს. და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ჩვენ ისეთ საზოგადოებაში გადავინაცვლეთ, რომელზეც მნიშვნელოვან გავლენას უმაღლესი პროფესიონალური სტანდარტები ახდენს.

მიუხედავად ამისა, ისინი, ვისაც საკონცენტრაციო ბანაკების პრობლემასთან მიმართებით გვიმუშავია, ვრჩებით შთაბეჭდილების გარეშე, ან უარესი, კვლავ უნდობლობით ვართ აღსავსე.

საკონცენტრაციო ბანაკების პერიოდში რაც მოხდა, სწორედ იმას წარმოადგენდა, რომ პროფესიონალები თავიანთ სამუშაოს ბიუროკრატიასთან მშვენიერ თანამშრომლობაში გაუმკლავდნენ.

მეცნიერები უმნიშნელოვანესი მონაწილეები იყვნენ. უმთავრეს იდეას ჯიშის სიწმინდე წარმოადგენდა. არც თუ ისე წმინდას არ უნდა გაეჩინა ბავშვები, წმინდას კი პირიქით – უამრავი უნდა გაეჩინა. არასასურველთა სტერილიზაცია და პროდუქტიულობის ბონუსი წმინდა ჯიშის წარმომადგენლებს. ესენი არ იყვნენ დევიანტური ფიქრები. ამერიკელი მეცნიერები შურით ყვებოდნენ სახლში იმის შესახებ, რომ რასის ჰიგიენის იდეები, რომლებიც ასევე აშშ-შიც მოქმედებენ, ნამდვილად გამოსცადეს გერმანიაში.

თუმცა, რიგი არასასურველი პიროვნებებისა ფიზიკურად არასრულფასოვნების სახით კვლავ აგრძელებდა გამოჩენას. ისინი მიიჩნეოდნენ ადამიანებად, რომელთა „ცხოვრებაც არ ღირდა", და საიდუმლო ბრძანებით, ევთანაზიაც დაშვებული იყო. ომის მოახლოებასთან ერთად, კრიტერიუმები იმ პირთათვის, რომლებიც უნდა დაეხოცათ, გაფართოვდა და ფიზიკურ დეფექტებს გონებრივი შესაძლებლობებიც დაემატა. თავდაპირეველად, გონებრივი შესაძლებლობები შემოიფარგლებოდა მხოლოდ სერიოზული გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე პირებით, შემდგომ ამ სიას არც თუ ისე გონებრივად ჩამორჩენილებიც დაემატნენ, შემდგომ – უბრალოდ შეშლილები, შემდგომ – ფსიქოპათები, ჰომოსექსუალები, და, ამ კატეგო-

რიებში განხილვის გარეშე, ნებისმიერი პირი არასწორი რასობრივი წარმომავლობით. განვითარდა საუკეთესო იარაღი. ჩვეულებრივი ჩაცხრილვა დამტკიცდა, რომ ძვირი ჯდებოდა და იწვევდა მკვლელის გონებრივ დაძაბულობას. ინექციები ნაკლებად ეფექტური იყო, ვიდრე მანქანის გამონაბოლქვი. მაგრამ ინსექტიციდები გაზის სახით, დამტკიცდა, რომ საუკეთესო იყო და შესაბამისადაც გამოიყენებოდა.

ექიმების არსებობა იყო აუცილებელი. გამუდმებით გამოიყენებოდა სამედიცინო ანალოგები. გერმანული ერი აღიქმებოდა, როგორც ერთიანი სხეული, რომელსაც სამედიცინო დახმარება ესაჭიროებოდა. როდესაც სხეულის ნაწილი დაზიანებულია, ოპერაციის აუცილებლობა დგება. ებრაელები წარმოადგენდნენ სიმსივნეს, და სოციალური სხეულის ასეთი ნაწილის ამოჭრის აუცილებლობაც ცალსახა იყო. ეს არ იყო მკვლელობა, ეს იყო მკურნალობა. ექიმები თეორიას მოქმედებად აქცევდნენ და ამის შესახებ ანგარიშს ისევ თეორეტიკოსებს აბარებდნენ. მათ მხოლოდ იმის გამო, რომ ექიმები იყვნენ, შეეძლოთ პირადად ემოქმედათ. ლიფტონი (Lifton) (1986 წელი) აღნიშნულს სამედიცინო მკვლელობას უწოდებს. მან გამოკითხა 29 მამაკაცი, რომლებიც ფაშისტური გერმანიის უმაღლეს სამედიცინო სფეროში მნიშვნელოვნად იყვნენ ჩართულნი. ხუთ მათგანს საკონცენტრაციო ბანაკებში უმუშავია. მან ასევე გამოკითხა რამდენიმე ყოფილი ფაშისტი არასამედიცინო სფეროს სპეციალისტი. და ბოლოს, მან ინტერვიუ აიღო აუშვიცის 8 ყოფილი პატიმრისგან, რომლებსაც სამედიცინო ბლოკებისთვის უმუშავიათ. მათგან ნახევარზე მეტი იყო ექიმი. ამ კვლევის უმთავრეს სიახლეს სამედიცინო აზროვნების მნიშვნელობა წარმოადგენს როგორც მთლიანი ოპერაციის მომზადებისას, ასევე – საკონცენტრაციო ბანაკებთან მიმართებით კონკრეტული ქმედებების განხორციელებისას. რკინიგზის სადგურებზეც კი, სადაც მატარებლები გეტოდან ბრუნდებოდნენ, ექიმები ყოველთვის იყვნენ წარმოდგენილნი. ისინი ყველა კონკრეტულ შემთხვევაში იქვე წყვეტდნენ ეროვნული სხეულის ოპერირების შესახებ. თავის გაქნევა მარცხნივ – ნიშნავდა იმწამიერ განადგურებას, თავის გაქნევა მარჯვნივ – ბანაკში იძულებითი შრომა. თუკი ექიმი ხელმისაწვდომი არ

იყო, საქმის გასაკეთებლად სტომატოლოგს ან ფარმაცევტს მიმართავდნენ. მნიშვნელოვანი იყო, რომ ეს სამედიცინო გადაწყვეტილება ყოფილიყო. ექიმების გარეშე, ან მათთან ახლოს მდგომი პირების გარეშე, პლატფორმაზე ეს იქნებოდა მკვლელობა.

ყველაზე უარესი კოშმარი არასოდეს მატერიალიზდება. სახიფათო მოსახლეობა არ განადგურდება, გარდა იმისა, ვინც სიკვდილით დაისაჯა. თუმცა, რისკები იმისა, რომ სახიფათო მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი შესაძლოა შეიზღუდოს და მოშორებით განთავსდეს და აიძულონ მათი ცხოვრების ყველაზე აქტიური წლები, როგორც კონტროლის მომხმარებლებმა, ისე გაატარონ. ეს შესაძლოა დემოკრატიულად და სამართლებრივი ინსტიტუტების მკაცრი კონტროლის ქვეშაც განხორციელდეს.

## 12.6 ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐ

– თუკი ჰოლოკოსტი ინდუსტრიული საზოგადოების ბავშვია,
– თუკი რაციონალური ბიუროკრატიული მეთოდები უმთავრესი პირობა იყო ყოველივეს განსახორციელებლად,
– თუკი სამეცნიერო თეორიებს ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა,
– თუკი სამედიცინო აზროვნება კიდევ ერთი აუცილებელი პირობა იყო წარმოუდგენლის განსახორციელებლად,
– მაშინ, ყველა მიზეზი არსებობს ფიქრისა, რომ მსგავსი ფენომენი შესაძლოა კვლავ გაჩნდეს, თუკი ამისთვის დრო მომწიფდება და ყველა საჭირო პირობაც სახეზე იქნება.

ყველა საჭირო პირობა სახეზეა?

ინდუსტრიული საზოგადოება სახეზეა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე და უფრო მეტი დაძაბულობის ქვეშაც იმყოფება, ვიდრე ოდესმე. ბაზრის ეკონომიკა მართავს მსოფლიოს რაციონალურობის, სარგებლიანობის და, რა თქმა უნდა, მოგების „აშკარა" მოთხოვნით. სახიფათო ფენებად ადვილად ტრანსფორმირებადი შედარებით დაბალი ფენები – სახეზეა. ასევე წარმოდგენილია სამეცნიერო თეორიები,

რომელთაც მოქმედების პოტენციალი გააჩნიათ. ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებული თეორიებიც სახეზეა, რომელთა მიხედვითაც, ზოგიერთი ნარკოტიკული საშუალება – არა ხშირადმოხმარებადი საშუალებები, არამედ ზოგიერთი ახალი სახეობა – თავისი ბუნებით ისეთია, რომ მათ წინააღმდეგ საბრძოლველად გამოძიებისა და სასჯელის ყველაზე მკაცრი ზომებიც კი გამართლებულია. კრიმინოლოგიასა და სამართალში მოღვაწე კრიმინოლოგებიც აქვე არიან თავისი დახმარების ხელით. აღარავის სჯერა მკურნალობის, თუმცა, დანაშაულის კონტროლის პოზიტიური თეორიების წარმოშობის შემდგომ ფავორიტად კვლავ ქმედუნარიანობის დაკარგვა რჩება.[39]

---

[39] კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო ასოციაცია (Internalionale Kriminalistische Vereinigung) 1889 წელს დაარსდა. ცენტრალურ ფიგურას ფონ ლისტი (von Liszt) წარმოადგენდა, რომელიც სახიფათო კლასების, განსაკუთრებით კი „გამოუსწორებელი კლასების", კონტროლის აუცილებლობის შესახებ ირწმუნებოდა. აღნიშნული კლასები კი სოციალური წესრიგის ძირითად ოპონენტებს წარმოადგენდნენ. ისევ და ისევ, ფონ ლისტი დაჟინებით მოითხოვდა, რომ ისინი, ვის მიმართაც ვერ გატარდებოდა რეფორმები, ქმედუუნაროები (incapacitated) უნდა გამხდარიყვნენ. რაძინოვიჩის მიხედვით (1991ბ), ლისტი აღნიშნული ჯგუფების კონტროლს კრიმინალური პოლიტიკის ცენტრალურ და ყველაზე სასწრაფო ამოცანად მიიჩნევდა:
პატიმრების დაახლოებით 70% რეციდივისტებს წარმოადგენდნენ და მათგან ნახევარი მაინც უნდა მიჩნეულიყო, როგორც „ტრადიციული გამოუსწორებელი სამართალდამრღვევი". მათ წინააღმდეგ საზოგადოებამ თავი უნდა დაიცვას და „რადგან ჩვენ არ გვსურს მათთვის თავის მოკვეთა, ან ჩამოხრჩობა და არ შეგვიძლია მათი ტრანსპორტირება", რაც რჩება არის სამუდამო ან გაურკვეველი ვადით პატიმრობის სახით თავისუფლების აღკვეთა (გვ. 39).
... ყოველი სამართალდამრღვევი, რომელიც მესამედ იქნა გასამართლებული უნდა მიიჩნეოდეს, როგორც გამოუსწორებელი დამნაშავე და ის აღნიშნული კვაზი-სამუდამო სეგრეგაციით უნდა აგებდეს პასუხს. (გვ. 40).
ტრადიციული სამართალდამრღვევი უნდა გამხდარიყო უვნებელი თავისივე ხარჯზე (იტალიკი ფონ ლისტის) და არა ჩვენსაზე, წერს რაძინოვიჩი (გვ. 40) და ამით ფონ ლისტს ძალზე თანამედროვედ აჟღერებს.
ნოცკე (Naucke) (1982 წელი, გვ. 557) ფონ ლისტის მიერ ფორმულირებული მარბურგერის პროგრამის შესახებ შემდეგს აცხადებს:
აღნიშნული თეორია იმ პირთა განკარგულებაშია, ვინც პენიტენციურ სამართალს აკონტროლებს. მარბურგერის პროგრამა არ შეიცავს ინსტრუმენტს, რომელთა საშუალებითაც მოხდება დიფერენციაცია იმათ შორის, ვის მიმართაც უნდა განხორციელდეს შეთავაზება და ვისაც უარი უნდა ეთქვას მასზე.

სამართლის სისტემა კი თანამედროვეობის მოთხოვნებთან მშვენივრად ახდენს ადაპტირებას. საკადრისი სასჯელის მინიჭების იდეა შესაძლებელს ხდის სისტემის განახლებას/გათანამედროვეობას, კონკრეტულად კი, უგულებელყოფს სხვა ღირებულებებს, გარდა ქმედებათა სიმძიმის საკითხისა. დანაშაულის სიმძიმისა და ტკივილის წილის შესაბამისობის იდეა არის შედეგი იმისა, რომ ყველა სხვა ღირებულება, რაც სასამართლომ ტრადიციულად უნდა აწონ-დაწონოს, სასამართლო პროცესიდან იდევნება. რაც მართლმსაჯულების სისტემას წარმოადგენდა დანაშაულის კონტროლის სისტემად გარდაიქმნა. სასამართლო, აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას შორის კლასიკური განსხვავება უმეტესწილად უნდა გაქრეს. სასამართლო ხელისუფლება პოლიტიკოსების იარაღად იქცევა, ან ყველაზე უკიდურეს შემთხვევაში, მოსამართლეები, ისევე, როგორც პროკურორები, თვითონაც პოლიტიკოსები ხდებიან. თუმცა, ეს კრიტიკის მიღმაც კი ექცევა. აქ არ არის არც ერთი მძიმე კანონდარღვევა, რომელიც ჰოლოკოსტს ან გულაგებს აღნიშნავდა. ახლა ეს ხმათა უმრავლესობით დანაშაულის დემოკრატიულ კონტროლს წარმოადგენს. და სანამ ქმედებები არ აზიანებს აღნიშულ უმრავლესობას, მისთვის რაიმე სახის ბუნებრივი შეზღუდვა არ არსებობს.

ოპტიმიზმისთვის კონკრეტული მიზეზები არ არსებობს. არც ადვილი გამოსავალი მოიძებნება, არც რაიმე სახის რეცეპტი არსებობს მომავლისთვის, სადაც უარესი არ მოხდება. სიტყვებთან მუშაობა. მე სხვა არაფერი შემიძლია, გარდა სიტყვების შემოთავაზებისა: სიტყვები წარმოადგენენ იმ სიტუაციის ნათლად წარმოჩენის მცდელობას, რომელშიც აღმოვჩნდით, ისეთი ღირებულებების ხაზგასმის მცდელობას, რომლებიც ისეთ მოთხოვნათა ადაპტაციის უკანასკნელი არეული მცდელობისთვის გაწიეს განზე, რომლებიც სწორედ ახლა არიან მოდაში. მოდით, კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი მართლმსაჯულების ინსტიტუტს იმისთვის, რათა დავინახოთ, მიუხედავად ყველაფრისა ხომ არ არის რაიმე ღირებული ამ ინსტიტუტის ძველ ფორმებში.

# თავი 13
# დანაშაულის კონტროლი, როგორც კულტურა

## 13.1 საერთო ბირთვი

**ტაივანი იბარებს ორგანოებს.** ესეთი სათაური ჰქონდა პატარა ჩანაწერს გაზეთ Corrections Digest-ში, 1991 წლის 27 ნოემბერი. და შემდგომ ვკითხულობთ:

> სიკვდილით დასჯილი 14 ტაივანელი კრიმინალის 37 ორგანო იქნა ტრანსპლანტაციისთვის გაღებული. ტრანსპლანტების იაპონელმა სპეციალისტმა 30 სექტემბერს ტაივანელი ქირურგის ციტირება მოახდინა. ტრანსპლანტაციის იაპონური საზოგადოების თავმჯდომარემ, მასამი კიზაკიმ (Masami Kizaki), განაცხადა, რომ ჩუნ-იან-ლიმ (Chun-Jan-Lee), ტაივანის უნივერსიტეტის პროფესორმა, ტრანსპლანტები გამოავლინა. ექიმმა ლიმ განაცხადა, რომ სიკვდილმისჯილმა კრიმინალებმა თანხმობა განაცხადეს თავიანთი გულის, თირკმელებისა და ღვიძლის „ცოდვისგან გათავისუფლებაზე“. სანამ სასუნთქ აპარატზე იმყოფებოდნენ, დონორები ცეცხლსასროლი იარაღით დახოცეს, რათა მათი სისხლის ცირკულაცია და სუნთქვა მოულოდნელად არ შეწყვეტილიყო.

ჩვენს თვალში კვლავ გარკვეული უნდობლობა ჩანს. ეს შეუძლებელია ასე მოხდეს. ეს უბრალოდ შეუძლებელია! თუმცა, აშკარაა, რომ ეს ხდება. ეს მოხდა.

და მე ვიყურები ირგვლივ, მაინტერესებს, ვინ იმოქმედებს, ვინ გავა ბარიკადებზე გასაპროტესტებლად?

*ექიმები?*

მათ რატომ უნდა გააპროტესტონ? ზოგიერთი გააპროტესტებდა, მაგრამ არა აუცილებლად იმიტომ, რომ ისინი ექიმები არიან.

ვინც დაიხოცა, კმაყოფილი იყო, ყოველ შემთხვევაში, ამ კონკრეტული ასპექტით მაინც. ორგანოების ადრესატებიც ბედნიერები იყვნენ. ექიმებიც შესაძლოა ბედნიერები იყვნენ, იქიდან გამომდინარე, რომ, ის, რაც სხვა შემთხვევაში უბრალოდ გაიფლანგებოდა, ახლა უამრავ ადამიანს გამოადგა გამოსაჯანმრთელებლად. ყოველ შემთხვევაში, ეს უკეთესი იქნებოდა, ვიდრე თურქი მუშების მოტყუება მათი თირკმელების მიღების მიზნით, როგორც ინგლისში, ან ორგანოების ყიდვა გაჭირვებული ადამიანებისგან, როგორც ეს ინდოეთში ხდება. ზოგიერთი არაპროფესიონალი ადამიანისთვის შესაძლოა რთული იყოს ამის გაგება და მიღება, მაგრამ ექიმები რაციონალურ მსჯელობაში გაწვრთნილები/დახელოვნებულები არიან. ეს თითქმის სასწაულის ტოლფასია. ბრმა ადამიანმა შესაძლოა დაიბრუნოს თავისი მხედველობა, მეუღლემ და მამამ, რომელსაც გულზე პრობლემები აქვს, ტრანსპლანტაციის შემდგომ შესაძლოა კიდევ დიდხანს იცხოვროს თავის მეუღლესთან და შვილებთან ერთად.

ზოგიერთი შესაძლოა კვლავ ეჭვის თვალით უყურებდეს ყოველივეს და ფიქრობდეს, რომ მოსამართლეები ამას გააპროტესტებენ. სამართალმცოდნე პირები არ მისცემენ უფლებას სიკვდილით დასჯა ამგვარად რომ იყოს გამოყენებული?

ეს დამოკიდებული იქნებოდა კანონზე. შესაძლოა, არ არსებობდეს აღნიშნულის ამკრძალავი კანონი, ან, უფრო უარესი, შესაძლოა იყოს კანონი, რომელიც, პირიქით, ხელს უწყობს ამგვარ პრაქტიკას. სასუნთქ აპარატზე მყოფი პატიმრების იარაღით დახოცვა ქვეყნის კანონი რომ ყოფილიყო, მოსამართლეები ამას მიიღებდნენ, მიუხედავად უხერხულობის ბუნდოვანი გრძნობისა, მიუხედავად არაპროფესიონალური რეაქციებისა, მიუხედავად სასამართლოში გატარებული

დაძაბული დღეების შემდეგ სახლში ცოლისა და ბავშვების მხრიდან მოულოდნელი კითხვებისა.

ჰიტლერსაც მსგავსი პრობლემა ჰქონდა.

ჩვეულებრივი ხალხისთვის ძნელი იყო გერმანული ერის გაუმჯობესებისთვის განხორციელებული მისი პროგრამის გაგება და მიღება. სერიოზული პრობლემები წარმოიშვა ოპერაციის ადრეულ ეტაპებზე. პირველი ცნობილი და ოფიციალურად ავტორიზებული მკვლელობა, რომელიც ძალზე უნარშეზღუდულ ბავშვთან იყო დაკავშირებული, ბავშვის მამის მიერ იყო ინიცირებული და მიღებული. მაშინაც კი, ეს საიდუმლოდ ინახებოდა. მაგრამ, პროგრამის მოქმედების გაზრდასთან და იმ კრიტერიუმის გაფართოვებასთან ერთად, რომელიც ეხებოდა "ცხოვრებას, რომელიც არ ღირს", გერმანულ საზოგადოებაში პროტესტის გრძნობა გაძლიერდა. ნათესავები დეტალურ ახსნას ითხოვდნენ, თუ სად და რატომ დაიხოცნენ მათი ახლობლები. იყო ასევე პროტესტის უსიამოვნო ეპიზოდებიც საკონცენტრაციო ბანაკებთან და კრემატორიუმებთან ახლოს მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან. ამ ყოველივემ გერმანიის შიგნით აღნიშნული პროგრამა შეაჩერა. მაგრამ ახლა მექანიზმი მზად იყო ასამოქმედებლად და როდესაც ომი გაჩაღდა, მექანიზმის უდიდესი ნაწილი გერმანიიდან ოკუპირებულ ტერიტორიებზე გადაიტანეს, გააფართოვეს და გამოიყენეს ისე, როგორც ეს ყველასთვის კარგად ცნობილია.

რის თქმას ვცდილობ?

მე ვცდილობ ვთქვა, რომ ჩარლზ ქულეი (Charles H. Cooley) (1909 წელი, 1956 წელი) მართალია. ქულეის, აშშ-ში სოციოლოგიის უდიდეს და საზოგადოდ დავიწყებულ მამას, ჰქონდა იდეა, რომ ყველა ადამიანს ერთიანი საფუძველი (coomon ground) გააჩნდა. რომ ყველა ადამიანი ძირითადად მსგავსები იყნენ არა ბიოლოგიის, არამედ იმის გამო, რომ ისინი ერთიან ადამიანურ გამოცდილებას იზიარებდნენ. ისინი იზიარებდნენ გამოცდილებას, სხვა არსებებთან შედარებით,

დაბადებიდან უფრო დიდი ხნის განმავლობაში ყოფილიყვნენ ყველაზე მოწყვლადი არსებები, ასევე ყოფილიყვნენ განწირულნი ადრეული სიკვდილისთვის, თუ სათანადოდ არ იზრუნებდნენ თავიანთ სიცოცხლეზე. ჩვენ ყველანი ძირითადად მსგავს ადამიანურ გამოცდილებას ვიზიარებთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ადამიანები ვერ ვიქნებოდით. სხვაგვარად როგორ შეიძლეობოდა ყოფილიყო, კითხულობს ქულეი, რომ ჩვენ შეგვიძლია წავიკითხოთ ბერძნული ტრაგედიები, ჩვენი არსებული ცხოვრებისთვის მივიჩნიოთ ისინი რელევანტურად და მნიშვნელოვნად, და გავითავით, თუ რას შეეხებიან ისინი? ქულეის კითხვისას, აღნიშნულ გაზიარებულ გამოცდილებაში ის მთელი კაცობრიობისთვის პოულობს საერთო ბირთვს/გულს, გაზიარებული ღირებულებების საფუძველს და წესებს, თუ როგორ უნდა იმოქმედო. ჩვენ ყველას გაგვაჩნია საერთო გრძნობები, რომელიც სწორსა და არასწორს შეეხება და საერთო საფუძველი ვიგრძნოთ, როდესაც შეუძლებელი კონფლიქტი იღებს სათავეს. ჩვენ ყველანი, არაპროფესიონალები, ისევე, როგორც განსწავლულები, დაბადებიდან ვართ სამართალში გარკვეულები და მორალურ საკითხებთან მიმართებით ცხოვრების ბოლომდე გაქვს გონებაში ჩაბეჭდილი ფართო და ხშირად კონფლიქტით სავსე მონაცემთა ბაზები. ამის აღსანიშნავად ნორვეგიაში ტერმინი “folkevett” გამოიყენება ან, შედარებით უფრო ძველმოდური ტერმინი რომ ვიხმაროთ, “den folkelige fornuft”, ერთგვარი ინტუიციური საღი აზრი, რომელიც ყველას მიერ არის გაზიარებული.

ამგვარი შეხედულება ძირითადად ოპტიმისტურია. მათ, ვინც ბავშვობა გამოიარა, ამგვარი მიდგომა დაემხრათ. მათ სოციალური კონტაქტის, ზრუნვისა და სითბოს სულ მცირე, მინიმუმი და უმეტეს შემთხვევაში მაქსიმუმი, გამოსცადეს და შესაბამისად, საზოგადოებრივი ცხოვრების უმთავრესი წესები გაითავისეს. ასე რომ არ მომხდარიყო, ისინი არ გაიზრდებოდნენ. პრობლემები მსგავსია ყველგან, ისევე, როგორც მსგავსია დაგროვილი გამოცდილებები.

ეს საერთო ბირთვი/ცენტრი გასაკვირად მდგრადია. ადამიანებს აქვთ გამოცდილება, იყვნენ სოციალური პირები. უმიზეზოდ არ არის, რომ დიურკემი (Durkheim) (1966 წელი) ალტრუისტულ თვითმკვლელობას ერთ-ერთ უმთავრეს ტიპად მიიჩნევს. ადამიანები კვდებიან ერთმანეთის გულისთვის. ეს ნორმალურია, თუკი ისინი ჩვეულებრივი ადამიანები არიან, თუკი ალტრუიზმი აუცილებელია, და თუკი მხარეები ისე ახლოს არიან, რომ ერთმანეთი ადამიანებად მიიჩნიონ. თუმცა, სიახლოვის შესახებ აღნიშნული ბოლო პუნქტი მნიშვნელოვანია და ყველა ჩვენგანს მიესადაგება. ყოველ ჩვენგანს ჩვენს მოვალეობებთან მიმართებით ასევე გარკვეული შეზღუდვებიც გააჩნია. ეს აუცილებელია გადარჩენისთვის. ჩვენ ყველანი ძველი ეთიკური დილემის წინაშე ვდგავართ: როგორ უნდა ვიკვებო მაშინ, როდესაც ვიცი, რომ ხალხი სწორედ ახლა, 6 საათზე ნაკლები ფრენის მოშორებით, შიმშილით იხოცება? მე ვიკვებები და შესაბამისად, სიცოცხლეს ვინარჩუნებ.

გარკვეული ხნის განმავლობში, სწორედ ასე იქცეოდნენ ლოძის გეტოში მომუშავე ებრაელი პოლიციელები. აღნიშნული გეტო აღმოსავლეთით ოკუპირებულ ტერიტორიებზე ყველაზე დიდი იყო. ლოძი იყო ძველი, მაგრამ ძალზე ინდუსტრიული ქალაქი, პოლონეთის პატარა მანჩესტერი. მ. ჯ. რუმკოვსკის (M. G. Rumkowski), გეტოში ებრაელთა უხუცესისა და აბსოლუტური ძალაუფლების მქონე პირის, მოსაზრებით, ისინი შეიძლებოდა გადარჩენილიყვნენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი გერმანიის ომის მანქანის შეუცვლელ ნაწილებად იქცეოდნენ. გეტო ერთ დიდ ქარხნად გადაიქცა, უკიდურესად ორგანიზებული, დისციპლინის მაღალი დონით და ორგანიზებულ შრომასთან არანაირი პრობლემით. ზოგიერთ ახალგაზრდა მუშას კი ჰქონდა პრობლემის შექმნის მცდელობა, თუმცა ისინი ძალზე მარტივად დაამშვიდეს. თუმცა ესესის ოფიქცრები ბოლომდე კმაყოფილები არასოდეს იყვნენ. მავთულხლართიანი კედლის მიღმა გეტო საკმაოდ დამოუკიდებელი მართვით გამოირჩეოდა. თუმცა გერმანელე-

ბი, რა თქმა უნდა, ამის ინსპექტირებას ახდენდნენ. ისინი ხედავდნენ საკმაოდ მოხუც ადამიანებს ირგვლივ და ასევე პატარა ბავშვებსაც, არაპროდუქტიულ მომხმარებლებს და ქალაქგარეთ მათი „შედარებით უფრო კომფორტულ ადგილას“ გადაყვანის ბრძანებას გასცემდნენ. ზოგიერთი იღებდა ამას, იქამდე სანამ ნახმარი ტანსაცმლით სავსე ტრანსპორტი არ ბრუნდებოდა უკან და შესაბამისად, გეტოში მცხოვრები მოსახლეობაც ხვდებოდა ვითომ კომფორტული ადგილების მიღმა რა რეალობაც იმალებოდა. ამ დროიდან მოყოლებული, უფრო და უფრო ძნელი ხდებოდა ლოძის გეტოსთვის ესესის მხრიდან გამუდმებით მზარდი კვოტის შევსება. ადამიანები ცდილობდნენ ნათესავებსა და მეგობრებში დამალულიყვნენ, თუმცა ამ შემთხვევაში ისინი უსაკვებოდ რჩებოდნენ. გარკვეული დროის შემდეგ, მათი ნათესავებიც ვეღარ იღებდნენ საკვებს. უკიდურეს ალტრუიზმს ჰქონდა ადგილი. როდესაც პოულობდნენ დამალულებს, ოჯახის სხვა წევრებსაც ერთმეოდათ ლოძის გეტოში დარჩენის პრივილეგია, თუნდაც მათ მუშაობის შესაძლებლობა ჰქონოდათ. ამის ნაცვლად მათ ბავშვებთან, ავადმყოფებთან ან მოხუცებთან ერთად მათ უკანასკელ მოგზაურობაზე აგზავნიდნენ. იმ ადამიანების გამოვლენის, დაპატიმრებისა და დეპორტაციის საქმეში, რომლებიც დამალვას ცდილობდნენ, პოლიციას, ებრაულ პოლიციას განსაკუთრებით რთული სამუშაო ჰქონდა შესასრულებელი, თუმცა, გეტოს გადასარჩენად ეს აუცილებლად უნდა გაკეთებულიყო. პოლიციელები ჯილდოს სახით იღებდნენ იმას, რომ მათი ახლო ნათესავები დეპორტირებულთა სიიდან გამოირიცხებოდნენ, იქამდე, სანამ ისინი ყველანი თვითონაც არ იქნებოდნენ დეპორტირებულები. თვითონ რუმკოვიჩი და მისი ახალგაზრდა მეუღლე ლოძის ერთ-ერთი უკანასკნელი მატარებლით გაუშვეს დეპორტაციაში. გეტოს ცხოვრებაში ყოველდღიურად 4 ასლად გამოდიოდა გაზეთი შიდა წრისთვის. ერთს ინახავდნენ, და მათი უმეტესი ნაწილი ახლა ხელმისაწვდომია ინგლისურ გამოცემაში (Dobroszycki, 1984 წელი). არც ისე ბევრი დოკუმენტის დაბეჭდვა იქნებოდა შესაძ-

ლებელი, რომელიც ასე ნათლად გამოხატავდა ადამიანის მნიშვნელობას, როგორც აღნიშნული. არც ისეთი დოკუმენტის სიმრავლე შეიძლება აღინიშნებოდეს, რომელიც ჰუმანურობის მეორე მხარეს აჩვენებდა: წნეხის ქვეშ ტოტალური განადგურების შესაძლებლობა, როდესაც შიმშილმა, სისველემ, ყინვამ და სასოწარკვეთამ ყოველივე გაანადგურა, ან, სადაც სხვაგვარად კეთილშობილმა ადამიანებმა თავიანთი ახლობელი და საყვარელი ადამიანების დეპორტაციისგან ხსნის გზების მცდელობებში ჩვეული შეზღუდვები დაკარგეს.

შესაბამისად, როგორც ეს პირადი ცხოვრებიდან ყველას მოგვეხსენება, არ არსებობს საერთო ბირთვის/გულის აბსოლუტური გარანტია, რომელიც მსგავს, ძველ გამოცდილებას დაეყრდნობოდა. ეს ხშირად იმათთან მიმართებით მუშაობს, ვისთანაც ჩვენ ახლოს ვართ. თუმცა, საერთო ბირთვმა აქტუალობა შესაძლოა მანძილის ან იმ გარემოცვის უკიდურესი ხასიათის გამო დაკარგოს, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ.

ან ის არარელევანტური შესაძლებელია პროფესიული სწავლებისა და პრაქტიკის წყალობითაც გახდეს.

ეს არ არის პროფესიონალიზმის განხილვის ადგილი. ღვთის წყალობაა, როდესაც მოთხოვნისამებრ მაღალი ხარისხის პროფესიონალურ მომსახურებას იღებ და იცი, რომ ეს შენ გჭირდება. თუმცა, დილემა გარდაუვალია. პროფესიონალური სწავლება ნიშნავს გრძელვადიან სპეციალიზაციას. ეს ნიშნავს გარკვეული თვისებების დახვეწას, მაგრამ ამასთან, გარკვეული ღირებულებების დახვეწასაც. დიდხნიანი სპეციალიზაცია ნიშნავს ადამიანის გამოცდილების უმთავრესი ბირთვის/გულისგან ძალიან დაშორებას. პროფესიონალიზაცია უმეტესად სასურველი საქმის კარგად და შედეგიანად დასრულების გარანტიას ნიშნავს, თუმცა ასევე ღირებულებათა მთლიანობის და პოპულარული საღი აზრის არსებობის გარანტიების ნაკლებობასაც ნიშნავს. ის რაც მოხდა მედიცინაში ფაშისტური გერმანიის დროს, ისეთი თავისებური არ არის. აქ თავისთავადი გარანტიები არ არსებობს.

ასეთი ფონის საწინააღმდეგოდ, ჩვენი ყურადღება კვლავ სამართალზე შეგვიძლია გავამახვილოთ. აღნიშნული პროფესია ღირებულებებთან ერთად მუშაობს. თუკი ვერ ენდობი ადვოკატს, მაშ ვის ენდობი?

ეს დამოკიდებულია, რა სახის სამართალთან გვაქვს საქმე.

ეს, პირველ რიგში, დამოკიდებულია, თუ რამდენად ახლოსაა აღნიშნული სამართალი კაცობრიობის საერთო გამოცდილების მთავარ ბირთვთან. იქნება ეს სამართალი, რომელიც საფუძველს აღნიშნული ბირთვიდან იღებს, თუ ეს იქნება სამართალი, რომელიც შორს დგას მისგან და სამაგიეროდ, მთლიანად უკავშირდება ერის, მთავრობისა ან ინდუსტრიულ/ეკონომიკური ესთაბლიშმენტის ზოგადი მენეჯმენტის მოთხოვნებს? ან ისეთ ფორმულირებას, რომელშიც ასახულია, რაც ჩემთვის არის იდეალური: როგორ შეუძლია ვინმეს სამართლის უამრავ მიმართულებაში უმაღლეს იურიდიულ სტანდარტებს მიაღწიოს იმ უმთავრესი ნორმებისა და ღირებულებების დაკარგვის გარეშე, რომლებიც კაცობრიობის საერთო გამოცდილებიდან მომდინარეობენ?

## 13.2 სად არის სამართლის ადგილი?

დაგ ოსტერბერგი (Dag Osterberg) (1991 წელი) საზოგადოებაში არსებულ უმთავრეს სოციალურ ინსტიტუტებს ოთხ ძირითად კატეგორიად ჰყოფს. პირველი ეხება წარმოებას, სადაც რაციონალური მიზნის მიღწევა არის უმთავრესი. მეორე ეხება რეპროდუქციულ ინსტიტუტებს, სადაც ზრუნვა და მომსახურება არის მთავარი. მესამე კატეგორიაში ჩვენ ვხვდებით პოლიტიკისა და ძალაუფლების ინსტიტუტებს, მეოთხეში კი – პრინციპების, ღირებულებებისა და აზროვნების კოორდინირების ინსტიტუტს. ეს უკანასკნელი კატეგორია არის ის, სადაც კულტურული და სამეცნიერო ინსტიტუტების ადგილია, სადაც იწარმოება და რეპროდუცირდება ცოდნა, სადაც ადგილი აქვს დაუს-

რულებელ დისკუსიებს იმაზე, თუ როგორ უნდა იყოს მსოფლიო აღქმული, და ასევე ბუნებასა და ადამიანებს შორის ურთიერთობაზე.

და სად არის სამართლის ადგილი? ჰედა ჯერტსენი (Hedda Giertsen) (1991 წელი) ამის შესახებ პატარა ნაშრომში, სახელწოდებით „სამართალი, როგორც ჰუმანისტური საქმიანობა" მსჯელობს. მისი პასუხი სათაურშიც აისახება. იმის ნაცვლად, რომ განიხილოს სამართალი, როგორც პოლიტიკასთან და ძალაუფლებასთან დაკავშირბეული მოვლენა, ის ყურადღებას სამართლებრივ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების განსაკუთრებით ჰუმანისტურ ასპექტებზე ამახვილებს. სამართალს კონცეპტუალიზაცია და შეფასება უწევს, ხშირად მუშაობს კონფლიქტურ მოვლენებთან და არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი მიმართულებით ყურებით.

თანამედროვეობასთან ერთად ყოველივე ეს შეიცვალა. სამართალმა გადაინაცვლა ინსტიტუტების პირველი ზოგადი/საერთო კლასისკენ, რასაც წარმოება ეწოდება. კანონი ხდება გამოყენებითი ინსტრუმენტი, რომელიც ჩამოშორებულია კულტურულ ინსტიტუტებს. ასეთი სვლით, სამართალი კარგავს არსებით ხარისხს, კერძოდ კი, კაცობრიობის გამოცდილების უმთავრეს დარგში მის ფესვებს.

უმთავრესი სოციალური ინსტიტუტების ოთხ ძირითად ტიპად დაყოფა შესაძლებელს ხდის ინსტიტუტის ერთი უმთავრესი ტიპიდან ელემენტების სხვა კატეგორიაში ინტეგრირების პრობლემების დანახვას. ერთი სახის ინსტიტუტებში ნაპოვნი გამოსავალი არ არის აუცილებელი მისაღები იყოს მეორე სახის ინსტიტუტისთვისაც. უნივერსიტეტები გარკვეული წარმოსახვითი და კრიტიკული შესაძლბელობის დაკარგვის გარეშე ვერ იმუშავებენ როგორც ქარხნები (იმის მიუხედავად, რომ ზოგიერთ კანცლერი სწორედ ამას ცდილობს). ისევე, როგორც ღირებულებათა დაცვის საქმეში თავიანთი უდიდესი ძალის შეწირვის გარეშე სასამართლოები, როგორც ინსტრუმენტული საშუალებები, ვერ იფუნქციონირებენ. სასამართლოები ღირებულებებს მათი ხმამაღლა გაჟღერებით, ერთმანეთთან შედარებით

იცავენ. სამართალი, როგორც ჰუმანიტარული დისციპლინა, ღრმა ადამიანურ საქმიანობასთან ინარჩუნებს კონტაქტს და, შესაბამისად, საერთო გამოცდილებასთანაც. ამგვარი კავშირით სასამართლო ხელისუფლება მზადაა შეხვდეს დაუჯერებელს და რეაგირებაც ინსტინქტურად მოახდინოს, ისევე, როგორც სასადილო მაგიდის ირგვლივ შეკრებილი ოჯახური წრე. შესაძლოა, არც ერთი კანონი არ ეწინააღმდეგება გაზის კამერებში სიკვდილით დასჯას, თუმცა, ის არ ჟღერს სწორად და შესაბამისად, უნდა გაუქმდეს.

მახსოვს სტუმარი პოლონეთიდან, რომელიც დიდი ხნის წინ სტუმრობდა ჩვენს ინსტიტუტს. ეს აღმოსავლეთში ყველაზე დიდი ჩაგვრის პერიოდში მოხდა. ციხეში არსებული მონაცემები გამუდმებით უარესდებოდა იმასთან შედარებით, რაც მეორე მსოფლიო ომამდე აღინიშნებოდა. მონაცემები კვლავ არ იყო დაფარული და ჩვენ ვკითხეთ ჩვენს სტუმარს, დოქტორ ჯერზი იასინსკის (Dr. Jerzy Jasinski) რომ აღნიშნული ტენდენცია აეხსნა. მან არ დაგვიმალა არაფერი[40]. აღარ არსებობდა არც ერთი ძველი მოსამართლე. ახლები კი პარტიებს წარმოადგენდნენ. თუმცა, არ იყო აუცილებელი, ახალმოსულთა მიერ მიღებული შედარებით უფრო მკაცრი სასჯელების უკან მაინცდამაინც პოლიტიკური პარტია მდგარიყო. ეს უფრო მეტად კულტურულ კუთვნილებასთან იყო დაკავშირებული. ძველი მოსამართლეები ინტელიგენციიდან მოდიოდნენ; ისინი გარკვეული სახის კულტურულ ელიტას მიეკუთვნებოდნენ და ეს მართებულად შეიძლებოდა გაკრიტიკებულიყო. ეს კი, სავარაუდოდ, სნობიზმის დიდ დოზას ნიშნავდა – აქ დოქტორი იასინსკის მოსაზრებებიდან ჩემს საკუთარ ინტერპრეტაციაზე გადავინაცვლებ – მაგრამ ეს ასევე ნიშნავდა იმ პოლონელ ხალხთან ახლო კავშირის ქონას, ვინც იმ დროს არსებულ უმთავრეს პრობლემებთან გასამკლავებლად მუშაობდა. ეს ასევე ნიშნავდა

---

[40] შეხედულებები შემდგომ უფრო დაცული ფორმით პოლონეთის სოციოლოგიურ ბიულეტენში იქნა წარმოდგენილი (იასინსკი, 1978 წელი).

ახლო კავშირს ისეთ ადამიანებთან, რომლებიც თავიცი ცხოვრების წესით იმ ტენდენციებსა და დილემებს გამოხატავდნენ, რომლებსაც ძალაუფლების ცენტრთან დაახლოებული წრეები ფარულად შეინახავდნენ. მოსამართლე, რომელიც კითხვითა და ცხოვრებით მყარად დგას თავის კულტურულ ასპარეზზე, ადვილად ვერ მოხვდება ისეთი რწმენის მახეში, რომლის თანახმადაც, ისინი, ვინც მის მიერ არიან დაპატიმრებულები, სრულიად განსხვავდებიან მისგან.

სოციალურ ფენებს შორის არსებული საერთო პოზიციის დამყარება ყველა ამ კლასის რეკრუტირებით არის შესაძლებელი. საკითხი შესაძლოა გადაწყდეს ისე, რომ მოსამართლეები ყველა სოციალური ფენიდან იყვნენ წარმოდგენილნი და განსხვავებული ეთნიკური კუთვნილება ჰქონდეთ. პროცესში ფესვების დაკარგვა საფრთხის შემცველია. თავის იდენტიფიკაციაში შედარებით დაბალი ფენიდან მომავალ მოსამართლეს უფრო მეტად შეუძლია მაღალი ფენის წარმომადგენელი გახდეს, ვიდრე იქ დაბადებულთაგან ვინმეს. ერთადერთ სიცოცხლისუნარიან ალტერნატივად, როგორც ჩანს, სამართლის კულტურაში ღრმა ინტეგრაციის მეშვეობით საერთო პოზიციების შენარჩუნება რჩება. ეს კი, როგორც სწავლების დროს, ისე პრაქტიკაში, სამართლის ზოგად პრინციპებზე მეტი ყურადღების გამახვილებასა და ყველა სახის სპეციალიზაციების უგულვებელყოფას უნდა ნიშნავდეს. ამაში ასევე უნდა იგულისხმებოდეს უმთავრეს ღირებულებებთან და ნორმებთან მუშაობის წახალისება და ასევე, უამრავი ღირებულების, მეტი პრობლემისა და მეტი ინსტიტუტის დაბალანსების უფრო მეტი უნარი, და არა სწრაფი და მარტივი გადაწყვეტილებების მიღებით გატაცება.

თუმცა, ასეთ ქმედებებს ესაჭიროება ძალა და მოსამართლეები ჯავშანში. ქედმაღლობა ერთ-ერთ ასეთ თავდაცვით საშუალებას წარმოადგენს. ამაში მდგომარეობს სიტუაციის ირონიულობა. ყველაზე დემოკრატიულად არჩეული მოსამართლე, თანასწორი თანასწორთა შორის, უთანასწორო საზოგადოებაში, შესაძლოა, ცუდად იყოს

აღქურვილი უმთავრესი ღირებულებების დამოუკიდებელი პატივისცემის საჩვენებლად. საზოგადოებაში, სადაც უხეში უთანასწორობაა, ცალსახად მნიშვნელოვანი ხდება მოსამართლეების მჭირდოდ დაკავშირება საერთო ბირთვის ყველა სიმბოლოზე, მნიშვნელობაზე, გაგებასა და მის შემდგომ განვითარებაზე მომუშავე პირებთან.

საერთო ბირთვთან მიმაგრება ასევე სხვა ავტორიტეტებისგან გარკვეულ თავისუფლებასაც მოითხოვს. მოსამართლე კი, რომელიც მოკლებულია შესაძლებლობას სწორი პასუხისთვის ფუნქციურად დააჭიროს ღილაკს, შორს დგას დამოუკიდებლობისგან.

პენიტენციური სამართალი იურიდიული სფეროა, რომელსაც კონკრეტულად კულტურაზე დაფუძნებული დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა ესაჭიროება.

## 13.3 ᲢᲙᲘᲕᲘᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲤᲔᲠᲘᲡᲘ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐ

როგორც ვნახეთ, საზოგადოებაში პატიმრობის დონეს დანაშაულის რაოდენობა არ განსაზღვრავს, რომ სასჯელი ბოროტმოქმედებაზე უბრალოდ მარტივი რეაქცია არ არის, რომ ის დიდად არ ახდენს გავლენას დანაშაულის დონეზე, სადაც ჩვენ ვადგენთ სასჯელის დონეს და, რომ სამართალი მართვის ბუნებრივ ინსტრუმეტს არ წარმოადგენს. ეს ასევე გვათავისუფლებს ჩვენ სარგებლის ტვირთვისგან. მათთვისაც კი, ვინც სასჯელთან მიმართებით უტილიტარულ მიდგომას აღიარებს, აშკარა ხდება, რომ არსებობს არჩევანი. ჩვენთვის კი ეს მთელი ამ ხნის განმავლობაში იყო ნათელი.

თუმცა, აღნიშული თავისუფლება დაუყოვნებლივ წარმოშობს ახალ პრობლემებს. თუკი სასჯელი არ მოდის დანაშაულიდან, კონკრეტულ საზოგადოებაში მაშ როგორ უნდა დავადგინოთ ტკივილის შესაფერისი რაოდენობა. ჩვენ თავისუფლები ვართ, თუმცა გამოკვეთილი სახელმძღვანელო პრინციპები არ გაგვაჩნია. რატომ არ უნდა გვყავდეს უფრო მეტი ადამიანი ციხეში, ვიდრე ახლა გვყავს? რატომ

არ დავაკავოთ მამაკაცი მოსახლეობის მეხუთედი ან თუდნაც მესამედი? რატომ არ დავაბრუნოთ საჯარო დასჯა? და რატომ არ გამოვიყენოთ სიკვდილით დასჯა უფრო ინტენსიურად?

შესაძლებელია პასუხის მონახვა. შესაძლებელია, თუკი სამართლის ინსტიტუტსა და სხვა კულტურულ ინსტიტუტს შორის სიახლოვის შენარჩუნებას შევეცდებით. ტკივილის შესაფერისი რაოდენობა, ეს არ არის სარგებლის მიღების, ან დანაშაულის კონტროლის, ან რაც მუშაობს იმის საკითხი. ეს არის ღირებულებებზე დაფუძნებული სტანდარტების საკითხი. ეს არის კულტურული საკითხი.

ამ პრობლემასთან მიახლოების ორი უმთვარესი გზა არსებობს. ერთი გზა მდგომარეობს სისხლისსამართლებრივი თეორიების შექმნაში, რომლებიც ძლიერ ავტორიტეტებზე იქნება დაფუძნებული. უტილიტარული თეორიები საფუძვლად სახელმწიფოს იყენებენ. არაუტილიტარული თეორიებიდან უმრავლესობას სცენარები ღვთისგან, ან წინასწარმეტყველებისგან ან სხვა ავტორიტებისგან აქვს. მათი კონცეფცია მდგომარეობს იმაში, რომ ჭეშმარიტება არსებობს სადღაც იქ და მას აბსოლუტური ავტორიტეტი ანიჭებს/განკარგავს. მკვლევარის მიზანს მხოლოდ ამ ჭეშმარიტების თანამედროვე ენაზე გადმოთარგმნა წარმოადგენს. ამ ტიპის არაუტილიტარი მხოლოდ ღვთის გამხმოვანებელს/სპიკერს წარმოადგენს, ისევე, როგორც უტილიტარი სახელმწიფოს სპიკერია. თუმცა, კულტურული პერსპექტივაც კი შესაძლებელია სახელმწიფოს მიერ იყოს მითვისებული. ჰიტლერი პერსონალურად წყვეტდა ხელოვნების, კონკრეტულად კი, მხატვრობისა და მუსიკის საკითხებს. თუმცა, სხვა კულტურული გამოხატულებებიც ძალზე მნიშვნელვანი იყო მისთვის. ისინი სახელმწიფოს წარმოადგენდნენ და სახელმწიფოს მიერვე უნდა ყოფილიყვნენ გადაწყვეტილი. სახელმწიფო კი ნიშნავდა ჰიტლერს. ფრანკოს, მუსოლინისა და სტალინსაც მსგვასი შეხედულებები ჰქონდათ.

სამართლის კონცეფციის ალტერნატივა, როგორც რაღაც არსებული, მზა, ღვთისგან ან ბუნებისგან ბოძებული, არის ადგილი, სადაც

მართლმსაჯულების უმთავრესი პრინციპები გამუდმებით არსებობენ, თუმცა კონკრეტული ფორმულირებებიც ასევე გამუდმებით უნდა იქმნებოდნენ. აღნიშნული ალტერნატივა წარმოადგენს ისეთ ალტერნატივას, რომელშიც მართლმსაჯულება არ შეიცავს მზა პრინციპებს, რომლებიც სამართალსა ან სოციალურ მეცნიერებებში გამოყენებული მეთოდების დახმარებით უნდა იქნას გამოვლენილი. თუმცა, შეიცავს საერთო ცოდნას, რომლის სამართლებრივ პრინციპებში ფორმულირებაც ყველა თაობამ უნდა მოახდინოს. ეს არის ადამიანის, როგორც მორალური აგენტის შესახებ კონცეფცია, და მის ბუნებით სამართალთან დასაკავშირებლად, ეს არის ყველა ჩვენგანის, როგორც წინასწარმეტყველის, კონცეფცია.

სასჯელი შესაძლებელია განიხილებოდეს, როგორც ჩვენი შეგნებისა და ჩვენი ღირებულებების ანარეკლი და, შესაბამისად, ის რეგულირდება სტანდარტებით, რომლებსაც ადამიანები ყოველ დღე იყენებენ იმისთვის, რაც შესაძლებელია და რისი გაკეთებაც სხვების მიმართ არ შეიძლება. ამგვარი სტანდარტები მხოლოდ კვლევებში არ მოიაზრება, ისინი გამოიყენება კიდეც. სოციალური ინჟინერიის იარაღზე მეტი, სასჯელის დონე და სახე საზოგადოებაში გაბატონებული სტანდარტების სარკეს წარმოადგენს. შესაბამისად, ჩვენ ყველამ შემდეგ შეკითხვას უნდა გავცეთ პასუხი: იქნება თუ არა ისეთ სახელმწიფოში ცხოვრება, რომელიც მე ამ კონკრეტული გზით წარმომადგენს, ჩემს ძირითად ღირებულებებთან შესაბამისობაში? ოსლოს ეროვნული თეატრი წარმომადგენს მე, როგორც ნორვეგიელს, ისევე, როგორც ჰენრიკ იბსენი (Henrik Ibsen) და ედვარდ გრეგი (Edvard Gried). თუმცა, მე ასევე წარმომადგენს ფაქტი, რომ ჩვენ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ სიკვდილით დავსაჯეთ 25 პატიმარი. ქუისლინგის მკვლელობა (killing of Quisling) ჩემი ნაწილია, ისევე, როგორც ციხეში განთავსებულ პატიმართა სიმრავლე, რაც ჩემს ქვეყანაში ასევე შეიძლება დახასიათდეს, როგორც „ცივილიზებული საზოგადოების შეურაცხყოფა“. მაგრამ, ვეკუთვნი რა დასავლურ ინდუსტრიულ კულ-

ტურას, მე, რა თქმა უნდა, ასევე წარმომადგენს ის, რაც ხდება აშშ-ში. გარკვეულწილად ჩემი ნაწილიცაა ის, რომ კულტურული რელატივიზმისთვის მისაღებია მსგავსი ქმედებების თანამოქალაქეების მიმართ ჩადენა.

არ არის სავალდებულო, რომ გქონდეს ეროვნული თეატრი, ან ფული არტისტებისთვის. ამის სასარგებლოდ არგუმენტები მხოლოდ ღირებულებებს შეიძლება ეფუძნებოდეს. ჩემთვის მისაღებია მათი არსებობა; საოცრად ძვირია, თუმცა აუცილებელი და სწორია. იგივე შეიძლება ითქვას სასჯელის გარკვეული ფორმების კრიტიკასთან დაკავშირებითაც. სასჯელის სახით თითების მოკვეთა არ გამოიყურება სწორ საქციელად, აღარ გამოიყურება სწორ საქციელად. ჩვენთვის ის მისაღები იყო 1815 წელს, როდესაც ის სისხლისსამართლის კოდექსიდან იქნა ამოღებული, როგორც სასჯელის სახე. ჩემთვის ასევე მიუღებელია ციხეში 2,800 ადამიანის გამოკეტვა. ჩვენ თავისუფლები ვართ, გადავწყვიტოთ ტკივილის იმ რაოდენობის შესახებ, რომელიც ჩვენთვის მისაღებია. არ არსებობს სახელმძღვანელო პრინციპები, გარდა ღირებულებებისა.

ჩვენ, ვისი სამუშაოც სასჯელაღსრულების სისტემასთან ახლოს არის დაკავშირებული, განსაკუთრებული პასუხისმგებლობის ქვეშ ვიმყოფებით, თუმცა არა როგორც ექსპერტები. როგორც კრიმინალისტი, უფრო მეტად ვგრძნობ, რომ ჩემი ფუნქცია ძალზე წააგავს წიგნის ან ხელოვნების კრიტიკოსის ფუნქციას. სცენარი არ არის თანმიმდევრული და ვერც ვერასოდეს იქნება. ავტორები, მაგალითად, სტორტინგის (Storting) სამართლის კომიტეტი, ისეთ პოზიციაში არ იმყოფებიან, რომ ოდესმე დამაკმაყოფილებელი აღწერა შეძლონ, სამართალში, იმ პრობლემის ტოტალურობისა, რომელსაც ისინი აწყდებიან. სამართლებრივი სისტემა, სადაც მანევრირებისთვის არ არის ადგილი, იმგვარ სცენარსა და წარმოდგენას ქმნის, რომელსაც მავანი ტოტალიტარულ რეჟიმში ხვდება. მმართველების სასარგებლოდ ყველაფერი წინასწარ არის განსაზღვრული.

მმართველები, და დემოკრატიულ სახელმწიფოებში, პოლიტიკოსები, უცილობლად ცდილობენ დატოვონ შთაბეჭდილება, რომ მათია რაციონალური ამოცანები ისეთ სფეროში, სადაც საღად აზროვნება ცალსახა აუცილებლობას წარმოადგენს. ჩვენი, როგორც კულტურული მუშაკების, ან, როგორც აღმოსავლეთ ევროპაში იტყოდნენ, ინტელიგენციის წევრების, კონტრ-იდეას ამ მითის გაფერმკრთალება და მთელი ოპერაციის უკან, კულტურულ სფეროში დაბრუნება წარმოადგენს. ტკივილის მიყენება ღრმა მორალური საკითხების უსასრულოო ხაზს შეიცავს. თუკი აქ არსებობენ ექსპერტები, ისინი ფილოსოფოსები არიან. ისინი ასევე ხშირად იმეორებენ, რომ პრობლემები იმდენად რთულია, რომ ჩვენ არ შეგვიძლია მოქმედება. ჩვენ უნდა ვიფიქროთ. აღნიშნული შესაძლოა ყველაზე უარესი ალტერნატივა არ იყოს, როდესაც სხვა ვარიანტს ტკივილის მიყენება წარმოადგენს.

# ბიბლიოგრაფია

Abel, P., B. Hebenton, T. Thomas, and S. Wright 1991 *The Technopolitics of Exclusion*. Unpublished paper prepared for the XIX[th] Annual Conference of the European Group for the Study of Deviance and Social Control. Potsdam, Germany, 4-8 September 1991.

Abramkin, Valery 1998 *Criminal policy, retributive and restorative justice. Human beings and Prison*. Moscow Centre for Prison Reform, Moscow.

Adorno, T.W., Else Frenkel-Brunswik, Daniel Levinson, and R. Nevitt Sanford 1950 *The Authoritarian Personality*. Harper & Row, New York.

Andenaes, Johs 1991 *Lovmotiver og strafferett. Lov og Rett*. 1991, pp. 385-387.

Austin, james and Aaron David McVey 1989 *The 1989 NCCD Prison Population Forecast: The Impact of the War on Drugs*. The National Council on Crime and Delinquency, Washington.

Balvig, Flemming 1990 *Mod et nyt kriminologisk samfundsbillede*. (Towards a new Criminological Perspective on Society). Jurist- og okonomforbundets forlag, Kobenhavn.

Bauman, Zygmunt 1989 *Modernity and the Holocaust*. Policy Press, Cambridge.

Blumstein, Alfred 1991 *Demographic Factors: Now and in the Future. Growth and Its Influence on Correctional Policy*. Guggenheim Criminal Justice Program, Berkeley, USA.

Boyd, David G. 1994 *Virtual Dual Use: Doubling the Value of Defense Research and Development*. National Institute of Justice, Washington.

Backman, Johan 1998a *The Inflation of Crime in Russia. The Social Danger of the Emerging Markets*. National Research Institute of Legal Policy, Helsinki.

Bachman, Johan 1998b *The Inflation of Crime in Russia*. Presentation at a seminar organized by Scandinavian Research Council for Criminology, Espoo, Finland 1998.

Bodal, Kare 1982 *350 narkoselgere (350 Drug Dealers)*. Universitetsforlaget, Oslo.

Christie, Nils 1952-53 *Fangevoktere I Konsentrasjonsleire (Guards in Concentration Camps)*. Articles 1952-53, book 1972.

Christie, Nils 1981 *Limits to Pain*. Universitetsforlaget, Oslo.

Christie, Nils 1987 *Death and Crime*. Social problems and Criminal Justice. 1987, pp. 19-31.

Christie, Nils 2000 *A most usefull mafia*. Annual report from Institute of Criminology, University of Oslo. Institute of Criminology, Oslo.

Cohen, Stanley 1985 *On Visions of Social Control*. Polity Press, Cambridge.

Cohen, Stanley 1992 *On Talking about Torture in Israel*. Manuscript.

Cooley, Charles H. 1956 *Social Organization: A study of the Larger Mind*. First edition (1909), reprint (1956). Schocken books, New York.

*Correctional Populations in the United States*, 1996. Bureau of Justice Statistics Bulletin, U.S. Department of Justice, Washington April 1999.

Coyle, Andrew 2000 *Supermax Prisons: A New American Phenomenon*. Manuscript. International Centre for Prison Studies. Kings College. University of London.

Cunningham, William C., John J. Strauchs, and Clifford W. Van Meter 1991 *Private Security: Patterns and Trends*. National Institute of Justice: Research in Brief, August 1991.

Dahrendorf, Ralf 1985 *Law and Order*. The Hamlyn Lectures; 37. Stevens & Sons, London.

Dobroszycki, Lucjan 1984 *The Chronicle of the Lodz Ghetto* 1941-1944. Yale University Press, New Haven.

Downes, David 1988 *Contrasts in Tolerance*. Post-War Penal Policy in The Netherlands and England and Wales. Claredon Press, Oxford.

Durkheim, Emile 1966 Suicide. *A Study in Sociology*. Free Press, New York.

Ericson, Richard V., Maeve W. McMahon, and Donald G. Evans 1987 *Punishing for Profit: Reflections on the Revival of Privatization in Corrections*. Canadian Journal of Criminolody. 1987, pp. 355-387.

Evans, Linda and Eve Goldberg 1999 *The Prison Industrial Complex and the Global Economy*. JusticeNet Prison Issues Desk. Prison Activist Resource Center, Berkeley.

Farmer, Paul 1998 Cruel and Unusual: Drug-Resistant Tuberculosis as Punishment. Department of Social Medicine (manuscript). Harvard Medical School.

Feeley, Malcolm M. 1991a *The Privatization of Prisons in Historical Perspective*. Criminal Justice Research Bulletin. Sam Houston State University. 1991, No. 2, pp. 1-10.

Feeley, Malcolm 1991b *The New Penology. Reformulating Penal Objectives and Implications for Penal Growth. Growth and Its Influence on Correctional Policy*. Guggenheim Criminal Justice Program, Berkeley.

Fellner, Jamie and Marc Mauer 1998 *Losing the Vote. The impact of felony Disenfranchment Laws in the United States*. The Sentencing Project. Human Rights Watch.

Fridhov, Inger Marie 1988 *I all stillhet. En Beretning om hvordan det oppleves a vente pa bli satt I fengsel*. Mimeographed, Institute of Criminology. Oslo.

Garland, David 1986 *The punitive mentality: Its socio-historic development and decline*. Contemporary Crises. 1986, pp. 305-320.

Giddens, Anthony 1984 *The Constitution of Society*. Outline of the theory of structuration. Polity Press, Cambridge.

Giertsen, Hedda 1991 *On Giving Meaning to Murder*. Lecture to be published, University of Torino, May 1991.

Gusfield, Joseph R. 1963 *Symbolic Crusade. Status Politics and the American Temperance Movement*. University of Illinois Press, Urbana, Illinois.

Haan, Willem de 1991 *Abolitionism and Crime Control: a Contradiction in Terms*. In: Stenson, Kevin and David Cowell: The Politics of Crime Control. Sage, London.

Harris, Marvin 1981 *Why Nothing Works. The Anthropology of Daily Life*. Simon & Schuster, New York.

Hayes, Peter 1987 *Industry and Ideology. I.G. Farben in the Nazi Era*. Cambridge University Press, Cambridge.

Helsinki Watch (A Division of Human Rights Watch) 1991 *Prison Conditions in the Soviet Union. A report of Facilities in Russia and Azerbaidzan*. Helsinki Watch, New York.

Henry, Alan D. and John Clark 1999 *Pretrial Drug Testing: An Overview of Issues and Practices*. Bureau of Justice Assistance Bulletin. U.S. Department of Justice. Office of Justice Programs, Washington.

Hilberg, Raul 1985 *The Destruction of the European Jews*. Vol. I-III. Holmes & Meier, New York.

Home Office 1990 *Crime, Justice and Protecting the Public*. The Government's Proposals for Legislation. Cm 965. HMSO, London.

Hulsman, Louk 1974 *Criminal Justice in the Netherlands. Delta*. A Review of Arts, Life and Thoughts in the Netherlands. 1974, pp. 7-19.

Human Rights Watch 1992 *Prison Condtions in the United States*. Human Rights Watch, USA.

Human Rights Watch 1997 *Cold Storage. Super-Maximum Security Confinement in Indiana*. Human Rights Watch, USA.

Illich, Ivan 1971 *Deschooling Society*. Harper & Row. New York.

Illich, Ivan 1973 *Celebration of Awareness. A Call for Institutional Revolution*. Penguin Education, Harmondsworth.

Illich, Ivan 1974 *Energy and Equity*. Calder & Boyars, London.

Illich, Ivan 1976 *Limits to Medicine*. Marion Boyars, London.

Illich, Ivan 1978 *The Right to Useful Unemployment and Its Professional Enemies*. Marion Boyars, London.

Illich, Ivan 1982 *Gender*. Pantheon Books, New York.

Illich, Ivan 1992 *Needs*. *The Development Dictionary*. A Guide to Knowledge and Power. Sachs, Wolfgang (ed.). Zed Books, London.

Illich, Ivan and Barry Sanders 1988 *ABC: the Alphabetization of the Popular Mind*. North Point Press, San Fransisco.

Ingle, Joseph B. (with a Foreword by William Styron) 1990 *Last Rights. 13 Fatal Encounters with the State's Justice*. Abingdon Press, Nashville.

Jasinski, Jerzy 1976 *The Punitiveness of the Criminal Justice System*. The Polish Sociological Bulletin. 1976, pp. 43–51.

King, Roy D. 1994 *Russian Prisons after Perestroika: End of the Gulag?* British Journal of Criminology. 1994, pp. 62–82.

Knepper, Paul and J. Robert Lilly: *The Corrections-Commercial Complex*. Paper presented at the Academy of Criminal Justice Sciences Conference, Nashville, Tennessee 1991.

Ladurie, Emmanuel Le Roy 1978 *Montaillou. Cathars and Catholics in French Village 1294-1324*. Scholar Press, London. (In French: Montaillou: village Occitan de 1294-1324. Editions Gallimard, Paris 1975.)

Langan, Patrick A., and David P. Farrington 1998 *Crime and Justice in the United States and in England and Wales, 1981-96*. U.S. Department of Justice. Office of Justice Programs. Bureau of Justice Statistics, Washington.

Langbein, John H. 1978-79 *Torture and Plea Bargaining*. The University of Chicago Law Review. 1978-79, pp. 3-22.

Lapido, David 1999 *Regulating the American Labour Market. The Role of the Prison Industrial Complex. School of Sociology and Social Policy.* University of Nottingham. Paper presented at the 21st Conference of the International Working Party on Labour Market Segmentation, Bremen, Germany, 9-11 September, 1999.

Lea, John and Jock Young 1984 *What is to be Done about Law and Order?* Penguin Books, Harmonsworth.

Lifton, Robert Jay 1986 *The Nazi Doctors. Medical Killing and the Psychology of Genocide*. Macmillian, London.

Lindqvist, Sven 1992 *Utrota Varenda Javel*. Bonniers, Stockholm.

Logan, Charles 1990 *Private Prisons. Cons and Pros*. Oxford University Press, New York.

Lotke, Eric 1996 *The Prison-Industrial Complex*. Multinational Monitor. November 1996, pp. 18-21.

Lang, K.J. 1989 *Upplever fangelsesstraffet en renassans? Spekulationer om frihetsstraffets framtid*. Nordisk Tidsskrift for Kriminalvidenskab. 1989, pp. 83-94.

Mann, Coramae Richey 1982 *The Reality of a Racist Criminal Justice System*. Criminal Justice Research Bulletin. No. 5, pp. 1-5.

Mathiesen, Thomas 1974 *The Politics of Abolition: Essays in Political Action Theory*. Scandinavian Studies in Criminology; 4. Scandinavian University Press, Oslo.

Mathiesen, Thomas 1990 *Prison on Trial*. A Critical Assessment. Sage, London.

Mauer, Marc 1991 *Americans Behind Bars: A Comparison of International Rates of Incarceration*. The Sentencing Project, Washington.

Mauer, Marc 1999 *Race to Incarcerate*. The Free Press, New York.

Mauer, Marc and Tracy Huling 1995 *Young Black Americans and the Criminal Justice System: Five years Later*. The Sentencing Project, Washington.

Messinger, Sheldon and John Berecochea 1991 *Don't Stay Too Long But Do Come Back Soon. Reflections on the Size and Vicissitudes of California's Prisoner Population. Growth and Its Influence on Correctional Policy*. Guggenheim Criminal Justice Program, Berkeley.

Miller, Jerome G. 1996 *Search and Destroy. African-American Males in the Criminal Justice System*. Cambridge University Press, New-York.

Mitford, Jessica 1974 *The American Prison Business*. Allen & Unwin, London. Published in the US. 1971 as Kind and Usual Punishment.

Moren, Kikki 1991 *Den europeiske festning? – Asylpolitikk og politisamarbeid mot 1992*. Institute of Criminology, Oslo.

Morrison, David C. 1994 *Robocops*. National Journal. 1994, pp. 889-893.

*National Update January 1992*. Bureau of Justice Statistics. National Update 1992 Vol. 1, No. 3. U.S. Department of Justice, Washington.

Nauke, Wolfgang 1982 *Die kriminalpolitik des Marburger Programms 1882*. Zeitschrift fur die gesamte Strafrechtswissenschaft. 1982, pp. 525-564.

Novak, Michael 1982 *Medisting Institutions: The Communitarian Individual in America*. The Public Interest. 1982, pp. 3-20.

Nozick, Robert 1974 *Anarchy, State and Utopia*. Basil Backwell, Oxford.

Palmaer, Carsten and Ola 1986 *Vladmir Vysotskij. Sanger 1959-80*, p. 104. Ordfront, Stockholm.

*Prisoners in 1998*. Bureau of Justice Statistics bulletin August 1999. U.S. Department of Justice, Washington.

Radzonowicz, Sir Leon 1991a *Penal Regression*. The Cambridge Law Journal. 1991, pp. 422-444.

Radzonowicz, Sir Leon 1991b *The Roots of the International Association of Criminal Law and their Significance*. Criminological Research Reports by the Max Planck Institute for Foreign and International Penal Law, Freiburg, Germany, Vol. 45, 1991.

Radzonowicz, Sir Leon, and Roger Hood 1981 *The American volte-face in sentencing thought and practice. Crime, Proof and Punishment*. Essays in Memory of Sir Rupert Cross. Tapper, C.F. (ed.). Butterworths, London.

Ratusjinskaja, Irina 1988 *Grey is the Colour of Hope (Seryj svet nadezdy)*. In Norwegian 1988. Cappelen, Oslo.

Rawlinson, Patricia 1998 *Mafia, Media and Myth*. The Howard Journal. 1998, No.43, pp. 46-358.

Rawls, John 1973 *A theory of Justice*. Oxford University Press, Oxford.

Reno, Janet 1993 *Opening Address at conference on "Law Enforcement Technology for 21st Century."* First Presented at John Hopkins 1993 on a seminar on non-lethal Defence.

Robert, Phillipe 1989 *The Privatization of Social Control. Crime and Criminal Policy in Europe*. Hood, Roger (ed.). Centre for Criminological Research, University of Oxford.

Rohn, Warren and Trish Ostroski 1991 *Checking IDs. Advances in Technology Make it Easier to Monitor Inmates*. Corrections Today, July 1991.

Rosenthal, Uriel and Bob Hoogeboom 1990 *Some Fundamental Questions on Privatisation and Commercialisation of Crime Control. With Special Reference to Developments in the Netherlands.* Collected Studies in Criminological Research, Vol. XXVII. Council of Europe, Strasbourg.

Rutherford, Andrew 1984 *Prisons and the Process of Justice. The Reductionist Challenge*. Heinemann, London.

Sachs, Wolfgang 1992 *The Development Dictionary. A Guide to Knowledge as Power*. Zed Books, London.

Scherdin, Lill 1990 *Sproyten som sprak. Injeksjonssproyten I et kontrollpolitisk perspektiv*. Thesis. Institute of Criminology, University of Oslo.

Schlosser, Eric 1998 *The Prison Industrial Complex*. The Atlantic Monthly. 1998, No. 6, pp. 51-77.

Shearing, Clifford D., and Philip C. Stenning (eds.) 1987 *Private Policing*. Sage publications, Newbury Park.

Simmel, Georg 1950 *The Metropolis and Mental Life, and The Stranger*. The Sociology of Georg Simmel. Translated, edited and with an introduction by Kurt H. Wolf. The Free Press, Glencoe. Original edition: Die Grosstadt, Vortrage und Aufsatze zur Stadteausstellung, Jahrbuch der Gehe-Stiftung 1903, 9, pp. 185-206 and Exkurs uber den Fremden. Soziologie. Untersuchungen uber die formen der Vergesellschaftung.

Smith, Albert G. 1991 *Arming Officers Doesn't Have to Change an Agency's Mission*. Corrections Today. 1991, No. 4, pp. 114-124.

*Sorcebook of Criminal Justice Statistics 1997.* Bureau of Justice statistics. U.S. Department of Justice, Washington.

Spitzer, Steven 1974 *Toward a Marxian Theory of Deviance*. Social Problems, 1974, pp. 638-651.

Statistical Collection 1991 *Crimes and other offences in the USSR 1990*. Moscow.

Steenhuis, D.W., L.C.M. Tigges, and J.J.A. Essers 1983 *The Penal Climate in the Netherlands. Sunny or Cloudy?* The British Journal of Criminology. 1983, pp. 1-16.

Stern, Vivien 1987 *Bricks of Shame. Britain's Prisons*. Penguin, London.

Stern, Vivien 1999 T*he Cells of Death. The Tuberculosis Epidemic in the Prisons of the Former Soviet Union*. Prison Service Journal. July 1999, pp. 2-4. A more complete coverage can be found in: Stern, Vivien (ed): Sentenced to die? The problem of TB in prisons in Eastern Europe and Central Asia. International Centre for Prison Studies, London.

Stimson, William A. 1991 *A Better Design for Safer Detention on Death Row. Corrections Today*. 1991, No. 4, pp. 158-159.

Swaaningen, Rene van, John Blad, and Reiner van Loon 1992 *A decade of Research on Norm Production and Penal Control in the Netherlands*. Working documents of the centre for Integrated Penal Sciences, Erasmus University. Centre for Integrated Penal Sciences, Rotterdam.

The Corrections Yearbook. *Instant Answers to Key Questions in Corrections 1991*. Criminal Justice Institute, New York.

The Corrections Yearbook 1996 *Camille Graham Camp and George Camp (eds.)*. Criminal Justice Institute, New York.

Tocqueville, Alexis 1990 *Democracy in America*. Vintage Books. New York.

Torny, Michael 1991 *The Politics and Processes of Sentencing Commissions*. Crime and Delinquency. 1991, pp. 307-329.

Tornudd, Patrik 1991 *15 years of Decreasing Prisoner Rates in Finland*. Mimeographed. The National Research Institute of Legal Policy.

United States Sentencing Commission. *Annual Report 1989*. United States Sentencing Commission, Washington.

United States Sentencing Commission. *Guidelines Manual 1990*. United States Sentencing Commission, Washington.

Von Hirsch, Andrew 1976 *Doing Justice*. Report of the Committee for the study of incarceration. Hill and Wang, New York.

Von Hirsch, Andrew 1982 *Construction Guidelines for Sentencing: The Critical Choices for the Minnesota Sentencing Guidelines Commission*. Hamline Law Review. 1982, pp. 164–215.

Wasley, Roy 1999 *World Prison Population List. Home Office Research, Development and Statistics Directorate*. Research Findings No. 88. Home Office, London.

Weiss, Robert P. 1989 *Private Prisons and the State*. Privatizing Criminal Justice. Matthews, Roger (ed.). Sage Publications, London.

Wilbanks, William 1987 *The Myth of a Racist Criminal Justice System*. Criminal Justice Research Bulletin. 1987, No. 5, pp. 1–5.

Wolfgang, Marvin E., Arlene Kelly, and Hans C. Nolde 1962 *Comparison of the Executed and the Commuted among Admissions to Death Row*. The Journal of Criminal Law, Criminology and Police Science. 1962, No. 3, pp. 301–311.

Young, Jock 1989 Left Realism and the Priorities of Crime Control. *The Politics of Crime Control*. Stenson, Kevin and David Cowell (eds.). Sage, London.

Young, Jock and Roger Matthews (eds.) 1992 *Rethinking Criminology: The Realist Debate*. Sage, London.

Zimring, Franklin 1991 *Correctional Growth in Context. Growth and Its Influence on Correctional Policy*. Guggenheim Criminal Justice Program, Barkeley.

Osterberg, Dag 1991 *Universitet og vitenskap i dagens samfunn. Universitetets ide gjennom tidene of i dag*. Wyller, Egil A. (ed.). Universitetsforlaget, Oslo. Also in Samtiden, No. 3, 1991.

WWW.GENOLOW.ORG